

644 /
1964/4

ՀԱՅԿԵՐԱՆ
ՅՈՒՆԵՍԿՈՒՅԻ



ՅՈՒՆԵՍԿՈ

1966

2



მონადირეები. მხატვარი შალვა მაყაშვილი.

გარეჯანის პირველ გვერდზე — მკტომბრის დროშა. მხატვარი რობერტ სტურუა.

სილსაქი



1696

შინაარსი

2

ალიო მირცხულავა — სიჭაბუკე მე- ძახის. ლექსი	3
ნოდარ წულიცისკირი — თეთრი მთა. ამბავი. გაგრძელება	5
მედაე პახიძე — ლექსები	32
რეზო შვიშვილი — ჩემი მეგობარი ნოდარი. რომანი. გაგრძელება	38
შილიამ შამსკირი — სონეტები. ინგლი- სურიდან თარგმნა რეზო თაბუკაშვილმა	58
თენგიზ გოგოლაძე — ნამუსის ქული. მოთხრობა	70
ერნესტ ჰემინგუეი — ჰარი მორგანი. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ	91

თებერვალი

1964

გამოცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკვ. ც. კ-სა და
მხარულთა კავშირის ორგანო





ქრიზიკა და პუბლიცისტიკა

ნოდარ ნათაძე — რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე. წერილი მეორე 110

გორის ნანიტაშვილი — ვაჟას საყვარელი სახეები 119



მეხნიერება და გეჟნიკა

მამია ჩორგოლაშვილი — აქლემების ქარავნიდან საბაგირო გზამდე 142



ყოველი მხრიდან 158

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯგვიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭეელიძე, სერგი კილაია, თამაზ კილაძე, ლაშა ჯანაშია.

ადიო მიჩხუღავა



სიჭაბუკე მამახის

მზემ სხივებით ცის გუმბათი შემოქარგა,
ნელა თოვს და... ფერიც ნაირ-ნაირია,
გაზაფხულის თოვლი მოდის, ჩემო კარგო,
ცის ფიფქებიც ყვავილებში აირია!

თოვს, არ დნება თოვლი თავზე დათოვლილი,
ეს ჭადარაც ფიქრში უცებ დამათენდა,
გამახსენდა ცეცხლი ქარში გამოვლილი,
შორეული სიყმაწვილე გამახსენდა!

ელვას ჰგავდა გზა ღრუბლებში ჩასახული,
სხივთა ზღვაში ოქროს დილა ბრიალებდა,
ხეთა ლაშქარს მოუძლოდა გაზაფხული,
მზე, ცის დროშა, შუბის ტარზე ფრიალებდა!

მეც იმ დილას შევეგებე, როგორც იმედს,
და სინათლე გულში თბილად ჩავიკონე,
ხელი გავკარ სხივთა სიმებს, მოციმციმეს,
და მიწიდან მზის გულისწვა გავიგონე!

ხმები ვთესე — სიმღერებად ამოსულან,
ზღვა-ფიქრებიც დღეებს გაყვნენ ნამქერებად,
ცეცხლი ვთესე — ვარსკვლავებად გამოსხმულან,
ცისკრად იქცა ქარში ცეცხლის ამღერება!

ვერ შემაკრთო დროთა ბრუნვამ, ელვის ხმამაც,
მეც მიყვარდა, მხოლოდ მისთვის მიძგერია,
მე, ამდენი ჭაბუკური ლექსის მამას,
ნუთუ მართლა დაბერება მიწერია?

მეგობარო, ყური მიგდე, გული მღერის,
კიდევ შერჩა ძველი სიმხნე, სიმამაცე,
კიდევ შერჩა ცეცხლის ხმა და ცეცხლის ფერი,
არ ბერდება სიცოცხლე და სილამაზე.

მუხის გულში ბუდე უდევს და მის ტოტებს
ათრთოლებს და ყრუდ გუგუნებს: გუ-გუ, გუ-გუ,
გამაღვიძებს და შრომისკენ მომიწოდებს,
მეც ავყვები ადრე დილით მის მხნე გუგუნს!


კალმით ხელში სიტყვებს ვძერწავ, მე ვარ ხუროც,
დავტრიალებ ამ ცხოვრების ბალს და ყანას,
და ქვეყანას რომ ბოლომდე ვემსახუროთ,
ჩვენი შრომა და სიცოცხლე ჰყოფნის განა?!

მზემ სხივებით ზეცის თალი შემოქარგა,
ნელა თოვს და... ფერიც ნაირ-ნაირია,
გაზაფხულის თოვლი მოდის, ჩემო კარგო,
და ფიქტებიც ყვავილებში აირია!

ჩემს ბობოქარ სიჭაბუკეს ყველგან ვხედავ,
დანაგარდობს, ლაღობს თავის ჩაუქობით,
დე, სულ ასე, მხნე, გულსავეს ჩქეფდეს ნეტავ,
თან მოსავედეს მზის ჭაღარა ჩაუქრობი!

თოვლი მოდის... და ოცნების ბაღნარს ათოვს,
ათოვს, ათბობს ჩემი ქვეყნის მთას და ჭაღას,
მზეს შეგხარი, გაზაფხულის მაღალ მნათობს,
აჰა, ლექსმაც ფრთა გაშალა!





თინიკო ბიცოლამ ბებიას ოთახში ანთებული ღამა შემოიტანა. მე წამოდექი, ბებიას გვერდით მიფუჯექი, თან თავჩაღუნული ისევ ვსულუქუნებდი. ბებიამ მიმიხუტა და მაკოცა. იმდენი მიტრიალა, მათქმევინა, რატომ ვიკითხე, თუ ვინ იყო დედაჩემი. როცა გაიგო, რომ ნანამ მითხრა და ნანა სვიმონ ფალავას შვილიშვილი იყო, გაიცინა და მითხრა:

— ფალავებს ჩვენი ოჯახის ჯიბრი აქვს, ნანას ბაბუა ბაბუაშენის დაუძინებელი მტერი იყო.

დავიჯერე და ძალიან გამიხარდა. მაგრამ ნანასთან როგორ უნდა მოვქცეულიყავი? თუ ნანას ოჯახი ჩვენს ოჯახს ემტერებოდა, მაშინ ნანას დედაც გვემტერებოდა, ნანას მამაც, თვითონ ნანაც. მაშ, ნანა ჩემი მტერი იყო? — რომ არაფერი შემომჩნევია? ნანას მტრობას ვერ დავიჯერებდი.

იმ საღამოს ბებიამ თბილი წყლით დამბანა ფეხები. ადრე ფეხს ყოველთვის ცივი წყლით ვიბანდით. თინიკო ბიცოლა

ტაშტს ცივი წყლით აავსებდა და გვეტყოდა, აბა ფეხი დაიბანეთო. მე და ზურიას ცივ წყალში ხელის ჩაყოფა გვეზარებოდა და ფეხებს ვუსვამდით ერთმანეთს. თბილი წყლით მხოლოდ ქეთინოს ბანდნენ. თბილი წყალი ძალიან მესიამოვნა. ბებია ისე მექცეოდა, თითქოს ავად ვიყავი: თავის ოთახში დამაწვინა, ლოგინში მურაბიანი ჩაი მომიტანა (ვიცოდი, რომ მურაბა თათუშა მამიდამ გამოგვიზავნა თბილისიდან და ავადმყოფებისთვის ინახავდნენ). საცვლები გამომიცვალა და ბუმბულის ლეიბი დამიგო. დაწოლის წინ ბებიას ვკითხე:

- ნანა ხომ კარგი გოგოა, ბებია?
- ბებიას სახეზე გაოცება გამოეხატა.
- ნანა რომელია, ბებია?
- ძალიან გამბდარი რომ არის, ოქროსფერი თმა რომ აქვს...

— კარგი გოგოა, — მითხრა ბებიამ და საბანი გადამახსრა.

არ მომეწონა ბებიას პასუხი, ისე ცივად მითხრა, თითქოს არ სჯეროდა,

ნანა რომ კარგი გოგო იყო. საბანი გადავიხურე და თვალი დავხუჭე.

დიდხანს ჩამესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ, თანდათან როგორ უმატებდნენ ხმას და როგორ კამათობდნენ ბენია, ბაბუა, დეიდა ქვაცაცი და თინიკო

ბიცოლა. ერთი ორჯერ გავიგონე ჩემი სახელი და სიტყვა — „ბავშვები მოვალე ვართ, მაგრამ ვერ გავარჩიე, რაზე ლაპარაკობდნენ. კვლავ საბანში შევძებერი, მოვიკუნტე და ძილს დაველოდე.

პატარა მემ

გურამი იყო გამხდარი პატარა ბიჭი. მოკლემარჯლიანი, ფეხშიშველა დარბოდა ცხენისწყლის ჭალებში. უფროსებს სულ თვალბეჭეში შეჰყურებდა, ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც მათ გაუხარდებოდათ. თვაზიანი და მოკრძალებული ბიჭი ყველაფერზე წითლდებოდა. იგი წითლდებოდა მაშინაც, როცა მისი თანდასწრებით უფროსი ტყუილს იტყობდა. უმნიშვნელო შეურაცხყოფას, დამცირებას საოცრად განიცდიდა, მოიწყენდა, განმარტოვდებოდა. გურამს არც შინ, არც სკოლაში არავინ უწყებოდა. ბათუ ცდილობდა გურამისაგან შორს ყოფილიყო, ეშინოდა, უნებურად უხეში არაფერი ეთქვა მგრძნობიარე ბავშვისათვის. როცა გურამის ყოვალქცევამი რაიმე არ მოეწონებოდა, ელენეს ეუბნებოდა: ბავშვს უთხარი, ასედა და ასე მოიქცესო; აბა ზურიას კი არ ერიდებოდა: თვალბეჭე დაუბრიალებდა და ყურებსაც შეუწითლებდა. ზურიას ეს მეორე წუთში არ ახსოვდა. გურამი სხვა იყო... გურამს შეეძლო განმარტოება და ფიქრი. გურამი სოფელში ისეთი დაფიქრებული უნახავთ, გაოცებული მეზობლები ელენესთან მისულან და უთქვამთ: ღმერთმა გაგიზარდოთ და ამ ბიჭს პატრონობა ჭირდება, შარაგზაზე, როგორც ჭკუა-დამჯდარი კაცი, საკუთარ თავს ესაუბრებოდაო...

ყველაზე უკეთ ადამიანს სოფელი ახასიათებს: საკალანდარიოში იყო ორი კოსტა, ერთს დიდ კოსტას ეძახდნენ, მეორეს კოსტაიას; ორი გრიგოლი — ერთს გრიგოლს ეძახდნენ, მეორეს გირტოლიტას; სოფლის ბოლოს ცხივრობდა მოხუცი კაცი კიტა. მოხუცს ყველა „კინტირიას“ ეძახდა — „კინტირი“ მკვრულად „კიტრს“ ნიშნავს; კიტა მართლა

ჰგავდა კიტრს, ჩასუქებული კაცი იყო და მხრებზე საოცრად პატარა, მოგრძო თავი ედგა. გარეგნობას იქნებ არ განესაზღვრა მისი სახელი, ბუნებით ფხიანი კაცი რომ ყოფილიყო.

სოფელმა გურამს შეხედა და თქვა: ანგელოზიანო, კალანდარიებს ანგელოზი გაუჩნდათო.

ელენეს, ქვაცაცის და თინიკოს ეშინოდათ, როცა გურამს დაფიქრებულს ნახავდნენ. უსაფუძვლო იყო მათი შიში: გურამი არ დარდობდა, არც გათვალული იყო, არც ექიმი ჭირდებოდა.

ცხენისწყალს ვრცელი ჭალები აქვს. მდინარე მღვრიეა, — თითქოს სათავეში ვილაცეები წყალს განგებ ამღვრევენო.

აქ თითქოს განსაკუთრებული არაფერი: მოედინება მღვრიე წყალი, ფეხქვეშ გაწოლილა ყვითელი ჭალა. ჭალაში დგას ხანდრავას გაძვალტყავებული ჭკაი.

გურამს ძველმანები აცვია, გაუკრეჭავი თმა ყურებამდე ჩამოზრდია და შუბლს და სახეს უპატარაებს. სახეზე მოყვითალო ფერი დაჰკრავს. ეს ცხენისწყლისა და აბაშისწყლის ბრალია — შეყვითელი ბიჭები ცხენისწყლისა და აბაშისპირას იზრდებიან.

*

- სად დაიკარგე, ბებია?
- წრის მეცადინეობა გეჭონდა.
- ამ სივრძე მეცადინეობა გაკონილა?
- სანდრო გვამეცადინებდა, ბებია.

როგორც კი გურამი სანდროს ახსენებდა, ელენე დამშვიდდებოდა. სანდრო კარგი მასწავლებელი იყო. ახლახან ჩამოვიდა სოფელში და მაშინვე მოიგო ხალხის გული. სოფლის განაპირას აიშენა ორი თვალი ფიცრის ოდა, საი-

დანღაც ერთი მანქანა წიგნები ჩამოიტანა და ორივე თთახი აავსო. ამზობდნენ, ამდენი წიგნი თბილისში პროფესორებსაც არა აქვთო. ხალხს უყვარს მწიგნობარი კაცი. საკალანდარიოში იყვნენ კარგი მასწავლებლები, მაგრამ სანდრო სულ სხვა იყო. მას არ აინტერესებდა რაიმეს შეძენა, კარგი სახლის აშენება, ქორწილები, დროსტარება.

ბოლოს და ბოლოს, ხალხს მშვიდობა ეღირსა და ადამიანურ ცხოვრებას ხარბად დაეწაფა. თუ მანამ საკუთარი თავისა და ოჯახისათვის არავის ეცალა, ახლა საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. ადამიანმა უკან მოიხედა, ბევრი რამ არ მოეწონა, გადააკეთა, გადმოაკეთა, მიაშენა, დააშენა, გაფართოვდა, წელში გასწორდა, დაიბანა, დაივარცხნა, ახალი კოსტუმი შეიძინა, ახალი ცხოვრებისათვის მოემზადა.

საკალანდარიოში ერთდროულად ოცი კაცი იშენებდა ახალ სახლს, ათიოდემ სამზადი გამოიცვალა, ექიმის მეთავემ ქალბატონმა რუსუდანმა თბილისიდან ავეჯი ჩამოატანინა. ეს იყო პირველი ავეჯი, რომელიც სოფელში ჩამოიტანეს. შურით აიგსნენ სოფლის მოინტელიგენტო ქალები და ფულის შეგროვებას შეუდგნენ.

ამ დროს საკალანდარიოს შარავზეზე დადიოდა დაფიქრებული კაცი და სულ სხვაგვარად უყურებდა ცხოვრებას.

სოფელს არაფერი გამოეპარება. ქალაქში შეიძლება დაიმალოს ავი და კარგი, სოფელში კი ყველაფერი ხელისგულივითა ჩანს, ყველაფერი ნათელია. ხალხმა დაინახა, რომ კაცი სოფლისთვისაა. დაინახა და მხარში ამოუდგა.

ბათუ კალანდარიას არ შეეძლო შვილიშვილს გაძლოლოდა. გურამი უკვე პატარა აღარ იყო. ბებიას ტანს აღარ აბანიებდა, ხმა დაუბოხდა, ქალიშვილივით ტუჩები გაუწითლდა, მხრები და მკლავები კი ბავშვური შერჩა. წელში ოდნავ წახრილი, ოჩოფხებზე შემდგარივით დადიოდა.

ბათუ იგონებდა თემრავის, ნესტორისა და შალვას ბავშვობას და გურამს აღარებდა. გარეგნულად რომელიღაცას

კვავდა, შეხედავდი თუ არა, იტყობო, კალანდარიასო. იხსენებდა, როგორ მძიმე ცეოდა მათ, რას უწუხებდა, რას უწონებდა. ნუთუ მაშინ სხვა დრო იყო? ნუთუ ახლა მას არ შეეძლო ჭაბუკისათვის ნამდვილი მამობა გაეწია? ბათუ გრძობდა, რომ გურამი ძველებურად ქალეზის კალთას მიკრული აღარ იყო, ნელნელა შორდებოდა მათ და დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდა.

სანდრო თითქოს გურამისათვის ჩამოვიდა სოფელში. კლასში პირველად შევიდა თუ არა, მაშინვე ყურადღება მიამქცია, დაუახლოვდა, გაივო რას კითხულობდა, რა მოწონდა, რა უყვარდა, რომელი საგანი უფრო ეადვილებოდა.

თუ ბავშვის ფსიქოლოგია იცი, სულ ადვილია მის სამყაროში შეიჭრი და გაფანტული, გაურკვეველი სურვილები და მისწრაფებები გადაუქციო ერთ დიდ სურვილად — ისწავლოს ბეჯითად.

სიბეჯითე გურამს არც ადრე აკლდა, ხუთებზე სწავლობდა, რომანებსაც კითხულობდა, ისტორიულ ნაწარმოებებსაც. კითხულობდა კი არა, დამეებს ათენებდა, მაგრამ ხშირად წიგნებში ვერ პოულობდა იმას, რაც უნდოდა, რაც აწუხებდა.

დღესაც ამიტომ გაუგრძელდა წრის მეცადინეობა. გურამმა ისეთი შეკითხვა მისცა სანდრო მასწავლებელს, ისე მტიკინულად და ნერვიულად ელაპარაკებოდა ამხანაგებს, სანდრო მასწავლებელი იძულებული შეიქნა მეცადინეობის თემა შეეცვალა და გურამისათვის გაეცა პასუხი.

არჩევდნენ ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „სახარხოველასზე“. თემიკომ ძალიან კარგი მოხსენება წაიკითხა. ბავშვებს განსაკუთრებით შესავალი მოეწონათ. როცა კამათი დაიწყეს, სანდრომ მაშინვე შენიშნა, რომ გურამი ბავშვებს აღარ უსმენდა, მერხს დასჩერებოდა. „ნეტავ რაზე ფიქრობს? აქამდე ყველას ყურადღებით უსმენდა, ალბათ კამათს აპი-

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

რებს და ემზადება“, — გაიფიქრა სანდრომ და გურამს უხმოდ ჩაუარა.

— პატივცემულო მასწავლებლო, — შემოესმა გურამის ხმა და მოტრიალდა. გურამი ფეხზე იდგა, ორივე ხელისგულთ მერხს დაყრდნობოდა. — პატივცემულო მასწავლებლო, — გაიმეორა მან და წელში გასწორდა, — ნუთუ არ შეიძლება იყო გმირი, მაგრამ უცოდველი და პატიოსანი?!

— როგორ არ შეიძლება, — გაიცინა სანდრომ. მოსწავლეები გაირინდნენ.

— მე არ მეგულება ასეთი გმირი, პატივცემულო მასწავლებლო; ავიღოთ ჩვენი ყველაზე სრულყოფილი, სამაგალითო და მისაბაძი გმირები — ტარიელი და ავთანდილი; რამდენი სისხლი დაღვარეს მათ ბედნიერების მისაღწევად... თუ გნებავთ, გავიხსენოთ, რა ჩაინა გონიერმა ავთანდილმა:

იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა
ჯავრიანითა;
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანი
თა ჯანითა;
ვერღა აესწრა, იღუმალ მოკლა, თუ
ვერცა ვვანითა,
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა
დანითა.

გურამი სულ კანკალმა აიტანა. დაბნეული მოსწავლეები გაოცებულნი შეკუყრებდნენ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სანდრო გურამს მიშტერებოდა, გურამი სანდროს. სანდრო შეჩვეული იყო ასეთ უეცარ შეკითხვებს. იგი დააბნია გურამის სახემ, გარეგნობამ, საოცარმა ნერვიულმა მოძრაობამ, დაგუბებულმა შინაგანმა ბოლმამ.

მთელი კლასი გურამს შესცქეროდა. სანდრო მასწავლებელი ხმას არ იღებდა. გურამს მოეჩვენა, რომ მისი შეკითხვა მასწავლებელს არ მოეწონა და გაფითრდა.

— აჯობა... — უჩურჩულა ანზორამ თემიკოს.

— აცალე, რადგან მასწავლებელია, მოფიქრება არ ჭირდება?

ანზორა გურამს აღმერთებდა, სულ მის ქებაში იყო და ამტკიცებდა, მასწავლებლებზე მეტი იცისო. ანზორა არ იყო ხუთოსანი, არც საუკეთესოებს შო-

რის ასახელებდნენ, თემიკო კი სანდროს საუკეთესო ხუთეულში შედიოდა და, ბუნებრივია, ყველაზე პირველს აკადემიურ რამს ეჯიბრებოდა. „სანდროს ხუთეული“ ცნობილი იყო არა მარტო სკოლაში, არამედ მთელს რაიონში.

— შენ ასე იცი, სულ მუდამ გურამს ეწინააღმდეგები, მაგრამ არ გამოგივა...

— შენთან შედარებით სოკრატე ვარ.

— სსს!.. — წინა მერხიდან გადმოიხარა და ბიჭები გააფრთხილა ნანამ. ანზორამ თემიკოს შეუბღვირა და დაემუქრა.

— რადგანაც ასე მწვავედ დასვა გმირის საკითხი გურამმა და ეტყობა გეჭირდება ბევრი რამის გარკვევა, — დაიწყო სანდრო მასწავლებელმა, — ჩვენი წრის მომავალი ორი მეცადინეობაც ამ თემაზე ჩავატაროთ. ახლა კი გურამს ვუბასუხებ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სანდრო ლაპარაკობდა მშვიდად და აულელებლად; ბავშვებმა ხელახლა, უფრო თვალნათლად დაინახეს თავიანთი საყვარელი გმირები, დარწმუნდნენ, რომ არაფერი იყო საეჭვო. მათ თვლებში შემუთთება გაქრა და ახლა სიხარულის ნაპერწკალი დაინახა სანდრო მასწავლებელმა. ყველაზე უფრო გურამს უხაროდა. სანდრო კი ფიქრობდა, როგორმე ისე უნდა ავაგო საუბარი, გურამი დამარცხებული არ გამოვიდესო.

— ხომ ხედავთ, ბავშვებო, გურამს რომ ასეთი საინტერესო საკითხი არ წამოეჭრა, მეცადინეობა უფერულად ჩატარდებოდა. ყველამ უნდა ვისწავლოთ კრიტიკული აზროვნება. რამდენადაც არ უნდა იზეპიროთ გაკვეთილები, კრიტიკული წერილები, რეცენზიები, თუ თქვენი, საკუთარი აზრი არ გექნებათ ნაწარმოებზე, საერთოდ ცხოვრებაზე, საგნებზე, მოვლენებზე, მნიშვნელოვანს ვერაფერს გააკეთებთ. ყოველთვის მზად უნდა გქონდეთ კითხვა „რატომ?“. თქვენ ყველამ კარგად იცით, როგორ აღმოაჩინა ისააკ ნიუტონმა დედამიწის მიზიდულობის კანონი. ასეული საუკუნეების განმავლობაში უყურებდა ადამიანი, როგორ ვარდებოდა ვაშლი ხელიდან, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ეკით-

ხა — „რატომ?“. ვინც ეს კითხვა დასვა, გენიალური აღმოჩენაც იმას ერგო. — დამთავრა სანდრომ და შემდეგი მეცადინეობისათვის მოსწავლეებს თემები დაურჩია.

როგორც კი მასწავლებელი გავიდა, რეზომ გურამს დაუძახა:

— ნიუტონ, მოიცა, ერთად წავიდეთ!

ბიჭებმა გადაიხარხარეს. გურამი გაწითლდა, მაგრამ ძალიან მოეწონა ხუმრობა და არაფერი არ თქვა.

შინ გახარებული დაბრუნდა.

კალანდარიები ამაყობდნენ კარგი სკოლით, პედაგოგებს ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ, მათ რჩევას ყოველთვის ყურადღებით ისმენდნენ. ახლა მათ სანდროც მიემატა. სანდრო აფრასიონ კალანდარიას შორეული ნათესავი იყო. აფრასიონი ამაყობდა ნიჭიერი ნათესავით. ვინ იფიქრებდა, საქმე ისე შეტრიალდებოდა, რომ სანდრო სოფელში მასწავლებლობას დაიწყებდა.

1942-ში წავიდა სანდრო ფრონტზე მოხალისედ. შინ ახალშერთული მეუღლე დატოვა. ბრძოლით შემოიარა მთელი ევროპა; ტყვეობაშიც იყო, პარტიზანებთანაც, და ჩამოვიდა. ქალები ომში წასულ ქმრებს ელოდებიან. სანდროს კი არ დაელოდა ცოლი, სამი წელიწადიც კი აღარ დაელოდა. ჯანდაბას, გათხოვილიყო, გაპყლოდა გადამთიელს, — სანდრო შეურიგდებოდა ამ ამბავს, ჩვეულებრივად იცხოვრებდა, იმუშავებდა. მაგრამ მეგობარს გაჰყვა, სანდროს ახლობელსა და საყვარელ კაცს. როცა ეს ამბავი გაიგო, სანდრომ გადაწყვიტა შური ეძია სასტიკად და დაუნდობლად...

მხოლოდ წარმოდგენაში დაატრიალა საშინელება, წარმოდგენაშივე მოჰკვეთა თავი მაცდურს, დანაშაულისაკენ რომ უბიძგებდა. რამდენიმე უძილო ღამის შემდეგ უკანასკნელად გაიარა რუსთაველის პროსპექტზე, დაემშვიდობა მშობლიურ უნივერსიტეტს, შეურაცხყოფილმა დატოვა თბილისი.

საკალანდარიო ახალ მასწავლებელს კულდია შეხვდა. პირველი წლები მშვი-

დად და წყნარად გაატარა, მაგრამ მალე მოხუცი პედაგოგები სხვაგვარად აღაპარაკდნენ.

— არ შეიძლება ასე, ბატონო, — ამტკიცებდა ისტორიის მასწავლებელი, დამსახურებული პედაგოგი, პატივცემული დავითი. — რაც ვიცით, ყველაფერი ბავშვებს კი არ უნდა ვუთხრათ. თქვენსმეტი-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის გონება არ არის მომზადებული იმისთვის, რომ ჰეგელის სისტემა გაიგოს ან მარქსის კაპიტალი იკითხოს; ეს რომ საჭირო იყოს, სასწავლო პროგრამაში შეიტანდნენ.

განსაკუთრებით ცხარობდა რუსულის მასწავლებელი, ძველი სემინარიელი ვალერიან გაბუნია. იგი ვერ ითმენდა, როცა ბავშვები ახსენებდნენ დოსტოევსკის, ბლოკს, ხლენიკოვს. შევარდებოდა დირექტორის კაბინეტში, დაიწყებდა ზურგზე ხელებს, ბოლთას ცემას მოჰყვებოდა და ისეთ ჩხუბს და დავიდარაბას ატეხდა, წვრილფეხა მასწავლებლები შიშისაგან ფეხისწვერებზე დადიოდნენ. ვალერიანი პატივსაცემი კაცი იყო, ხანგრძლივ პედაგოგიურ მუშაობას გადაეღალა და როცა გაბრაზდებოდა, ცოტათი აჭარბებდა.

— ყველაფერი თქვენი ბრალია, ბატონო, — ეუბნებოდა დირექტორს.

დირექტორი ახალგაზრდა კაცი იყო და ვალერიანი არ ერიდებოდა.

— მე თქვენ გეკითხებით, იცით თუ არა, რა ხდება სკოლაში? თუ იცით, მაშ მითხარით როგორ ხდება, რომ გურამ კალანდარიას მე ტოლსტოის ვასწავლი, ის კი დოსტოევსკას სწავლობს.

— ამაში არაფერია ცუდი, ბატონო ვალერიან.

— როგორ? ვინ არის ამ სკოლაში რუსულის მასწავლებელი?! თუ აღარა ვარ, ისიც მითხარით! თუ ვარ, მე ვიცი, ბავშვებს რასაც ვასწავლი. ხლენიკოვი და დოსტოევსკი არ ჭირდებათ ჩემს ბავშვებს!

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

— ასე საგანგაშოდ არ არის საქმე, ბატონო ვალერიან, თუ გენბავთ, აი ახლა ყველანი აქ ვართ, სანდროსაც და-ვუძახოთ და გავარკვიოთ, რატომ ავღელ-დით.

ღირექტორის კაბინეტი მასწავლებ-ლებით აივსო. მეცადინეობა დამთავრდა, მაგრამ შინ წასვლას არავინ აპირებდა. აინტერესებდათ რა მოხდებოდა.

— მოზრძანდეს! მოზრძანდეს! — გაი-ძახოდა ვალერიან მასწავლებელი და ზურგზე ხელუბდაწყობილი დადიოდა კაბინეტში, სათვალე ხან ხელში ეკავა, ხან ცხვირის წვერზე ჩამოიდებდა, ხან შუბლზე ისე დაიდებდა, გეგონებოდათ, საცაა ჩამოუვარდებო. ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ ძალიან გაბრაზე-ბული იყო. ასე იცოდა ხოლმე: უეცრად აფეთქდებოდა, ერთი საათი ბობოქრობ-და, ბობოქრობდა და დამშვიდდებოდა. დამშვიდდებოდა და ყველაფერი ავიწყ-დებოდა. რაც არ უნდა გამწყრალიყო, მის კეთილ თვალეში ბოროტებას ვერა-სოდეს შენიშნავდით.

ფიცხი, მაგრამ კეთილი მოხუცი მამა-სავით უყვარდათ სკოლაში. საკულთარი, პირადი ინტერესებისათვის იგი არასო-დეს არავის არ ედავებოდა. უფრო ის აღიზიანებდა, როცა ბავშვი არ სწავლობ-და და ვერც ვერაფერს უხერხებდა. თუ კი შენიშნავდა, რომ პედაგოგი არაპედა-გოგიურად იქცეოდა ან უცოდინარობას ამჟღავნებდა, მაშინ მას ვერ აკავებდა ვერავინ — მოითხოვდა დაუყონებლივ, „ამ წუთას“, „ამ საათში“ დაწერილიყო ბრძანება და პედაგოგს სკოლა დაეტო-ვებინა.

როგორც კი სიბრაზე გაუვლიდა, შე-წუხებული დაჯდებოდა მაგიდასთან და თვალაცრემლებული ნანობდა: ასე მკაც-რად რად მოვიქეციო.

სანდრო კაბინეტში შემოვიდა თუ არა, ვალერიან მასწავლებელი დაჯდა, სათ-ვალე გაისწორა და ღირექტორს მიაჩერ-და. პედაგოგები კედლებთან ჩამწკრივე-ბულ სკამებზე ისხდნენ. სანდრომ გაი-ხედ-გამოიხედა და რადგანაც პედაგო-გებთან ადგილი არ იყო, ღირექტორის მაგიდას მიუჯდა.

ღირექტორმა სანდროს შეკრების მი-ზანი გააცნო და პედაგოგებს თხოვა, დაეწყათ. სანდრო იჯდა მშვიდად და წყნარად, თითქოს სასწრაფო შეკრების მიზეზი თვითონ კი არა, სხვა ვინმე ყო-ფილიყო. მან წინასწარ იცოდა, ვინ რას იტყოდა და მზად იყო პასუხი გეცა.

— აქ უკვე ილაპარაკეს და აღარ გა-ვიმიორებ, — დაიწყო მათემატიკის მას-წავლებელმა. ეს ზორბა ტანის წითური კაცი დიდი თეორეტიკოსი არ იყო, მაგ-რამ რაც სოფლის მასწავლებელს მოე-თხოვებოდა, კარგად იცოდა. ასწავლიდა ფიზიკას, ალგებრას, გეომეტრიას, ტრი-გონომეტრიას, კითხვით მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა, კარგი ოჯახი ჰქონ-და, ხშირად დადიოდა ქორწილებსა და წვეულებებში. დუქნებსა და სასადილო-ებში საქეიფოდ არასოდეს დაჯდებოდა: შერცხვებო.

— რა თქმა უნდა, ბავშვებმა ყველა-ფერი უნდა იცოდნენ, მაგრამ ერთი უკი-დურესობაა, — განაგრძო გიორგი მას-წავლებელმა; — აი, დღევანდელ ამბავს მოგიყვებით. როგორც იცით, მე-10 კლას-ში ჩამორჩენილი ბავშვები გეყავს. გა-ვიძახე თოდუას ბავშვი, ვხედავ, სრუ-ლიად არაფერი არ იცის, პითაგორეს თეორემაც კი ვერ გაიხსენა. წარმოგიდ-გენიათ, მე-10 კლასის მოსწავლემ პითა-გორეს თეორემა ვერ გაიხსენა! უნდა ავუხსნა, სხვა რა გზაა. ვდგავარ დაფას-თან და ოფლში ვიწურები, მინდა რო-გორმე გავაგებინო. ვხედავ, ფანჯარას-თან, სადაც გურამ კალანდარიას ზის, ბავშვები კამათობენ. გაგბრაზდი, მივე-დი და ვეკითხები:

— რაშია საქმე, რატომ არ მისმენთ? რა არის ეს! რას აკეთებთ?

კალანდარიას რაღაცას მალავდა, ვუბრ-ძანე და ქალაღდის ნაგლეჯი გამომიწო-და. ეს ეინშტეინის ცდა არისო, ზოგი-ერთი რამ გაურკვეველია და აი, მე და თემიკო შევლაპარაკდითო. ქალაღდის ნაგლეჯზე ეხატა ოთახი, შუაში იდგა მაგიდა, მაგიდაზე მრგვალი საგანი. მით-ხარით, როგორ მოვქცეულიყავი, ეინშტე-ინზე მელაპარაკა თუ პითაგორეს თეო-რემა ამეხსნა?!

— ისიც უნდა გაგვეკეთებინათ და ისიც, — უთხრა სანდრომ.

— არ შეიძლება ასე მუშაობა, ამხანაგებო! — მათემატიკის მასწავლებელმა დირექტორს შეხედა, ხომ მართალი ვარო. როცა დირექტორი არ გამოეხმაურა, განაგრძო: — სრულებით არა ვარ ვალდებული ეინშტეინის ფარდობითობის თეორია ვიცოდე, ხომ შეიძლება არ ვიცოდე? მაშინ რა უნდა ვქნა?

— უნდა შეისწავლოთ, — უთხრა სანდრომ.

ახლა კი ველარ მოითმინა და წამოხტა ვალერიანი. თავზე დაადგა სანდროს, სათვალე ჩამოიწია:

— ვინ არის, ბიჭო, ვერპარნი? — იყვირა მან და სანდროს თვალეში ჩააშტერდა. სანდრო მოხუცს თვალს ვერ უსწორებდა, სიცილი ერეოდა.

— ვინ არის ვერპარნი, მე შენ გეკითხები! — გაუმეორა ვალერიანმა და, ეტყობოდა, სანდროს სიჩუმემ უფრო გააბრაზა.

— პოეტია, ბატონო ვალერიან.

— რაში ჭირდება კალანდარიას, ვიღაც გადამთიელი პოეტი როგორ ჩაუვარდა მატარებელს და თავი მოიკლა, მე შენ გეკითხები, რაში ჭირდება!

— მოვახსენებთ ჩემს აზრს, — თქვა სანდრომ.

— თქვენი აზრი არ მინდა მე. მე მინდა ჩემმა ბავშვებმა შეისწავლონ პუშკინი, წერეთელი, ჭავჭავაძე, შექსპირი. თქვენ იცით, ის ბავშვი რა მგრძნობიარეა? ერთ მშვენიერ დღეს ადგეს და ესაო და პოეტები თავს იკლავენო, მატარებელს რომ ჩაუვარდეს, რას შერებით მერე?..

ვალერიანმა კაბინეტში გაიარ-გამოიარა და დაჯდა. სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორმა სანდროს ანიშნა დაეწყო.

— არა ხართ მართალი, ამხანაგებო, — დაიწყო სანდრომ. — საშუალო სკოლის დანიშნულებაა ზოგადი განათლება მისცეს ბავშვებს. ზოგადი განათლების საკითხი ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შემდეგ ამისთვის არავის არ ცალია. ჩვენ ბავშვებს უნდა გადავცეთ ყველაფერი, რაც ვიცით. უბედურება ის არის, რომ ცოტა

ვიცით, რატომ ვიცით ცოტა? სწორედ იმიტომ, რომ თავის დროზე კარგი ზოგადი განათლება ვერ მივიღეთ. ბავშვები ზედმეტად ფრთხილები იყვნენ. გაბედულება ყველგან საჭიროა.

სანდრომ პედაგოგებს გადახედა, ჩაფიქრდა და განაგრძო:

— ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ბავშვებს მივცეთ ცოდნა. ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი: გურამ კალანდარიას ხნის იყო ლენინი, როცა უკვე შესანიშნავად იცოდა კლასიკური ფილოსოფია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურა; 23 წლის მარქსმა დაამთავრა თავისი სადისერტაციო ნაშრომი ეპიკურეს ფილოსოფიაზე; 15 წლის ფიხტემ შექმნა საკუთარი ფილოსოფიური სისტემა; მოგვხსენებათ ბეთხოვენის, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის სიჭაბუქე! მე არ მიმაჩნია გონივრულად, ვამტიკო, 16-17 წლის ყმაწვილის გონება არის თუ არა მომზადებული ფილოსოფიური ნაშრომების კითხვისათვის. მართალია ზოგიერთი ადამიანის გონება ძალზე გვიან მომწიფდება საიმიხოდ, რომ გაიგოს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ან „ფაუსტი“, მაგრამ გამოხაკლისების განზოგადება ხომ არ შეიძლება? გურამ კალანდარიას და რამდენიმე მის მეგობარს ჩვენ უნდა ვუთხრათ ყველაფერი, რაც ვიცით: უნდა მოვთხოვოთ ყველაზე მეტი, სისტემატურად სწორად წავმართოთ მათი გონებრივი განვითარება.

ახლა ჩემი მეთოდის შესახებ. თქვენ არ მოგწონთ სწავლების ჩემი მეთოდი? განა თქვენი საკუთარი მეთოდი არ მოგწონთ? განსხვავებული, ახალი, პედაგოგიკაში უცნობი მეთოდი მე არა მაქვს. ჩემს მეთოდს უმნიშვნელო ნიუანსი აქვს. ასე, მაგალითად: ვთქვათ, ბავშვებს ვუხსნი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მე ვუხასიათებ ბავშვებს ჭავჭავაძის დროს, ვუბნები, რომ მაშინ საქართველოში ბატონობდა დიდებული ქაროველი პოეტების ნ. ბარათაშვილის, გრ. ორ-

ნოდარ წულუკისკირი
თეთრი მთა

ბელიანის და ალ. ჭავჭავაძის ლექსი, მათი გონება წარმართავდა ქართულ აზროვნებას, რომ ამ დროს გამოდის 21 წლის ჭავჭავაძი და ამბობს: „ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“ — ეს არის რევოლუციური აზროვნების, გაბედულებისა და გამჭირახობის იშვიათი მაგალითი. ჩვენი აზრით ილია ჭავჭავაძის დიდი შემოქმედება აქედან იწყება და ამიტომ მეც აქედან ვიწყებ. რა არის ამაში ცუდი?

პედაგოგები მოჯადოებულნი შესცქეროდნენ სანდრო კალანდარიას, რომელიც ახალსა და უცნობს არაფერს ამბობდა. ხომ უამრავი რამ არის ცხოვრებაში დღესავით ნათელი, ყოველდღე, აგერ შენს თვალწინ ხდება და ვერ კი ამჩნევ; გამოვა ვინმე და აღმოაჩენს იმას, რაც თითქოს ყველასათვის ცნობილია და მაინც აღმოსაჩენი. შენ გიკვირს: ეს ხომ მეც ვიცოდით.

— „ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“ — კვლავ გაიმეორა ლექსი სანდრომ. — ეს არის უკვდავი, ძლიერი გონების პროფეტია, რომელიც ძილს გაუფრთხობს და შეაშფოთებს ყველა დროის დოგმატიკოსებს. ჩვენ დოგმატიკოსები ხომ არა ვართ? მე ვხელმძღვანელობ პრინციპით — მომავალ თაობას მივცე სამი რამ: ცოდნა, სიმართლე, გაბედულება. მგონი ცუდს არაფერს ვაკეთებ. რადგან კარგს ვაკეთებ, არც არავის მივცემ უფლებას, ხელი შემიშალოს, — თქვა სანდრომ და დაჯდა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა უხერხულად გრძნობდა თავს.

მიტიხი ან კრება რომ ყოფილიყო, ტაშს დაუტრავდნენ, აქ კი რაღაც უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დუმილი არჩიეს. ვის რა უნდა ეთქვა? საკამათო და სალაპარაკო ბევრი იყო, მაგრამ სანდრომ ისე მონუსხა და მოაჯადოვა პედაგოგები, მათ მხოლოდ აღფრთოვანების გამოხატვა შეეძლოთ, რაც უხერხულად ჩათვალეს.

სიჩუმე დირექტორმა დაარღვია.

— ხომ არ გნებავთ, აზრი გამოთქვათ? — ჰკითხა მან პედაგოგებს. მგონი სადავო აღარაფერია. უშინშეწყო რამ ნუ აგვაფორიაქებს, ნუ გავგაბრაზებ, ერთმანეთს დავეხმაროთ, ერთმანეთს პატივი ვცეთ და ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

დირექტორმა სანდროს შეხედა და გაიცინა. პედაგოგები აიშალნენ.

*

ბათუ კალანდარიამ კოლმეურნეობაში მუშაობას თავი დაანება, აღარ შეეძლო. ჯოხსდაყრდნობილი კვირაში ერთხელ შეივლიდა კოლმეურნეობის კანტორაში, დაჯდებოდა ბესასთან და საუბრობდა. ბესაც მოტეხილი იყო, ვედარც ის მუშაობდა, მაგრამ ყოველ დღე კანტორაში იჯდა, იქნებ რამე იოლი საქმე გამოჩნდესო. ბათუს იოლი საქმე ეთაკილებოდა, იგი ვერ ეგუებოდა სიბერეს და როცა თავის დაძარღვეულ, დაუძლურებულ გრძელ მკლავებს დახედავდა, გულზე ცეცხლი შემოეგზნებოდა. სიბერეს კიდევ არ შეეუბებოდა, ავადმყოფობა რომ არ შეჩენოდა. მეტწილად ლოგინში იწვა. მოვიდოდა ექიმი, გულს გაუსინჯავდა, სუნთქვას მოისმენდა და იტყოდა: არაფერია, სკლეროზული მოვლენებიაო. ბათუმ არ იცოდა, რას ნიშნავდა „სკლეროზული მოვლენები“.

ელენე ყოჩაღად გამოიყურებოდა. თინიკო და ქვაცაცი ძველებურად მუშაობდნენ კოლმეურნეობაში. ნესტორი და თემრაზი ბათუს ყოველთვის უზგავნიდნენ ფულს, ეს მას მხნეობას მატებდა.

— „რა სწრაფად გარბის დრო, — ფიქრობდა ბათუ კალანდარიამ. — ზურიას გუშინ რქეს ასმეგდნენ, დღეს ქოჩორს იყენებს.“

ზურია გურამის სიმაღლე არ იყო. მიაღებოდა სარკეს, ისველებდა თმას და ივარცხნიდა, ისველებდა და ივარცხნიდა. როცა ვარცხნით ვერას გახდებოდა, ცდილობდა თმა ხელისგულებით დაეწებებინა თავზე. ჯავარივით თმა ჰქონდა.

— ვის აწონებ თავს, შე მამაძაღლო, გამოდი, ბებიას მიეხმარე! — დაუცაცხა-

ნებდა ქვაყაცი. ახლავო, ეტყოდა, სარკეს კი არ მოშორდებოდა. იღვა სარკესთან და იძახდა — ახლავე, ახლავო. ბეზიას მისახმარებლად გურამი ჩავიდოდა. თუ ბათუ შინ იყო, მაშინ კი ვერ ბედავდა ამას ზურია. ქალებს იჯაბნებდა.

„სულ არ დაემგვანა შალვას“, — ფიქრობდა ბათუ კალანდარი. იგი ბავშვს ყველაფერს აპატიებდა, თუკი კარგად სწავლობდა. სწავლაში ზურიასაც აქებდნენ მასწავლებლები, რაც მოხუცს ახარებდა, აიმიდებდა. იგი ხედავდა, რომ თუ ზურია თავისით არ გაიკათფავდა გზას, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაუჭირდებოდა. თუ თვითონ ავადმყოფობას გაუძლებდა და იმ დღეს მოესწრებოდა, ობლებისთვის გზა ერგებინა, იცოცხლე, ნესტორსაც ღა თემრავსაც მათთვის ყველაფერს გააკეთებდა, მაგრამ ხომ მოსალოდნელი იყო... ბევრი რამ იყო მოსალოდნელი, — ზურიასაც გურამივით კარგად უნდა ესწავლა. ზურია ბევრი კითხვით თავს არ იწუხებდა, სკოლიდან მოვიდოდა თუ არა, ერთ საათში გაკვეთილებს დაამზადებდა და სათამაშოდ გარბოდა. გურამი კი დიდხანს მეცადინებდა. სწავლას რომ მორჩებოდა, ხან ბაბუას ეხმარებოდა, ხან თინიკო ბიცოლას, ხან ბეზიას, საღამოს გვიან იძინებდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და მეცადინებდა. ახალმა მასწავლებელმა ბევრი რამ შესძინა გურამს. მასწავლებლისგან მოჰქონდა წიგნები და ლამეებს ათენებდა. ბათუ ბავშვებს თვალყურს ადევნებდა, თითქოს უფრო დაუახლოვდა კიდეც. მოხუცი დიდი იმედს ამყარებდა გურამზე, ხედავდა, რომ მის ოჯახში ასეთი ბავშვი ჯერ არ გაზრდილა. სულითა და გულით უნდოდა ახლოს მისულიყო მასთან, გაეგო, რატომ იკეტებოდა თავის ოთახში, რას აკეთებდა, რას კითხულობდა, რას ფიქრობდა...

ერთ საღამოს მოხუცი სახსრების ტკივილმა არ დააძინა. ქარიან ღამეში რევმატიზმი შეუჩნდებოდა მუხლებსა და მკლავებში და უხრავდა, ჰოი, რა უმოწყალოდ უხრავდა!

იმ საღამოს, როცა ყველამ დაიძინა

ქარი ამოვარდა. „სულ ერთია მინც არ დამეძინება“, — გაიფიქრა მან და სინათლე აანთო, მერე წამოწვა და გააბრუნა ყველას ეძინა. მხოლოდ გურამის ოთახში ერთ სინათლე. „მეცადინეობს ჩემი ბიჭი! იქნებ არ მეცადინეობს? ნეტავ რას აკეთებს? ავადგები და შევალ, ერთს დავხედავ და წამოვალ, ჩემს... ლაპარაკობს. აჰა, დაიწყო.“ გურამი ხმადაბლა კითხულობდა ლექსს: „ხმალი გაეტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხვი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვევს ცეცხლითა ცხელითა.“

„ახლა რუსულ ლექსს დაიწყებს“, — თქვა ბათუმ, როცა გურამმა კითხვა შეწყვიტა. იგი ყოველ საღამოს ისმენდა ამ ლექსებს.

გურამი ლექსების კითხვას მორჩა. სიჩუმე ჩამოწვა. „აღბათ ჩუმად კითხულობს. იქნებ ჩაეძინა? აი, ახლა რას აკეთებს? ბაპაროსს ხომ არ ეწვევა?“... ბათუ წამოდგა და საცვლების ამარა შევიდა გურამის ოთახში. გურამი იწვა და ჭერს მიშტერებოდა, წიგნებითა და რვეულებით სავსე იყო მაგიდა, ტახტი, სკამი. გურამი ფეხზე წამოდგა.

— რა იყო, ბაბუა, ცუდად ხომ არა ხარ?

— კალოშებს ვეძებ, შვილო, გარეთ მინდა გავიდე და...

დაიხარა და ტახტის ქვეშ შეიხედა. ბათუ შინ დახურულ კალოშებს იცვამდა; რაც რევმატიზმი მოერიდა, მას შემდეგ ნაქსოვი წინდები და დახურული კალოშები ეცვა.

— კალოშებს აქ რა უნდა, ბაბუა, შენთან იქნება.

— ქალების ამბავი არ იცი?! სახლს ვალაგებთო, და გადამიკარგავენ კალოშებს... იქნებ აქ შემოიტანეს.

— მე მოგიძენი, შენთან იქნება.

— არა, შენ არა, მე თვითონ მოვიძენი, შენ იმეცადინე, — თქვა მან და გურამს კარი მოუხურა, თავის ოთახში გავიდა.

დარბაზში ყველას მშვიდად ეძინა,

ნოდარ წულეისკირი

თეთრი მთა

არაფერი გაუგიათ. ბათუმ სინათლე ჩააქრო და ჩაწვა. „ფიქრობდა. ნეტავ რაზე ფიქრობდა. ერთი მაცოდინა, ამდენი რა აქვს საფიქრალი ამ ბიჭს. იქნებ ვინმე შეუყვარდა? შეიძლება, რატომაც არ შეიძლება. მაგრამ ვინ არის ის ბედნიერი? ვინ? ვინ? ალბათ ის ფაღვას გოგო, შინ რომ აკითხავს! კარგი გოგოა, რა მოხდა მერე! ორში ერთია: ან ვინმე უყვარს, ან არა და... მშობლებზე ფიქრობს. მაინც რომ ვერ მოვაჭერი ენა ჩემს მეზობლებს?! არა, რამდენიც არ უნდა იფიქროს, ვერ ვეტყვი, რაც მოხდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი შვილია. მეზობლებს ენა ძირში უნდა მოვაჭრა!

ჩემი საქმე მე უკეთ არ ვიცი?! რა გრჯის, შე კაცო, თავს რატომ იწუხებ. ეკ, ხალხი, ხალხი. არა, ვიდრე არ დაცოლშვილდება, ვერ ვეტყვი. ბავშვს გული წაუხდება, ყველანი შეეძულდებიან. ნესტორიც აღარ გამომადგა. ბავშვს მიხედვა უნდა, მოსიყვარულება, მოალერსება. შენ თუ გადაიკარგები და ბავშვი წელიწადში ერთხელ დაგინახავს, რა მამა ხარ!.. ჰოი, როგორ ხრავს ძვლებს ეს ურჯულო, ბარემ მომიღოს ბოლო და გაათავოს!“

ბათუ მოიკუნტა და მუხლებზე საბანი მაგრად შემოიხვია. დიდხანს ფიქრობდა ბათუ კალანდარია შვილიშვილზე, შვილებზე, ელენეზე, ქვაცაცოზე, თინიკოზე. როდის-როდის ჩაეძინა...

მეორე ოთახში კი პატარა კალანდარიას, ოჯახური წვრილმანებისაგან თავისუფალს, ლამაზი ფიქრები ყაყაჩოებინით გარს ეხვია და ზღაპრულ ცხენისწყლისპირეთში დააქანებდა.

*

როცა გურამი და ზურია ერთ კვირა საღამოს შინ თვალეზამოღურჯებულები დაბრუნდნენ, ბათუს უღვაშებში გაეციენა: ქალიშვილები ხომ არ არიან, არაფერი უჭირთო. როცა მეორეჯერაც და მესამეჯერაც ნახა, შეშფოთდა. ჩხუბი რა გურამის საქმეა, რაშია ნეტავ საქმეო. დაეჭვდა კიდევ: სანდრო სერიოზული კაცი, ნათუ კვირა დღეს იმისთვის აცდენს ბავშვებს, მუშტი-კრივი

ასწავლოსო. ბათუმ იფიქრა, ალბათ ცუდლუტობენ, სანდროსთან ვაქცინაცია, სადმე სხვაგან დადიანო. ადგა, იქნებ ხელში აიღო და ბიჭებს შორიშორ მიჰყვა.

მზიანი კვირა დღე იყო. შარავნაზე მაღალი აკაციების ჩრდილში ნელა მიდიოდა ბათუ კალანდარია. სანდრო სოფლის ბოლოს, ბახვა კალანდარიას ნასახლარზე ცხოვრობდა. საკალანდარიო ადრე დილიდანვე ხმაურობდა, სოფელი ბაზრობაზე მიეშურებოდა, განთქმული ბანძის ბაზარი ელოდა კალანდარიებს, ხაინდრავებს, გაბუნებს, პატარაებს. ადრე ბანძაში ბაზრობაზე კარგი ცხენებისთვის ჩამოდიოდნენ, ახლა სულგუნსა და ფართლეულს თუ იყიდი. ბათუ ბაზრობაზე აღარ დადის, ადრე დადიოდა, სავაჭროდ კი არა, სასეირნოდ — ნაცნობებსა და მეგობრებში გაერეოდა, იშვიათად ერთ ჭიქა ღვინოსაც დალევადა. რაც შალვას სიკვდილის ამბავი მოვიდა, ბათუს თეთრი ყაბალახი არ დაუხურავს, დაუხურავს კი არა, ზურგზე არ მოუგდია, ასე იცოდა ხოლმე: ყაბალახს არ იხურავდა, მსუბუქად ზურგზე მოიგდებდა, მიაფრიალებდა და ლარივით გამართული, თავმომწონედ მიბიჯებდა. ჯოხსდაყრდნობილი როგორ ერევენოს ბანძის საზოგადოებას! ნეტავ საკალანდარიოსაც არ ენახა ჯოხსდაყრდნობილი!.. არა, დაბეჩავებული ბათუ ხალხს თავს არ აჩვენებდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში, ეზოდან ფეხს არ გადგამდა, შეეგუებოდა იმ აზრს, რომ უნდა მომკვდარიყო. ჭირის დღესავით სძულდა მიხრწნილი მოხუცები, შინაურებს თვალცრემლიანები რომ ეხვეწებინ — მიშველეთ, ნუ მომკლავთო. ბათუს ჯერ სამავისო არაფერი სჭირდა. თავმჯდომარეც უთხრა, გვჭირდებით, ნურაფერს ნუ გააკეთებ, გამგეობის საპატიო წევრი იქნები, თვეში ერთხელ შემოვივლი, შენი ჭკუა-გონება გვჭირდებაო. ბათუს ყველაზე მეტად ის ეზარებოდა, ბაზარში გავაჭრებულ გლეხკაცს რომ ნახავდა. ქუთაისში გადაეყარა ერთ ასეთ ბედოვლათს. ბაზრობაზე იყო ბათუ კალანდარია. ხედავს, ერთ ზორბა

ტანის კაცს ბატარა კალათით ვაშლი მოუტანია გასაყიდად. კაცი საშუალო ხნისაა, არც ისე ახალგაზრდა.

„ვთქვით, უჭირს ახლა ამ კაცს, — გაიფიქრა ბათუმ, — რამდენი უნდა მისცენ ვაშლში? დიდი-დიდი ათი მანეთი. ქუთაისელი ეს კაცი არაა, მგზავრობას ფული ჭირდება, უცხო ქალაქში მთელი დღე ჭამა გინდა, სმა გინდა, რა უნდა მოიგოს ამ ბედოვლათმა, სოფელში რომ გაეყიდა, არ ერჩია? მოდი ერთი კკითხავ, სადაურია და გამოვლანძღავ“. — დაასკვნა და დახლს მიადგა.

— რა ღირს, ბიჭო, ვაშლი?

— 3 მანეთი, ბატონო.

პირდაპირ საუბრის დაწყებას წიკრიდა და გადაწყვიტა ვაშლი ეყიდა.

— ამიწონე ერთი კილოგრამა.

გამყიდველმა ვაშლები დააწყო — შეტი გამოვიდა; გამოცვალა ვაშლი — ნაკლები აღმოჩნდა; კიდევ გამოცვალა. ბოლოს ვაშლი გაჭრა და ნახევარი დასდო. ბათუ გაშრა. იგრძნო, როგორ შეასკდა სისხლი სახესა და ტვინს. უფრო ახლო მივიდა დახლთან და ცალი მკლავით დაეყრდნო.

— ინებეთ, ბატონო, — უთხრა გამყიდველმა.

ბათუმ ჯერ სასწორს შეხედა, მერე გამყიდველს:

— აკლია, დაამატე!

გამყიდველმა ყურადღებით შეათვალიერა სასწორის ნისკარტები. მართლაც რამდენიმე გრამი აკლდა. გაჭრილ ვაშლს თხლად მოათალა და დაუმატა:

— რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ! — უთხრა ბათუმ.

გამყიდველმა უბასუხა.

— სადაური ხარ?

ესეც უთხრა.

— ერთად ვყიდულობ შენს ვაშლს, რამდენი გინდა?

— 12 თუმანი, ბატონო.

— ნაკლებ არ იქნება?

ბათუ თავს ველარ იკავებდა, ცახცახებდა. მისი გონება ელვაზე სწრაფად მოძრაობდა. როგორ მოქცეულიყო? აიღო და თხუთმეტი თუმანი გაუწოდა. გამყიდველმა ხურდისთვის ჯიბეები მოიქექა.

— არა უშავს, გქონდეს, ალბათ გეჭირს, ვაშლს რომ ყიდი, — უთხრა ბათუმ.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, არაფერი არ მიჭირს, ხურდას თუ არ მიწყენთ...

გამყიდველმა იფიქრა, დარბაისელი კაცია, ეტყობა ხელგაშლილიცო, და ხურდის შესანარჩუნებლად მელიასავით დაიკლავნა.

— მაშასადამე წუწუკი ხარ, — უთხრა ბათუმ ხმადაბლა და თვალები მიანათა გამყიდველს.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ! წამოვიღე, ქალაქში საქმე მქონდა, ცოტასაც გავივლ-გამოვივლი, ცოტასაც... — გამყიდველმა საჩვენებელი თითი ყელს გამოჰკრა, მამაკაცების ენაზე უთხრა, მოქეიფე კაცი ვარო.

— მაშასადამე, სიკვდილის ღირსი ხარ... — კვლავ ჩუმად უთხრა ბათუმ, არ უნდოდა ხალხის ყურადღება მიექცია.

გამყიდველი შეშფოთდა და იყვირა:

— რა გინდა, ძმაო, აჰა, შენი ხურდა! წაიღე, თავი დამანებე!..

— ჩუმად, შე მათხოვრის შვილო! — უთხრა ბათუმ და აწონილი ვაშლი სახეში შეაყარა.

— მილიციონერ!.. ხულიგან!.. — შესძახა გამყიდველმა და ჰაერში ხელები გაასავსავა.

ბათუ კვლავ ცალი მკლავით დახლზე დაყრდნობილი შესცქეროდა ახორბლილ ბედოვლათს და არ ინძრეოდა. ხალხი მოგროვდა. გამყიდველმა არ იცოდა, რა ექნა; ყვირილი შეწყვიტა, ეცა ბათუს და მაშინ გაიხარა ბათუ კალანდარიამ! — ხელები დაუჭირა, მკლავები დაუგრია, დახლზე გადმოხნიჭა, კალათს თავი ახლევიანა და ახლევიანა. ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს.

დაფიქრებული მიაბიჯებს შარავნაზე ბათუ. საკალანდარიოს ოქროსფერი მზე

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

დაპნათის. შემოდგომის მზე სიამოვნებს მოხუცს და ტკბილ ფიქრებს აღუძრავს. აი, სანდროს სახელიც გამოჩნდა. ეზოში საწყალი ბახვას დროინდელი ერთადერთი მაგნოლიის ხე დგას. მაგნოლიას სოფელში არ აჭაჭანებენ — ჭლექს აჩენსო. მხოლოდ ბახვას ეზოში უდგათ მაგნოლია. ბათუს უხარია, რომ ბახვას ფუძე არ გადაშენდა, სანდრომ კერა არ ჩააქრო. მაგრამ ეს რა ამბავია ბახვა კალანდარიას მაგნოლიის ძირას?! ბათუ ჭიშკარს უახლოვდება და ხედავს: წილს ზევით ტიტველი ბიჭები ერთმანეთს მუშტებს უბაკუნებენ, ზოგი მუშტებს ჰაერში იქნევს, ერთი ყირაზე დგას და აპირებს მიწაზე ხელებით იაროს.

— რა ხდება ნეტავი? რა ამბავია?..

— ნელა! თავში ნუ ურტყამ, რამდენჯერ გითხარი! — შემოესმა ბათუს სანდროს ხმა.

სანდრო ხის ძირას იჯდა და ტატოს ჭადრაკს ეთამაშებოდა, თან ცალი თვალთ მოკრივეებს შესცქეროდა. „აჰა, ვიცი, ვისი მოგონილიცაა ეს უკუღმართი თამაში“, გაიფიქრა ბათუმ.

„უკუღმართი თამაში“ ტატომ მოიგონა. ტატო რაიონის კულტურის სახლის დირექტორი იყო. სოფელი მას „არტისტს“ ეძახდა; ეს მეტსახელი მანამდე შეარქვეს, ალბათ იმიტომ, რომ ცოტა უცნაური გარეგნობისა იყო: სოფელში ყველაზე მაღალი ეთქმოდა, უკან გადავარცხნილი გრძელი თმა ჰქონდა და მიბაძვა ეხერხებოდა. მოურიდებლად დასცინოდა ყველას! პატივსაცემ პიროვნებებს, თანამდებობის პირებს, საკუთარ მამასაც კი. კაცმა რომ თქვას, ეს დაცინვა არც იყო. ისე ზუსტად და გამომსახველად ბაძავდა ყველას, რომ უნებურად სიცილს იწვევდა. ტატოს „ხუმრობა“ არავის არ წყინდა, პირიქით, ქორწილებსა და დღეობებში დაატარებდნენ და ეხვეწებოდნენ, ახლა ამას გამოაჯავრე, ახლა ამასო. არტისტი ტატო რაიონში ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო.

ტატომ ნამდვილი არტისტობა დააპირა და თეატრალურ ინსტიტუტში მოე-

წყო, კარგადაც სწავლობდა, მაგრამ ომმა სწავლაზე ხელი ააღებინა: მცირე კურსიდან ჯარში გაიწვიეს. ჯერ-თურმე მისი ზომის ტანსაცმელი ვერ იშოვეს, მერე მწყობრში სიარული ვერ ასწავლეს. მარჯვენა ფეხს რომ ასწევდა, ხელსაც მარჯვენას მიაყოლებდა. ლეიტენანტი გიჟდებოდა, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. „მარცხენა ხელი! მარჯვენა ფეხი! მარჯვენა ფეხი! მარცხენა ხელი!“ — გაჰკიოდა ლეიტენანტი და ახმახი, მოუხეშავი ჯარისკაცის ამბავს ყველას უყვებოდა, თავს უყრიდა ოფიცრებს და უჩვენებდა, ნახეთ, როგორ დადისო! ორი მეტრის სიმაღლის კაცი სამ ადგილას იყო მოკეცილი: მუხლებში, წილსა და მხრებში და, რაც მთავარია, როგორც კი მწყობრში ჩააყენებდი, მარჯვენა ხელს და ფეხს ერთად ამოძრავებდა და მარცხენას ერთად. ხედავდნენ, განკებ არ შვრებოდა ამას. პირიქით, სულითა და გულით უნდოდა, ჯარისკაცისთვის ევლო, მაგრამ არ გამოსდიოდა. საოცარი სანახაობა იყო. ასეულის მეთაური, რაც არ უნდა ცუდ გუნებაზე მდგარიყო, როგორც კი ტატოს შეხედავდა, სიცილით იკუდებოდა.

უფრო საინტერესოა ტატოს ფრონტული თავგადასავლის ფინალი: როგორც იქნა, ფრონტისაკენ გზას გაუყენეს, მიდის თურმე ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი, ხან ეშელონით, ხან ფეხით, ამასობაში ომიც დამთავრდა.

შინ უვნებელი დაბრუნდა, სწავლა მაინც ვერ განაგრძო, ავადმყოფი მამა ვერ მიატოვა. ტატოსთანა კაცი რაიონში სანთლით საქმბარია და აი, სულ ახალგაზრდას, კულტურის სახლი ჩააბარეს.

ტატო სანდროს თბილისიდან იცნობდა. განსაკუთრებით აქ, სოფელში დამეგობრდნენ. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვნიდა, სანდროსთან ვარბოდა. ისხდნენ და საუბრობდნენ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, სპორტზე, თამაშობდნენ ჭადრაკს და ვარჯიშობდნენ კრივში. ოთხი წყვილი ხელთათმანი ჩამოიტანა თბილისიდან, — კრივ-

ტატომ
მეწიკრა

ში მესამე თანრიგი ჰქონდა და არ უნდოდა დაეწყებოდა. ისინი რომ ვარჯის დაიწყებდნენ, მეზობლის ბავშვები ლობეს მოაწყდებოდნენ და თვალს ვერ აშორებდნენ ხოლმე. სანდრომ და ტატომ გადაწყვიტეს, კრივი ბავშვებისათვისაც ესწავლებინათ. სკოლაში ფიზკულტურის კარგი მასწავლებელი არ ჰყავდათ, მესამე თანრიგოსან მოკრივეს კი შეეძლო მოსწავლეებისათვის კარგი გაკვეთილები მიეცა. სანდროს ვარაუდი გამართლდა, ბავშვებმა ვარჯიში ხალისით დაიწყეს. ტატოს ვარჯიშისათვის კვირა დღე ჰქონდა გამოყოფილი. გულიერივით იღვა ბიჭებში და ბრძანებებს იძლეოდა:

— მარცხენა პირდაპირი, მარცხენა, მარჯვენა ირიბი! ბრეკ!..

გურამი და ზურია ტატოს საყვარელი მოწაფეები გახდნენ. გურამი ხელის პირველი მოქნევიდანვე შეტევას იწყებდა, დაცვა არ ეხერხებოდა. თუ შეატყობდა, რომ მეტოქეს ჯობნიდა, ბრძოლას თვითონ შეწყვეტდა. ზურიამ კი, პირიქით, გასაოცარი სიღინჯით იცოდა თავდაცვა, ცოტას მოძრაობდა და თუ შენიშნავდა მეტოქე აირიას, დაუნდობლად და სასტიკად სცემდა. ზურიას მიტოვება არ შეიძლებოდა, როცა იგი რინგზე იყო, ტატო თვალს არ აშორებდა. თუ გურამი დამარცხდებოდა, ზურიას ერთი სული ჰქონდა, გურამის მეტოქესთან გასულიყო. ჩვეულებრივი ჩხუბის დროსაც ასე იცოდა, ვერ ითმენდა, როცა გურამს ვინმე ხმამაღალ სიტყვას ეტყობდა. დარწმუნებულიც რომ ყოფილიყო, გურამი ბიჭს მოერეოდა, თვითონ ერთი ორი რომ არ გაერთყა, ისე არ გაუშვებდა. გურამი ზიდაშვილს ხშირად ტუქსავდა, შენ ვინ გკითხავსო, მაგრამ ზურია ყურს არ უგდებდა. მომხდარა ისეც, რომ გურამს მეტოქე მიუტოვებია და ზურიას გალახვით დამუქრებია.

ბათუ იმ დროს შევიდა ეზოში, როცა მისი შეილიშვილები რინგზე იყვნენ. მინდორში ოთხი სარი დაესოთ და თოკი გაებათ — ეს იყო მათი რინგი.

— ზურია, მშვიდად, თორემ ხელთათ-

მანს წაგართმევ! — დაუძახა ზურიას, იგი მსაჯს არ უჯერებდა ამ დროს ტატომ თვალი ბათუს და ფეხზე წამოხტა.

— ბათუ მოდის! ბათუ მოდის! — გაისმა აქეთ-იქიდან და ბავშვებმა ვარჯიში შესწყვიტეს. სანდრო და ტატო მოხუცს შეეგებნენ. ბათუ სულ სხვაგვარ საუბარს აპირებდა ახალგაზრდებთან, მაგრამ ვერ მოახერხა. სანდრო ისე ზრდილობიანად, მორიდებითა და პატივისცემით შეეგება, სათქმელი გადაავიწყდა, შეშფოთებამაც გადაუარა. როცა დაინახა, რომ ყველა მას შემოსცქეროდა, გაიცინა და თქვა: რა იყო, ბავშვებო, რას მომჩერებინართ, განაგრძეთ თქვენი საქმეო... ამის თქმა და გაისმა ჭახანი. ქერათმიანი მალალი ბიჭი ჩაიკეცა. ზურიამ მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდო. ქერათმიანი ბიჭი მეთერთმეტე კლასელი იყო და ზურიას ჯობნიდა ხოლმე, ამიტომაც ზურია გაბრაზებული იყო. თუ ბრძოლას შეაწყვეტინებდნენ, ქერათმიანი ბიჭი გზაში უნდა გაეღახა. როგორც კი ბაბუამ თქვა, განაგრძეთო, ზურიამ მთელი ძალით, მსაჯის უნებართვოდ, მოულოდნელად გაარტყა მეტოქეს. ქერათმიანი ბიჭი დარეტიანდა და დაეცა. ტატო წამოხტა, ზურია დატუქსა, ხელთათმანები წაართვა და რინგზე სხვა წყვილი გაუშვა.

რინგი მაგნოლიის ხის მოშორებით, მზეზე ჰქონდათ გამართული, მაგრამ ხის ძირას, პატარა მაგიდასთან, სადაც ბათუ და სანდრო ისხდნენ, ყველაფერი ისმოდა. ჩურჩულიც კი.

— ჰო, რა დიდი გული აქვს თქვენს ზურიას, — უთხრა სანდრომ ბათუს, — დევს რომ დააჭიდოთ, დაეჭიდება.

— ცოტათი გგავთ კიდეც, არა, ბატონო ბათუ? — ჩაერია საუბარში ტატო.

— არა, ზურია მე არ მგავს, — თქვა ბათომ. — მე, აი, ის მგავს. — მიუთითა გურამზე.

მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე ბათუმ დაარღვია, ტატოს რაიონს

ნოდარ წულეისკირი თეთრი მთა



ამბები გამოკითხა, შემდეგ პოლიტიკაზე ჩამოაგდო საუბარი. სანდრომ ატომური ენერგიაზე რაც იცოდა, ყველაფერი თქვა. როცა თერმოატომური ბომბიც ახსენა, ბათუმ სიტყვა შეაწყვეტინა:

— არ დაიჯერო, შვილო, სიცოცხლის მოსპობა არ შეიძლება, დედამიწაც „არსაიდან არ ამოვარდება“, ეგ ძველთა-ძველი ზღაპარია. მეორედ მოსვლა ხომ გავიგონია? იგივეა. არ მჯერა და მართალიც რომ იყოს, არ უნდა დავიჯეროთ...

ბათუ ისე გაჯავრდა, თითქოს სანდროს დაემზადებინოს პირველი ატომური ბომბი. ტატომ ჩუმად გაიცინა. სანდრომ მიწაზე დავარდნილი ჭადრაკის ფიგურა აიღო და მაგიდაზე ფრთხილად დასდო.

— მე ახლა თქვენ ხელი შეგიშალეთ, — თქვა ბათუმ.

— როგორ გეკადრებათ. მე თქვენ ასე არ უნდა შეგხედროდით, მაგრამ მოგეხსენებათ, მარტოხელა კაცი!..

— იცით, რატომ შეგაწუხებთ, ყმაწვილებო? — დაიწყო ბათუმ. — მერიდება, მაგრამ, სანდრო, შვილო, საყვედური უნდა გითხრა. შენი საქმე ჩვენს სოფელში ყველას მოსწონს, პატივს გცემენ, გაფასებენ. მეც, მართალი უნდა გითხრა, ძალიან დიდ პატივს გცემ, მაგრამ ამას ვერ მოგიწონებ.

ბათუმ ხელი გაიშვირა ბავშვებისაკენ, რინგზე რომ განაგრძობდნენ ორთაბრძოლას.

— მეგონა, სწორედ თქვენ მოიწონებდით ამ საქმეს.

— ვერა, შვილო, ვერ მოგიწონებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუნების წინააღმდეგ მიდიხართ, გურამის აღზრდაში შეცდომას უშვებთ. ამ შეცდომას კი არ დაგაშვებინებთ.

— რა შეცდომას, არ მესმის, ბატონო.

— თქვენ გინდათ, ცხვრად დაბადებული მგლად აქციოთ, ეს შეუძლებელია და არცაა საჭირო.

სანდრო მიხვდა, რა შეცდომაზე ლაპარაკობდა მოხუცი.

— პირდაპირ საკვირველია, ასეთი კედელზე ჩამოსაკიდებელი წმინდანი რომ გაზარდეთ.

— მე არ გამიზრდია, ბუნებას დაგაცალე, თავისით გაიზარდა.

— იქნებ ეგ არის შეცდომა?

— იცით რა გითხრათ, ყმაწვილებო. სიმართლე თუ გინდათ, ბავშვობაში გურამივით ვიყავი, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. საჭირო იყო გცოდნოდა გარტყმაც, სროლაც, ცხენზე ჯდომაც და, თუ გნებავთ, კაცის მოკვლაც. ახლა ეს საჭირო არ არის. 70 წელიწადი იმისათვის ვიბრძოლე და ვიშრომე, რომ გამეზარდა ისეთი ადამიანი, როგორიც ვიქნებოდი მე, დროს რომ ხელი არ შეეშალა.

უეცრად მინდორში ბავშვები შეჯგუფდნენ და ახმაურდნენ. გურამს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ზურია ჭისკენ გაიქცა. გურამიც მივიდა ჭასთან და თავზე წყალი გადაისხა.

— არაფერია, „სუსტი“ ცხვირი აქვს, — თქვა ტატომ.

— დღეს მეტს ნუ ივარჯიშებს, ეყოფა, — უთხრა ტატოს სანდრომ.

გურამი დიდხანს იზანდა პირს, მერე მდელით პირალმა წამოწვა და შუბლზე სველი ცხვირსახოცი დაიფარა.

ბათუ გაჯავრებული შესცქეროდა შვილიშვილს, მაგრამ მძას არ იღებდა, ჩუმად იჯდა. მერე წამოდგა.

— გურამი მაინც უნდა წავიყვანო, ზურიას დაგიტოვებთ და ურტყით რამდენიც გინდათ...

ყველას გაეცინა.

სანდრომ და ტატომ მოხუცი ჭიშკრამდე მიაცილეს.

გურამმა ჩაიცვა და ბაბუას მიჰყვა. ჭიშკართან სანდრომ ბათუს ღიმილით უთხრა:

— სულ ერთია, გურამს კრივს მაინც შევასწავლით.

— თქვენ უკეთ იცით თქვენი საქმე, შვილო, მე თქვენ გენდობით, მაგრამ დაფიქრება ყველას გემართებს.

სანდრო და ტატო დიდხანს შესცქეროდნენ, წელში მოხრილი ბათუ კალანდარია როგორ მიჩანჩალებდა შარავზაზე. გული წყდებოდათ, რომ ბუნების უღმობელი კანონი რკინის კაცსაც კი წელში ხრიდა.

გურამი წინ მიდიოდა, საცაა მოსახვევში მიიმალებოდა. „აღბათ ეწყინა, რომ წამოვიყვანე“, გაიფიქრა ბათუმ და ნაბიჯს მოუჩქარა.

საკალანდარიოს დიდი მცხუნვარე მზე დანათოდა. კალანდარიების მაღალი აკაციებიდან ბებლებივით ცვიოდა შეყვითლებული ფოთლები და შარავნაზე ეფინებოდა. ვენახები გადამხმარივით მოჩანდნენ. მზეს ფოთლები დაეხრუკა და მტყენები თაფლით ავესო. ლედვის ხეებზე უკანასკნელ ლუკმას ეძებდნენ მსუქანი მოლალურები. სიმინდის გაყვითლებული, მაღალი ღეროები ტაროს ძლივს იმაგრებდა. ოქროსფერი ყანები და ზვრები რახანია გლექვაცს ელოდებოდა. თაფლისფერი შემოდგომა სოფელს სიხარულს პირდებოდა. ოჯახისა და შრომის მოყვარული კაცები კვირა დღესაც არ აცდენდნენ — საწინახლებს, სასიმინდეებსა და კასრებს დასტრიალებდნენ; ბაზრობაზე ქაღები გაეშვათ, თვითონ შინ საქმიანობდნენ.

ბათუ მოსავლის დასაბინავებლად მზად იყო, მაგრამ შინ მაინც უამრავი საქმე ჰქონდა. ღობე-ღობე მისდევდა შარავნას და ვაფანჩიულ წარბებს ქვევიდან გასცქეროდა შუა გზაზე გრძელი ნაბიჯით მიმავალ შვილიშვილს.

— გურამ! მომიცა, ბიჭო, რა მიგარბენინებს!

გურამი შეჩერდა. ბაბუას დაელოდა.

— რად გინდა, შვილო. მუშტიკრივს რომ სწავლობ, რა შენი საქმეა, — უთხრა ბათუმ გურამს და თავჩადუნულმა გზა განაგრძო.

— რად და კუკური კალანდარიას კბილები უნდა ჩავამტვრიო!

ბათუმ წინ მიდიოდა, გურამი უკან ნელა მოჰყვებოდა. შვილიშვილს მოხედა. ახლა მის წინ „კედელზე ჩამოსაკიდებელი წმიდანი“ კი არ იდგა, არც მოყვითალო ანგელოზი: სულ სხვა გინმეს ვადმოექჩა თვალები, წარბები მაღლა გაქცეოდა, პირი მაგრად მოიკუმშა. თითქოს ყბაში გარტყმას მოედისო.

— რა იყო, ბაბუა, რა მითხარი?

ასე იყოდა ხოლმე, როცა რაიმე არ მოეწონებოდა, მეორედ კითხულობდა.

იქნებ კაცს წამოცდა, მოფიქრებას ვაქვლიო.

— კუკური კალანდარიას კბილები უნდა დავამტვრიო! — გაიმეორა გურამმა.

კუკური კალანდარია, როგორც გამოუსწორებელი უსაქმური, კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით სოფლიდან დიდი ხნის გასახლებული იყო. იშვიათად ჩამოდიოდა, ნათესავებს აკითხავდა. რა საჭირო იყო ძველი ამბის გახსენება? ნუთუ გურამს შურისძიების გრძნობა ჰქონდა? როგორ მოქცეულიყო ახლა ბათუ კალანდარია! პირდაპირ ეთქვა: არ ვარგა, შვილო, ასე, შურისძიება რა ვაჟკაცის საქმეაო, — გურამი არ დაიჯერებდა; იგი დარწმუნებული იყო, რომ ვაჟკაცები სწორედ შურისმაძიებელი იყვნენ. გამწყვრალიყო და მკაცრად გაეფრთხილებინა, არ გავიგონო კუკური კალანდარიას ახსენებდეთ, — ესეც არ ივარგებდა: ბათუს ახლა შეშფოთება რომ გამოეხატა, ბიჭი კიდევ უფრო დაინტერესდებოდა. რა ექნა? დაეამტვრიო, ისეთიანრად ამბობდა გურამი, აკვონებოდათ, ხელში აქვს კუკური კალანდარიას ყბები და საცაა დაამტვრევსო. ღობის ძირას მიჩანჩალებდა მოხუცი და ყურში ჩაესმოდა შვილიშვილის ხმა: „დაე-ამტვრი-ო“... „და-ვა-მტვრი-ო“..

ბათუ გრძნობდა, რომ ეს არ იყო გურამის ნამდვილი ხმა, იგი საიდანღაც გარედან მოვიდა. მოხუცს უცხო ხმა არ მოსწონდა და ეს აწუხებდა, თორემ კუკური კალანდარიას კბილები მართლა დასამტვრევი ჰქონდა. როგორ მოქცეულიყო? ყმაწვილის გულიდან ხინჯი როგორ ამოერცხა? მწყერივით ბავშვი ხიფათს თუ გადაეყრებოდა, თავი ცოცხალი რად უნდოდა?

ბათუ კალანდარიამ მალე იპოვა გამოსავალი. ყოველი სიტყვა წინასწარ აწონ-დაწონა, ე.ე.ნეს შეუთანხმდა და ერთ მშვენიერ დღეს თავის გრძელ აივანზე, გურამის ოთახის ფანჯარასთან მეუღლეს მშვიდი საუბარი გაუბა.

ნოდარ წულეისკირი

თეთრი მთა

— დღეს კუკური კალანდარია ვნახე.
— მართლა? მოგესალმა?
— როგორ არა, ჩვენ ხომ შევერიგ-

დით.
— როდის?
— რამდენი ხანია.
— რაო, ახლა რა მინდაო?
— ფეხებში ჩამივარდა, ქალივით ატირდა, შეგიძლია და დამეხმარეო, მიშუამდგომლე, სოფელში დამაბრუნონო.

— შენ რა უთხარი?
— შევპირდი.
— კარგი გიქნია, ანეტა ცოდვაა, სიბერე გაუმწარდა. მაღლი ჰქენი, ქვას დადევი, გამოივლი, წინ დაგხედებაო, — დაასკვნა ელენემ.

გურამი მაგიდასთან იჯდა, წიგნი გპნშალა, მაგრამ არ კითხულობდა, სულგანაბული უსმენდა ბებიას და ბაბუას.

— სინათლე ხომ არ ავინთო, ბებია, დაღამდა, — ფანჯარაში შემოიხედა ელენემ.

— არა, ჯერ ადრეა, მე თვითონ ავანთებ, — თქვა გურამმა და წიგნში ჩარგო თავი.

დარბაზიდან თინიკო და ქვაცაცი გამოვიდნენ.

— წავიდეთ, ელენე, დაგვაგვიანდება, — თქვა ქვაცაციმ და შავი თავსაფარი თავზე გულდაგულ შემოიხვია.

— სად მიდიხართ? — იკითხა ბათუმ.

— საწყალ გრიშას დედა უკვდება, ერთხელაც არ გვინახავს, სირცხვილია, — უბასუხა ელენემ.

— ვინ გრიშაა?

— ბეგის გრიშა, სხვა ვინ გრიშა გვყავს!

— ჰოო!.. წადით, ნახეთ, ოღონდ არ დაიგვიანოთ.

ბათუს გაუხარდა, როცა ცრუ სცენას ნამდვილიც ზედ დაერთო. გურამი აღარ დაეკვდებოდა, დაიჯერებდა, რომ კუკური კალანდარიას ბათუმ დანაშაული აბატია, რომ იგი გამოსწორების გზაზეა და შურისძიება სულ არ არის საჭირო. სხვა დროს ბათუ რად იკითხავდა,

ქალები სად მიდიოდნენ, ქალების საქმეებში რად ჩაერეოდა?

ზურამ ეზოში გამძლარი შრომის შემოარბენინა. თამაზი ლექსს ხმამაღლა იზებირებდა. მზე ჩადიოდა.

ბარაქიანმა შემოდგომამ დიდი სიხარული მოიტანა. სოფლის მესიმინდეებსა და მეჩაიეებზე გაზეთებში წერდნენ, რაიონულ კრებებსა და თათბირებზე ლაპარაკობდნენ. მთავარია, კოლმეურნეს მარანი და სასიმინდე ჰქონდეს სავესე, შემდეგ ლაპარაკსაც ფასი აქვს, ქიფსაც, დროსტარებასაც; დღეს კალანდარიებს მარანიც სავესე ჰქონდათ და სასიმინდეც. წელგამართულნი დადიოდნენ სოფლის თავკაცები. ბეჯითმა შრომამ და გამჭვრიახმა ვონებამ ნაყოფი გამოიღო.

ელივს გაიხარა მგლოვიარე სოფელმა. აგერ-ეგერ გაუბედავი მრავალქაიერიც კი გაისმა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოიწვიეს საზეიმო კრება და ჩაის მკრეფავ კალანდარიებს გარდამავალი დროშა გადასცეს. დროშის გადაცემის ცერემონიალს რაიკომის მდივანიც ესწრებოდა. ეს იყო სიხარულისა და ზემის საღამო. სოფელი დილიდანვე ემზადებოდა. ბათუ კალანდარიამ შალვას სიკვდილის შემდეგ იმ საღამოს პირველად მოიგდო ზურგზე თეთრი ყაბალახი, პირველად ჩაიცვა გაპრიალებული ჩექმები. გაიპარსა, დაიბანა, სუფთად და კობტად გამოეწყო და კანტორისაკენ გაემართა. ბევრი ეხვეწა თინიკოს, უმტკიცა, რომ საქმიანი კრება იქნებოდა, რომ საჭირო იყო კრებაზე დასწრება, მაგრამ თინიკო აღარ წავიდა. ელენე, ქვაცაცი და თინიკო მხოლოდ სატირლებში დადიოდნენ, იქ მათ სხვა მგლოვიარე დედები და ქვრივი ქალები უერთდებოდნენ და თავიანთ უბედობას ერთად მოთქვამდნენ. შემდეგ ერთმანეთს აიმედებდნენ, იქნებ ჩამოვიდესო. თინიკო სამუშაოდაც მარტო დადიოდა, ქალებში იშვიათად გაერეოდა. ელენე თინიკოს ნამდვილი გლოვის უფლებას არ აძლევდა, იქნებ ცოცხალია და ვცო-

დავთო. როცა თინიკომ შავი ქაღალდის მიღებისთანავე შავი პერანგი და წინდები ჩაიცვა, ელენემ ქვეყანა დააქცია — შვილს ცოცხლად მიმარხავო? მაგრამ არც ჭრელაჭრულელების ჩაცმას ურჩევდა. თვითონაც, თინიკოცა და ქვაცაცაც შავი კაბითა და თაღბი თავსაფრით დადიოდნენ ყველგან, შინ და გარეთ.

გურამი და ზურია არაგვის არ მოუპატივებია საზეიმო კრებაზე, მაგრამ გვიან მაინც მოვიდნენ. გურამს წელს კოლმეურნეობაში ძველებურად არ უმუშავია, მარტისა და ზაფხულის არდადეგებზე სულ ორმოცამდე შრომადღე გამოიმუშავა, ერთი-ორჯერ მოსწავლეებსაც მოჰყვა — წელს მეთერთმეტე კლასში გადადიოდა და ბევრი უნდა ემეცადინა, კოლმეურნეობისათვის არ ეცალა; ზურია, თამაზი და ქეთინო კი კარგად მუშაობდნენ, მაგრამ შრომადღეებს თვითონ არ იწერდნენ, თინიკოს და ქვაცაცის ესმარებოდნენ.

კოლმეურნეობის კანტორა ხალხით იყო გაჭედილი. დარბაზში ადგილს ვერ იშოვიდით, აივანზე და ოთახებშიც ხალხი ირეოდა. გურამმა ამხანაგები მოძებნა და ფანჯარასთან მოხერხებული ადგილი დაიკავა. თემიკოც აქ იყო, ნესტორაც, რეზოც. სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია კოლმეურნეობას განსაკუთრებით ხვნა-თესვის და მოსავლის აღებისას ესმარებოდა. იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც ზოგიერთ კოლმეურნეზე მეტი შრომადღე ჰქონდათ გამომუშავებული.

— ამხანაგებო! — გაისმა დარბაზში. ხალხი გაიტრუნა. თავმჯდომარემ კრება გახსნა, მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა. იგი წითელმაუდგადაფარებულ მაგიდასთან იდგა და ყოჩაღად ლაპარაკობდა. თავმჯდომარეს ყოველთვის ყველა უსმენდა. როცა კამათს დაიწყებდნენ, მაშინ ატყდებოდა ხოლმე ყაყანი, დავა, კინკლაობა, მასხრობა, ლაზღანდარობა — ყურთასმენა აღარ იყო. კრების თავმჯდომარე სულ ფეხზე იდგა და გრაფინს უკაკუნებდა კალმისტარს, ხალხს თვალს უბრიალებდა: ხომ ხედავთ, მდივანი გვესწრებაო. თავ-

მჯდომარის თვალების ბრიალს აიხუნ-შიაც არ ავდებდნენ. ჩუმად მხოლოდ მოხუცები ისხდნენ წინა რიგებში. გაზრდები აქ მარტო კრებისთვის როდი მოდიოდნენ — ცოტა დროს ვატარებაც უნდოდათ, ჭორაობაც, არშიყობაზეც უარს არ ამბობდნენ. სერაფიონამ ახალი რა უნდა მითხრასო და ვინმე ანეგლოტების მოყოლას შეუდგებოდა, ზოგი მეგობრებს მოუთხრობდა რაღაც საოცარ ამბავს. დარბაზში შეუწყვეტილი ბუბუნნი იდგა. თავმჯდომარეს კისერი ამოოდ დაუგრძელდა, ხმამალა მოსაუბრეს ვერ პოულობდა. მხოლოდ მაშინ დაწყნარდებოდნენ, როცა საბოლოო სიტყვას წარმოსთქვამდა რაიკომის მდივანი.

ამ საღამოს სხვაგვარად მოხდა. თავმჯდომარის შემდეგ სიტყვა რაიკომის მდივანმა აიღო. მან წარმატება მიულოცა კოლმეურნეებს და ტაშის გრიალში თავმჯდომარეს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა. თავმჯდომარემ მალეობა გადაუხადა რაიკომის მდივანს და თქვა, ეს დროშა პირველ რიგში ეკუთვნის პირველი და მეოთხე ბრიგადის წევრებს. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფასა და სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანაშიო. დაასახელა რამდენიმე სამაგალითო ოჯახი, რომლის ყველა წევრი საკოლმეურნეო შრომაში იყო ჩაბმული. აქვე აღნიშნა, კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, მეჩაიე გოგუცა კალანდარია, სოციალისტური შრომის გმირის წოდებაზე უნდა წარვადგინოთო.

მაგიდასთან მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ. ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ყველა ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს შავებში ჩაცმულ გამხდარ ქალს. ქალი მოკრძალებით იქნედა თავს და წითლდებოდა. კისერწაგრძელებულ გურამსაც გადასდებოდა საზეიმო განწყობილება, მაგრამ უეცრად თავში უტნაური აზრი

ნოდარ წულუისკირი

თეთრი მთა

მოუვიდა. საზეიმო განწყობილება გაუქრა და მოიწყინა. ბაბუას შეხედა. ბათუ თავმჯდომარის გვერდით იდგა და ტაშს მშვიდად უკრავდა. მას არც აღტაცება ეტყობოდა და არც მოწყენა.

გოგუცა ერთი პატიოსანი მშრომელი ქალი იყო. ქმარი მასაც ომში დაეკარგა. ხუთი შვილის დედა მთელი დღე ჩაის პლანტაციასი მუშაობდა, დარდსა და ნაღველს შრომაში იქარებდა. გოგუცასთან მკრეფავი კოლმეურნეობას სხვაგვარად ვერაფერად ვაძლავთ, მაგრამ სოფლის თავდაცვაში მხოლოდპარაკეს, აწონეს, გაზომეს და კრებას ურჩიეს გმირობაზე წარედგინათ. გოგუცას ყველაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჰქონდა მოკრეფილი. გოგუცას გოგონებს სოფელში ყველა იცნობდა, სკოლაშიც კარგად სწავლობდნენ და ჩაისაც კარგად კრეფდნენ.

ბათუ კალანდარიამ თავმჯდომარეს უთხრა: ჩვენი მოსაზრება, თუ რატომ ვაძლევთ გოგუცას გმირობას, ხალხსაც ვუთხრათო. ბათუს ხალხის ეხატებოდა, მაგრამ ხალხმა გოგუცას მხარი დაუჭირა. მთელ სოფელს გაეხარდა, ხალხით საგვსე კანტორის დიდ დარბაზში, მეზობელ ოთახებსა და გრძელ აივანზე ყველა ერთხმად უკრავდა ტაშს.

ტაშში ნელ-ნელა დაცხრა. სიტყვა მისცეს პირველი ბრიგადის ხელმძღვანელს, დაბალ, ჩაუსკენილ კაცს. ბრიგადირი კარგ გუნებაზე იყო, სათითაოდ აქებდა ბრიგადის ყველა წევრს, სურათს ისე ხატავდა, თითქოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი მის ბრიგადაზე იყო დამოკიდებული. ხალხი აღარ უსმენდა, შესცქეროდნენ და ვალიკოსა და შალიკოს ამბავი ასხენდებოდათ. ბრიგადირს ორი ცუდლუტი კოლმეურნე ჰყავდა — ვალიკო და შალიკო. ურიგო მშრომელები როდი იყვნენ, მაგრამ მთელი სოფელი იცნობდა, როგორც ეშმაკებსა და უკულმართებს. ერთხელ თურმე ბრიგადირმა იფიქრა, მოკლეზე მოგპრიო და ვალიკოსა და შალიკოს სახლის უკან კოლმეურნეობის ყანაში გაიარა. საღამოა, ყანაში კაცის ჭაჭანება არ არის, ხედავს შუა ყანაში ხუთიოდე გოდორი სიმინდი ყრია, სიმინდის ტაროები ვი-

დაცას გულდაგულ ჩალით დაუფრთხვს. დატრიალდა ბრიგადირი, კაპიტანმა მთელი თოდუა დაიხმარა და სიმინდის ყანაში ჩუმად გამოიტანა. თვითონ კი ქურდებს ჩაუსაფრდა — შენახულ სიმინდს მოაკითხავენო. კარგად რომ დაბნელდა, ყანაში ორი კაცი შემოვიდა. ბრიგადირმა მაშინვე იცნო შალიკო და ვალიკო, მაგრამ არ გამოსულა. შალიკომ და ვალიკომ ნაქურდალი სიმინდი რომ ვერ იპოვნეს, ერთმანეთს ჩხუბი დაუწყეს — არა შენ წაგლია და არა შენო. ამ დროს ბრიგადირი საფარიდან გამოვიდა. ვალიკო მოვარდა ბრიგადირთან და აღელვებულმა მტკიცება დაუწყო, წახდა ქვეყანა, ვერაფერს ვერაფერს ვერ ენდობიო, მე და შალიკომ სიმინდის გამოტანა ვერ მოვასწართ, წვიმას რომ არ დაესველებია, ტაროებს ჩალა მივაყარეთ, აქ, შუა ყანაში დაგტოვეთ და ჰა, რა მომხდარა! ვიდაცას წაუღიო! ვალიკოს და შალიკოს ქურდობა ვერ დაუმტკიცეს. და ბრიგადირმაც თავი დაანება — გაკვეთილად ესეც ეყოფათო. ყველამ იცოდა და ახლა გაცინებას არაფერი ერჩიათ; როცა სიტყვა ფერმის გამგეს მისცეს, „თეთრი ღორჯო!.. თეთრი ღორჯო!“ გაისმა ხალხში. ამ ორმა სიტყვამ დარბაზში ჩურჩულითა და ქირქილით გაიბრინა. თეთრ ღორჯოს, სრულად უმიზეზოდ, ფერმის გამგეს ეძახდნენ. ფერმას რძის დამტარებელი ერთი ბედოვლათი ბიჭი ჰყავდა. კაცმა არ იცის, მართალია თუ არა, ოღონდ ერთ მშვენიერ დღეს რძის მიმღებ პუნქტში ასეთი ამბავი შეითხზა: დილით ჩვეულებრივად ბიჭმა პუნქტში რძე მოიტანა. გამგეს რძე უნდა აეწონა და მიეღო. სასწორზე შემოვდა ბალონები, უცებ ერთი ბალონიდან რაღაც ამოხტა და იატაკზე ხტუნვა დაიწყო. რა უნდა იყოს? — დააკვირდნენ — თეთრი ღორჯო! თეთრი ღორჯო სად გაგონილა?! დაიჭირეს ღორჯო და წყალში ჩააგდეს — გაშვდა! ნამდვილად ტარჩენის ღორჯო იყო, მდინარე ტარჩენი კი ფერმას უკან ჩამოუდის. პუნქტის გამგეს — ეშმაკსა და ენაკვიმატს — დასკვნის გა-

მოტანა გაუჭირდებოდა? ფერმის ჭიდან წყლის ამოტანა დაზარებია და რძეში მდინარის ჭუჭყიანი წყალი ჩაურევიაო. პუნქტის გამგის ხუმრობა მთელ სოფელს მოედო, ბიჭსაც და ფერმის გამგესაც ხალხმა „თეთრი ღორჯო“ შეარქვა.

„თეთრმა ღორჯომ“ სადღეგრძელო-სავით სიტყვა დაამთავრა. თავმჯდომარემ მოწინავე მეჩაიის ვერა კეკელიას მისცა სიტყვა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მოკამათებები გააფრთხილა: მართალია, დღეს საზეიმო კრება გვაქვს, მაგრამ ნაკლოვანებებზეც უნდა ვიმსჯელოთო; ილაპარაკეთ მოკლედ და საქმიანადო. ვერა გოგუცას ქებას მოჰყვა.

— სიტყვა უნდა ვთქვა, — უთხრა გურამმა თემიკოს.

— რა სიტყვა, ხომ არ გაგიყდი. ამდენ ხალხში რა უნდა თქვა?

— არ შემიძლია, რომ არ ვთქვა.

— რა იყო, რა გაწუხებხ?

— რა და ყველაფერი ეს სიცრუეა.

— რა არის სიცრუე?

— გამოვალ და გაიგებ! — თქვა მტკიცედ გურამმა და უბის წიგნაკში ჩაინიშნა: პირველი, მეორე, მესამე...

— გურამ, რაიმე სისულელე არ წამოგდევს, სიტყვის თქმა ადვილი ნუ კი გგონია!

გურამი ღელავდა და ნერვიულობდა, ხელისგულიდან ოფლი სდიოდა, ტუჩები უთეთრდებოდა. წითელმალუდაფარებულ მაგიდასთან ბაბუა რომ არ მჯდარიყო, არ იდგებოდა. მშვიდად და ვაჟკაცურად გამოვიდოდა, ხალხს სიმართლეს ეტყობდა. პოი, როგორ დაიტანჯა გურამ კლანდარია! მოკამათებმა გააგრძელეს და გააგრძელეს. ერთიორჯერ გაბედა და ხელი ასწია, სიტყვა მომეციოთო, მაგრამ სულ ბოლოს იდგა და თავმჯდომარემ ვერ შენიშნა, ისევ სხვა გამოიძახა.

გული უმტვრევდა გულისფიცარს. მუხლები უკანკალებდა და სციოდა, ტუჩებს წარამარა ისველებდა და წარამარა უთეთრდებოდა. ახსოვს, როგორ გამოიძახეს, როგორ მიატოვა თემიკო, როგორ გამოარღვია ხალხი და წარსდგა

დარბაზის წინაშე. მაშინ გამოვიდა, როცა რალაც წაილულულა და თავისი სიტყვები თვითონვე ვერ გაარჩია.

— ხმამაღლა! — დაიძახა ვილცამ დარბაზიდან.

— სსს, ბავშვია, ნუ დააბნევთ, — უთხრა მეორემ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გურამმა ჯერ ხელებს ვერ გამოუნახა ადგილი, კათედრა რომ პქონოდა ან მერხი, ზედ დააწყობდა, დაეყრდნობოდა და სვენებ-სვენებით დაიწყებდა, მერე იატაკს დააშტერდა და გაეშულა.

— დაიწყე, ბიძია, აბა თუ დაიწყებ, — უთხრა გამგეობის ერთმა წევრმა, რომელიც წითელმალუდაფარებულ მაგიდასთან იჯდა.

გურამმა კვლავ რალაც წაილულულა და დარბაზში ხალხი ახმარდა. თემიკომ, ანზორამ და რეზომ თვალეები დახუჭეს, გურამის არეულ სახეს ვერ უყურებდნენ. და აი, ამ დროს, როგორც იქნა გურამმა ენა ამოიღვა.

— პატივცემულო გამგეობის წევრებო, თქვენც, პატივცემულო, — გურამმა დარბაზს მოაელო თვალი, — ყველანი ცდებიან, ტაშს უკრავენ სიცრუეს!..

ხალხი გაიტრუნა. თავმჯდომარემ ბათუს გადახედა.

— მე დეიდა გოგუცას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მას ყველაზე მეტი ჩაის ფოთოლი არ მოუკრეფია. იგი ისეთივე მკრეფავია, როგორც ვენერა, თინიკა, ბიცოლა, ნუნუ, ლიზა, ელისო. დეიდა გოგუცას ლიანა, ნორა, ნატრული და ფაცაცა ეხმარებიან და ამიტომ გამოუვიდა ყველაზე მეტი: თქვენ ეს ყველამ კარგად იცით, რადა ხართ გაჩუმებული! უნდა ვთქვათ თუ არა სიმართლე?!..

ხალხი შეჩოჩოლდა. ყველა ბათუს მისჩერებოდა. გურამს არავინ უყურებდა, ახლა საინტერესო იყო, ბათუ კლანდარია რას იტყობდა. მთელი სოფლის ჭკუისა და წესრიგის მასწავლე-

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

ბელს გუშინდელმა ღლაპმა თავსლაფი დაახსა. ენატარტალა ბავშვი ბათუს ოჯახში არ გაზრდილა და ხედავთ, რა ხდება?! იმდენი იძახეს ანგელოზია, წესიერია, სამაგალითოაო, ბავშვი გაყოყორდა. თავმჯდომარეც ცუდ დღეში ჩავარდა, — ბათუს ხათრით გურამს ვერაფერს ეუბნებოდა, რაიკომის მდივნისთვისაც ხომ უნდა აეხსნათ საქმის ვითარება...

აწრიალდა თავმჯდომარე...

— დიახ, ბატონო, ბავშვი მართალია, — უჩურჩულა თავმჯდომარემ რაიკომის მდივანს. — მაგრამ ჩვენ გარკვეული მოსაზრება გექონდა...

ხალხი ორ ცეცხლს შუა იყო. მოსწონდათ, რომ გურამი ასე თამამად ამბობდა: სიმართლეს, მაგრამ აღფრთოვანებასაც ვერ გამოხატავდნენ, გოგუცა ხომ გმირის წოდებას ჰქარგავდა, გოგუცა კი მთელ სოფელს უყვარდა, დიდსა და პატარას. ბათუ ცოცხალ-მკვდარი იჯდა მაგიდასთან, გაყვითლებული, რისხვად ქცეული მაგიდას დაჩერებოდა და არ ინძრეოდა.

გურამმა სიტყვა დაამთავრა. დარბაზში აურზაური ატყდა. საზეიმო განწყობილება გაქრა, შეიქნა ლაპარაკი, დავა. გამგებობის წევრებიც აირიგნენ, თითქოს კანტორაში ყუმბარა შეაგდესო.

— რა ამბავია! რა ამბავია! — ეზოში მოსეირნე წყვილებიც კი დაინტერესდნენ და კანტორის აივანს მიაწყდნენ.

— სიწყნარე, ამხანაგებო, სიწყნარე! — თავმჯდომარემ საფერფლე დაახეტქა მაგიდაზე, ძლივს გააჩუმა ხალხი. სიტყვა რაიკომის მდივანმა აიღო და მშვიდად და ტკბილად დაამთავრა კრება.

— სადავო და საკამათო არაფერი არ არის, ამხანაგებო. როგორც ჩანს, ეს საკითხი ჩვენ ცალკე უნდა შევისწავლოთ, ახლა აქ რამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, ჰუმშარიტებას ვერ დავადგენთ.

რაიკომის მდივანმა გოგუცას გადახედა და გაუღიმა. გოგუცა გაჭარხლებული იჯდა. გურამი მას შვილივით უყვარდა, შვილებს სულ იმას ეუბნებოდა, ბათუს გურამივით უნდა ისწავლოთ,

ისეთი ჰკვირავი და ზრდილობიანი უნდა იყოთო. ახლაც არ იყო ნაწყინის ეუხერხულეობა, მის გამო დავა-დამამათი რომ ატყდა, თორემ გმირობაზე არასოდეს უფიქრია. უკანა რიგში ქალეზი ისხდნენ, გადმოწია თავი ერმილეს თამრომ და ყურში უჩურჩულა: ხედავ, ბათუ კალანდარიას ოჯახმა რა გექნაო... იქით ვენერამ მოიტება კისერი და ხმა მიაწვდინა: ადრეც ვამჩნევდი, ეს ბავშვი ასეთი ღჯუ და ოხერი იყოო... გოგუცა შეწუხდა, „ღჯუ და ოხერი გურამი არასდროს ყოფილა. ბავშვმა თავის ამხანაგებს — ჩემს ნორას, ლიანას და ნატრულის შრომა არ დაუკარგა. რა არის, ნეტავ, ამაში ცუდი?“ — ფიქრობდა გოგუცა თავისთვის და ჩუმი იჯდა. ქალებს ვერ შეეკამათებოდა, ამდენ ხალხში ენის ტარტალი და აყალმაყალი გოგუცას არ შეეფერებოდა. რაიკომის მდივნის სიტყვამ გაახარა და კმაყოფილი გამოყვა ხალხს კანტორიდან. კრება დამთავრდა, მაგრამ კამათი დიდხანს გრძელდებოდა კანტორის ეზოში, შარაგზაზე, ჭიშკრებთან. ზოგი გურამს ლანძღავდა, ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას, ზოგი ორივეს ამართლებდა და საჭიროდ არ თვლიდა საქმე გაემწვაგებინა. გვიან ღამემდე ხმაურობდა სოფელი.

*

როგორც კი კრება დამთავრდა, გურამი პირველი გამოვიდა კანტორიდან და შინისკენ გაეშურა. ზურიამაც მაშინვე გამოსდია.

— იცი, როგორ მოეწონათ ბიჭებს შენი გამოსვლა?

ზურია აღფრთოვანებული უყვებოდა გურამს, ვინ რა თქვა, როცა მან სიტყვა მოითხოვა.

— ნეტავ ბაბუა რას იტყვის?

— ვერაფერსაც ვერ იტყვის.

გურამმა ისე უხეშად უთხრა, ვერაფერსაც ვერ იტყვისო, ზურია გაჩუმდა. ალბათ შეუბღვირა კიდევ, სიბნელე იყო და ვერ გააჩნია, შეუბღვირა თუ არა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ შინისაკენ.

შუკაში უფრო ბნელოდა, ვიდრე კანტორის წინ, ფართო შარავზაზე.

— იცი რა, გურამ, — მორიდებით დაარღვია სიჩუმე ზურია, — ბაბუას არ უყვარს, როცა ბავშვები ბეგრს ლაპარაკობენ, უფროსებს წინ უსწრებენ.

— გაბრაზდა?

— რა ვიცი, აბა! მე სულ ბაბუას ვუყურებდი, მაგრამ ვერც გაბრაზება შევნიშნე და ვერც სიხარული, თავჩარგული იჯდა.

ზურია მქვას წამოკრა ფეხი. ნაგაზი აყვფდა და, თითქოს ნიშანი მისცესო, ყველა ეზოში ჭიშკრებს მოაწყდნენ ძაღლები. ყვეფით გააყრუეს სოფელი.

ბიჭები თავიანთ ჭიშკრებს მიადგნენ. ოდაში სინათლე ენთო. ელენეს არ ეძინა. ასე იცოდა ხოლმე: თუ ოჯახის ყველა წევრი შინ არ იყო, — არ იძინებდა, გამოიტანდა ძველთაძველ წიგნებს და კითხულობდა. წიგნს მხოლოდ მაშინ კითხულობდა, როცა ღამით ვინმეს ელოდებოდა. სულ რამდენიმე წიგნი ჰქონდა: „შვიდი მთიები“, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. სამივე პოემა თითქმის ზეპირად იცოდა, მაგრამ ყოველთვის დიდი სიამოვნებით კითხულობდა. ტახტზე წამოწვებოდა და კითხულობდა. ერთი ცალთვალა სათვალე ჰქონდა — ქეთინომ თუ თამაზმა გაუტეხა, ძაფებით უნდა მიეზა. ამდენს რომ წვალობ, ელენე, შეუთვალე ბიჭებს და გამოგვიზავნიანო, ცალკე თინიკო ეუბნებოდა, ცალკე ქვაცაცი, ცალკე ბათუ, მაგრამ ბიჭებს სათვალისთვის შეაწუხებდა? თუმცა, კაცმა რომ თქვას, სათვალე არც ჭირდებოდა. — გადაშლიდა გვერდს და შეეძლო სულ ზეპირად ჩაერაკრაკეზინა...

ელენე გაბუნიას ქალი იყო, ბავშვობაში ფაღვებისა და დადიანების ოჯახებში ტრიალებდა. თავისი დედის, მამის, ბიძების, მამიდების, დეიდების მოსაგონრად მხოლოდ ეს სამი წიგნი შემორჩა. ამიტომ ელოლიავებოდა და როგორც ძვირფას განძს, ისე ინახავდა. ხოლო როცა კითხვას დაიწყებდა, ტკბილ ფიქრებში გაეხვეოდა, ფურცლებს ისე შლიდა, ფიქრით სხვაგან იყო.

ამ საღამოსაც ამოალაგა გაცეითობული წიგნები და ფიქრით შეერაძლიან შორს წავიდა. მოგონებებს ტკბარი ელენე სიყვარულით ელოდა ქმარსა და შვილიშვილებს, უნდოდა მოფერებოდა, მოალერსებოდა, მაგრამ ბათუ კალანდარიამ ელენეს ღამაზ ფიქრებს ყელი გამოლადრა.

— რა ამბავია, შვილებო, არ მეტყვიოთ?! — აწრიალდა ელენე, როცა კვიცბივით დაფეთებული შვილიშვილები შემოცვივდნენ. გურამი თავის ოთახში შევარდა და ჩაიკეტა. ზურია — ბაბუამ არ მომისწროსო, და სასწრაფოდ ტანთ გაიხადა, ჩაწვა.

— ბებია, მითხარი რა მოხდა? — ელენე ზურიას საწოლთან მიუჯდა.

— კრებაზე გურამი სიტყვივით გამოვიდა და ბაბუა გაბრაზდა.

— ცუდი რამე თქვა?

— არა, ბებია.

— აბა რამ გააბრაზა?

— რა ვიცი.

— გაუწყრა?

— არა.

— შენ გაგიწყრა?

— მე რად გამიწყრებოდა?!

— აბა რამ დაგაფრთხოთ, რა ამბავია?!

— მოვა და ნახავ.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა.

— მოვიდა! — თქვა ზურია, საბანი თავზე გადაიხურა და კედლისკენ გადბრუნდა. ბათუ შემოვიდა თუ არა, გურამი იკითხა.

— დამიძახე, აქ მოვიდეს, უნდა მოველაპარაკო, — უთხრა ელენეს და გრძელი მაგიდის თავში დაჯდა, დაძარღვული ხელები მაგიდაზე დააწყო და კედელს მიაჩერდა. ბათუ შემოვიდა თუ არა, ელენემ შენიშნა, მართლაც ძალიან გაბრაზებული რომ იყო და დაშაქრულ-დათაფლული შეხვდა.

— ჯერ გაიხადე, ბათუ ბატონო, ივანეშვი, დაისვენე და მერე დაგუძახებ.

— ახლა რომ დაუძახო, შეწუხდებარა? — ბათუს სულ ნაპერწყკლები წა-

ნოდარ წულუისკირი

თეთრი მთა

მოცვივდა თვალებიდან. — სულ შენი ბრალთა, გაანებოვრე ბავშვები, ენატარტალები, უზრდელეები გაზარდი!

— რა იყო, ბატონო, რა მოხდა? მეც მითხარით, მეც ვამაგებინეთ!

გურამი არ იწვა. როგორც კი ბაბუას ხმა გაიგონა, ოთახიდან გამოვიდა. თავჩაქინდრული მიუახლოვდა გრძელ მაგიდას და გაქვავდა. ბათუს ახლა ქაჯი ვერ გაუსწორებდა თვალს. იგი მაგიდის თავში ისე იჯდა, კაცი კი არა, დევი გეგონებოდათ. დევი, რომელსაც დამჯღარსაც თავისუფლად შეეძლო ეს უზარმაზარი მაგიდა აედო, მძლავრ თათებში მომწყვდია და ნაფოტად ექცია, ეს ოთახი მოეგლიჯა და შორს გადაეტყორცნა, იატაკისათვის ფეხი დაეკრა და ჩაენგრიანა.

— ვინ გასწავლა, ბიჭო, ენის ტარტალი!

გურამმა შენიშნა, რომ ბაბუამ გრძელი, ჩამოშვებული უღვაშები ნერვიულად შეარხია და თეთრი კბილები გამოაჩინა. „ნუთუ ხელს გამარტყამს“, გაიფიქრა მან და თავი კვლავ ჩაქინდრა.

— ბათუ, ამ საღამოს თუ არ მომკვლავ, შენ იცი, — ნაძალადევი სიმშვიდით თქვა ელენემ და სკამზე შეშფოთებული ჩამოჯდა.

— აღექი და გადი მეორე ოთახში! — ბრძანა ბათუმ და ელენემ მორჩილად შეასრულა ბრძანება.

— ვინ გასწავლა, ბიჭო, ენის ტარტალი! — ხმას აუწია ბათუმ. გურამი მთლად გაქვავდა. როცა ბაბუა აჩივებდა რაიმე კითხვას, ცუდის მანიშნებელი იყო. ბათუს პასუხი არც უნდოდა. თუ უპასუხებდი — ხედავ, ენას მიბრუნებდა. თუ გაჩუმდებოდი — ხედავ, რა ჯიუტი იყო. გურამისათვის ბათუს არასოდეს დაუსვამს ასეთი შეკითხვა, გურამი არასოდეს მდგარა ამ მაგიდასთან, როგორც დამნაშავე. აბა ზურიას დიდი გამოცდილება ჰქონდა: პირველი შეკითხვისთანავე ატირდებოდა, თავს ისაწყვლებდა, დამნაშავე არა ვარო. გურამმა კი არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა რამე თუ გაჩუმებულიყო?!

ბათუს ხმამ თინიკოც გააღვიძა. დევი

და ქვაცაციც, თამაზიც, ქეთინიც, ქველანი ელენესთან შეკრებილიყვნენ და ჩურჩულებდნენ, ფრთხილად ამოცნობდნენ სასადილო ოთახში, სადაც ბათუ ბოზოქრობდა.

— ამოიდგი ენა, თორემ მაგ ენას ძირში მიგაჭერი, მეზობელი მომინდურე, საქვეყნოდ თავი მომჭერი!

რადგან ბათუმ შეკითხვა მესამედ არ გაიმეორა, გურამმა ამოისუნთქა — მაშასადამე დიდი დანაშაული არ ჩაუდენია, ბაბუა ლანძღვას დააჯერებდა.

— მე არაფერი დამიშაგებია, სიმართლის თქმა არ შეიძლება?.. — უნებლიეთ წამოსცდა გურამს.

— ვის უნდა შენი სულელური სიმართლე?!

ბათუმ ისე იყვირა, ქალები შიშისაგან ერთმანეთს მიაწყდნენ. თამაზი და ქეთინო ლოგინისაკენ გაიქცნენ, ჩაწვნივდა და საბნის ქვეშ გაიტრუნენ.

— არ უთხრას ახლა არაფერი, თორემ მთლად დადაირევა, — წირილებდა ელენე, მაგრამ ოთახში შესვლას ვერ ბედავდა, ბათუს ზურგს უკან დია კარში იდგა და გურამს ანიშნებდა, გაჩუმდიო. უცერად ელენესათვის წარმოუდგენელი რამ მოხდა. ელენემ გაიგონა საოცარი სიტყვები:

— მე მინდა სიმართლე! ჩემს ირგვლივ ამ სახლში მხოლოდ სიცრუესა და სიყალბეს ვხედავ. ვინა ხართ თქვენ? ვინ ვარ მე? ვინ არის ჩემი დედ-მამა და სად არის ჩემი სახლი?

— ანარქისტი! — შესძახა ბათუ კალანდარიამ. ფეხზე წამოიჭრა და ისე მძლავრად დაკრა მუშტი მაგიდას, ჩანგრევას არაფერი დააქლდა. ელენეს ფერი წაუვიდა. ერთ წამში მისმა გონებამ აღადგინა ოცი წლის წინანდელი სურათი; სწორედ ამ ოთახში, ასე შუალამისას, ამ მაგიდასთან იჯდა ბათუ კალანდარია და მაშინაც ასე შეჰყვირა „ანარქისტი!“ ელენემ არ იცოდა, რას ნიშნავდა ანარქისტი, მაგრამ ეს იყო ყველაზე საზიზღარი და ყველაზე საშინელი სიტყვა, რაც მას ოდესმე გაეგონა. ამ სიტყვამ კინაღამ შვილი მოუკლა, თვითონაც ძლივს გადარჩა. მაშინ ბათუ ჯერ კიდევ

მხნედ იყო, რკინას კვინტლა და დიდსა და პატარას შიშის ზარს სცემდა. თემრაზი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო. კრებაზე თურმე კულაკებს ანადგურებდნენ, თემრაზი სიტყვით გამოსულა — მეზობელი მოხუცი კაცი შეზრალეზია და დაუცავს. შინ რომ დაზრუნდნენ, ბათუმ თემრაზს შავი დღე აყარა, ბიჭმა დამცირება ვერ აიტანა და მამას შემოუტია. რაღაც მწარედ უთხრა: შენი დრო წავიდაო, თუ რაღაც ამგვარი, და ამ ოთახში დატრიალდა საშინელება: ბათუმ რევოლუციური იძრო, ბიჭი კედელთან მიაყენა, არ გაინძრეო, უბრძანა და... მამინ ელენეს თავის მოკვლა უნდოდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ელენე გულწასული დაეცა. კარგა ხანს იწვა მერე საკადმყოფოში, შიშისაგან ელდანაცემი. ბათუც დიდხანს ნანობდა თავის საქციელს, თავს იმით ინუგეშებდა, რომ თემრაზის დანაშაულს აზვიადებდა. კომკავშირელმა ხალხის მტერი დაიცვა, ჩემი შვილი რომ არ ყოფილიყო, სხვაგვარად მოელაპარაკებოდნენო.

იმ საღამოს გაიგო ელენემ სიტყვა „ანარქისტი“. ნუთუ ახლაც მსგავსი რამ გამოვრდებოდა? ქალღლივით გათვთრებულმა, ერთ წამში გაიხსენა და წარმოიდგინა ყველაფერი, რაც ასეთ დროს ბათუს შეეძლო მოემოქმედა. უკანასკნელად შეავლო თვალი მობუზულ ბავშვებს და თვალთ დაუბნელდა, იატაკზე, ზედ ბათუს ზურგს უკან, ზღართან მობადინა. ქვატაციმ იკივლა, თინიკომ წყალი მოარბენინა, ბათუს გურამი გადაავიწყდა და ქალებს მიეშვილა. თინიკომ წყალი შეასხურა, შეანჯღრია, ლოყები და ხელები დაუზილა და... როცა ელენე გონს ვერ მოვიდა, თვითონაც კივილი მორთო. დაბნეულმა ვერ იქნა და ვერ იპოვა ქაფურის ამბულეტი. წამოკვივდნენ ბავშვები — ზურია, თამაზი. ქეთინომ გულსაკლავი ტირილი დაიწყო. გურამს ეგონა, ბებია მოკვდაო და მთლად აირია, დაბნეული ყველას ფეხებში ებლანდებოდა, ამოდენა სახლში ადგილი ვერ ეპოვნა.

ელენე ბათუმ ხელში აიყვანა და ტანტზე დააწვინა. თინიკომ ნემსი გაუკრია. ელენემ თვალი გააღო და დახუჭუნდა. ბათუმ მაშინვე მიატოვა, მაგიდას მიუჯდა, თავი ჩაქინდრა და მოიწყინა. ეს იყო ბათუს ტირილი.

თინიკო და ქვატაცი ელენეს დასტრიალებდნენ. გურამი ჩუმად იდგა კუთხეში. ელენემ მოიკითხა. გურამი ტახტს მიუახლოვდა. გაფითრებულმა ელენემ ტუჩები ააცმაცუნა. თინიკო და ქვატაცი მიხვდნენ, რა უნდოდა, თვითონ ტახტს მოშორდნენ და გურამს ანიშნეს, ჩამოუჯექიო. ელენემ გურამის ხელს ნაზად გადაუსვა და გადმოუსვა თავისი დამკანარი თითები. გურამმა ბებიას თითები ხელისგულეზში მოიქცია და გული აუჩუყდა, — მის თვალეზში ცრემლი შენიშნა.

ჩუმად, თავისთვის ტიროდა ბებია. გურამს თვალეზი ცრემლით ავესო, ტირილი არ წამსკდესო და იატაკს დააშტერდა. წამწამები არ დაუხამხამებია, ვიდრე ცრემლი არ შეაშრა. ეზიზღებოდა, როცა მამაკაცები ტიროდნენ. ელენე შეირხა, ცრემლი მოიწმინდა, გადმოზრუნდა და მაგიდასთან გაქვაგებულ ბათუს შეხედა.

— რატომ მომკალი, ბათუ ბატონო, რა დავიზავე? — მიკანაგებული ხმით დაიწყო ელენემ.

— რაზე მოკვდი მერე, ვინ დავავალა!

ბათუ ახლა უფრო გაბრაზებული იყო, ნერვებს უშლიდა ყველა და ყველაფერი ამ ოთახში, მაგრამ ვერ ამბობდა.

— დავიდალე, ბათუ ბატონო, ქალი აღარ ვარ. შლოთსა და დავიღარაბას აღარ ათავებ? ხომ ხედავ, დაბერდი, აღარ შეგიძლია, საფლავეშიც არ უნდა მოისვენო? ყვირილი, დანგრევა, დამტვრევა რა საჭიროა, უთხარი ბავშვს, რაც გინდა! ჩემი გურამი დამჯერი ბავშვია, შენს სიტყვას როგორ გადავა?

— დაიწყო ახლა ამან არაკები! — წამოიჭრა ბათუ. — ცოლ-შვილი კარგი რომ იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდა! —

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

წამოიძახა უცებ და ოთახიდან გავარდა. კალანდარიებმა მამლისყვილის ქაშს დაიძინეს...

ელენე მეორე დღეს კარგად იყო. ყველანი კარგ გუნებაზე ადგნენ, მხოლოდ ბათუ ვერ ადგა. ღამით ქარები დაერია, ჯერ მუხლები გამოულრდნა, შემდეგ მკლავები და მენჯის ძვლები, ბოლოს ფოლადის გულს შეუჩნდა და გააწამა, გააწამა კაცი!

ელენემ ქმარს საუზმე მიართვა. ბათუმ ჩუმად ისაუზმა და კედლისკენ გადაბრუნდა. ცოლთან საუბარი აღარ ისურვა. ელენე ფეხაკრებით გამოვიდა ოთახიდან. გურამი მთელი დღე სადღაც დაიკარგა, შინ გვიან დაბრუნდა. ცდილობდა დარდი და ნაღველი არ გამოემჟღავნებინა, შინაურებს თავს არიდებდა. სკოლაშიც ჩუმად იჯდა. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს თუ შეეძლო გამოეცნო მისი მოჩვენებითი სიმშვიდე და თავშეკავება. როგორც კი გურამი კლასში შევიდა, ნანამ შენიშნა, რომ ძალიან ცუდ გუნებაზე იყო.

კრებაზე მისი გამოსვლის ამბავი მთელმა სკოლამ იცოდა. ბიჭებმა გურამი დაინახეს თუ არა, გარს შემოეხვივნენ, შეკითხვები მიაყარეს, ყველას აინტერესებდა, ბათუმ რა თქვა, გაუბრაზდა თუ არა. გურამმა დაუმალა, რაც შაბათ საღამოს ვადახდა. ბაბუას რა უნდა ეთქვა, გაუხარდა, შემაქოო, იცრუა, — თავისი ოჯახის ამბავს სხვას როგორ ეტყოდა. ჭირივით ეჯავრებოდა ენაჭართალა ბავშვები, რომლებიც ქუჩაში გამოდგებოდნენ და დედამ ეს თქვა, მამამ ეს თქვაო — იყო თუ არა საჭირო, საქვეყნოდ ყვებოდნენ. გურამი ბიჭებში ისე იქცეოდა, ისე ლაპარაკობდა, თითქოს არაფერი აწუხებდა. ცუდად აღზრდილმა ახალგაზრდებმა იციან საზოგადოებაში ცხვირის ჩამოშვება, მეგობრებთან და ახლობლებთან წუწუნის, ზოგიერთი ისეთი თავხედია, რაც არ უნდა ვახარებულნი, ბედნიერი და კმაყოფილი იყო, მოდგება, მთელ თავის ტკივილებსა და მწუხარებას გადმოგიშლის, შეგაშფოთებს, თვითონ კი გულზე მოეშვე-

ბა, თითქოს მისი მწუხარების მიზეზი შენი სხიარული იყოს.

გურამს საზოგადოებაში მისი გუნება-გებთან და მეგობრებთან მოქცევას, წესიერებას და ზრდილობას ბებია ასწავლიდა. თავისი უგუნებობით იგი არასდროს არავის აწუხებდა. ახლა როგორც იქნა მოიშორა ბიჭები და მერხზე თავისი ადგილი დაიკავა. გაკვეთილები ისე დამთავრდა, ერთხელაც არ წამომდგარა. ჩუმად იჯდა და ფიქრობდა. ნანა თვალს არ აშორებდა, რამდენიმეჯერ მოხვდნენ მათი თვალები ერთმანეთს. ნანამ მეგობარს ჰკითხა: „რა გაწუხებს, გურამ, მარტო მე მითხარი“. გურამმა თვალებით უპასუხა: „შენ კარგი გოგონარ, მაგრამ შენი საქმე არ არის, თავი დამანებე“. ეს იყო გურამისათვის ყველაზე მძიმე, დამტანჯველი და დამქანცველი საათები, რომელიც არ იქნა და აღარ გათავდა. „კოსინუს ალფა პლუს კოსინუს ბეტა“ — ამტკიცებდა თეორემას მასწავლებელი და, ჩვეულებისამებრ, გურამს თვალს არ აშორებდა. გურამიც თავს უძნევდა, ვაგიგო. შესვენებაზე ბიჭები გურამს ხან აქეთ ექაჩებოდნენ და ხან იქით. ის კი იჯდა ჩუმად, ყველას უღიზოდა, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა. როცა მარტო დარჩა, მასთან ოფალებით საუბარი გააბა ნანამ. ისეთი ლამაზი, ცისფერი თვალები ჰქონდა, კურამს არ შეეძლო არ შეეხედა. ნანას რცხვენოდა გურამთან განმარტოების, ამხანაგები სხვანაირად დაიწყებდნენ ლაპარაკს. ამიტომ მხოლოდ თვალებით ესაუბრებოდა შორიდან. დღეს გურამს აღარც ეს შეეძლო, ნერვებს უშლიდა, როცა ნანა ამოიჩემებდა და თვალს არ აშორებდა, შეუბღვერდა და თვალებითვე ეტყოდა: „თავი დამანებე, შენი საქმე არ არის...“

როცა გაკვეთილები დამთავრდა, არც გურამს და არც ნანას აღარ ახსოვთ, ერთად როგორ დაადგნენ სოფლის შარავას. გურამმა ნანა მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა სრულიად მარტონი დარჩნენ.

ზამთრის ღრუბლიანი დღე იყო. დილით ცა ისე მოიქუფრა, იფიქრებდით,

ნამდვილად გათოვდება ან გაწვიმდება ბოლოს ცას ღრუბლის თხელი ფენაღა შერჩა, მზე ღრუბლებში ჩაიდვარა და გაათეთრა. არც გაწვიმებულა და არც გათოვებულა. თეთრი ცა გადაეკრა საკალანდარიოს. მზე ჩანდა და არც ჩანდა. ნანამ და გურამმა მთელი სოფელი ისე გაიარეს, სულ არ შეუნიშნავთ, რომ გამოიდარა. როცა საკალანდარიოს უკანასკნელ ჭიშკარს გასცილდნენ და ტრიპალ მინდორზე გავიდნენ, მხოლოდ მაშინ დინახეს, რომ ცა იყო ძალიან მოწმენდილი. ნანა შემოფოთდა:

— გურამ, სად მივდივართ?

— რა ვიცი.

წინ ცხენისწყლის ვრცელი ჭალები იყო გადაშლილი. საურმე გზით მიდიოდნენ. გაბუტულებივით შორიშორ, ჩაფიქრებულნი მიაბიჯებდნენ და ხმას არ იღებდნენ. ჩუმი მოგზაურობა ვინ იცის, სანამ გაგრძელდებოდა, მდინარეს გზა რომ არ გადაეჭრა.

ახლა მათ წინ ნაპირს ეხეთქებოდა მღვრიე ცხენისწყალი. შეჩერდნენ და მდინარის ტალღებს დააცქერდნენ.

— გურამ, სად მივდივართ?.. მე უნდა დავბრუნდე.

გურამი გახეივებული იდგა. ნანას ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს მარტო იყო ამ უკაცრიელ ჭალაში.

— გურამ, იცი რამდენი ვიარეთ და რა დროა ახლა? მეტი არ შემიძლია, უნდა დავბრუნდე!..

ნანა ახლა გურამის პირდაპირ იდგა, თავის ძველ ჩანთას აწვალებდა, თან თვალეში შესცქეროდა. გურამი თითქოს გონს მოვიდა, ნანას დააცქერდა და დინახა, რომ მას წითელი ტუჩები და კოხტად შეკრებილი ქერა თმა ჰქონდა. ასე მარტო და ასე ახლოს არასოდეს მდგარა ნანასთან. ამ უსასრულო ჭალაში, თვალშეუღებელი მაღალი ცის ქვეშ ნანა სულ პატარა ჩანდა, პატარა და უსუსური, როგორც მინდვრის ჩიტები. გურამს მოუნდა, მინდვრის ჩიტი ხელის გულზე დაესვა, მოფერებოდა. ან გულში ჩაეკრა და საკუთარი სიტბოთი გაეთბო.

— გურამ, დამდება, მე უნდა დავბ-

რუნდე, — თქვა ნანამ და თვალეში დახარა; გურამი ისე უცნაურად მიჩერებოდა, შერცხვა, თუ შეეშინდა მისთვის, დენი იარეს და ერთხელაც არ შეუხედავს, ახლა კი... ახლა გურამს ისეთი თვალეები ჰქონდა, ნანა მას მზერას ვერ უსწორებდა, თითქოს ბიჭს რაღაც ტანჯავდა და შეეღას ითხოვდა; საოცარისა და საკვირველის გამხელას ლამობდა, იქნებ თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე და ხმის ამოღება უჭირდა!.. „ნეტავ ვიცოდე, მის გულში რა ცეცხლი ტრიალებს“, — ფიქრობდა გოგონა. იხსენებდა ყველა წვრილმანს — სკოლაში, სკოლის გარეთ როგორ ექცეოდა გურამი, როგორ ესარჩლებოდა და ეხმარებოდა, ან მისგან უმნიშვნელო რამ გულსა ტკენდა. იხსენებდა და თითქოს ხვდებოდა... აქ რა უნდოდა? ჭალაში ნანას რა საქმე ჰქონდა? მან არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ ამ სიშორეს წამოვიდა, გურამს არაფერი არ უთქვამს და მაინც წამოვიდა, სად? რატომ? რისთვის?.. ნანას გონება ამოძრავდა და უცნაურმა კითხვებმა შეაერთო, შეაშფოთა. „ახლა გურამი მეტყვის: ნანა, მე შენ მიყვარხარ!..“ — გაიფიქრა, შეშინებულმა ტუჩზე ხელი აიფარა და გურამს შეხედა, მართლა ხომ არ მეტყვისო. გურამი კვლავ მუნჯად, ისეთივე შემზარავი თვალეებით შესცქეროდა გოგონას და ნანამ იფიქრა: „ახლა გავიქცევი, თორემ მეტყვის, ნამდვილად მეტყვის!..“ მეთე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეები, შინ და გარეთ სამაგალითონი, ჭალაში ერთად იყვნენ და... რას იტყოდნენ შინ, სკოლაში, სოფელში? ნანას ეღდა იცა, უცნაურად მოწყდა ადვილიდან და გაიქცა.

— ნანა! — შესძახა გურამმა. ისე მძლავრად და მთელი გულით შესძახა, გეგონებოდაო, სახმომ სიმები დააწყდაო. ჭალაში ვაისმა კაცის ხმა.

— ნანა, მე შენ მიყვარხარ!..

არ განძრეულა, მხოლოდ ჩანთა დაუვარდა, თრივე ხელი წინ გაიშვირა და გაქცეულ გოგონას განწირულობა დაადევნა „მიყვარხარო“. მერე წელში საცო-

ხოდარ წულელისკირი

თეთრი მთა

დავად მოიხარა და მწარედ აზღუქუნდა. ტიროდა გულამოსკვნილი, როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც უდანაშაულოდ სილა გააწესეს; თვალს არ აშორებდა ვაქცეულ გოგონას და ტიროდა, ცრემლი დაბადლებით ჩამოსდიოდა ლოყებზე, „მიყვარხარ“ გვიან დაეწია ნანას. დაეწია და ჯადონაკრავივით გააჩერა. გურამი კვლავ წელში მოხრილი იდგა. ხმამაღლა, დაურიდებლად ტიროდა. თავშეკავება აღარ შეეძლო, ყველაფერი მისდაუნებურად ხდებოდა. ნანა გურამს მიუახლოვდა, ფრთხილად მოკიდა ხელი, ცრემლით სავსე თვალბეჭით ჩააშტერდა. ძალა მოიკრიბა, რომ მღელვარება არ გაემქლავნებინა და როგორც მოზრდილმა ქვიანმა ქალიშვილმა, მშვიდად ჰკითხა:

— რა მოგივიდა, გურამ?

ნანას სიმშვიდემ გურამი დააფრთხო, თავისი თავისა შერცხვა, წელში გასწორდა და თვალეზი ამოიწმინდა.

— რა და მიყვარხარ!

— მერე რა გატირებს? მეც მიყვარხარ, — თქვა ნანამ და სულ გაფითრდა. გურამი ასეთ პასუხს არ მოელოდა, მთლად აირია, მის წინ იდგა პატარა, ჯიუტი გოგონა, რომელსაც შეეძლო ასეთ წუთებში მტკიცედ და მშვიდად ელაპარაკა. როგორ მოქცეულიყო, რა ექნა, რა მოემოქმედა? უნდოდა ხელში აეყვანა, გულზე მიეკრა და ევლო ამ მინდრებში აღმა და დაღმა, აღმა და დაღმა...

უეცრად იელვა, მები სულ ახლოს დაეცა, ციდან ჩამოვარდნილი ნაპერწკლებით აეგსო სხეული, გაბრუებულმა თვალში სინათლე დაკარგა და... ნანა გულში ისე ჩაიკრა, ვინმე მგზავრს რომ დაენახა, სოფელში საოცარ ამბავს ჩაიტანდა — ჩემი თვალით ვნახე, ჭალაში ბიჭი გოგონას ასრჩობდაო.

გურამს ეგონა, თუ ოდესმე ნანას ეტყოდა, მიყვარხარო, ქვეყანა თუ არ დაიქცეოდა, ყოველ შემთხვევაში რაღაც მოხდებოდა, შეიცვლებოდა, გარდაიქმნებოდა. გაუკვირდა, როცა ყველაფერი ასე მშვიდად დამთავრდა. კვლავინდებურად მოედინებოდა მღვრიე ცხენის-

წყალი; ჭალა უდარდელად გარინდულიყო, ცასაც არაფერი ეტყობოდა. გაოცება, არც შეშფოთება. იდგა მშვიდებული ნანა და ჩანთას აწვალებდა.

— ნუთუ ყველაფერი ეს მართალია? — გაიფიქრა გურამმა და გაკვირვებული მიაჩერდა გოგონას. კვლავ ჩაიკრა გულში, კვლავ ჩამალა სახე მის ქერა თმაში.

— გურამ, წავიდეთ, შინ გამიჯავრდებიან, — თქვა ნანამ და ვაჟის ხელეზი მოიშორა, ძირს დავარდნილი ჩანთა აიღო და გაოგნებულს ხელში მიაჩეჩა. გურამმა ნანას ხელი გადახვია. სოფლისაკენ საურმე გზას დაადგინა. ერთმანეთს მხრებით ეკვროდნენ და მიდიოდნენ გახარებულები, თვალბეჭარწყინებულები. გურამი მთელი გზა ლაპარაკობდა. ერთად ამდენი სიტყვა არასდროს წარმოუთქვამს. სულმოუთქმელად ლაპარაკობდა ყველაფერზე, — სწავლაზე, მომავალზე, სიყვარულზე. ნანა აღტაცებულ თვალებს არ აშორებდა.

გურამი უამბობდა საყვარელი წიგნების შენაარსს, უხასიათებდა გმირებს, რომლებსაც აღმერთებდა. თავდაჯერებით გამოთქვამდა საკუთარ აზრს სიყვარულზე, მეგობრობაზე, რაინდობაზე. საუბარი ისე ააწყო, სულ ბოლოს, თითქოს სხვათა შორის, ნანას შეახსენა, რა ცხარე ცრემლით ტიროდა შეყვარებული ტარიელი წყლისპირას მჯდარი და რომ მცდარია აზრი, თითქოს ვაჟკაცები არ ტირიან.

ბედნიერები მიაბიჯებდნენ. მხოლოდ მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, როცა სოფლის პირველი ჭიშკარი და ღობე-ღობე ჩარიგებული პირველი აკაცები გამოჩნდა.

— გურამ, მართალი მითხარი, — დაიწყო უეცრად ნანამ — შენ დღეს სკოლაში ძალიან აღელვებული მოხვედი. რა შეგემთხვა? რატომ იყავი ცუდ გუნებაზე?

— როდის ვიყავი აღელვებული? როდის ვიყავი ცუდ გუნებაზე?

— ამ დღით. მითხარი, ხომ იცი, არავის ვეტყვი.



— რა უნდა გითხრა? უცნაური გოგო ხარ!


— კრების შემდეგ ბაბუას მართლა არაფერი არ უთქვამს?

— არაფერი. რა სულელი ხარ, რატომ დაგიმაღავ?!..

გურამს ეწყინა, მას არ შეეძლო ნანასთვის ეთქვა, რაც შაბათ საღამოს მოხდა, — ბაბუას ჩრდილი მიადგებოდა. ბაბუა გურამს ძალიან უყვარდა და ნანასაც ასე უნდა ჰყვარებოდა.

— იცი, ბაბუა რა გულჩვილია და კეთილი? სოფელში კი ჰგონიათ, რომ მკაცრი და საშიში კაცია. ბაბუა ბებუას მირჩევნია.

— რას ამბობ, მართლა?

— დედას გეფიცები!  ამბობს!

— მე კი ბებია მირჩევნია. სოფელში შევიდნენ.

— ახლა მე გავიქცევი, უხერხულია, რას იტყვიან... — თქვა ნანამ და გულდაწყვეტილმა თვალებით უთხრა: რა გქნა, არ შეიძლება, თორემ შენთან ყოფნა მირჩევნიაო.

გურამმა გაქცეულ გოგონას თვალი გააყოლა. ნანა მოსახვევში მიიმალა.

ნოდარ წულუღისკირი
თეთრი მთა


დასასრული შემდეგ ნომერში



მერეა კახიძე

მე და შენ

ყოველდღე გულჩუმი მთები
უსმენენ გემების საყვირს,
და როგორც აპრილი — აპრილს,
მიჰყვება ნაპირი ნაპირს.
ქარი წამოდგება ადრე
და არხევს აშოლტილ ანძებს,
და გემზე მთვლემარე მგზავრებს
ზღვა ერთ დიდ აკვანში გვარწევს.
იხრება გემბანი გვერდზე
და შენ კი უშიშრად დგასარ,
მე და შენ ორნი ვართ გემზე
და ჩემს წინ შენა და ზღვა ხართ.
არც ღამე ბნელი და თალხი,
არც ზღვაზე საშიში დელვა,
არც ირგვლივ ფუსფუსა ხალხი,
აქ მართო შენა და მე ვართ!



ბახჩისარაი


ისევ ბინდდება,
აღარ ჭაჭანებს
ბაღში არავინ,
წასულა შენი
ძველი დიდება,
ბახჩისარაი.
თვით იყავ შენი
ბედის მთარსავი,

ასლან გირეი.
ახლა დამცხრალხარ.
მაგ ზღვასავით,
ალარ ირევი.

ქვეყნად არ გახსოვს
ერთი საქმეც
ლაზათიანი,
შენ მოაოხრე
და დაანაცრე
ზღვა და მთიანი.
აქ სულ სხვა ხალხი
ფუსფუსებს დინჯად
და თვლემს გარემო,
შენი ჰარემი,
მიჯრილი მიჯრად
ალარ ჰარემობს.

დრომ, წელთა ბრუნვამ
შენი სასახლე
არივ-დარია.
და შენს ბრმა სახეს
გამოჰპარვია
ქერა მარია!
გულს აჭიანებს
ულღეთო ჰარემის
შემოგარენი,
ღმერთი არ იყო?
კაცი არ იყო?
მათი მფარველი!


შენ გაგაჩინა
ქვეყნად ალაჰმა
სადარდუბალოდ.
შენ აპატიე
ცოდვა ალაღად,
სად ხარ, უფალო!



მე როგორ დავთმომ

ლამის სამშობლოს ცა დაგავიწყოს
ჩემზე ფიქრმა და ჩემმა კუთხემა,
თითქოს თბილისში ხატი არ იყოს,
შემდგახარ ჩემდა ლოცვა-კურთხევად.
თბილისი არის ჩემი მანძილი
გზა თბილისამდე — ჩემი მანძილი,

ჩემს გამო რომ ხარ დაღონებული,
განა ეს ჩემთვის არის ადვილი?...
მე, გოგოს, გაზრდილს ქართულ ენაზე
შენი სიმღერა როგორ ამაგზნებს,
ძნის ულოსავით ვარ ჩაფრენილი
ამ მთებს, ამ მზეს და ქართულ სავაზეთს.
ჩემთვის უცხო და უცნობ ენაზე
როგორ გაგანდო გულის სათქმელი,
შენ რომ მოგიშვეს ან კი ჩემამდე,
განა ცოტაა კარგი ქართველი.
მე თუმცა ვიცი, სიმართლეს ვამბობ,
მაინც რატომღაც მქეჯნის სინდისი,
შენი გულისთვის მე როგორ დავთმო
ჩემი გრემი და ჩემი მშვილდისი.
თითქოს თბილისში ხატი არ იყოს,
შემდგახარ ჩემდა ლოცვა-კურთხევად,
ლამის სამშობლოს ცა დაგავიწყოს
ჩემზე ფიქრმა და ჩემმა კუთხემა.



ნეტავ ასე მატარა!

ძველ ბილიკზე მივდივარ,
სიხარული დიდია,
როგორც თოთო პატარა,
ზურგზე ამიკიდნია
სველი ფიჩხის გუდურა...
ქარი უვლის ბინდიანს,
ქარი ენატარტარა.

ნეტავ ასე მატარა,
ცხრა მთა გადამატარა,
მაპოვინა ბარდებში
ქვანასროლი შოშია,
სადმე დამიღამდება,
სადმე პური მომშივა.

გზა-გზა მოვეუთაროებ
სიმინდების ტაროებს,
გავეხვევი ნებივრად
ქართული მზის საბანში,
ბირკა კალთებს ამივსებს
და მზით სავსე
წავალ შინ!

დგანან მზესუმზირები,
როგორც თაფლის ფიჭები.

კიბე-კიბე შეკრეჭილ
თმებით დგანან ბიჭები,
და მეც მათ მარაქაში
ნაკადივით ვიჭრები.
ახლა აღარ მგონია,
წისქვილის გზა საძნელო,
ჩემი სოფლის გორასთან
თუ მთავრდება სამზეო.

ეს დღე ისე კარგია,
ლამის დაიკოცნება,
ფეხშიშველა წასულა
ხევ-ხევ ჩემი ოცნება!

☆ —————

რაგინდ ახლოსაც არ გყავდი!

სადაც არ იყო ბილიკი,
დავეცი ნაბილიკარი,
ყველგან, სადაც კი წავედი,
დედილას ჯავრი ვიყავი.
ყველგან ვიარე, საითაც
მზე მწვავდა მოჭირნახულე,
დაგშორდი ერთი წამითაც,
სულ ყველგან მომინახულე.
დედილავ, ყველას კარგ თვალებს
შენი თვალეები მერჩიოს,
რაგინდ ახლოსაც არ გყავდე,
დარდი მკლავს სამისდღეშიო.
შენ გტკივა, ქვეყნად ვინმე კაცს
გულშიაც თუკი ვემდური,
მე თავქვეშ მიდევს იმედად
ეგ შენი გუთნისდღეური.
ღმერთმა ნუ გამაბედინოს,
ნაცნობის სალამს არ ვენდო,
შენი სიცოცხლე, დედილო,
გადიქცეს საალაღბედოდ.
გინდაც არ დარჩეს ქვა ქვაზე,
ეგ შენი ზეცა მერჩიოს,
რაგინდ ახლოსაც არ გყავდე,
დარდი მკლავს სამისდღეშიო!


☆ —————

☆
მედა ბახიძე
☆
ლექსები

კერასთან ჯდომით გული დაბერდა.
და ჭურჭელივით დავცარიელდი.
მე მენატრება ჩემი ხავერდა,
ცა და ცის ლურჯი დასალიერი.
დარუებული მთების ნიავი,
ცისა და მიწის მწვანე ატლასი,
ასა, განთქმული თავის სიავით,
და მზე, ზედ ტანზე შემოსატმასნი.
მე მესიზმრება როშკის რიყე და
კლდეზე გაჭრილი ჩემი იმედა,
რომ გამიმეტა დასაბრეყვებლად,
დასალუბავად რომ გამიმეტა.
მე თუმც კარაფებს ვერ გავუძელი.
და ღდემდე ვითვლი ტანზე ბუსუსებს.
მე მენატრება როშკის ღრუბელი,
ცაზე უსაქმოდ რომ დაფუსფუსებს.
მე მენატრება თითო-თითო ხე,
ჩრდილებს რომ ხატავს მთებში დილ-

დილით.


უშენოდ არის ჩემი სიცოცხლე
წყალწადებულის ხავსზე ჭიდილი.
უშენოდ გული გამომეფიტა,
და ჭურჭელივით დავცარიელდი,
მე მომენატრა შენი თეთრი მთა
და შენი ლურჯი დასალიერი.



ჰე, ჰეი, თურმანაულო!

მოიზავთება არაგვი,
გზა-გზა უსიერ ჭალას ჰგვის,
თურმანაული უძილო
დამეებს ითვლის არაგვის.
მე ვიცი, თურმანაული,
არაგვო, მაგ შენს კალმახებს
უგულოდ გვერდს ვერ აუვლის,
უსტუმროდ ხელსაც არ ახლებს.
ჰე, ჰეი, თურმანაულო,
ფშაურ სინდისის წმინდანო,
შეგვინდოს სტუმართმრავლობა
მაგ ხელხვაიან მიდამომ.
მე თქვენში ვნახე აქამდი,
რაც არ მქონია ნანახი,
ფშაველი ხირჩლას კარნახით

შამფურზე შევწვით კალმახი.
იმ ღამეს ფშავის ჭალებში
ბევრი სიმღერა გავხიზნეთ.
და მხოლოდ მამლის ყვირლზე
დავემშვიდობეთ მასპინძელს,
შენი სუფრიდან გაპარვა
თითქმის არავინ იკისრა,
თან წაგვეყვა სუნი ფიჭვის და
გემო ფშაური ხინკლისა.
მოიზავთება არაგვი,
გზა-გზა უსიერ ჭალას ჰგვის,
შენს მეტმა იცის არავინ,
რას ამბობს ფშავის არაგვი!



უსათაურო

მე გულს იმედის სხივი წავართვი,
და ჩემს ტკივილზე სიტყვაც არა ვთქვი,
და შენ მაღლდები ჩემს წინ თანდათან,
როგორც მაღლდება შორი აღმართი.
მეუბნებიან, გული ჩარაზე
და ყველაფერი ყველგან არა თქვა,
ჩემს ოცნებაში მე შენ გაგზარდე,
როგორც მუხას ზრდის მიწის ბარაქა.
შენ გახდი სხვათა ნავსაყუდელი,
და მე არასდროს გზას არ გამიკვლევ.
მივდივარ შენგან, როგორც ღრუბელი
და თვით არ ვიცი, მივალ საითკენ.



ქვემოთხედი

საქართველო

აღიარება გუბერალის დროებითი
რევიზია დადგომდა

ექტომბერი ილეოდა, ციოდა. ალიოშა გუბელაძე ტახტზე იწვა, ჭერს შეჰყურებდა. თხელი, საზაფხულო საბანი წაეხურა, ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოწყობილი. საბნიდან ძველი შარვლის ტოტები და კრელი წინდები მოუჩანდა. გვერდით, უზურგო სკამზე წამლები და სქელი წიგნი ეწყო.

ეს კაცი ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო გატანჯული. მისი ორგანიზმი დიფსომანიას შეეპყრო. მართალია, ახლა ზოგიერთი ფსიქიატრი-კლინიცისტი დიფსომანიას ქრონიკულ ალკოჰოლიზმს აღარ აკუთვნებს, მაგრამ ეს ვარაუდი ეჭვქვეშ არის დაყენებული და ესეც არ იყოს, ალიოშა გუბელაძე არაფრით

არ ამტკიცებდა იმას, რომ ქრონიკული ალკოჰოლიზმი სხვა იყო და დიფსომანია სხვა. ალიოშას ჰქონდა სმენითი პალუცინაციები და ერთ დროს თეთრი ცხელებაც კი გადაიტანა. იყო დღეები, როდესაც სასმელი აუტანელ ზიზღს გვირგვინდა, მაგრამ მის ცხოვრებაში შეტევიითი ხასიათის მოვლენებს უფრო დიდი ადგილი ეჭირა, ვიდრე ნათელ პერიოდებს.

სწორედ ახლა იყო ამ დღეში ალიოშა. დროებითი რევიზია დადგომოდა; არყისა და ღვინის გახსენებაზე გულს ეყრებოდა.

ალიოშა რამდენიმე საათი იწვა გაუნძრევლად. ფიქრობდა ყველაფერზე. ფიქ-

რობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაფანტული ასოციაციებით.

დღე იყო მოღრუბლული, უფერული. ეზოში ალიოშას ექვსი წლის ბიჭი გიორგი მარტო თამაშობდა. რაღაც რკინის და თუნუქის ნაგლეჯებს ახრივინებდა.

გივიმ ხის ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა. გიორგიმ იმწამსვე შეამჩნია, შორიდან გაუცინა და რაღაც დაუძახა.

— მოდი, შე თათარო, აქ! — ხმადაბლა უთხრა გივიმ.

— მომიტანე რამე? — შორიდან იკითხა გიორგიმ.

გივიმ თავი გააქნია.

გიორგი დაიჭყანა და თამაში განაგრძო.

ბიჭი იყო გამხდარი, თავის ასაკთან შედარებით მაღალი: თეთრი და ფერმკრთალი. ოდნავ ნერვიული, მაგრამ სხარტი და ცოცხალი. ეს იყო ალიოშას ნაბოლარა, საფიცარი შვილი. იგი ალიოშას ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დაიბადა.

ალიოშა გუბელაძე, ყოფილი ისტორიის მასწავლებელი თავის დროზე მთელ ქალაქში პატივცემული კაცი იყო. ფრონტზე თავისი სურვილით წავიდა, მაგრამ მისი საქმეები ისე არ დაეწყო, როგორც მას ეგონა. საკონცენტრაციო ბანაკებმა და ციხეებმა გატეხა და გაანახევრა მისი ჯანმრთელობა. სახლში ცუდი დღეების მოგონებანი, მრავალი ჭრილობა და სუფთა სინდისი ჩამოიტანა. მოქეიფე და მომლხენი ადამიანი ღვინომ და ავადმყოფობამ დაჯაბნა. ორმოცდაცხრა წლის ბრვე კაცი პენსიას იღებდა; სვამდა და ერთი დარდი აწუხებდა: უნდოდა გიორგი გაეზარდა ისე, როგორც საჭირო იყო. შვილის აღზრდაში გადაჭარბებულ ღონეს ხმარობდა და ზოგჯერ ზედმეტ სიმკაცრეს ამჟღავნებდა.

გიორგის სულ არ ეშინოდა მამის, მაგრამ ავადმყოფი მშობელი ეცოლებოდა. გიორგის მამა ძალიან უყვარდა, შეიძლება — იმაზე მეტადაც, ვიდრე ეს მისი ასაკის ბავშვს შეეფერება. იგი ხშირად ნერვიულობდა მამის გამო. როდესაც ალიოშა შინ იჩხუბებდა, გიორგი

ტიროდა და ღამით ცუდ სიზმრებს ნახულობდა.



ეზოში ფოთოლშეცვენილი კომშის ხე იდგა. მცენარე ნადრევად გაეკრიფა ვილაცას, მაგრამ კენწეროში კიდეც იყო შერჩენილი რამდენიმე ბია. გივიმ ხის წვეროს ჭოლოკი დაცხო, ვერაფერი ჩამოაგდო. მერე ხეზე გავიდა და რამდენიმე ტოტი შლივინით ჩამოხეთქა. ბიები ღობისძირში მიგორდა. გივიმ აკრიფა და პერანგის სახელოთი გაწმინდა. ერთი ბია გიორგის მისცა, ერთი ქვის მაგიდაზე დასდო; თვითონ გადანაჭერ ხეზე დაჯდა და ბია ჩაკბინა.

ფანჯარაში ალიოშას მეუღლე გადმოვდა.

— ბიჭო, გივი, მოდი აქ! — წყნარად დაუძახა ქალმა.

გივი ახლოს მივიდა და გამარჯვება უთხრა.

— ნახე, რა მიქნა ბიძაშენმა?! — საღამზე ქალმა არ უპასუხა, მხოლოდ დილაგებულნი თვალი აჩვენა და რატომღაც გივის გაკვირვებული მიაშტერდა. გივიმ იმწამსვე ინანა, ბიების სიყვარულმა რომ ამ ეზოში შემოახვევინა.

— სადაა თვითონ? — იკითხა მცირე ხნის მერე და დიდი ლუკმა გადაყლაპა.

— ოთახში წევს. მაგრად მაქვს ხომ ჩალილაგებული? — იკითხა ქალმა. ამ კითხვაში თითქოს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა იყო და მეტი არაფერი; არც აშკარა საყვედური თავის ბედზე, არც წუწუნის გათხოვებაზე არ იგრძნობოდა.

გივი უგულოდ ავიდა დაბალ ქვის კიბეზე. ალიოშას ოთახში ჩახუთული ჰაერი და წამლის სუნი იდგა. გივი უხმაუროდ დაჯდა სკამზე. ალიოშას არც მიუხედაია. გივიმ ოთახი შეათვალიერა; ფერდაკარგულ, ჩამოგლეჯილ შპალერსაც ახედა.

— რაო, რას გელაპარაკებოდა? — იკითხა უცბად ალიოშამ. გივი შეკრთა, ამ კაცს ზარასავით ხმა ჰქონდა.

— არაფერს.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

— არაფერს...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვცემე გუშინ! — თქვა ბოლოს ალიოშამ და ოდნავ ჩაიციხა.

— რატომ? — დაუფიქრებლად ჰკითხა გივიმ.

— იმიტომ... — ბრაზიანად ჩაილაპარაკა გუბებლად.

გივიმ იცოდა, ბიძამისი სიმთვრალეში ცოლზე ექვიანობდა. ეს ისეთი საფუძველსმოკლებული და სასაცილო ამბავი იყო, რომ თვითონ ალიოშა სიფხიზლეში თავის თავზე ბრაზდებოდა.

— მამაშენს არ ეკადრება აქ მოსვლა...

— ბია ხომ არ გინდა?

— გადაშენდი იქით!

გივიმ ბიის ნაღინჯარი საფერფლეზე დადო და უზარმაზარი, სქელყდიანი წიგნი გადაშალა. ეს იყო ბიბლია, ქართული გამოცემა. გივის არასოდეს ეს წიგნი ხელში არ სჭერია. თავსართს დააკვირდა, მერე პირველი გვერდი გადაათვალიერა.

თავფურცელზე უცნაურად მშვიდი ცხოველები ეხატა. ხეზე გველი იყო ვენახივით დახვეული. „წიგნი ქმნისა აღწერილი მოსესი კაცისა ღუთისა შჯულის მღებლისა და წინასწარმეტყუელისა“. გივიმ მერე სხვა გვერდები გადა-

შალა და სათაურებს დააკვირდა. ამ საქმით ძალიან გაერთო. „და იყო დღეთა მას მსაჯულთა შჯასა, იყო სიყმილი ქუეიყანასა ზედა, და წარვიდა კაცი ბეთლემელი ჰურისატანისად...“

— ამას კითხულობ?

— ვინ გკითხავს, ბიჭო, შენ?! — შეუბღვირა ალიოშამ.

ოთახში ისევ სიჩუმე დადგა.

ეზოში გიორგი ახრიგინებდა რაღაცას.

გივი კედლის ძველ საათს მიაჩერდა. „როგორც ისრები გასწორდება, წავალ“, — ფიქრობდა იგი.

— მე, ბიძია, აგერ წამლები, ნახე...

გველები, ვსივდები ნელ-ნელა. — ალიოშამ შარვლის ტოტი აიწია. გივიმ ცალი თვალი შეავლო შიშველ ფეხს. — არავის არ ჯერავს რომ ცულად ვარ; როცა მოგკვდები ხომ დაიჯერებთ... ეს არი საქმე!.. გამკითხავი არ მყავს სიკვდილის წინ!

გივიმ არ იცოდა, რა ეპასუხა. იგი კარისაკენ იხედებოდა, იქნებ ვინმემ შემოაღოსო. ეზოში გიორგი ახრიგინებდა თუნუქის ნაჭრებს და თან ყვიროდა: — ტრაბ, ტრაბ, ტრაბ!..

გივის შეეცოდა ეს გამხლართული, კაცი, რომელიც ყოველ გამოფხიზლებაზე ასე კვდებოდა, თუმცა დღეს არც მთლად ისე უსაფუძვლოდ.

დაუძველებელი დილა

ია წითლიძეს მამინაცვალი ალიონზე გამოვიდა სახლიდან. საუცხოო ამინდი იდგა. მზე დღითი დღე აგვიანებდა ამოსვლას და გვიანობამდე სუსხავდა. იმ დღეს კი სუფთა ჰაერს ნიავი არ არხევდა.

კარგმა ამინდმა ტიტე ბეჭკაია სულ სხვა გუნებაზე დააყენა. დიდხანს იდგა უკაცრიელ ქუჩაში. ტროტუარზე ახლახან მოესხურებინათ წყალი. წულუკიძის ბაღის გაღავანთან მოხუცი მებადე ჭადრის ოქროსფერ ფოთლებს აგროვებდა.

ტიტეს მოგრძო სახე და უცნაური გამოხედვა ჰქონდა. მარჯვენა ყბაზე ვერცხლის კბილები ჰქონდა ჩაყოლებული.

არასოდეს პირს არ მოკუმავდა, სქელი ტუჩები მუდამ ღრეჭოდ ჰქონდა დარჩენილი.

ტიტემ მინით გადახურული ბაზრის შესასვლელი დერეფანი გაიარა. მარჯვნივ, რკინეულობის მაღაზიასთან კალათებიანი ბიჭები ისხდნენ. ტიტემ იქით მიიხედა და ერთი გამხდარი, თხელწვერა ბიჭი იმწამსვე წამოვარდა, ტიტეს გაჰყვა. ბიჭს გრძელი, სუფთა კალათი წამოეცვა მკლავზე; კალათში ახალი გაზეთი იყო ჩაფენილი.

ბაზარი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. მზე ამოდით და მოპირდაპირე გორაზე

მდგარ, ბამბასავით თეთრ საყდარს ანათებდა. შვიდელები გვერდს ვერ უტყვევდნენ ერთმანეთს. ვრცელ მოედანზე ჩარდახებიანი დახლები იყო გამწკრივებული. მოედანს მალაზიები და აივნისანი სახლები ერტყა. ხალხი სკასავით ზუზუნებდა.

ტიტემ მეყასბეებს ჩაუარა. ბრჭყვიალა ჩანგლებზე სხვადასხვა ზომის ხორცის ნაჭრები კონწიალობდა. ნაცნობმა მეყასბემ ძროხის ბეჭი ნაჯახით გააპო; მერე ჭრელტარიანი დანა წინსაფარზე აისვა და ბეჭი შუაზე გადაჭრა. ტიტეს შორიდან დაანახვა და ისე წამოიღო, თითქოს ხორცი ხელებს წვავდა. აწონა, ბიჭს კალათში გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ფურცლები ჩაუფინა და ხორციც ზედ დაადო. კალათი დამძიმდა და გამხდარ ბიჭს ხელიდან კინალამ გაუვარდა.

გრძელ, სიძველისაგან განაცრისფერებულ დახლებზე მწვანელი იყო დახვავებული. აქ იყიდებოდა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ბოსტინული. წყალმოსხურებული ჯუჯა ოხრახუში მწვანედ ბზინავდა; მაჯის სიმსხო პრასი თევზებით ეყარა.

ქვის გალავანზე ყურძნით გავსებული ურმის დაწნილი ძარები აფეფრდებინათ. ციცქა და ცოლიკაური აერიათ გლეხებს ერთმანეთში. იზაბელაც იყიდებოდა და შავი ჯვარისულიც. გადახურულში კიდევ ეწყო ნესგები და საზამთროები.

— რა ღირს, ბიჭო, ხაბურზაკი? — კითხულობდა ვიღაცა.

მემწვანელებების იქით ხილს ყიდდნენ. ლევობა ილეოდა, მაგრამ დახლები მაინც ლევებით იყო გავსებული. მოშორებით დასაწური ბროწეულები და ქარვისფერი ბიები ელაგა. იმ გაყოლებით კიდევ ათასნაირი ხილი მოჩანდა.

ტიტე დაფიქრებული დადიოდა. ბიჭი გამვლელ-გამომვლელს ედებოდა და ტიტეს ფხაკურით მისდევდა. ტიტე ფიქრობდა, რომ „მთავარი ქვეყანაზე ფულია, მაგრამ თუ დაუკვირდი, ფული მაინც არ არის ყველაფერი“.

აქამდე ტიტესათვის მხოლოდ ერთი მცნება არსებობდა: ფული ყველაფერია. ბოლო ხანებში მან ამ ჭეშმარიტებაში

ეჭვი შეიტანა. ლამლამობით თავის ტოვილები დასჩემდა და შეიძლება მის ბრალი იყო. დღეს კარგმა ამინდმა და საუცხოო ჰაერმა თითქოს კარგ გუნებაზე დააყენა, მაგრამ ნამდვილად მოეჩვენა, რომ შეიძლება კაცს ფული გქონდეს, მაგრამ მთავარი სულ გვერდზე დარჩეს; ვერასოდეს იმ ფულით ის მთავარი ვერ იშოვნო, ვერ იყიდო, რადგან ხშირად იგი უპოვარია: ბედნიერება ფულით არ იპოვების.

ტიტეს გაახსენდა, ბავშვობაში მოწამეთის კირქვიან გორებზე ფეხშიშველი რომ დასდევდა ძროხებს. ძროხები ძალიან ცნობისმოყვარენი იყვნენ; როდესაც ვინმე უცნობი გამოივლიდა, შეჩერდებოდნენ და უცხოს მიაშტერდებოდნენ.

ტიტე წყალწითელას ნაპირზე იჯდა. ნაცრისფერ კლდეებზე ბზა და ასკილი ხარობდა. დროდადრო მთის თავზე მატარებელი გაივლიდა. ქვევიდან ვაგონები სათამაშო კოლოფებივით მოჩანდა. ბორბლები მწყობრად მისრიალებდა ერთ სწორ ხაზზე. ტიტე უყურებდა მატარებელს და ფიქრობდა. კლდის ნაფხვენ ექვსკუთხა კენჭებს ლილისფერ წყალში ჰყრიდა. გამჭვირვალე წყლის ზედაპირზე რგოლები კეთდებოდა; რგოლები იზრდებოდა და მერე შეუმჩნევლად, უხმაუროდ ქრებოდა. ტიტე უყურებდა მატარებელს და უცდიდა, როდის გამოივლიდა სხვა. სად მიდიოდა მატარებელი, ტიტემ არ იცოდა, საიდან მოდიოდა, — არც ისა. მინდორში ძოვდნენ ძროხები და მოზერები კუჩა და აღმასა. ეგონათ, ამ მოზერებს საყანწე რქები დაუდგებოდათ. ტიტემ ვერ გაიხსენა, კუჩას და აღმასას მართლა დაურჩათ საყანწე რქები, თუ არა.

ტიტემ ბევრი რამე ვერ გაიხსენა. რაღაცაზე გული დაწყდა. მიხვდა: იწიველარასოდეს დაჯდებოდა წყალწითელას ნაპირას ფეხშიშველი. „მალე ხომ არ უნდა მოგკვდე, ნეტავი!“ — გაიფიქრა მან და გუნებანაქცივი წავიდა სამსახურ-

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ში. კალათიანმა ბიჭმა ქვის პატარა შადრევანზე წყალი დალია და ბექვანიას სახლისაკენ მოუსვა.

იმ დღეს აიას მოქალაქენი, უმეტესად ახალგაზრდები, დილიდანვე გამომზურდნენ ბაღის კიდეზე, სასტუმროს პირდაპირ და ძველი თეატრის გაყოლებით. ვაჟებს შავი, წვეტიანი ფეხსაცმელები და ასეთივე ფერის კოსტუმები ეცვათ.

ძველი თეატრის ყრუ კედლის გაყოლებით, ბაღის მესერსა და ფოთოლშეცვენილ ხეთა ძირში სასიამოვნო სითბო და სურნელი იდგა. ბაღში პენსიონერები და ბაზრიდან შინ მიმავალი მოქალაქენი ისვენებდნენ.

პატარა, სუფთა ქუჩები ჯვარედინად კვეთდა ერთმანეთს. მსუბუქი მანქანები ნელა, უხმაუროდ დადიოდა. მანქანაში მსხდომნი ესალმებოდნენ მოსეირნებს, ანდა პირუკუ, ქუჩაში მდგარი ახალგაზრდა ეტყოდა მანქანის მძღოლს გამარჯობას.

ეს მიდამოები აიელთა უსაყვარლესი ადგილები იყო. კვირა დღით, ასეთ კარგ ამინდში დილიდანვე აქ გამოეფინებოდნენ ხოლმე. აქ გებულობდნენ ახალ ამბებს, უსმენდნენ რადიოს ფეხბურთის თამაშის დროს და ფეხზე მდგომნი ისვენებდნენ. თუ გაჭირდებოდა, რომელიმე მათგანი ნიდაყვს ღობის დირეს ჩამოაღებდა. ქვის დაბალ მოაჯირზეც შეიძლებოდა დაჯდომა, ოღონდ ძირს ცხვირსახოცი უნდა დაგეფინა.

შუა ქუჩაში გავლებულ თეთრ ხაზზე მსუქანი მილიციონერი ვალიკო შაშვიანი დააბიჯებდა. იგი კმაყოფილი სახით და გაპრიალებული ჩექმებით დადიოდა.

— გედენიძე, რო გაგსივებია თავი, საათია გიყურებ, ერთ ადგილზე დგახარ!

— ვალიკო ბიძიას გაუმარჯოს, როგორ ბრძანდებით? — მოიკითხა გედენიძემ.

— წახვალ, თუ წაგიყვანო? — შეეკითხა ვალიკო.

— წავალ წავალ, გამარჯვებით, კარგად! — გედენიძე ღრეჭით მოშორდა იჭაურობას.

ვილაც ბიჭმა უადგილო ადგილზე გადმოჭრა ქუჩა.

— დაბრუნდი უკან! — დაუმახმართლა ვალიკომ.

— გადმოსული ვარ ბარეღამ და გამიშვი!

— დაბრუნდი უკან, ამხანაგო! ბიჭი არ გაჩერებულა, ოდნავ გაუხვია გვერდზე და ქვაფენილზე ავიდა.

— რა კაცი ხარ, ვალიკო ბიძია, რამხელა გზა მომარებიე! — გაეცინა ბიჭს.

— რა შვილი ეზრდები მამაშენს! — ჩაილაპარაკა ვალიკომ.

ფილარმონიის სალაროსთან რიგი იდგა. საათთან თეატრის მსახიობები ლაპარაკობდნენ.

ვინ იტყოდა, ეს განწყობა ასე გაგრძელდებოდა ბოლომდე. საკმარისი იყო წამოეწვიმა, ან შედამებისას აცივებულ იყო, რომ ზოგიერთებს სახე შეცვლიდა. ისინი შინ გარბოდნენ და ქულებითა და საწვიმრებით ბრუნდებოდნენ უკან. შემდეგ ისე საქმიანად იკავებდნენ ადგილს სასტუმროს ვესტიბულსა და სადარბაზო შესასვლელებში, თითქოს აუცილებელ მოვალეობას ასრულებდნენ.

უფრო გვიან კი, როცა უამრავი ფანარი აინთებოდა და უგემოვნო ვიტრინების მბჟუტავი სინათლე სველ ტროტუარს დაეფინებოდა, გარეთ დარჩენილი ერთი მუჟა ხალხი სასადილოებსა და რესტორნებს აფარებდა თავს.

გივი წითლიძემ იმ დილას მუხებში ბურთი ითამაშა. მერე ცივ წყალში იბანავა. გრანიტისფერი წყალი არხში მძიმედ და სწრაფად მოდიოდა. გივი ეწვავა, მაგრამ მდინარე ვერა და ვერ გაჭრა ერთ სწორ ხაზზე; ზუსტად პირდაპირ ვერ მიცურდა, მაგრამ ბევრიც აღარაფერი დაკლებია და არ გაჯიუტებულა: სხვები ამასაც ვერ ახერხებდნენ. წყლიდან ამოსვლისას ბეტონის ნაპირზე ფეხი უცურდებოდა და ბორძიკობდა.

ბაღის კიდეზე გივი ცოტა მოგვიანებით გამოვიდა. ჯერ სასტუმროსთან შეჩერდა, მერე ქუჩა გადაჭრა და ძველ თეატრთან, საათის ქვეშ დადგა. იქიდან ბევრად იოლი იყო ნაცნობის დანახვა.

ვალეკო მილიციონერმა რამდენჯერმე შეავლო თვალი გივის, მაგრამ არაფერი უთხრა. „აჰა, ვაცლი, რამდენ ხანს იქნება ერთ ადგილზე გაჩერებული; თუ თვითონ წასვლას მოიფიქრებს, კისერს მოვიჭრი“ — ფიქრობდა ვალეკო. როდესაც მან საათთან მესამედ ჩამოიარა, გივი შეტრიალდა და თეატრის აფიშას მიაშტერდა. აფიშა რამდენჯერმე ჩაიკითხა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა. გრძნობდა, უკან ვალეკო უდგა და ზურგს უზურღავდა. ამ ყოფაში რამდენიმე წუთი გავიდა.

— მეგობარო! — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ვალეკომ. გივი მიტრიალდა და მილიციონერს გულუბრყვილოდ შეხედა.

— ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ, სწავლობ სადმე?

— კი, ბატონო, მეთერთმეტე კლასში ვარ.

— აჰა, ესე იგი მეთერთმეტე კლასში ხარ!

— ნამდვილად.

— აჰა, მე, ვალეკო შაშვიანმა, სამი კლასი დავამთავრე და შვიდჯერ წავიკითხე მაგ აფიშა... შე დალოცვილო, ამდენს რას კითხულობ... ბიჭო, სხვა ხო არაფერი წერია შიგ, მიმიშვი, გაფიცებ ყველაფერს!

გივიმ ძლივს მოასწრო გვერდზე ვაღგომა. ვალეკო მოხდენილად, ისე რომ ქამრიდან ბლუზა არ ამოვარდნიდა, შეხტა ტროტუარზე და აფიშას მიადგა.

— რა უნდოდა, ბიჭო, ამის წაკითხვას?!

— არაფერი.

— კიდევ კაი, რომ თქვი. რამდენი წლის ხარ?

— ოცდაერთის, მეტის...

— არ იცი ზუსტად რამდენის ხარ? — გაუკვირდა ვალეკოს.

— როგორ არ ვიცი! — გაეცინა გივის.

— ჰოდა, თუ იცი, წადი, გაიარ-გამოიარე...

— კი, ბატონო, კარგად იყავი!

ღია ორ მაღალ ბიჭს მოჰყვებოდა. გივიმ ქალიშვილი იმწამსვე შეამჩნია, როგორც კი ვალეკოს დაშორდა. გივის მოეჩვენა, რომ ღიამ მას თვალი მოჰკრა, პირდაპირ ქალისაკენ წავიდა; გაიღიმა

კიდევ. ღიამ ბიჭებს მკლავში მოჰკრდა ხელი და ქუჩის მეორე მხარეს დაამირა გადასვლა. გივიმ ფეხს აუჩქარა.

ღიამ მხოლოდ მაშინ მოიხედა, როცა საჭიროდ მიიჩნია; გივის ზრდილობიანად მიესალმა და გზა განაგრძო. გივი არ შეჩერებულა, ვითომ სხვა გზით მიდიოდა, ისე ჩაიარა, მაგრამ ცუდად გახდა. მოეჩვენა, რომ ღიას თანამგზავრმა ბიჭებმა, რომელთაც ძალიან კარგად ეცვათ, გაიცინეს. სწორედ ეს აკლდა მის თავმოყვარე ბუნებას. მღელვარებისაგან სახეზე წამოწითლდა. „ახლა კი მივქარე!“ — გაიფიქრა და სიბრაზისაგან ტუჩები მოიკვნითა.

სრულიად მოულოდნელად ქალი მისთვის ისევ შორებელი და მიუწვდომელი გახდა.

გივის თავი ეტკინა; პაპიროსი გაზონში ისროლა. „ესაა, მგონია, რომ მკლავს“, ჯიბიდან სიგარეტის შეკვრა ამოიღო, ხელში გასრისა და სანაგვეში გადაუძახა. ყველაფრის ხალისი დაეკარგა. „სახლში წავალ და დაწვები“, — ფიქრობდა იგი. რატომღაც სარკვეში ჩახედვა მოუნდა. ცალი ხელით მოკლე ქოჩორს წვალემა და ერთ მხარეზე ტკეპანა დაუწყო.

ღია ბიჭებს მალე დაშორდა. შინ მიმავალმა გივი გაიხსენა და არ უნანია, რომ სალაპარაკოდ არ გაუჩერდა.

იას წითელი საზაფხულო პალტო ეცვა. წვრილქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარი, ნოდარზე მაღალი ჩანდა. ისინი ერთად მოდიოდნენ, ნოდარი ტროტუარის შემადლებულ ნაწილზე სიარულს ცდილობდა. ქუდი ხელში ეჭირა. შემეჩხრებულ თმას ნიავი უწეწავდა. ია ხშირად იხედებოდა ძირს, ჩანდა, ახალი ფეხსაცმელი მოწონდა. თმა ოქროსფრად შეეღება, შეენოდა.

ნოდარმა ვიღაც ბიჭს ქუდი დაჰკრა ბეჭზე. ის ბიჭი იას მიშტერებოდა და ნოდარი ვერ შეამჩნია. დარტყმაზე შეხტა, მერე ნოდარის გაუღიმა: რას შვრები, რას მერჩიო. ხალხს ვერ ცნობო? —

რეზო ქეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

უთხრა ნოდარმა. ბიჭმა გაიღიმა და უკვე შორიდან დაუძახა, როგორ ხარო.

ნოდარი და ია გივის ბაღის შუა კართან წამოეწივნენ. გივის გაეხარდა მათი დანახვა, მაგრამ რატომღაც შეკრთა, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრეს; გულმაც აუჩქარა.

— ლიამ ჩაიარა, — უდარდელად თქვა იამ, გივის გაუცინა. ნოდარმა ეშმაკურად აახამხანა თვალეები და გვერდზე გაიხედა.

— ვიცი, ვნახე, — ცივად უპასუხა გივიმ.

— მართლა გიყვარს? — მოურიდებლად ჰკითხა იამ.

— მიყვარს არა... — ჩაილაპარაკა გივიმ.

ქალმა თვალეებში ჩახედა, თანაგრძნობით გაუღიმა და მეტი აღარაფერი ჰკითხა.

ბაღის ბოლოში სამთავენი მდუმარედ გაჩერდნენ. გივი სულ არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. ნოდარი ქუდს ათამაშებდა და რაღაცაზე ეცინებოდა. იამ რამდენჯერმე დახედა ფეხსაცმელს და მერე გივის უთხრა:

— ნოდარს ახლა შენთან ვაგზავნიდი.

— რატომ?

— იმიტომ.

იამ გაიღიმა და წყნარად, თითქოს მორიდებით თქვა:

— ამ საღამოს მოდი ჩემთან, ჩვენი კლასელები იქნებიან.

გივიმ სითბო იკრძნო და დროებით ყველაფერმა გაუარა.

— კი, მოვალ, — დაპირდა იას.

ია ბიჭებს დაემშვიდობა და შინისაკენ გაუხვია.

მეგობრები უბრად დარჩნენ. გივი ისევ ცუდ ხასიათზე დადგა. უზარმაზარი ჭადრები შრიალებდა და ასფალტზე ხმელი ფოთლები ცვიოდა. მოსეირნენი ისევ დადიოდნენ აღმა-დაღმა. მზე ახლა თავზე დადგომოდა აიას.

— საბილიარდოში ვავიაროთ, — თქვა ნოდარმა.

— რა ჭირი მინდა?!

— წამო, ტყულა.

— არა, სახლში წავალ.

— რა გინდა სახლში, სიცხე ხომ არ გაქვს?

გივიმ წასვლა დააპირა, ნოდარმა მკლავში მოქაჩა.

— მომეფი ახლა! — შეუღრინა გივიმ. ნოდარმა ქამარი ამოუწია.

— რა იყო, რა ზეთი ჩამოგდის?!

გივიმ ამხანაგს ხელი აუკრა. იგი ძალიან გაბრაზდა. იმ წუთას ეზარებოდა ნოდარი; ვერ იტანდა, რომ ასეთი კმაყოფილი ჩანდა რაღაცათი. ნოდარი ხვდებოდა, გივი რომ ბრაზობდა, ეს უფრო ახალისებდა და მეგობარს ქუდს უთამაშებდა ცხვირწინ. გივიმ ხელის გარტყმად დაუპირა, მაგრამ ნოდარი მოულოდნელად შეტრიალდა და სტეგენა დაიწყო. გივი უხმოდ წავიდა შინისაკენ. ამხანაგმა თვალი გააყოლა.

ნოდარი ერთხანს გაუძნრეველად იდგა, მერე ნელა წაყიალდა. საგაზეთო ჯიხურში გერმანული გაზეთები იყიდა, სურათები გადაათვალიერა და გაზეთები გრძლად დაკეცა. თუ კი სადმე წაეწიოდა, ყველა უცხოურ გაზეთს ყიდულობდა განურჩევლად. სათაურებსა და სურათებზე ხვდებოდა, საით იყო წაღმა და უკუღმა.

ნოდარმა გაზეთები მუხლზე დაიტყაპუნა. ქუდი და ნავაჭრი ერთ ხელში დაიჭირა და გზა განაგრძო.

ნოდარი ბილიარდს კარგად თამაშობდა. ერთ დროს საკუთარი ძელისტარიანი კიც ჰქონდა. ცალი ხელით თამაშობდა ოსტატურად და ამით უფრო იყო ცნობილი. ამ ბოლო დროს საბილიარდოს იშვიათად აკითხავდა. ამისათვის დრო აღარ რჩებოდა. მუშაობდა, ვარჯიშობდა. საღამოთი სკოლაში გაივლიდა; მივიდოდა გაპარსული, კოხტა ჰალსტუხით; ხელში უცხოური ჟურნალ-გაზეთები ეჭირა და ისე დადიოდა, ვითომ დიპლომატიური ჰქონდა ახალი დამთავრებული.

საბილიარდო მოთამაშეებით და პაპიროსის ბოლით იყო გავსებული. ერთ მაგიდას ბევრი შემოხვეოდნენ, რადგან ზურა ტრიპოლსკი ქოლგის ტარით თამა-

შობდა და ამ უცნაურმა სანახაობამ ბევრი მიიზიდა.

ტრიპოლსკი უკმაყოფილო იყო, რომ ქოლგის ტარით ათამაშებდნენ: ყვიროდა, ილანძღებოდა, თავის გაჩენის დღეს წყევლიდა. როდის ხუმრობდა და როდის სერიოზულად ლაპარაკობდა, კაცი ძნელად გაარჩევდა.

ტრიპოლსკიმ ბოლო ბურთიც ჩააგდო ქოლგის ტარით და თამაშიც დამთავრდა. ყველას გაუკვირდა. ზურა მიტრიალდა და კუთხეში მიკიდებული საწვიმარი ჩამოხსნა. წასვლას არსადაც არ აპირებდა, მაგრამ რატომღაც საწვიმარს დაწვდა.

— სად მიხვალ! — შეეშინდა რამდენიმე კაცს. ეტყობოდა, ბევრმა წააგოს სანაძლეო.

— რა გინდათ! — მოტრიალდა ზურა. საწვიმარი ფანჯარაზე მიაგდო და ვილაცას სანაძლეო გამოართვა.

— უკმაყოფილო ხომ არავინ დარჩით?

— არა, მარა მთლად ნუ დაგვკარგავ, არ წახვიდე! — უთხრა ერთმა.

— წავიდე, ბიჭო, თუ არა, ვეღარ მნახავ აწი!

ზურამ ნოდარი დანახა და გაუცინა. ნოდარი მოშორებით იდგა, ხელში გაზეთები და ქუდი ეჭირა.

— თუ გინდათ ადამიანურად ვითამაშოთ, შენ და ბურღა ერთად იყავით და მე და ნოდარი ვითამაშებით, ორ შარს ქე მოგცემთ! — თქვა ზურამ.

წაგებულები შეყოყმანდნენ.

— მე და მათხოჯია ერთად ვიქნებით და ოთხი შარი მოგვეცი! — უბასუხა

ბურღამ, რომელსაც ცეცხლივით თმა ჰქონდა.

— მეტი ხომ არაფერი გინდათ? — იკითხა ტრიპოლსკიმ.

— კარგი, სამი იყოს! — ჩაერია ნოდარიც.

— სამი არა, — თქვა ბურღამ.

— აბა, ბეჭვიასი არ იყოს, რაფერ გინდათ თქვენ? — გაუკვირდა ზურას.

— ოთხი მოგვეცი!

— თუ მოცემაზე წავიდა საქმე, თქვენ იქით უნდა მძღვედეთ, ჩემზე უკეთესად თამაშობთ ორივე.

— ორი არიფი გინდა გამოგვიჭირო ხომ? — მოისაწყულა თავი მათხოჯიამ.

— არა, ძმაო, თქვენ ძველი ბიჭები ხართ და ბეჭვია საწყალთა, არიფი! — სულ უადგილოდ ჩაილაპარაკა ტრიპოლსკიმ და ყელზე სქელი შალი მოიხვია.

— მაშინ სამი მომეცი და მე და შენ ვითამაშოთ.

— რას მევაჭრები თუ ძმა ხარ, შენ მიწვევ თამაშში და იქით მეხვეწები, მომეციო. წესით უნდა მოხვიდე და მითხრა: ამდენ და ამდენს გაძღვე და ვაჭკაცურად მეთამაშე-თქვა!

— რა კაი ბიჭი ხარ!

— აბა, ჩემო ბიძია, დუელში რო იწვევდნენ ხალხს, კი არ ეუბნებოდნენ: შენ კაი სროლა იცი და მე სამჯერ გესვრი და შენ ერთხელ მესროლეო!

— მე ვითამაშებ, რა მოხდა ასეთი! — თქვა ნოდარმა და ქუდი ლურსმანზე ჩამოკიდა, ზევიდან გაზეთები დაადო.

— შენ მომიგებ! — უთხრა ზურამ.

— ვითომ? — გაუცინა ნოდარმა.

იას თვრამეტი წელი შემსრულდა

სალამოს ტიტე ბეჭვიას სახლში იას ახლო მეგობრები შეიკრიბნენ. როცა სტუმრები სუფრას მიუსხდნენ, ტიტემ ღვინით სავსე პატარა ჭიქა აიღო და ჯუჯუ დვალს თხოვა სუფრას გაძღოლოდა. ჯუჯუმ მადლობა მოახსენა და წამსვე შეიფერა დაკისრებული თანამდებობა.

ტიტეს არც დაუპირებია ახალგაზრდების მხიარულებაში გარევა. თავის ოთახში ჩაიკეტა, მოშილიფდა და საშინაო ხალათი ჩაიცვა. ოდნავ გააყრჟოლა. „ცივა, ცეცხლის დანთების დროა“, — გაიფიქ-

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

რა მან. ტიტე სავარძელში მოკალათდა და ფიქრებში ჩაიძირა. მერე გაზეთები გაშალა, რომელთა წაკითხვას დილიდანვე აპირებდა. მთქნარებით გადაათვალიერა რამდენიმე გვერდი; ბოლოს სურათებიან ყურნალს დაწვდა.

ჯუჯუმ პირველად ია ადლერგრძელა: მრავალ თვრამეტ წელს დასწრებოდეთ, უთხრა; გაზრდა და აყვავება უსურვა. დანარჩენებმაც გულთბილად მიულოცეს ქალს თვრამეტი წელი. ია მშვიდად იღიმებოდა.

კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. პარალელურმა აპარატმა სასტუმრო ოთახშიც დაიწკარუნა. ნოდარმა სკამი ოდნავ უკან მიწია, გადიხარა და ყურმილი აიღო. ტიტე უკვე ელაპარაკებოდა ვილას. ნოდარმა იცნო ზურა ტრიპოლსკის ხმა და გული გადაუტრიალდა.

— ბატონო ტიტე, მმაჩის ბიუროდან გაწუხებთ! — იძახდა ზურა.

— საიდან, ვინ ბრძანდებით? — გაუკვირდა ტიტეს.

— მმაჩის ბიუროდან ვარ.

ზურა ორ მმ-ს განსაკუთრებული მახვილით წარმოსთქვამდა.

„რა უნდა ამ ღამეში მმაჩის ბიუროში“, — გაიფიქრა ნოდარმა. პირველად ეგონა, მართლა იქიდან რეკდა. ნოდარმა სუფრაზე მსხლმით თვალი გადაავლო, როდესაც შეხედა, არავინ უჩუბრებდა, ყურმილი კიდევ გააჩერა ხელში; გაფითრდა კი.

— რა გნებავთ, ამხანაგო! — ყვიროდა ტიტე.

— საბუთები გადავსინჯე და გავარკვიე, მე ვყოფილვარ თქვენი ნამდვილი შვილი!

— რა ბრძანეთ?

— თქვენი ნამდვილი შვილი; ვაშ ბლუდნი სინ ვერნულსა!

ნოდარმა ცივად დადო ყურმილი, საქციელი წაუხდა. ზურას მან გააგებია, ამ სახლში რომ წვეულება იყო და ახლა ჩემი სახელი არ ახსენოსო, შეეშინდა. „ასე როგორ გამოსულელდებოდა ეს ორმოცი წლის კაცი, ეს რომ თქვას!“ — იიმედებდა თავს. „რას ვიცინებ ხვალ, ახლა თუ გადავრჩი!“

— შუაზე უნდა გაგიყო მოუხმარი ქონება! — ისმოდა ტელეფონში.

ტიტე მიხვდა, ვინც რეკავდა. — შენი შვილი პოლშის ციხემ მშალაო!

ტიტემ მშვიდად ჩაახველა. ზურამ გაიგონა ხველება და მასხრობის ხასიათი გაუნელდა: ვილაც გვერდში მყოფს რაღაც უთხრა, გაიცინა და ტელეფონს მოშორდა.

ტიტეს ერთხანს კიდევ ეჭირა ყურმილი.

— დაა... — თქვა ბოლოს, ყურმილი დადო. ტიტე პირადად არ იცნობდა ტრიპოლსკის, მაგრამ იმ კაცზე ბევრი სმენოდა. მასთან სიტყვა-სიტყვით მოქონდათ ზურას ნათქვამ-მონაყოლი და ტიტეც იცინოდა, მაგრამ სულ უკვირდა, — რა უნდა ჩემგანო.

ტიტემ მაგიდის უჯრა გამოსწია და რეგოლვერი ამოიღო. ხალათის სახელო გაუსვია, გააპრიალა. შემდეგ სავაზნე გამოაცალა და ტყვიები დათვალა. ეს იარაღი მისი ძველი ავკაცობის უტყუარი ნიშანი იყო, რომელსაც იგი ფარულად ინახავდა. „შეშინებით მაინც უნდა შევაშინო!“ — ჩაუთქვა მან და სავაზნე უკანვე დააბრუნა. ეს თითქოს გადაწყვეტილი გაიფიქრა, მაგრამ სულ არ იყო დარწმუნებული რომ ამას ჩაიდენდა. „...მერე ამ დავიდარაბიდან გამოსვლა მამასისხლი დამიჯდება, ანდა სულ დავიკარგები!“ — დაასკვნა მან და მოთენთილი და გაზარმაცებული, სავარძელში ჩაეფლო. ტიტეს ერთ დროს მართლაც შეეძლო ასეთი რამის გაკეთება, მაგრამ ახლა ზურასთან ანგარიშისწორება ისეთი პატარა საქმე იყო იმასთან შედარებით, რასაც იგი შემდეგ დაკარგავდა, რომ ამაზე ფიქრსაც თავი დაანება.

მეორე ოთახში უკვე მღეროდნენ, მაგრამ არც თუ ისე ხმაშეწყობილად. ტიტემ ყური მიუგდო და სიმღერა არ მოეწონა. ამ კაცს იდეალური სმენა ჰქონდა. ტიტე ბეჭვიახს ბანი ხომ მთელს აიაში იყო ცნობილი. სიმღერის ხმაზე ტიტემ ჩათვლიდა და ჩაეძინა კიდევ.

დარბაზიდან გამოვარდნილმა სიცილმა

გივიმ ღვინოს ძმარსა და ნიგოზში შეკმაზული ფილტვის ნაჭერი დააყოლა და ჩაილაპარაკა:

— ვაი, ჩემო ბუხუტი, თუ გშია და გწყურია! — დანარჩენებმა გაიცინეს. ბუხუტი ლეყურეთში იყო შეჯობრზე წასული.

შულამისას ღვინო შემოაკლდათ. სახლში ყველას ეძინა: მშობლებსაც და მოსამსახურე ქალსაც, რომელმაც ფეხზე კინაღამ ჩამოყვინთა; ბოლოს იამ უთხრა, — სულ არ ხარ საჭიროო და ისიც დაწვა.

იამ გასაღებების შეკვრა გამოიტანა და იკითხა:

— ვინ ჩამყვება ქვევით, ღვინის ჩამოსხმა ვინ იცის?!
ნოდარი იმწამსვე წამოდგა და იას გაყვა.

სარდაფში ვიწრო, ქვის კიბე ეშვებოდა.

— სინათლე ზევით, სამზარეულოში უნდა ჩაგვერთო! — გაახსენდა იას და კიბესთან შეჩერდა.

— უკან ასვლა აღარ ღირს, ცეცხლი მაქვს ჯიბეში! — დაამშვიდა ნოდარმა და ასანთი ამოიღო.

კიბეზე ფრთხილად ეშვებოდნენ. ნოდარი ქალს მკლავს აშველებდა. იამ სიბნელეს თვალი ვერ შეაჩვია და სულ ნოდარს მიენდო. ვიწრო კიბეზე ერთმანეთს ეკვროდნენ, ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ. ნოდარი დროდადრო ასანთს ანთებდა. ღერი სწრაფად იწვოდა და წამსვე ბნელდებოდა. გზის გაგნება მერე უფრო ჭირდა.

სარდაფი ტიტეს საგულდაგულოდ ჰქონდა მოვლილი. ამდენ მზრუნველობას იგი თითქმის არაფრის მიმართ არ იჩენდა. შვიდი მომცრო კასრი იყო ლამაზად შემოწყობილი ერთმანეთზე. ასანთის სინათლეზე დიდი, ცემენტის საწნახელი გაილანდა. ჰაერში ღვინისა და გოგირდის სუნი ტრიალებდა. კუთხეში დაწულ კალათებში ჩადგმული, პლასტიკინით თავდაცობილი ოცობთლიანი ბოცები მიეწყობოთ.

— თუ შეიძლება ადამიანი მარტო თვალებით იცინოდეს და სახეზე არაფერი ემჩნეოდეს? — ჩუმად ჰკითხა იამ.

— რაზე მეკითხები? — გაუკვირდა ნოდარს.

— მაინტერესებს.

— რატომ გაინტერესებს?

— ისე! — გაიცინა იამ.

ნოდარი ნათქვამს დაუკვირდა. „ჩემზე ამბობს თუ რა... მე როდის ვიცინი მართო თვალებით!“

— შენზე არ ვამბობ, ნუ გეშინია! — უთხრა იამ.

— აბა, ვიზე ამბობ?

— არავიზე, ისე არ შეიძლება ვიკითხო?

— აბა მე რა ვიცი, ჯერ არავის დავკვირვებოვარ.

სიბნელეში იას წყნარი სიცილი დაიფანტა. ნოდარი მაშინ ღვინოს ეძებდა და ამ ხმაზე ვერ იგარაუდა, ქალთან რა მანძილი აშორებდა. უნდოდა ქალს მოხვეოდა და უკან მობრუნდა.

— რას იცინი?

— ისე ვიცინი, რა გინდა... ღვინო მანდარი, ჩამოასხი, აქეთ სად მოდიხარ?

ღვინის გადმოსხმის დროს ნოდარმა იას მკლავში მოკიდა ხელი და გაუბედავად მიიზიდა. ქალი მიხვდა, რომ ნოდარი კოცნას უპირებდა, ვაჟს წყნარად ხელი გააშვებინა, უკან დაიხია. ეს მან თავისი სურვილის გარეშე გააკეთა.

ნოდარი დაიბნა, დაფრთხა.

— ხომ არ გეშინია? — იქით შეეკითხა ქალს.

— რისი უნდა მეშინოდეს! — ძლივს თქვა იამ, ისე იყო გაგულდული.

— რა ვიცი...

— ანთე სინათლე და წამოდი!

ნოდარი კუთხეში გაჩერდა, ხმა არ ამოიღო. ია ლანდალ უყურებდა და იცოდა, სად იდგა.

— წამოდი!

— რატომ ხმას არ იღებ, გიყურებ!

ნოდარმა მაინც არ გასცა ხმა. იას სიბნელის შეეშინდა. ნოდარზე იფიქრა, სვეტი ხომ არ არისო. ხელების ცეცხებით გაიწია და ვაჟს მიეკრო. ნოდარმა ისევ მიიზიდა ფრთხილად.

— ხელი გამიშვი და ბოთლი წამოიღე! — უკან დაიხია იამ.

— არ წამოვალ! — ვითომ გული მო-
უვიდა ნოდარს.

— მაშინ კარს დაგიკეტავ! — ისევ
გაცივნა სიბნელემ, კვლავ წყნარად და
მშვიდად.

ნოდარი უკვე ხედავდა ქალს, მისი
ლამაზი კბილებიც გაარჩია. იაც უყუ-
რებდა.

— წამოდი, ბიჭო, რა გინდა, მითხა-
რი?!

ნოდარმა ეს სიტყვები გამოწვევად
მიიჩნია და წავიდა ქალისაკენ. იამ
სწრაფად გააღო კარი, გავიდა. იგი
ახლა კიბესაც კარგად არჩევდა და სა-
ფეხურები სირბილით აიარა.

ნოდარი გაწბილდა, რაღაცასი შერც-
ხვა კიდეც, მაგრამ მანაც კარგ ხასიათზე
დადგა. ამოჰქონდა ღვინო და ღიღინებ-
და.

ია სამზარეულოში დაუხვდა. ქალი
მხიარულად გამოიყურებოდა. სახეზე

ალიც მოდებოდა; ნათელ, მომლომარ,
თვალეებს ვაჟს არიდებდა.

დიდმა სინათლემ ნოდარს ატკინა,
სახეზე მკლავი აიფარა.

— ამოაგენი? — ჰკითხა იამ.

— სად გადავასხა, მითხარი.

— მათხოვე, ჩვარი გადავუსვა!

— ასე, ხომ! — დამეუქრა ვაჟი.

— არაუშავს, კიდეც მექნება დაბადე-
ბის დღე! — „ანუგეშა“ ქალმა და გაცი-
ვინა.

ნოდარი და ია დარბაზში ერთად შე-
ვიდნენ. ია ცოტა დარცხვენილი იყო,
მაგრამ მისთვის ყურადღება არავის
მიუქცევია. ყველა თავისი საქმით იყო
გართული. მხოლოდ გივი მიაჩერდა ღი-
მილით. იამაც გაუღიმა.

გივის ღვინისაგან თავი უხურდა; რა-
ღაც უხაროდა; იგი თვლიდა, რომ ქალ-
ვაჟის ბედნიერებაში მას ედო წილი. ია
კი ძალიან ლამაზი ეჩვენებოდა და ამის
გამო აღტაცებას ვერ ფარავდა.

ფეხბურთი

ნოდარი ქარხანაში ჯერჯერობით სა-
ამქროს წუნმდებლად მუშაობდა. დრო
ბევრი ჰქონდა და თავის მოვალეობას
იოლად ართმევდა თავს. მუშებს პირვე-
ლად ვიღაც თაღლითი ეგონათ, რომე-
ლიც მათთან გამორჩენის მიზნით მუ-
შაობდა, მაგრამ მალე მიხვდნენ, პირი-
ქით რომ იყო და ნოდარს შეეთვისენ,
შეუყვარდათ. თვითონ ნოდარს რამდენ-
ჯერმე შეხვდა უსიამოვნება: ერთი-ორ
კაცს საქმისადმი უგულობა შეამჩნია და
არ დაუთმო.

კვირაში სამჯერ ვარჯიშობდა. შუა-
ღღისას ქარხნის სასადილოს დურ-
ალუმინის მაგიდასთან იჯდა და
სადილობდა. ეს იყო მისი საუზმეც, რად-
გან ღიღით პირს არაფერს აკარებდა.
თუკი ხელფასი ახალი აღებული ჰქონ-
და, შესვენებაზე ტაქსის ან კერძო მან-
ქანას მოძებნიდა და შუა ქალაქში ამოჰ-
ყოფდა თავს. პირველად ფიზკულტურის
კომიტეტში შევივლიდა და აბელ ჩოგოვა-

ძეს მოიკითხავდა. მერე სასტუმროს-
თან ვიღაც ნაცნობს ნახავდა, ქუღს
იღლიაში ამოიჩრიდა და ნაცნობს სთხოვ-
და, ერთად ვისაუზმოთო. ორს რომ
ალარაფერი აკლდა, ნოდარი ისევ მანქა-
ნაში იჯდა და ქარხნისაკენ მიექანებო-
და. მანქანის რბილ სავარძელში ისე
იყო ჩაფლული, რომ ფანჯრიდან ძლივს
მოჩანდა. ქუდი თვალეებზე ჰქონდა ჩა-
მოფარებული და ცალ ხელს მუცელზე
ისობდა, რადგან პატარა სასმელიც კუჭს
ტკენდა.

ჯამაგირს თვეში ორჯერ იღებდა:
შვიდ რიცხვში და — ოცდასამში. პირ-
ველად შვიდას მანეთს, მეორეხელ —
ექვსასორმოდს. სახლში არაფერს თხოვ-
დნენ, მაგრამ რაღაც უმნიშვნელო რამის
ყიდვას მანაც ახერხებდა და მერე ფულს
სად ფანტავდა, თვითონაც არ იცოდა.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

გივის მანც ეჭვი ეპარებოდა მის საქმიანობაში და ერთხელ იაშა ბაზაძეს ჰკითხა: თუ აკეთებს რამესო?

— ცეცხლივითა, — რატომღაც გაიცინა იაშამ. — რაც მთავარია, საქმე ესმის, ნიჭიერი კაცია...

იმ კვირას ნათელი, მზიანი დღე იდგა. თამაში სამი საათისათვის დაენიშნათ. ქალაქის პატარა სტადიონი სანახევროდ გაივსო. მეტწილად ქარხნის მუშა-მოსამსახურენი მოვიდნენ.

იაშა ბაზაძე და რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი ლოჯიაში დასხდნენ. ლოჯიაში ციოდა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ადგილი არ გამოუცვლიათ.

სეზონი დამთავრებული იყო და ამიტომ დაუნომრავი ბილეთები გაეყიდათ. ხალხმა აღმოსავლეთის მზიანი ტრიბუნები დაიჭირა. დასავლეთის მხარე თითქმის ცარიელი დარჩა. ია წითლიძე, გივი და თამაზა მესხი ერთად მოვიდნენ. ცენტრთან ახლოს, სამხრეთი კარის მხარეს დასხდნენ. გივიმ იას გოგია დავლადე დაანახა. იამ ოდნავ გაიღიმა.

გოგია ტრიბუნებს შორის გასასვლელში იდგა, მკლავზე მწვანე საწვიმარი ჰქონდა გადაკიდებული და წესრიგს ამყარებდა. ია და ბიჭები გოგიამ ცოტა გვიან შეამჩნია. ჯერ გაუკვირდა; მერე გაახსენდა, რომ „ტორპედოში“ ნოდარი თამაშობდა და ამისათვის იქნებიან მოსული. გოგია ხშირად დადიოდა სტადიონზე, მაგრამ არა ფეხბურთის საყურებლად. ახლა ამ თამაშმა დააინტერესა. რატომღაც ეგონა, ნოდარი შერცხვებოდა და მომავალი სიამოვნებით ნეტარებდა. გოგია სულ ქვევით ჩავიდა, პირველ რიგში საწვიმარი დააფინა და დაჯდა. ეგონა, აქედან უკეთესად დაინახავდა.

ია სულ ორჯერ იყო ფეხბურთზე ნამყოფი. ამ თამაშს დიდი ხანია ელოდა; ახლა დღლაგდა.

გასასვლელში ჯუკუ დვალმა გაიარა; ვიღაც ორი დაკუნთული ბიჭი ახლდა. ამ ბიჭებს ერთნაირი სვიტრები ეცვათ. აქ-

ურები არც უნდა ყოფილიყვნენ. გივის ჯუკუ ორი კვირა არ ენახა. ვაჟაძეს უნდა რად ასე მოულოდნელად დაეკარგა და ხოლმე და რამდენიმე დღე სულ სხვა წრეში ტრიალებდა.

თამაზამ დაუსტენია. ჯუკუმ მოიხედა, ხელით იკითხა, ადგილები თუ არიო. გივიმ თავი დაუქნია, — მოდიო. ჯუკუმ და მისმა ამხანაგებმა უხეშად გამოარდვიეს მაყურებლები და ზევით წამოვიდნენ. ამოსასვლელში ია შეამჩნიეს და ქალს გაკვირებული თვალებით მოურბლებლად მიაშტერდნენ. იას შეეშინდა კიდევ, მაგრამ ბიჭები სულ სხვა ადგილზე დასხდნენ: ქალს მანც რამდენჯერმე მოუხედეს და ეტყობოდა, ჯუკუსაც ჰკითხეს რაღაც, რადგან ჯუკუმაც მოიხედა და იას გაუცინა.

ია წითლიძეს სხვა გამგლელი მამაკაცებიც აჩერდებოდნენ. ქალს სულ არ სიამოვნებდა ყველას მზერა; უნებურად თმას ისწორებდა.

დასავლეთის კართან, ტრიბუნაზე ხალხი აიშალა. გივიმ წამოიწია და იქით გაიხედა. ქვევით, გასასვლელში რაფო მოდიოდა. გულგახსნილი ხალათი ეცვა. გრძელ შარვალს მოხეინჯკულ ბილიკზე მოაფართხუნებდა. ბიჭები ხალათში ექაჩებოდნენ. ერთმა ახალგაზრდამ ხუმრობით წიხლიც მიაცოლა. რაფო სტადიონზე უბილეთოდ შემოვიდა, მაგრამ ჩანდა, არც მთლად უმტკივნეულოდ. ცალი გვერდი მოსკრილი ჰქონდა, ეტყობოდა, თხრილში გადაეგდო ვიღაცას.

რაფო იქ მოკალათდა, სადაც ტაქსისა და კერძო მანქანის რამდენიმე მძღოლი იჯდა. შოფრებს კარგად ეცვათ და ერთის გარდა, ყველას მზის სათვალე ეკეთა.

— ჩრდილში ხომ არ დაგვადეთ, ბიჭებო? — იკითხა რაფომ.

ერთმა მძღოლმა მზესუმზირა შეაყარა ხელუკუდმა.

— ასე მოდის ხომ, შალგოვიჩ, ჩიენში! — იწყინა რაფომ; რამდენიმე მზესუმზირა აკრიფა და კენეტა დაუწყო.



მოედანზე მსაჯები გამოვიდნენ. იმხანებში გვერდითი მსაჯები დიაგონალზე დგებოდნენ, მაგრამ მთავარმა მსაჯმა დამხმარეები მინც მინდვრის ერთ მხარეს დატოვა. ალბათ თვითონ მზეში უნდოდა ერბინა და იმიტომ.

ავტოქარხნის გუნდს ნოდარი მოუძღოდა. რაფოს რაღაც ეცნაურა და კარგახანს აფახულა თვალები.

— ვი შენ დაგენაცვლე, ნოდარი არ არის მაგი?!

ნოდარის შემდეგ მეკარე ბუხუტი გვიმრაძე მორბოდა. ბუხუტი ფორმაში კიდევ უფრო მაღალი ჩანდა და დანარჩენებთან შედარებით იმდენად დიდი ჩანდა, რომ ხალხმა სიცილი დაიწყო.

ნოდარი ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა; ზურგზე ცხრიანი ეწერა. ეს ყველას თვალში ეცა.

ქარხნის გუნდი ჩვეულებრივად, დუბლეტით განლაგდა, მაგრამ მერე მარჯვენა ნახევარმცველი ორ ნომერს წამოეშველა და ძალაუნებურად ოთხი დამცველით თამაში გამოუვიდათ. შუამარბებმაც მალე ჯაიხიეს უკან. თვითონ ნოდარი ერთ სწორ ხაზზე, თავის საჯარიმო მოედნიდან მოწინააღმდეგის კარამდე დარბოდა და ხშირად ნახევარმცველის მოვალეობასაც ასრულებდა. ამ გუნდს არაფერი ახალი ვარიანტი არ ჰქონია; იგი უბრალოდ რიცხვობრივ სიჭარბეს ჰქმნიდა ცენტრში და თავის ნახევარზე. წინ ფაქტიურად ორი ძალიან სწრაფი გარემარბი დარჩა. ხოლო ექვსი ნომერი ხუტა ხშირად ნოდარის ადგილზე გადადიოდა.

მეშვიდე რიგში ვიღაც მთვრალ კაცს, რომელსაც მანამდე არაფერი ეტყობოდა, გული აერია. ახლოს მჯდომი ხალხი სასწრაფოდ გაიდანტა და ის ადგილი კუნძულივით გამოჩნდა. მთვრალი მარტო მიატოვეს. იგი გაკვირებული ახამხამებდა თვალებს.

თამაშმა დასაწყისშივე „ტორპედოს“ კართან გადაინაცვლა. თხუთმეტ წუთში „დინამომ“ ექვსი კუთხური ჩააწოდა. მათი კაპიტანი გერონტი კი ხშირად ბუხუტის კართან ჰაერში ფოთოლივით აფარფატებდა ბურთს. ბუხუტის გული

უსკდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მალა მაღალ ბურთს იგერიებდა.

ნოდარი წინ და უკან დარბოდა. პირველსავე შემთხვევაში გარღვევაზე გაჰყავდა შვიდი და თერთმეტი ნომერი და სწრაფი გარემარბებიც თავაწყვეტილი მიექანებოდნენ წინ. ერთი-ორჯერ დიდი არეულობა გამოიწვიეს. „დინამოს“ მარცხენა მცველი დაშინდა და თერთმეტი ნომერი რამდენჯერმე აშკარად მოცვლა. ერთხელ სარბუნ ბილიკზე გადააგდო. მსაჯმა მცველი უკანასკნელად გააფრთხილა.

მიუხედავად ასეთი რეციდივებისა „დინამო“ აშკარად ძლიერი გუნდი ჩანდა, მაგრამ „ტორპედოელები“ ზუსტად და თავგანწირვით ასრულებდნენ წინასწარვე შემუშავებულ გეგმას.

ნოდარი ოც წუთში ოფლად გაიღვარა. იგი მოედანზე ყვიროდა; შენიშვნებსა და დარიგებებს აძლევდა თავის მოთამაშეებს.

— ხელით დაიჭირე! დაწიქი, მოკალი!.. — და სხვა ასეთ რალაცებსაც კადრულობდა. მსაჯმა რამდენჯერმე გააფრთხილა.

შუა ტაიმში ტემბი საგრძნობლად დავარდა.

— ჯუკუ, გამარჯობა! — მოულოდნელად იყვირა რაფომ.

— გიცნობს? — ჰკითხა ჯუკუს ამხანაგმა. ჯუკუმ სკამქვეშ ქვას დაუწყობა.

ია წითლიძე ძალიან გაიტაცა თამაშმა. იგი ნერვიულობდა. პირველ ხანებში ეშინოდა კიდევ რაღაცის.

— დაარტყი, ნოდარია, პენალი! — ყვიროდა ვიღაცა.

— ბებერო! — უკივლა ამ ოცდაორი წლის კაცს ერთმა. იამ გაიღიმა და ძირს დაიხედა, რა მინდოდა, რომ წამოვედით, გაიფიქრა.

ტაიმის დასასრულს ბუხუტიმ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო და ერთი-ორჯერ ისე სასაცილოდ გადახტა კარს

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

უკან, რომ ხალხმა ყურადღება მასზე გადაიტანა. ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

მაყურებლები წამოიშალნენ, გააბოლეს. აღმოსავლეთი ტრიბუნებიდან ერთ-ბაშად ავიდა იისფერი კვამლი.

შოთა რიკრიკაშვილს გაცრეცილი პლაშჩი ჰქონდა ხელზე გადაკიდებული. იგი მომღიმარი სახით მოდიოდა. ასეთი მოუშორებელი ღიმილი იხვება აქვთ ხოლმე. პირველ ტაიმში შოთა „ტორპედოს“ კარს უკან იჯდა ექიმით. ჯუჯუს მიესალმა. თუა მანდ ადგილიო, — დაუძახა.

— ამ ახლომახლო არ დაგინახო დამჯდარი! — ნახევრად სერიოზულად გააფრთხილა ჯუჯუმ. შოთამ გაიღიმა და გზა განაგრძო.

თამაში განახლდა. დინამოელები ახლა დაბალი გადაცემებით შედიოდნენ „ტორპედოს“ საჯარიმოში. ბუხუტი ისეთი თავგანწირვით უვარდებოდა თავდამსხმელებს ფეხებში, რომ აღტაცების შეძახილები არ ცხრებოდა.

— დაარტყი, ნოდარია, პენალი! — არ იშლიდა ვიღაცა.

ასე უშედეგოდ დამთავრდა თამაშის მეორე ნახევარიც.

რაფოს მამინ მოწყინდა იქ ყოფნა, როცა თამაში ყველაზე საინტერესო გახდა.

— არ დამთავრებულა! — ხმადაბლა უთხრა მზისსათვალანამა.

— მაგათ თუ ვუყურე, არც დაამთავრებენ! — თქვა რაფომ და ისე წავიდა, ვითომ უფრო დიდი საქმე ჰქონდა სადმე

ნოდარი ისე სწრაფად ბრუნდებოდა თავდასხმიდან დაცვაში, რომ ხშირად თავს ველარ იკავებდა და რამდენჯერმე ბურთი საკუთარ კარში დაარტყა. ორჯერ ააცილა კარს და ერთხელ ძელს მოხვდა. ბოლო ბურთი ბუხუტიმ დაიჭირა და ნოდარს უყვირა, — რას შევბიო! ნოდარმა ხელი აწია, — ასეა საჭიროო!

პირველი თხუთმეტი წუთის დასასრულს „ტორპედოს“ კართან ყველაფერი აირია. ბუხუტი გაშმაგებული შეუვარდა მოთამაშეებს ფეხებში და ერთი ექვსი

კაცი, თავისი და სხვისი, გააფინა ძირს. მაგრამ ბურთი მაინც ვერ მოჭრებოდა ნამოს კაპიტანმა ამ ზედახორაში დრო იშოვნა და ცარიელ კარში დაარტყა. ნოდარი გადახტა და ზედ ხაზთან ხელით დაიჭირა ბურთი.

დინამოელთა რვა ნომერი პენალტის დასარტყმელად მოეშადა. მთელმა სტადიონმა შეამჩნია, როგორ ანიშნებდა ნოდარი თავის შეკარეს, მარჯვნივ გადახტო. რვა ნომერმა დაარტყა. ბუხუტი მართლა მარჯვნივ გადახტა და ბურთი დაიჭირა.

გუნდებმა ადგილები შეიცვალეს. აღმოსავლეთის ტრიბუნებსაც ჩრდილმა უწია. აცივდა. აზარტში შესული ხალხი ახლა უკვე ფეხზე იდგა.

მორიგი არეულობის დროს მსაჯმა ისევ გააჩერა თამაში და ტორპედოს კარში ისევ პენალტი დანიშნა. მაყურებლები აყვირდნენ. სტადიონზე სტვენა და ღრინაცელი ატყდა.

ნოდარმა მსაჯს დაუწყო ჩხუბი; რალაცას ენერგიულად უმტკიცებდა, მაგრამ მსაჯი ხელს აქნევდა და ბურთი პენალტის ადგილისაკენ მიჰქონდა.

ნოდარმა მსაჯს ბურთი გამოსტაცა და გაიტყა. უკან მისივე მოთამაშენი დაედევნენ. კარს უკან მდგარი მწვრთნელი და სათადარიგო ფეხბურთელები ნოდარს ეცნენ და ისევ მოედანზე შემოაგდეს. მსაჯმა „ტორპედოს“ კაპიტანს გაძევება დაუპირა; ნოდარმა ნაძალადევად მოიხადა ბოდიში და ბოლოს მსაჯმაც გადაიფიქრა. ნოდარი სიბრაზისაგან აღარ ვარგოდა. თავის შეკავებას ძლივს ახერხებდა.

პენალტის დასარტყმელად ამჯერად ოთხი ნომერი გამოვიდა.

— ნუ გეშინია, მაინც ვერ გაიტანს! — ხმამაღლა უთხრა ნოდარმა მეკარეს.

ოთხმა ნომერმა მართლა ცუდად დაარტყა და ბუხუტიმ ბურთი დაიჭირა. ზოგმა ბოლოს ისიც თქვა, აუტში მიდიო-

დაო, მაგრამ კარგად ეს არავის არ შეუმჩნევია.

ტორპედოს მწვრთნელი ყაიმზე თანახმა იყო. რატომღაც ეგონა, მეორე დღეს უშეშველად მოიგებდნენ. იგი კაპიტანს ეძახდა:

— დაწიე, ნოდარია, ინსაიდები უკან! „მოედნიდან ვერ გავიყვან და მეტი ადგილი არაა დასაწევი“, — ფიქრობდა ნოდარი და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მწვრთნელის ხმა არც ესმოდა.

— დაარტყი, ნოდარია, ბიჭო, პენალი! — ვილაცას აქამდე შემორჩა ხუმრობის გუნება.

თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა „ტორპედოს“ შვიდი ნომერი ხელით გააჩერეს და მაისურაც შემოატრიატეს. იგი მეკარესთან გადიოდა პირისპირ. ეს აშკარა ჯარიმა იყო და მსაჯმაც, შეიძლება წინა შეცდომის გამოსწორების მიზნით, დანიშნა თერთმეტმეტრიანი.

ნოდარმა ბურთი გაასწორა და დასარტყმელად მოემზადა. იგი ისე იყო წონასწორობიდან გამოსული, იმასაც ვერ ხვდებოდა, რომ თვითონ არ უნდა დაერტყა. მღელვარების დასაფარავად იცინოდა. დაარტყა, მეკარემ მარცხნივ ჩაიჩოქა, ბურთი მარჯვნივ წავიდა, აცდა კარს და წყნარად გაკოტრიალდა კალათბურთის მოედანზე. ნოდარმა ჯერ თავში შემოირტყა ხელი; მერე გაწვა და ბალახებში ჩაემხო. ამხანაგებმა ძლივს წამოაყენეს.

თამაში დამთავრდა. გივიმ იას გადახედა. ია ნერვიულად იცინოდა და გივის თვალს არიდებდა.

განმეორებითი თამაში მეორე დღისთვის დანიშნეს.

ნოდარმა იბანავა და შინ ადრე წავიდა. ნაცნობებთან ლაპარაკს თავი მოარიდა. შინ მისვლისთანვე დაწვა. დასვენე-

ბას აპირებდა, მაგრამ ვერ დაიძინა. აფორიაქებული იყო და ბორბაგებდა ვერ ვერ გრძნობდა, როგორ ჰქონდა მთელი სხეული დაღეწილი.

ნოდარმა გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეგო სვალინდელი თამაში. დიახ, მოეგო. ასე უცნაურად ანგარიშობდა იგი. ნოდარმა იცოდა, რომ ია ესწრებოდა ამ თამაშს. იგი იას დაუმტკიცებდა, რომ ბევრი რამე შეეძლო; გაახსენდა, რომ ტყიბულში დატოვა ცოლი და იმ საღამოს ყველაფერი გაახსენდა. — „ეს თამაში თუ მოვიგე, ყველაფერი ამისრულდება!“ — ჩაითქვა მან და დაიძინა.

მეორე დღეს სტადიონი მთლიანად გაივსო. ნოდარი გასახდელ ოთახში მიხვდა, რომ სტადიონი გაჭედილი იყო. „ეს თამაში უსიკვდილოდ უნდა მოვიგო!“ — ფიქრობდა იგი.

„ტორპედომ“ წააგო ეს თამაში. „დინამოს“ ცხრა ბურთი მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ საბოლოო ანგარიში ოთხით ერთზე გაჩერდა. ნოდარის გუნდმა წინა დღით დახარჯა მთელი ენერჯია. მოთამაშეებსაც, როცა ნახეს არაფერი გამოდიოდა, თავი აღარ მოუკლავთ. წააგეს უბრალოდ, მსუბუქად, თითქოს ყოველგვარი განცდების გარეშე.

ნოდარს მხიარულად გამოჰყავდა წაგებული გუნდი მინდვრიდან. როცა მოედანს გამოცდა, მაშინ მიხვდა, რომ „წააგო“. მოიწყინა. გაახსენდა, რომ აღარ შეუსრულდებოდა ყველაფერი. რა იყო ეს ყველაფერი? რისი ასრულება სურდა?

როგორ ეგონა, მოიგებდა; ჩათქმული გაუმართლდებოდა. ნოდარს ისევ გაახსენდა ყველაფერი და მწარედ დაღონდა. „მსაჯმა ხომ დაგლუპა მაინც ნოდარია, — ფიქრობდა იგი. — რაღა უნდა მომეგო, დამაწყვიტა ნერვები წინა დღეს, ამას რა მიხვედრა უნდა, მსაჯმა დამლუპა!“

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი



გოგია დავლაძე, როგორც ვიცით, სკოლაში მილიციიდან დადიოდა. წიგნებსაც იქვე ინახავდა. სამორიგეოში ცხრილიც ჰქონდა გაკრული. სკოლაში წაიღებდა აუცილებლად იმდენ წიგნს, რამდენი გაკვეთილიც იმ დღეს ჰქონდა. ახალთ-ახალი წიგნები ჯერ არავის გადაეშალა, ზოგს თხელი, გამჟვირვალე ქაღალდი ჰქონდა გადაკრული. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, წიგნს არ გათხოვებდა: ჩვეულება ჰქონდა ასეთი. მეოთხე გაკვეთილზე თვლემდა და ბოლო საათზე სანახევროდ ეძინა. მასწავლებლები აღარ იძახებდნენ; არაფერი იცოდა და ამ ხნის კაცის ფეხზე აყენებდასაც ერიდებოდნენ.

დირექტორი ცდილობდა, გოგიას როგორმე სკოლა დაემთავრებია. ამის სურვილი მას უფრო აწუხებდა, ვიდრე თვითონ გოგიას.

დავლაძეს ეჭვი შეეპარა, რომ იგი საშუალოს დაასრულებდა და მერე სადმე დაუსწრებელზე მოხვდებოდა. საერთოდაც კი ღირდა ეს ყველაფერი? გოგია სამსახურშიც აითვალისწინეს. თავის მოვალეობას თავს ვეღარ ართმევდა. სულ დაზნეული იყო და რაღაცაზე ფიქრობდა. დავალებებს უყურადღებოდ ასრულებდა.

— შე უბედურო, შეყვარებული ხომ არა ხარ?! — უთხრა ერთხელ უფროსმა.

გოგიას ისევ ისაკენ ეჭირა თვალი და ყველაფერს დაკარგულად არ თვლიდა. დაგვიანებული, მწველი სიყვარული იყო, თუ რა იყო ეს?! ნოდარ პირველს დასანახად ვერ იტანდა. დანარჩენებსაც უბღვერდა. განსაკუთრებით გივის: იგი მიანდა უბედურების მომტანად.

გოგია დარწმუნებული იყო, რომ ნოდარი იას ატყუებდა. ეს ანერვიულებდა და იმედსაც აძლევდა. მან ისიც იცოდა, რომ ნოდარი ცოლს არ იყო გაყრილი და მალავდა. გოგია ეტყოდა იას, რომ მას საშინლად ატყუებდნენ; ეტყოდა მაშინვე, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევდა. ჯერ იცდიდა: იქნებ ქალი თვითონ მიმხვდარიყო ყველაფერს. ქალმა კი შეიძლება

იცოდა კიდევ ყველაფერი. იას უყვარდა ნოდარი, მაგრამ ამბავი ამ ერთი სიყვარულისა ძალიან გახმაურდა და ქალს შეეშინდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ეს იყო დიდი, ყურადსაღები ამბავი: ამაზე დაფიქრდა. იყო დღეები, როცა აშკარად ნანობდა თავის არჩევანს. ქალმა იცოდა, რომ ამის გამო გაიცხადდნენ მშობლები და ის საზოგადოება, რომელიც მის ოჯახში ტრიალებდა. ამას ქალი ერიდებოდა; მითუმეტეს, როცა გარეშენი უკვე ჩაატონებდნენ, თითქოს ნოდარი არ იყო მისი შესაფერი. თვითონ ის დაიბნა. აღარ იცოდა, რა ღირსების გამო მოწონდა ვაჟი; ეგონა კიდევ, რომ იგი ბრმად შეიყვარა.

იას სახლობას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე ოჯახთან. ეს ოჯახები იას არაფრად ებიტნაევებოდა და სულ არ უნდოდა მათთან რაიმე საერთო ჰქონოდა. ქალბატონი ბეჭკაია, ამის გამო, ქალიშვილს უყურადღებობას სწამებდა. საყვედურობდა, რომ სტუმრობა არ უყვარდა, მაგრამ სწორედ ასეთი დარბაზობის დროს გაიცნო იამ თორნიკე ფათალაძე და დედის გულიც მოიგო.

თორნიკეს მამა ერთ დროს ტყავის პალტოთი და ჩექმებით დადიოდა, მაგრამ რაღაც ხრიკებით და მონდომებით ნელ-ნელა გაიუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა; თორნიკე უზრუნველად იზრდებოდა დედის კალთაში, მაგრამ მიამიტი და გულუბრყვილო მაინც არ დარჩენილა. იგი შესახებ ვადა ლამაზი და ბუნებით მოალერსე ბიჭი იყო.

ფათალაძეს და ბეჭკაიას ოჯახები ძველთაგანვე მეგობრობდნენ, მაგრამ თვითონ ქალ-ვაჟი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. თორნიკეს ია ბავშვი ახსოვდა და როცა ორი წლის უნახაობის მერე შეხვდა, ძლივს იცნო. პირველად ქალს მასზე არაფერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ თანდათან მიაქცია ყურადღება და დაასკვნა, რომ ის იყო ყველაზე ლამაზი ქალი იმჟამად იაში.



აიაში დაზამთრდა. ღამლამობით ყინავდა და ცივი ქარი უბერავდა. ქუჩებში რამდენჯერმე წყალი გაიყინა, მიწაც დაზრა. ქარი ღამით თუნუქის სახურავებს ატკაცუნებდა; დაძვრებოდა ქუჩებში, აღმართებში, დაღმართებში. ან მოეწვიმა, ან მოეთოვა. ეს ქარი რაღა იყო. ფაზისი თითქმის განახევრდა. ქარი მდინარის საპირისპიროდ მიდიოდა და სილისფერ ჩქერებს აფოფრებდა. ხიდზე გავლა საშინელედა იყო. ქარი აშკარად, მოურიდებლად იტაცებდა ქუდს. სანაპიროზე ვადმომდგარი ძველთაძველი აივნები და ქვის ყორეები ჩამოშავდა, უბეზური შესახედავი გახდა.

გივი და ლია ერთად ისხდნენ კინოში. ისინი ქუჩაში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. მერე აქ შემოვიდნენ. ქალი ბევრს ლაპარაკობდა. გივი რამდენადმე არასერიოზულად, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა. ამათ ბევრი ჰქონდათ მოსაგონარი. ჰყავდათ უამრავი საერთო ნაცნობი და ამხანაგი. ბევრი ისეთი კარგი ახსოვდათ, რაც საერთო სიხარულს იწვევდა. ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ გივი პირველად იჯდა ქალთან ასე მარტო. იგი ხედებოდა, რომ ძველი ბავშვური ქცევა და მოქმედება ქალს ისევე დარჩენოდა, მაგრამ ბევრი რამ ორთავეს დაეკარგათ. კარგი იყო ეს თუ ცუდი, გივის არ უფიქრია.

ქალ-ვაჟის წინ ვიღაც ტყავისპალტოიანი კაცი დაჯდა. მოსული ისე მოკალათდა, თითქოს მხართეძოზე აპირებდა წამოწოლას. იმ ახლო-მახლო მეტი არც არავინ იჯდა. იმ კაცს უცნაური ქუდი ეხურა, რომლის წინაფრა ჰაერში სასაცილოდ იყო აპრესილი. ლიამ მორიდებით თხოვა: თუ შეიძლება, ქუდი მოიხადეთ, ხელს შემიშლით.

— რომ მოვიხადო, უარესი იქნება! — უკანმოუხედავად უთხრა კაცმა.
— რა გითხრა? — უჩურჩულა გივიმ.

— რომ მოვიხადო, უარესიაო! — ცინა ლიას.

გივიმ ქალს ადგილი გაუცვალა. ვისპალტოიანს დააკვირდა, მაგრამ ვერ გაიგო, რატომ იქნებოდა უარესი, ამ კაცს ქუდი რომ მოეხადა.

ლია ჩვეულებრივი ინტელიგენტის ოჯახში გაიზარდა. მისი სახლი არ იყო კარჩაკეტილი. მამამისი განათლებულ ხალხთან მეგობრობდა და ქალი იოლად ითვისებდა მის ოჯახში შეკრებილი ადამიანების აზრებს. შეეძლო სერიოზული მსჯელობა და ხშირად ამის მოთხოვნილებაც ჰქონდა, მაგრამ ახლა საკმაოდ არასერიოზულ საგანზე კამათობდა. ამაში გივიც დიდად ეხმარებოდა. მათი საუბრის თემა უადგილო და გულუბრყვილო იყო. ვაჟი ამ შეუსაბამობას გრძნობდა, მაგრამ რატომღაც ყველაფერი ბუნებრივად მიაჩნდა. სხვას რომ მათი ლაპარაკისათვის ყური დაეგდო, გივის შერცხვებოდა.

ლია სერიოზულად ამტკიცებდა, რომ როდესაც ქალი დატვირთვება, ხელმეორედ ვაზხოვება დალატს უდრისო. გივი საწინააღმდეგოს ამბობდა; თითქოს გულწრფელადაც, მაგრამ სულ არ უკვირდებოდა, მართალი იყო თუ არა. საერთოდაც, ხან სერიოზულად პასუხობდა ქალს, ხან ნათქვამს ირონიულ შენიშვნებს ურთავდა და ხშირად ეს ისე კარგად გამოუდიოდა, რომ თვითონაც ეცინებოდა. ლია იღიმებოდა და ვაჟს ხელს ურტყამდა ხელზე.

— შენ რომ მოკვდე, როგორ ფიქრობ, მე ვავთხოვდები? — ჰკითხა ქალმა სრულიად მოულოდნელად. გივი გაშტერდა. ვერ გაიგო, რას მოასწავებდა ეს დუფიქრებელი შეკითხვა, რომელიც ქალმა თავისი დებულების გასამაგრებლად წაშოისროლა.

საბედნიეროდ მალე კინო დაიწყო. ლიამ პალტო გაიხადა, მუხლებზე გადაიფინა; როცა სკამზე თავისუფლად მოკალათდა, მხოლოდ მაშინ დაუკვირდა თავის ნათქვამს. გაეცინა და გაიფიქრა:

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

„მე ამ კაცს ზედმეტად ვაიმედებ, თუმცა ესეც საჭიროა“.

დარბაზში ხელებცეცებით შემოვიდნენ დავგვიანებული მაყურებლები, ქალი და კაცი. კაცი ქალზე დაბალი იყო ბევრად. ეტყობოდა მეუღლე იყო, თორემ ასეთ დაბალ კაცს, სხვა შემთხვევაში, ქალი კინოში არ შემოყვებოდა. კაცმა ასანთი აანთო და თავისი რიგი მოძებნა, პირდაპირ ტყავის პალტოიანს მიადგა; ორი ბილეთიც წარუდგინა, — ადგილი გამითავისუფლეთო.

ტყავისპალტოიანი არ ადგა და მერე განაცხადა კიდეც, — არც ავდგებო. ცოლ-ქმარი დაბეჯითებით მოითხოვდა ადგილის გათავისუფლებას. ტყავისპალტოიანი არც ადგილს თმობდა, არც რაიმე დამაჯერებელი საბუთი მოჰყავდა თავისი მოქმედების გასამართლებლად.

— რა მოხდა, სხვაგან დასხედით, ცარიელია დარბაზი! — უთხრა გვიგამ ახალ მოსულებს.

— რატომ, ბატონო, პრინციპის საკითხი არაა? — თქვა დაბალმა კაცმა. ასე, ამ ჯაჯღანში ჩათავდა ერთი ნაწილი. ბოლოს ქალმა იძალა, ქმარი დაიყოლია და ორთავენი სხვაგან, უკეთეს ადგილზე დასხდნენ.

ტყავისპალტოიანმა რაღაც ჩაილაპარაკა, წავიდა და სულ პირველ რიგში მოკალათდა.

ერთხანობაზე ლია თითქმის მთლიანად გაიტაცა კინომ. გვიგამ უყურებდა სურათს, რომელიც სრულებით არ აინტერესებდა და აწუხებდა ის სიჩუმე, მასსა და ქალს შორის რომ გამეფდა. საბედნიეროდ, ლია გადაიხარა და ტუჩები თითქმის ლოყაზე მიადო:

— ის კაცი არ მოგწონს?

— კი მომწონს! — უაზროდ უპასუხა გვიგამ, რადგან ქალის სიახლოვემ შეაქროთო. მერე ინანა, მომწონს, რომ თქვა: ვიღაც უცხოელ კინომსახიობზე იეჭვიანა და თავის თავს შეუწყრა. მცირე სიჩუმის შემდეგ ქალმა სრულიად მშვიდად ჩაილაპარაკა:

— მე სულ არ მომწონს.

— აჰა!

— მე უფრო თეთრი, ქერათმიანი კაცი მომწონს! — სერიოზულად დაუწყობდა ლიამ. გვიგამ ამოიხარა. ლიამ მსგავსი და ვაჟს მკლავზე ხელი დაადო. გვიგამ ქალის თითებს დახედა.

გვიგის თვალეზზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული; სკამზე თითქოს სხვათაშორის იჯდა. სადღაც ქვევითაც იყო ჩავარდნილი. ლია ამას ვერ ამჩნევდა. ბიჭი კი ამით შეიძლება ყურადღების მიპყრობასაც ცდილობდა. ლიამ მხოლოდ ერთხელ უთხრა: გასწორდი, როგორ ზიხარო. გვიგამ სიბნელეში შეიშმუშნა, ვითომ ზევით წამოიწია.

გვიგამ ლია სახლამდე მიაცილა. ამ შემთხვევას იგი კარგახანი ელოდა. ეგონა ქალს უფრო სერიოზულად დაუწყებდა ლაპარაკს, მაგრამ უკაცრიელ ქუჩაში ქარი დათარეშობდა და საამისო დრო აღარ დარჩა. ლიას ისედაც ეჩქარებოდა, სწრაფად მიდიოდა; თავი ჩალუნული ჰქონდა, პალტოსა და კაბას ხელით იმაგრებდა. ქარი თუნუქის სახურავებს ისე ახმაურებდა, რომ ლიას ეშინოდა. სახლამდე ხმა არ ამოუღიათ. ალაყაფთან ლია სწრაფად დაემშვიდობა გვიგის და თხოვა, — ფრთხილად წადი, სახლის სახურავიდან გადმოვარდნილი კრამიტი არ დაგმცესო!

გვიგანი ღამე იყო. შინ ყველას ეძინა. დიდ ოთახს, სადაც გვიგამ წვებოდა, არ ათბობდნენ. ციოდა. ოთხივე ფანჯრის მინა დაჭირხლულიყო. გვიგის წიგნი უნდოდა ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა, — სულერთი იყო, ვერ შეძლებდა; ათასი ფიქრი უზურღავდა ტვინს. სინათლე ჩააქრო, დაწვა. საბანში ბურთივით გაეხვიდა და თითქმის მთლიანად შიგ ჩაიმაღა.

სითბოსა და სიმყუდროვეში ჩაძირული გვიგამ ხედავდა ლიას. გრძნობდა მისი თმის სიღბილეს. უხურდა სახის ის მხარე, სადაც მას რამდენჯერმე შეეხო ქალის თმა. თითქოს აჩნდა კიდეც ნიშანი, ქვანახშირის ნამტვრევებზე დარჩენილი გვიგამის ანაბეჭდივით.

გვიგის ესმოდა ქალის ხმაც. იგი ფიქრობდა იმ გაურკვეველ ურთიერთობაზე, რომელიც მათ შორის არსებობდა. ვერ ვაეგო, რას ფიქრობდა ქალი. ის საღამო

ერთად გაატარეს, მაგრამ რა იყვნენ ერთმანეთის. შეეძლო თუ არა ლიას სხვასთანაც ასე მოქცევა? იგი ამ ფიქრებში იხლართებოდა და დასკვნა ვერ გამოჰქონდა.

გივის უცბად გაახსენდა, რომ ყველანი—ლია, თვითონაც, სხვებიც—ერთ მშვენიერ დღეს მოკვდებოდნენ. ეს იყო სამწუხარო და თითქმის დაუჯერებელი ამბავი. გაიზრდებოდნენ, იცხოვრებდნენ უკეთეს დროში, მაგრამ სულ ერთი იყო, მოკვდებოდნენ. ეს იყო დასასრული ყველაფრის, რის მერე აღარ არსებობდა არაფერი. „საიდან მოვედი და სად წავალ?“

გივი შეეცადა წარმოედგინა სიკვდილი. თვალები მაგრად დახუჭა. საფეთქლები გაუხურდა. წარმოუდგა ჯერ თვალთ უხილავი მარადიული სიბნელე. სიბნელე, რომლის დასაწყისი ან საპირისპირო მცნება არ იყო სინათლე: სიბნელე თავისთავად.

...უცებ სიბნელიდან წამოვიდნენ რაღაც გაურკვეველი ფორმის საგნები; საგნები მოდიოდნენ ჯერ წვრილად, ნემსის წვერის ტოლად; მერე იზრდებოდნენ არაბუნებრივად, საშინელი სისწრა-

ფით; მოდიოდნენ მისი ტვინის დიდ ჰემოსფეროებამდე და იმსხვრეოდნენ. შემდეგ პირუკუ, პატარა საგნები მოდიოდნენ მისგან შორს, — იზრდებოდნენ და მიჰქროდნენ უსივრცოდ, უპერსპექტივოდ. ირგვლივ მაინც არაფერი არ იყო.

გივის შეეშინდა და სიბნელიდან თავი ამორგო. თვალები ფართოდ გააღო. ოთახში დიდი სინათლე დაღვრილიყო. გარეთ მთვარე ანათებდა მქრქალად, მისი ბაცი სინათლე დაჭირხლულ ფანჯარაში შემოდიოდა. კედელზე ვაშლის ხის გაძარცული ტოტების ჩრდილი ქანაობდა. ჟამიდან ჟამზე ქარი ფანჯრის ჩარჩოებს აწვებოდა, მაგრამ მისი ხმა შიგ არ შემოდიოდა. ქარი საღვაც ყრუდ ზუოდა და მოწმენდილ ცაზე დაპენტილ, თეთრ ღრუბლებს მიერეკებოდა. მთვარის უკან სათამაშო ქაღალდივით სუფთა, ცისფერი ცარგვალი მოჩანდა. ყველაფერი ეს იყო ნათელი და დიადი.

გივი დამშვიდდა.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

გაგრძელება იქნება





წელს სრულდება ოთხასი წელი დიდი ინგლისელი მწერლის უილიამ შექსპირის დაბადებიდან. შექსპირის ნაწარმოებების თარგმნას ქართულ ენაზე დიდი ტრადიცია აქვს. ივანე მაჩაბლის თარგმანები არა მარტო თარგმნითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია, არამედ ქართული კულტურის ბელნიერი შენაქენი. შექსპირის ნაწარმოებებს სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები. შექსპირის გენიალურ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადვილი უპირავს ლირიკას — სონეტებს, რომელთა უკუნიობი სიმშვენიერე დღესაც ისევე იტაცებს მკითხველს, როგორც ამ ოთხასი წლის წინათ შექსპირის თანამედროვეებს იტაცებდა. ამ სონეტების ქართულ ენაზე თარგმნის პირველი ცდა ეკუთვნის რეზო თაბუკაშვილს, რომელმაც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ ხელი მოჰკიდა ამ მეტად რთულ საქმეს. შექსპირის სონეტები შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა გივი გაჩეჩილაძემ. ამჟამად რეზო თაბუკაშვილმა დაამთავრა სონეტების თარგმნა.

ჩვენი ძუძრნალი დიდი მწერლის გარდაცვალებიდან 400 წლისთავის აღსანიშნავად იწყებს ამ სონეტების ბეჭდვას.

ვაგლახ, რომ მართლაც სად არა ვარ ნაწანწალები,
ხან ლაზღანდარა და მასხარა ვიყავ საწყყალი,
სიმიდიდრე ვფლანგე, შეძენილი დიდის წვალებით
და ძველი ტრფობა ახალ გრძნობით შეურაცხვეყავი.
ქეშმარიტება არ მიყვარდა შმაგბუნებიანს,
ქეშმარიტება არ მინდოდა ნათლად მენახა,
მაგრამ გულს ისევე სიჭაბუკე დაბრუნებია
და უკვე ვიცი, ჩემი სატრფო მხოლოდ შენა ხარ.
უკვე დასრულდა ჩემი გზები სახეტილო,
აღარ დავეძებ ტრფიალებას გაუთავებლად,
ვერას დამაკლებ ცთუნებათა მახევე, ტიალო,
რადგან ვიპოვე სიყვარულის წმიდა ღვთაება.

კარგო, შენი ვარ, შეისმინე ჩემი მუდარა,
შენი ნათალი მკერდი მინდა ნავსაყუდარად.

66

ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად ვადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების ვახდა თვისება.
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროება.
რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რევენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩაეარდნილა.

ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

151

ტრფობა ნორჩია, სინდისი არ მოეთხოვება,
თუმცა სინდისი ქვეყნად ტრფობას გაუჩენია,
შენც არ გაკილო ცოდვიანი ჩემი ცხოვრება,
თუკი არ გინდა კიდევ ერთხელ ავნო შენიანს.
შენმა ღალატმა ყველაფერი წმიდა წარხოცა,
სხეულის ქინით შემიცვალა თრთოლვა სულისა,
შენმა ღალატმა საბოლოოდ გამააფხორცა,
სულმა სხეული საბოლოოდ გააგულისა.
შენს ხსენებაზე აღზევდება ჩემი არსება,
და იამაყებს, შენ რომ ასე მოგინადირა,
ხან აღსდგება და ხან კი მონას დაემსგავსება,
ძირს დაემხოზა და შეგჩივლებს თავის სატირალს.

უსინდისობად ნუ ჩამითვლი, თუ გთხოვ თანხმობას,
თუ შენთვის აღმდგარს, შენს წინაშე მინდა დამხობა.

42

ის რომ შენია, ეს მე ახლა ნაკლებ მაღონებს,
თუმცა გაგიტყდები, მისი ტრფობა მწვავედა თავიდან.
შენ რომ მისი ხარ, ეს ვარამი მაცლის ძალღონეს,
რადგანაც ვიცი, უშენობას ვერ გადავიტან.
მაგრამ ორივეს გამართლებას მაინც მოვნახავ:
ის შეიყვარე, რადგან იცი მეც ის მიყვარდა,
მან შეგიყვარა, რადგან ჩემი გრძნობის მონა ხარ,
და მანაც ტრფობა ორგულობით გადამიხადა.
მე თუ დაგვარგე, შენ ხომ ჩემმა სატრფომ მოგძებნა,
ის თუ დაგვარგე, ამითი ხომ სატრფო შეგძინე,
და რადგან ვახდით ერთმანეთის გულის ოცნება,
მიჯნურობაში უკვე არც ერთს არ შეგეცილეთ.

11

დრო თუ გვაბერებს, დრო გვიბრუნებს ახალგაზრდობას,
როცა მოხუცი მამის გვერდით შვილი დადგება,
სიყმაწვილეში გაცემული ბოლოს ფასდება
და სიბერეში სიჭაბუკედ გამოგვადგება.
ესაა სიბრძნე წუთისოფლის და სილამაზე,
შთამომავლობის გამრავლებით მიწა მშვენდება,
ყველა შენსავით რომ მოიქცეს ამ ქვეყანაზე,
კაცობრიობა სამოც წელში გადაშენდება.
დაე, დალუბვას ვინმე გონჯი ვერ გადაურჩეს,
ვინაც არ არის ღირსი დარჩეს შთამომავალი,
შენ კი ბუნებამ უთვალავი გიძღვნა საუნჯე
და მოდგმისათვის საუკუნე მოგცა მრავალი.

ქვეყნის ბეჭედო, ამ სიბრძნეში ნუ დაეჭვდები
და გაამრავლე ქვეყნად შენი ანაბეჭდები.

12

როცა საათის ხმა მომესმის, მარად უცვლელი,
და მზეს შეეხედავ, მიმწუხრში რომ თავი დახარა,
როცა შევნიშნავ, როგორ დაჰქნენ იის ფურცლები
და ნაწნავებში ჩაქსოვილა ვერცხლის ჭაღარა,
როს ქვითინებენ ხეივნები ფოთოლმოცლილი,
სადაც მეცხვარეს იფარავდნენ ჩრდილები ხეთა,
და როცა ბალახს, შემოდგომის ცელით მოცელილს,
ზაფხულის ბალახს სასაფლაოს ფორანზე ვხედავ,
მე ჩამაფიქრებს ბედ-იღბალი შენი მშვენების,
დროის უდაბნო კიდევ ბევრჯერ მოსავლელია,
ხენი კვდებიან, როს ჰყვავიან ახალშენები,
როცა სხივები ენძელების ზოსვლას ელიან.

ძვირფასო, ჟამის უღმობელი ცელი არ ცხრება,
მაგრამ დასტოვე მოდგმა დროის დასამარცხებლად.

130

ჩემს სატრფოს თვალებს არ გამოჰყვა სხივი მნათობის
და მის ბაგესაც წითელ მარჯანს ვერ შევადარებ,
არც გულმკერდი აქვს თოვლისფერად გადანათოვი
და მავთულივით გაშეშებულ ნაწნავს ატარებს.
ბევრჯერ მინახავს ალისფერი და თეთრი ვარდი,
სატრფოს ღაწვები სულ სხვაგვარად შეუფერიათ,
მე ისიც ვიცი, მისი მკერდის სურნელის გარდა,
უფრო ნეტარი სურნელება ქვეყნად ბევრია.
ტკბილია ჩანგი, მე კი სატრფოს სმენა მწაღია,
მისი ბაასი სიმის ხმაზე მეტად ვიწამე.

არსად მინახავს, ქალღმერთები როგორ დადიან,
ჩემი სატრფო კი, ვიცი, დადის დედამიწაზე.

ვიცი და მაინც ძვირფას განძად გულში ვატარებ
და მირჩვენია, უსამართლოდ ვისაც ვადარებ.

138

როდესაც სატრფო ერთგულებას მიმტკიცებს ფიცით,
ვიცი, რომ ტყუის, მაგრამ მაინც ვუჯერებ სატრფოს.
მინდა იფიქროს, — ამ ცხოვრების მე არა ვიცი
და როგორც ჭაბუკს, ყოველივე მხიბლავს და მათრობს.
მერე კი მჯერა, რომ მას სჯერა, ბავშვი ვარ წმიდა,
თუმც კარგად იცის — სიყმაწვილე გადაჰყავა წარსულს,
მეც ჩემი სატრფოს სიცრუისა მჯეროდეს მინდა,
გტყუით ორივე და სიმათლის გამხელა არ გვსურს.
სიმათლე ვიცი, მაშ სიცრუე რად ვათარეშეთ,
სინამდვილისგან რად გვიხდება ურცხვად გაპარვა?
არ არის ტრფობა მოჩვენებით ნდობის გარეშე,
სიბერემ იცის სიყვარულში წლების დაფარვა.

ასე ტყუილმა გაგვიხადა ორივე მონებად,
რადგან ამ ტყუილს მოაქვს მხოლოდ სიამოვნება.

90

თუკი ოდესმე შემიძულებ, დღეს მიმატოვე,
როცა ქვეყანა წინ აღმიდგა, ვით მუხანათი,
უფრო იოლად გადავიტან ჩემს სიმატოვებს,
თუ ბოლო წვეთი არ იქნება შენი ღალატი.
და თუ ოდესმე მოწოლილი სევდა განგდევნე,
არ მომეპარო და არ ჩამცე ზურგში ხანჯალი,
ქარიან ღამეს მერე წვიმით ნუ გაათენებ,
ახლავ მომიზღე შხამი ჩემი დასატანჯავი.
ბოლო წუთისთვის ჩვენი გაყრა აღარ გადადო,
რომ ვერ მოვასწრო წვრილმან სევდით დაძაბუნება,
დღესვე მივიღო უდიდესი ჩემი სადარდო,
დღესვე მარგუნოს უშენობა ავმა ბუნებამ.

შენი დაკარგვით დაკოდილი გული ჩამწყდება
და დღევანდელი ყველა დარდი გამიქარწყლდება.

5

ერთიმეორეს რომ მისდევენ დინჯი წუთები,
მშვენიერებას აყვავებენ გაშლილ ვარდებად,
მაგრამ მშვენება დროის ხელით ნასათუთები,
დროის ხელითვე იღუპება და სამარდება.
უსასრულობის გზაზე მიჰქრის დრო უშფოთველი,
ზაფხულის დღეებს ზამთრისაკენ მიერეკება,
ყინვის საფარით იფარება მკვდარი ფოთლები,
ოდესღაც მწვანე ბუჩქნარები იქცნენ ეკლებად.
მაგრამ ზამთარშიც არ მოკვდება ჭრელი ზაფხული,

და ყვავილებიც იცოცხლებენ გამხმარ კონებად,
თუ შუშის კედლებს სურნელი აქვთ შემონახული,
როგორც ზაფხულის გახსენება და მოგონება.

ზამთრის ქარბუქით იღუპება ვარდის ფურცლები,
ვარდის სული კი რჩება მარად გარდაუცვლელი.

6

სანამ შენს ზაფხულს ზამთრის ცივი სული გაგუდავს,
მზე სილამაზით დაამშვენე თასი საბედო,
სიტუარფის განძი მიაბარე სანდო საბუღარს,
მშვენიერებამ თავის მოკვლა რომ ვერ გაბედოს,
ვინ გაგამტყუნებს, სილამაზე რომ არ დანაცრო,
მაგისტრის ხარკის გაღებას ხომ ყველა ეცდება,
შენიგ თავისთვის გააჩინე შენი სანაცვლო,
ათჯერ გამრავლდი, სიხარულიც გაათქვეცდება.
ათი სიცოცხლე გაგიჩდება ამოსარჩევად,
ბედით იქნები ათჯერ უფრო გატაცებული,
მაშინ სიკვდილსაც წასართმევი არა დარჩება,
თუკი სიცოცხლე შეიღს ექნება გადაცემული.

მაშინ სიკვდილმა ვერ აგინთოს თავის სანთლები,
მემკვიდრეებად არ დაგრჩება მიწის მატლები.

98

უშენოდ ვიყავ, როს გვესტუმრა ცით გაზაფხული,
როცა აპრილმა მოიხურა სიჭრელე ფერთა,
ამღერდა მიწა, ზამთრის სუსხით გადაზაფხული,
მძიმე კრონოსიც ათამაშდა აპრილთან ერთად.
სურნელში თვლემდნენ ყვავილები გადაბურდული,
არ მიზიდავდა მათს საკრეფად ხატულა ფარჩა,
თუმცა ჩიტებიც აყრუებდნენ მიწას ჟღურტულით,
საგაზაფხულო სტრიქონები უთქმელი დამრჩა.
აღარ მხიბლავდა სილამაზე თეთრ ზამზახების,
ლექსით ვერ ვაქე მეწამული ვარდის თასები,
მე უშენობას ვერ მივსებდნენ მწვანე ბალები
და ყვავილები შენი შუქით ნალამაზები.

ჩემთვის ზამთარი იღვა მაინც სუსხით და სეგდით,
და ვით შენს აჩრდილს, მე გაზაფხულს მინდვრებში ვსდევდი.

7

ხედავ მეწამულ განთიადის გასხიგოსნებას?
ცამ მოახურა ანთებული რიდე ბუნებას,
მზის ჩირაღდანი გულს იტაცებს, როგორც ოცნება,
მიწაც შეპყრებს უზენაეს დიდებულებას.
როდესაც მნათობს, ცის უმაღლეს წვერზე აყვანილს
შუადღისპირას შეეტყობა დაფაქვაცება,
მოკვდავთა მზერა მაინც მისკენ ილტვის თაყვანით,
მისი რონინი, ღვთაებრივი, გეყოფნის განცდებად.

მაგრამ როდესაც კაბადონი დაიბინდება
და მზე ბებერი ნაპრალებში კვდება წვალებით,
უკვე არავის აგონდება მისი დიდება
და მზეერას უკვე იზიდავენ სხვა მწვერვალები.

მალე ჩაქრება იმ მზესავით შენი მნათობიც,
რადგან უშვილოდ რჩები შენი უნიათობით.

8

მუსიკის ხმების გაგონება რატომ განაღვლებს,
როცა შენ თვითონ ხარ მუსიკის გამომსახველი,
რატომ გაღონებს სიხარული, რაც სულს ანახლებს
და ასე რატომ გახალისებს მწარე ნაღველი?!
როცა ერთმანეთს შეწყობილია ყდერენ ჰანგები,
ტკბილხმოვანებით გული რად გაქვს ნაიარევი?
აღბათ ჰანგებში საყვედური გესმის განგების,
ქვეყანაზე რომ ასე კენტად დაიარები.
გესმის, ნამღვილი ტრფიალია სიმების ხმაში?!
ყური დაუგდე შეთანხმებულ ყდერას სამსმიანს,
თითქოს დედ-მამას აპოლია პატარა ვაჟი
და შენს სასმენად ერთ სიმღერას შემოსძახიან:

„ვისაც არა სურს თავის ბედის სხვასთან გაყოფა,
ამ ქვეყანაზე მისი ყოფნა არის არყოფნა“.

33

ათასი ლურჯი რიყრაჟი მაქვს მოსაგონები,
მთის მწვერვალები — ზეცისაკენ ატყორცნილები,
მნათობის ოქროს ბაგები — ველს ნაკონები
და წყაროები — მზის სხივებით დაკოცნილები,
მაგრამ ხანდახან იბურება ზეცის ტატნობი,
შავი ღრუბელი ეხურება ციურ მშვენებას,
მაშინ ცოდვიან დედამიწას სტოვებს მნათობი
და დარცხვენილი დასაგლეთში ჩაესვენება.
ერთხელ, ცისკარზე ჩემმა მზემაც გამოაშუქა
და გულდაკოდილს გამიბრწყინა შუბლი მეფურად,
მაგრამ დიდება ბედისწერამ წამით მაჩუქა,
ჩემი მნათობი ლეგა ნისლმა ისევ შებურა.

უსხივოდ დაგრჩი, არ ვუჩივი მაინც ბუნებას,
მიწის მზე რაა, თუკი ზეცის მზეც იბურება.

107

ვერ მეტყვის შიში, ვერც სამყაროს სული მარადი,
რაგინდ იცოდეს მომავალი დროის გზაკვალი,
რა ხანი დარჩა ჩემს სიყვარულს კუბოს კარამდი,
როდის მომიკლავს ტრფიალებას ჟამი მზაკვარი.
მთვარემაც იცის, რომ წერაა შავი ჩრდილისა,
უკვე მისნებიც დასკინიან თავის მისნობას,
ისევ მშვიდობას უმღერს ტოტი ზეთისხილისა,

ისევ იმედით შეიცვალა დღეს უმიზნობა.
ვიცი, სიკვდილი ვერასოდეს ვერ გამაჩუმებს,
არ მოაკლდება ჩემს სიყვარულს ნამის ბკურება,
და უკვდავებას ჩემი ლექსი შემინარჩუნებს,
უვიც ტომებს კი, ვიცი, ელით განადგურება.

როცა ტირანთა საფლავები გადაიხავსება,
ძეგლად დარჩება ჩემს ლექსებში შენი არსება.

1

მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა,
რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად,
დამჟკნარ სიტურფეს მაინც ვერ ჰკლავს ჟამის ღრეობა.
მემკვიდრე არის მისი ხსოვნა და მოგონება.
გრძნობებს რომ ფანტავ, რალა გრჩება, ნეტავ, მარაგად.
შენ, საკუთარი სილამაზის მონადქცეულო?!
ხრიოკ უდაზნოდ რად აქციე რთველის ბარაქა,
შენ, საკუთარი არსებობის მტერო, წყეულო!
მთელი მსოფლიოს სამკაული შენა ხარ ახლა,
მხოლოდ შენ ძალგიძს გაზაფხულთან გაბაასება,
რად არ გაშინებს, თუ ნაყოფი კვირტშივე გახმა,
მშვენიერებას რატომ ფლანგავ, ძუნწო არსებავე?!

წუთისოფელი შეიბრაღე, შენს მზეს რომ ფიცავს,
მაგ სილამაზეს ხუ დაუთმოზ სამარის მიწას.

4

ჩემო მფლანგველო, რა მძარცველი გული გქონია,
რად გადაწყვიტე სილამაზის გაჩანაგება?!
მშვენიერება საკუთრება რატომ გგონია?
მშვენიერება მხოლოდ სესხად მოგცა განგებამ.
ლამაზო ძუნწო, საგანძური რატომ გაფანტი,
რაც მომავლისთვის საანდერძოდ გიძღვნა ბუნებამ!
ჩემო მევახშევე, სხვის ქონებას რატომ აბანდებ,
როცა სარგებელს არ იძლევა განძის ბრუნებამ!
შენ თვითონ გწამლავს უსარგებლო ვაჭრობის შხამო,
საკუთარ თავის გასაძარცვად მართავ ბაზრობას,
მაგრამ დადგება საბოლოო განკითხვის ჟამი,
და ნეტავ რითი გაამართლებ მაგ უაზრობას.

უმოდგმოდ ქრება სილამაზე, ვით მოჩვენება,
მომავლის შემქმნელს ჭირისუფლად რჩება მშვენება.

97

ო, მაშინ თითქოს სუსხიანი იდგა ზამთარი,
რადგან უშენოდ ზამთარსა ჰგავს ჩემი ცხოვრება,
ყველგან სიცივე, სიბნელე და ყველგან ავღარი,
ყველგან დეკემბრის სიშიშველე და გამათხოვრება.
ეს იყო მაშინ, როცა დაჰკნა ტურფა ზაფხული
და შემოდგომას დახუნძლული ხეთა რტოეებით
დაჰქონდა ტვირთი, გაზაფხულის მზით ჩასახული,

ვით ქვერვის საშოს ტვირთი ქმრისგან დანატოვები.
იდგა ეს უხვი მოსავალი, მაგრამ ბუნება
დაობლებული იყო თითქოს და გაქურდული,
შენ თუ არა ხარ, გაზაფხულის მზეც იბურება,
შენ თუ არა ხარ, აღარ ისმის ფრინველთ ქღურტული.

ან თუ მოისმის, სიმღერა ჰგავს სევდას და წუხილს.
და თრთინ ზამთრის სიახლოვით ფოთლები რუხი.

65

ო, თუკი სპილენძს, ოკეანეს და დედამიწას
დრო უღმობელი სასაფლაოს კართან მოდენის,
სიკვდილისაგან სილამაზეს ვინლა დაიცავს,
დროს რას დააკლებს მისი ძალა ვარდისოდენი.
ზაფხულის სუნთქვამ, უნაზესმა, ვით აიტანოს
მოიერიშე დღეთა მძლავრი ქარტეხილები,
როცა ინგრევა მიუწვდომელ კლდეთა პიტალო,
რკინის ჭიშკრები, ჟამის ხელით დატეხილები.
ფიქრო საზარო, სიტურფეა გადასარჩენი,
დროის მარგალიტს დროის რისხვა რად ემტერება,
ვინ შეაჩეროს ჟამის სრბოლა მძლავრი მარჯვენით,
ან ვინ აკრძალოს სილამაზის გაცამტვერება.

ვერვინ შესწყვიტოს სილამაზის გადაშენება,
მხოლოდ მელანი შეინახავს სატრფოს მშვენებას.

104

ძვირფასო, ჩემთვის შენი სახე როგორ დაქცნება,
ისეთივე ხარ, როგორც წინათ მყავდი ნახული,
მას შემდეგ სამი სუსხიანი ზამთრის კლანჭებმა
ტყეებს წაართვეს სიამაყე სამი ზაფხულის.
სამ ვარდობისთვის წაეყარა ფოთლები რუხი,
სამი აპრილის სილამაზეს და სურნელებას
ცეცხლად მოედო სამ ივნისის სიცხე და ბული,
დაქცნა ყოველი, არ დამქანარა შენი მშვენება.
როგორც ისარი საათისა, მშვენიერებაც
მიიპარება და არ რჩება მას ნაკვალევი,
იქნება დაქცნა ეგ სიტურფეც ნაირფერება,
მე კი, უგუნურს, მატყუებენ ჩემი თვალები?!

ყოველი ჭკნება, რაც მშვენებით მოდის ჩვენამდე,
მაგრამ სიტურფე მჭკნარი იყო შენს გაჩენამდე.

32

როცა ვიქნები საუკუნო ძილით მძინარი,
სიკვდილის ფერფლი დააყურებს სულის გოდებას,
მერე თუ შეგხვდა ჩემი ლექსი ნაცოდვილარი,
შენი მიჯნურის სტრიქონები მოგაგონდება.
მათ შეადარებ, რასაც შექმნის ახალგაზრდობა.
მიხვდები მაშინ — არც კი ღირდა შესადარებლად;
ო, ნუ გამკიცხავ, ჩემი ლექსი არ განაზღვება,

მაგრამ ყოველთვის სიყვარულის ცეცხლს ატარებდა. იფიქრე, რომ არ ჩამოქრალიყო ჩემი ცხოვრება, რომ არ გაესწრო აწყვეტილი დროის ჭინებებს, ჩემი ლექსები იქცეოდნენ წინამძღოლებად, ახალ სტრიქონებს აანთებდა შენი მშვენიება.

მაგრამ გახსოვდეს, სიცოცხლისგან ვარ გამიჯნული, ახლებში რითმა დააფასე, ჩემში — მიჯნური.

71

არ დამიტურო, ამ ქვეყნიდან თუ კი წავედი, თუკი ამცნობენ დედამიწას გლოვის ზარები, რომ სამყოფელად ავირჩიე ბნელი შავეთი და მივატოვე სააქაო შესაზარები.

და თუკი მერე გადიკითხავ შენ ამ სტრიქონებს, პოეტის ბედზე არ დაღვარო ცრემლი მდუღარე, მე მიჩრევენია, ნურასოდეს ნუ მომიგონებ, თუ ჩემზე ფიქრი აგატირებს და გამწუხარებს. ო, მოიგონე ამ ტანჯული ლექსის მუდარა, იქნებ მე მაშინ უკვე ნაცრად ვიყო ქცეული, როცა ჩემს სხეულს გადაფარავს ღამის სუდარა, შენს სიყვარულსაც მიაყარე მიწა წყეული.

თორემ ნაღველი შენს სახეზე ღარებს გააჩენს და მაგ ტრფოზისთვის გამოგიტანს ხალხი განაჩენს.

102

მე ძლიერ მიყვარს, მაგრამ გრძნობას არ გამოვაჩენ, რადგან ტრფიალი უნდა იყოს მუდამ ფარული, მაშინ მიჯნური სიყვარულით არის მოეპყრე, თუ ხალხს მოუთხრო თავის გრძნობა და სიყვარული. ვარდობისთვეში სიყვარული გეჭონდა ახალი, ტრფობას უმღერდა ჩემი გული და ჩემი ჩანგი, ასე მაისში ზეცას სწვდება მგოსნის ძახილი — შემოდგომაზე დადუმდება ბულბულის ჰანგი. შემოდგომაზე ბულბულები ღამეს სტოვებენ, თუმც ღამე დარჩა ძველებურად სათნო და ნაზი, ველურ მუსიკით იღლებიან ხეთა რტოები, და თუ სიმღერა გაიფადა, რაღა აქვს ფასი!

და მეც ხანდახან ბულბულივით სიჩუმეს ვარჩევ, რომ სიმღერებით მოწყენილი აროდეს დაერჩე.

83

რადგანაც ხოტბა მაგ სიტურფეს არა სჭირდება, ნაზი ლექსებით არ მიქია შენი არსება; ვიცი, იმდენად ლამაზია შენი ღიღება, რომ არ სჭირდება პოეტების შელამაზება. შენი სიტურფე მომეფინა გულზე მაღამოდ და მის საქებრად უძღურია ლექსის ღაღადი,

მაგ მშვენიერებისთვის დღევანდელი მოცედა ყალბაში:
ვინ გადმოხატოს შენი სახე — ღმერთის ნახატი?!
შენ ეს სიჩუმე თურმე ცოდვად გაქვს მიჩნეული,
მე კი ცოდვების გამართლება იმ ცოდვით მინდა,
რომ შენს დიდებას არ ვაკადრე ლექსი სწეული
და სიმახინჯეს ავაშორე მშვენება წმიდა.

შენი უბრალო გამოხედვა უფრო მეტია,
ვიდრე ის ქება, პოეტებს რომ გაუბედიათ.

22

სარკის არ მჯერა, არ გაჩნდება თმაში ჭალარა,
სანამდე შენში სიყმაწვილის თრთიან ფერები,
მაგრამ თუ ჟამმა ევ სპეტაკი სახე დალარა.
სიკვდილს შეგვხედები შენი ჭკნობით დანაბერები.
შენი მშვენება მინდა დარჩეს, როგორც ზღაპარი,
რა დამაბერებს, ჩემი ტრფობა შენი ხნის არი,
შენს მკერდში ჰპოვა ჩემმა გულმა თავშესაფარი
და შენი გულიც ჩემი მკერდის გახდა ხიზანი.
თავს მოუფრთხილდი, რომ სიტურფე მზის სადარები,
გადამირჩინო და უდროოდ არ მისცე მიწას,
მეც შენი გული ხელისგულზე მაქვს ნატარები
და ვუფრთხილდები, ვით პატარას მზრუნველი ძიძა.

შენც დანაყრდები, ჩემი გრძნობა თუ დასამარდა,
გული მაჩუქე, საჩუქარი აღარ წამართვა.

9

ვინდა, რომ ქვრივი ააშორო ცრემლსა და ნაღველს,
ცხოვრობ ეულად, სიმარტოვის სიმძიმე გაწევს,
მაგრამ თუ მოდგმა არ დასტოვე და ისე წახველ,
ერთ ქალს კი არა, მთელ ქვეყანას ჩააცმევ ძაძებს.
დაქვრივებული დედამიწა ვერ გადარჩება,
თუკი არაგის უანდერძე შენი მშვენება,
ქალის ქვრივობას სანუგეშოდ შვილი დარჩება,
პირმშოს შეხედავს და ქმრის სახე მოეჩვენება.
არ იკარგება ქვეყნად ფული, ტრიალებს მხოლოდ,
რაც შენ დახარჯე, იგი სხვისი გახდა ქონება,
სილამაზეს კი, უნაყოფოს, ეღება ბოლო,
ნერგი თუ არ აქვს, აღარ რჩება არც მოგონება.

ის ვერასოდეს ვერ იქნება სხვისთვის იმედად,
ვინც დასაღუპად თავის თავიც კი გაიმეტა.

77

სარკე გაჩვენებს მიმავალი მშვენიერების ლაღადს,
დაკარგულ წუთებს — საათების ქორონიკონი,
მაგრამ სტრიქონი თუ მიახდე თოვლისფერ ქაღალდს,
ცხოვრების წიგნად გაგიხდება შენი სტრიქონი.

სარკეში იგრძნობ, რომ ღარები სახეს ფარავენ
და სილამაზეც სასაფლაოს მიებარება.

ისარი გეტყვის, რომ საათში დრო შემპარავი
მარადისობის ქვეყანაში მიიპარება.

კარგო, ვის ძალუმს ყოველივეს დამახსოვრება?
მეხსიერებას ეფინება შავი ჩრდილები,
ქალღმის ფურცლებს თუ გაანდე შენი ცხოვრება,
დაბრუნდებიან დაკარგული შენი შვილები.

გადაგეშლება წარსულ დღეთა სარკე მთლიანი
და შიგ მრავალი რამ იქნება სარგებლიანი.

149

ო. უღმობელო, გულცივობა როგორ დამწამე,
შენთვის გაგებდე საკუთარი გულის დაღატი,
ის არ ვიკმარე სატანჯველად, შენ რომ მაწამებ,
და შენთვის გაგებდი საკუთარი თავის ჯალათი.
განა შენს მტრებთან ვარ ნაზი და ამაგიანი.
განა მეგობრად მივიჩინე შენი მოძულე?
განა საკუთარ თავს არ ვუხედი სამაგიეროს,
როს წარბებს შეკრავ მრისხანებით, ცეცხლით მოცულებს?
მე ერთი გრძნობაც არ დავტოვე შენაცოდები,
თუ შენი სულის გაღმერთებას ვერ შეეთვისა,
ამ უღაბნოში ხატად დამატკეს შენი კოდვები
და მორჩილი ვარ შენი ერთი გამოხედვისა.

მაგრამ ყოფილხარ თვალხილულთა ტრფობით გართული,
მე კი თვალები სიყვარულით მაქვს დაშანთული.

2

როცა ორმოცჯერ დაიზამთრებს შუბლი მწყაზარი,
მაშინ ღაწვებიც დროის ხნულით ნაოჭდებიან,
ეკ სამოსელიც შეიქნება ძონძი საზარი
და სილამაზის ნაფლეთები გამოჩნდებიან.
მაშინ გკითხავენ, რა უყავი სიტურფის სხივებს,
საით დამარხე წარსულ დღეთა საგანძურები,
შენ უპასუხებ: „სილამაზეს სამარედ მივეც
ეს ჩაცვინულნი თვალნი ჩემნი დატანჯულები“.
შენი პასუხი შენ დაცინვად მოგეჩვენება,
არა სჯობია, მაშინ გქონდეს ყველგან სათქმელად:
„აი ეს არის ჩემი შვილი, ჩემი მშენება,
ჩემი სიბერის პატიება და გამართლება“.

მემკვიდრე შეჰქმენ, რომ დაგიცხროს ეს იარები
და სიბერეში სიჭაბუკეს ეზიარები!

3

სარკეში იგრძნობ — დროა უკვე გახდე მშობელი;
განმეორება საჭიროა ბუნების განძთა.
მოტყუებულნი რომ არ დაგრჩეს წუთისოფელი

და ვინმე ასულს არ მოაკლო დედობის განცდა.
ყველა ქალისთვის სანატრელი მამაკაცი ხარ,
ყველა ქალწული შემოგწირავს თავის მშვენიებას,
მაგრამ საკუთარ სილამაზეს გაუტაცინიხარ
და არ გაფიქრებს შენი მოდგმის გადაშენება.
დედაშენისთვის წარსულ დღეთა სარკე შენა ხარ,
მას ნეტარ აპრილს გაუცოცხლებს სიყრმე შეილისა,
როცა შენს შუბლსაც ნაოჭებით ჟამი შელახავს,
მაშინ გაგიღებს შვილი სარკმელს სიყმაწვილისას.

უშვილ-უძირო თუ დარჩები მიუსაფარად,
მაგ შენს სახესაც შენთან ერთად მიწა დაფარავს.

142

ცოდედად ისა მაქვს, რომ შენდამი ტრფობას ვატარებ,
სიკეთედ ის გაქვს, მე რომ გძულვარ დაუფარავად,
ჩემს გულს ცოდვიანს თუ საკუთარ გულს შეადარებ,
მაშინ მიხვდები, სიძულვილის ღირსი არა ვარ.
ვიცი, სხვებისგან გაკილვას ვერ გადაფურჩები,
მაგრამ მე შენგან რა სინდისით გავიკიცხები?!
ვერ მაგინებენ აღისფერი შენი ტუჩები,
როცა თვითონაც ავხორცობენ თავდავიწყებით!
ნება მომეცი, რომ შენდამი ტრფობა მარადეჰყო,
თუ საკუთარ თავს ნებას აძლევ სხვები გიყვარდეს,
გთხოვ შემიბრალო, გულისათვის გულს ხომ არა გთხოვ,
ეს სიყვარული შებრალებით გადამიხადე.

თუ სიბრალულთ შენი გული არ აღივსება,
შენც შებრალება არასოდეს არ გელირსება.

87

გემშვიდობები, საგანძურო, მივხვდი, ვინა ხარ,
მე შენი ფასი მეშლებოდა თურმე ხანდახან,
ახლა კი ვიცი, მაგ საუნჯეს ვერ შევინახავ,
და შენს სიყვარულს უნდა ავხსნა ჩემი ყადაღა,
შენს მიჯნურობას საჩუქრად თუ ველირსებოდი,
თორემ არარას ვინ მომცემდა განძის სამყაროს,
ნება ხომ მომეც, შენს სიყვარულს შევხიზნებოდი,
მაგრამ მე მინდა თავს უფლება თვითონ ავყარო.
განძს რომ მჩუქნიდი, მისი ფასი შენ არ იცოდი,
ან ჩემი ფასი შეგეშალა ტრფობით დაქანცულს,
შენი საუნჯით ვნეტარებდი, შენით ვიწვოდი!
მაგრამ უკანვე დაგიბრუნებ ქვეყნის საგანძურს.

ტრფობის სიზმარში მე გვირგვინი მედგა მეფისა,
შენც და სამეფოც დამეკარგეთ გაღვიძებისას.

ინგლისურიდან თარგმნა
რეზო თაბუკაშვილმა



თანხიზ გოგოლაძე



მონხრობა

ვისთვის როგორია ეს დალოცვილი წუთისოფელი, ვისთვის ძირმწარა-კენწერომწარა, ვისთვის ძირტკბილა-კენწეროტკბილა.

იოველს ისე ეჩვენებოდა, მისი ხნისა ქვაც არა გორავდა ქვეყანაზე.

იოველი...

ერთი მხრებში ოდნავ მოხრილი, ახოვანი მოხუცი იყო ქვემო ხანდაკში. წუთისოფლის გზას ამთავრებდა, მაგრამ ჯეელი გულის სიმხნევე კიდევ მოსდგამდა. ხმა ჰქონდა — სოფლის თავიდან ზოლოში გაგაგონებდათ; ქვემო ხანდაკი კი საკმაოდ დიდი იყო. იოველს თვალეზში შეჰყურებდნენ, ჰქუას ეკითხებოდნენ, მისი სჯეროდათ, მისი რიდი და მოკრძალება ჰქონდათ.

ვინ იცის, რა დროიდან მოდიოდა მისი ასეთი პატივისცემა.

*

ქვემო ხანდაკში ექიმად გამგზავნეს.

სოფლის საავადმყოფოში ექთანი ქა-

ლიშვილი შემხვდა და ჩემი ოთახი მაჩვენა. ექთანი ძლიერ მორცხვობდა, შემომხედავდა და ლოყები უწითლდებოდა, არ ვიცი, ჩემს შემოხედვას იატაკის ჭვრეტას რატომ არჩევდა.

როცა დავბინავდი და ჩემი მცირე ბარგი-ბარხანა მივაწყე-მოვაწყე, ექთანს გამოვესაუბრე, გამოვკითხე, როგორი სოფელია და რა ხალხი ცხოვრობს-მეთქი. ძლიერ მიქო ქვემო ხანდაკი — მისი სამშობლო იყო და ავი სიტყვა როგორ დასცდებოდა.

ექთანი რომ წავიდა, ოთახის ფანჯარა გავაღე და გარემოს გავხედე.

კარგ დროს ჩამოველ. ზაფხულის დამდეგი იყო.

სახლს რუ ჩაუდიოდა, საკმაოდ განიერი და მოღუღუნე. რუს ტირიფები და ნერგები მიჰყვებოდა, ხოლო იქით ბაღები იყო და აქა-იქ მოჩანდა წითელკრამიტინი სახურავები. ბაღებში ჩამჯდარი სოფელი რომ თავდებოდა, მერე მცირე

ფერდობი იყო ყანაიანი. ეს თავდებოდა და ჯაგანარით მოდებული გორაკები იწყებოდნენ. ყველაფერს მთები წამოსდგომოდნენ, მწვანენაბლიანი მთები.

მთები ადამიანებივით შემომყურებდნენ და შეხებოდნენ. ამ დროს საიდანღაც მამაკაცის მჭექარე ხმა შემომესმა. რაღაც დაიძახა. შორს იყო და სიტყვა ვერ გავარჩიე. ეს ხმა დილითაც განმეორდა, უთენია. როცა ექთანი მოვიდა და მორცხვად მომესალმა, ის ხმა კიდევ გაისმა. ვინ არის-მეთქი, ვკითხე ექთანს.

— იოველი, ჩვენი დიდი პაპა იოველი.

— დიდ პაპას რად ეძახით?

— მაგის ხნისა სოფელში აღარავინაა.

— მაინც რამდენი წლისა იქნება? —

განგებ განვაგრძე ექთანთან საუბარი, მინდოდა ცოტა შემთამამებოდა, თორემ თვლები სულ დაბლა ჰქონდა დახრილი და ერთი-ორჯერ ნემსის გამოსახარში ლამის ხელიდან გაუვარდა.

— ოთხმოცდაათისა უნდა იყოს, ექიმო.

— მერე, ასეთი ხმა? — გაგვიკვირვებდა ფანჯრიდან გარეთ გავიხედე. რატომღაც მეგონა, რომ აგერ, ღობეთან დავინახავდი დიდ პაპა იოველს. ის კი თურმე ზემო უბანში იყო.

*

ეს დალოცვილი წუთისოფელი ზოგს როგორ შეავსებს ხოლმე ჯანით, სულითა და მადლით!

მთასავით მოდგა თვრამეტი წლის იოველი. ბედმა ხელში კომბალი დააჭერინა და მთაში ბატონის ცხვარს დაუყენა. წილებზე ფეხს იდგამდა და ალალი შრომით იპოებდა ლუკმაპურს. ქედს არვის უხრიდა. შრომაში მას ბაძვდნენ და სიმამაცეში ეჯიბრებოდნენ. თუკი სადმე ვინმეს გაუჭირდებოდა — იოველი იქ იყო. მისი ერთი შეხედვით გოგოები ინუსხებოდნენ...

ქვემოუზნელი ლამაზი გოგო, დარო შეპყვარებოდა. თვალი დაუდგამს და გოგო სიყვარულით დამდნარა. არც სახელი უნდოდათ და არც კარი. ზუნება ლაღობდა და მინდვრის მწვანე, ხასხასა ბალახი იყო მათი ლეიბი და საპანა.

მშვენიერი იყო დარო, მალალო და ძალოვანი. მისი ქალური ქალობა იოველს სისხლს უჩუხჩუხებდა და მიყვარულით გიჟდებოდა. მთიდან მალიმალ ჩამოიჭრებოდა სატრფოსთან, როგორც მწყურვალი ხარ-ირემი...

მთელმა სოფელმა გაიგო ქალ-ვაჟის გატაცება — ისე ძლიერ შეპყვარებოდათ ერთმანეთი, რომ ხალხშიც არა მალავდნენ.

ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო. მამასახლისის ბიჭმა, იმ გულდამწვარმა თედომ, მაინცდამაინც დაროს დაადგა თვალი. ერთხელ, როცა იოველი მთაში იყო, წყაროზე დაიმარტოვა ქალი და წინ გადაუდგა, ხმის თრთოლვით დაუწყო:

— ღვთის გულისათვის, დარო...

ქალმა წარბი შეჰკრა:

— რა ვინდა? გზიდან ჩამომეცალე!

თედოს გულისფეთქება ყელში მოეხინა.

— ნება შენი იქნება, ოღონდ ორიოდე სიტყვა მათქმევინე.

ქალმა დაუთმო და, გისმენო, უთხრა, მაგრამ ვაჟს ქალის სახელის მეტი ვერა უთქვამს რა. დაროს თვალების ეშმა დააბნია და მონუსხა, ენა მუცელში ჩაუვდო.

ამ დროს წყაროს თავზე სოფლის მალხაზი ბიჭი თანდილა გადმომდგარა და თვალი ვერ მოუშორებია ქალ-ვაჟისათვის. იოველი თანდილას მეგობარი იყო და გაჰკვირვებოდა თედოს გამბედაობა, იოველის საცოლვე როგორ დაიმარტოვავო, მაგრამ დაროს გულადობამ გაამხნევა და გაიტრუნა.

თედომ კიდევ ერთხელ წარმოთქვა ქალის სახელი. დარომ თავი გვერდზე გადააქნია, კოკას ხელი დაავლო და შეუძახა:

— მოცლილი ყოფილხარ, ძმობილო!.. ევ სახელი დიდი ხანია შემარქვეს, ვიცი, რომ დარო მქვია... გზიდან ჩამოდექ!

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

თანდილას გული აუჩქროლდა, შენი ჭირიმე ქალობაშიო, დალოცა მეგობრის სატრფო.

თედო განზე გადადგა და თავი დახარა — ვინ იცის, ვაჟკაცს სისხლი როგორ აუჩუხჩუხა დაროს ამაყმა გავლამ.

ქალი თვალს მიეფარა და მაშინ მოეგო გონს თედო. წყაროს თავს შეხედა და თანდილა დაინახა.

— დიდი ხანია მანდ დგახარ? — შეუღრინა მამასახლისის შვილმა.

— ეს-ეს არის მოველ, აქ ბიჭები ჭიდაობას აპირებენ, — თანდილა წყაროს-თავიდან გადმოხტა და თედოს წინ დაუდგა, — მაგ ქალთან რა ხელი გაქვს? მე კი არას ვიტყვი, მაგრამ იოველს რა პასუხს გასცემ?

— ჰო, შენ ჩუმად იყავ, მე და იოველი ვაგსწორდებით.

თანდილას ჩაეცინა და უთხრა:

— კარგი ვაჟკაცი ხარ, თედო, მაგრამ შენც კარგად იცი, იოველთან მაინც ვერ მოდიხარ. აბა, რამდენი არ ეცადე ჭიდაობაში გეჯობნა, მაინც ვერ აჯობე.

— როგორ, რა, — იუკადრისა თედომ, — ვაჟკაცობას მიწუნებ? შენი დასაცინი ვარ, თანდილ?

— აბა, ვაჟკაცობას როგორ დაგიწუნებ, — ახედ-დახედა თანდილამ მართლაცდა ბერმუხასავით გაშლილსა და გალაღებულ ვაჟკაცს, — მაგრამ სიმართლე ხომ ყველაზე ნათელი კელაპტარია ამ ქვეყნისა. იოველი სულ სხვა ვარსკვლავზეა გაჩენილი. ჯერ არსად გვინახავს დამარცხებული.

ამ დროს გზიდან ხმაური მოისმა.

ზინდი იყო და დღიურ შრომაგადახდილი ბიჭები წყაროსკენ მიეშურებოდნენ, რომ აქ თავი შეეყარათ. დაღამებამდე თავი შეექციათ, ერთმანეთი ღონესა და ძალაში გამოეცადათ.

ჭიდაობა იყო მათი გართობა, სკოლა და ხალისი.

თედოც ჩაერეოდა ახალგაზრდების პაექრობაში... მაგრამ იოველისაგან რამდენჯერმე შერცხვენილი, ბოლო დროს

ბიჭებში აღარ ერეოდა და სულ იმის ფიქრსა და დარდში იყო, ფაქეცხვი შემარცხვენელისთვის სამაგიერო შეეჭრო. მამაც აამხედრა იოველის წინააღმდეგ, მამასაც შეაძულა ბიჭი.

თედო წელში მოიხარა და წყაროს ქვემოთ ბილიკზე დაეშვა, დაწალუწით გადათქერა ვილაცის ღობე და გაუჩინარდა.

ზაფხულის წყნარი საღამო იყო. წყარო ისე ჩხრიალებდა, თითქოს გალობდა, ლიკლიკით მიედინებოდა ქვებში და მიწას გულს უსარკავდა, საღამოს ღილისფერ ცას შიგ ახედებდა.

წყაროსპირას პატარა ფორს მუხები ერტყა. ფორი ჩრდილიანი იყო და ზაფხულის პაპანაქებაში აქ საამური ჩრდილი ეფინა, გზადგავლილ დასიცხულ გლეხკაცს აქეთ გადმოუხვევია ხოლმე და ამ მუხის დამრგველ-გამხარებელი, წყაროს გამოწყვანი დაულოცნია შეება-მოგვრილს.

ბიჭები აქ იყრიდნენ ხოლმე თავს. ერთმანეთს მოჩხუბარ მამლებივით ზვერავენენ, თვალებს აბრიალებდნენ, საჭიდაოდ იწვევდნენ. მერე ფორზე დგებოდა ბული ფალაგნების ბლლაძენში, დოლი ბრაგუნით იღებოდა, მოიქანცებოდა თვით მედოლეც, დამარცხებულები განზე გადავებოდნენ და მეორე დღისათვის შურისგებით დაიქადნებდნენ, გამარჯვებულები კი მკერდს გამოზურცავდნენ, ამაყად ჩაივლიდნენ და თავს მოაწონებდნენ წყაროს თავზე გადმომდგარ გოგოებს. გოგოებსაც ახარებათ მამაცი ფალაგნების ქერეტა და ვინ იცის, აქედან რამდენს წაუღია სიყვარულის ნაპერწკალი, უძილო ღამეში გაუღვიძია და, მეორე დღეს ბიჭისთვის გაბედულად ველარ შეუხედავს. განა არა? ზევრი ყოფილა ასე.

...მაგრამ იმ დღეს ბიჭებს ჭიდაობა არც კი დასცალდათ, თავს მამასახლისი გიგო წამოადგათ.

— აქ რას აკეთებთ, — წყაროს-თავზე გადმომდგარმა შეუღრინა ბიჭებს. კარგად იცოდა, წყაროსწინა მოედანზე თავს რად იყრიდნენ ქვემოხანდაკელი

ახალგაზრდები — განა ერთხელ და ორჯერ მოსულა მისი ვაჟი თედო! მაგრამ, ეტყობა, მამასახლისს რაღაც ცეცხლი შეენთო გულში, რომ აღრენილი მოეჭრა ბიჭებს.

— ჰოდე, აქ რას აკეთებთ?! სხვაგან რომ უქნარები ხართ და დოცლაპიები, ესა ვიცი.

— დოს ყლაპვასა რა სჯობია, ძია გიგო! არ არი, თორემა...

— შენა, ოტლეს ბიჭო, იცი რა...

— რაი, ძია გიგო?

გიგომ პასუხი ვერ მოძებნა, გაბრაზდა და იღრიალა:

— აქ რას აკეთებთ-მეთქი?! ერთად აღარ გნახოთ! მთავრობა მე ამიწვეს ყურებსა, ერთად რო გნახოთ...

აი, თურმე რის გულისტივილი ჰქონია გიგოს.

ბიჭები მაინც ვერ მიუხვდნენ და ჰკითხეს:

— მთავრობაში შენ არა ხარ, ძია გიგო?

— ეხლავე დაიშალენით! თქვენა მკვლიხართ, თქვენი გულისთვის...

— ჭიდაობა გვინდა, ძია გიგო.

— ეს ვინლა? ჭიდაობა, შენცა... გამომივიდა ისა... აი, ისა... ეგრე დაღუულმა ვინ უნდა წააქციო?

— ღონეი მაქ, ძია გიგო.

— ზეგარაზე არა გაქვთ ღონეი, ეხლა საიდან გაეჩინდათ, ჰა? მაგ ღონესა ციმბირში დაგახარჯვინებთ, გაიგეთ?

— გავიგეთ, მაგრამა...

— რა მაგრამა? რა მაგრამა? რაღას უდგებართ?

მამასახლისს ყვირილისაგან ყელი ჩაეხლიჩა. ბიჭები ზღაზვნით წავიდ-წამოვიდნენ. გიგო წყაროზე ჩამოვიდა და ყელი ჩაისველა, მწყურვალი ხარივით მიადგა და ხვრება დაუწყო ცივ-ცივ წყალს. როცა წელში შესწორდა და მიიხედ-მოიხედა, ბიჭები ისევ იქ დაინახა. შეცბუნდა. ბიჭები შეგკუფულიყვნენ. მათ წინ იოველი დამდგარიყო, ნაბდის ქუდი მოეხადა და მამასახლისს უყურებდა.

გოლიათი ბიჭები იყვნენ ქვემო ხანდაკში, მაგრამ იოველი სულ სხვა იყო —

სიმაღლით, სიგანით, თვალების ცივებითა და ხმის რიხით.

— გამარჯობა, ძია გიგო! ეს დინჯი გოლიათი გიგოს.

— რა ოხრად მინდა შენი სალაში! — უპასუხებს ხელისუფლებით წელგამაგრებული გიგო, ამით სჯობნის იოველს.

— სალაში ღვთისაა.

— ცხვარი ოხრად დააგდე? აქ რას მოთერთოდი? — კვლავ ღრინავს გიგო.

— ცხვარს შიო უდგას, მე დედაჩემს ჩამოხვებდე.

— მერედა აქ რაღა გინდა?

— ეგ რა საკითხავია? საღაც ჩვენი ბიჭები, მეც იქა!

— ამაღამე აიკარ გუდა-ნაზადი და არ დაგინახო სოფელში, თორემ ციმბირი აქეთ დაგრჩება!

— ძალიან ჩამაცივდი, ძია გიგო. იმ შენმა ბიჭმა თუ ჭიდაობა არ იცის, აზა, რა ჩემი ბრალია. მამის სულს გეფიცები, თვითონ გადამეკიდა, სოფლის ფალავანი შენ როგორ უნდა იყო. ავდექი და დავდე ბეჭებზე.

— ციმბირი აქეთ დაგრჩება-მეთქი, მითქვამს! იქ შენი ფალავნობა არ გავა.

— ცუდი გადამტერება გცოდნია, ძია გიგო. მერედა, შენი ის ორი შვილი არ გეცოდება?

გიგო ამის გაგონებაზე შეკრთა. ნაბიჯი უკან გადადგა და იოველს მათარახი დაანახვა.

— იმუქრები?

— ჩემი მუქარა ვინ გაიგონა! — ალაღად გაიღიმა იოველმა და ბიჭებს აქეთ-იქით გადახედ-გადმოხედა, — განა ვინმეს დავმუქრებოვარ, ბიჭებო?

— არა, ეგ არა ყოფილა, — მაშინვე კვერი დაუკრეს ამხანაგებმა.

— ჰოდა, ასეა საქმეი, ძია გიგო, — ახლა კი ავლებით თქვა იოველმა.

— რეებს მიჰქარავ?

— ვამბობ, ძია გიგო, მიქარვა რა შუაშია? მე რომ ტყუილად გამაციმბირო, იმ შენს შვილებს რა ეშველიბათ-მეთქი. ეს ვიგულისხმე ჩემს ნათქვამში.

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

— გადამრევს ეს ბიჭი! — გაიფოფრა მამასახლისი, ვერც ახლო მისულიყო იოველთან და არც დამარცხებულს უნდოდა სოფლის ფორის დატოვება. ახლა, როგორც ატყობდა, აღარც ხელისუფლება შეელოდა, ბიჭები ისე ამოსდგომოდნენ მხარში იოველს.

— ცოდვიანი იქნები და ხო იცი, ცოდვიანი მამის ხელში შვილები როგორ გაიხარებენ! ეს უნდა მეთქვა, — განაგრძობდა იოველი.

— შენ სხვა სიბოროტე გედო გულში. გადათქვი? — არცხებოდა მამასახლისი, მათრახს ატრიალებდა, მაგრამ მათრახი მინც არ მათრახობდა.

— მამის სულს გეფიცებო, ცოდვიანი მამის ხელში შვილიზი ვერ გაიხარებენ.

ახლა კი ცხადი იყო იოველის უპირატესობა. იღიმებოდა ის დალოცვილი და ამით უფრო ახელებდა მოწინააღმდეგეს. აშკარა იყო, იგი არც ხელისუფლებას დაგიდევდა, არც გიგოს თავაკობას. ის მიწისა და ბუნების ლაღად ნაზარდი შვილი იყო და ჯანში გამჯდარი მიწისა და წუთისოფლის მადლის იმედით სულდგმულობდა.

მამასახლისმა ცოფი გადმოყარა და დამარცხებულმა დატოვა ფორი, მაგრამ ერთხელ კიდევ მოუტრიალდა იოველს, დაემუქრა და ძუნძულით წავიდა სოფლისაკენ.

ბიჭები შეშინდნენ, იოველს გარს შემოეხვივნენ, არა აგიტეხოს რა მაგ მურდალმაო. მაგრამ იოველი ისე არხეინდა იყო, ისე იღიმებოდა, თითქოს არც არა მომხდარიყოს რა, არც არავინ დამუქრებოდეს. რამდენი ხანია მკლავი არ გამიშლია და ვიჭიდაოთო, უთხრა ჭაბუკებს.

დოლს ჯერ გაუბედავად დაუბაგუნეს. შიომ და თანდილამ მკლავი გაშალეს და ებღღვენენ ერთმანეთს. მაშინ კი გახურდა დოლი. ჭიდაობის ეშმა და ძალამ ყველაფერი დააიწყა ბიჭებს. დადა ბური. წყაროზე გოგოები გამოჩნდნენ, მუხის ძირასაც ჩამოსხდნენ და ფალავნებს გულისფანცქალით დაუწყეს ცქერა.

თანდილამ ბეჭებზე დასდო შიომ. შიომ შერცხენილი წამოხტა, საყულოში მიწვედა თანდილას.

— კიდევ დამეჭიდე, თანდილ! — ხმა უთრთოდა სიბრაზისაგან.

იოველი ჩაერია, ეგ როგორ იქნებაო. მაშინ თანდილამ კიდევ გაახელა შიომ, ტალახში მინც გამეგორებინე, რომ შენს საცოლეს დაენახაო.

შიომ ყური არ ათხოვა იოველს და თანდილას აქეოჩრა.

— მეჭიდე-მეთქი!

— ყვინჩილობას თავი ანებე. — თითქოს თავისთვის ჩაიფულუნა იოველმა, — მიდი, გადაეხვიე და გამარჯვებაც მიულოცე. ვაჟაკის წესია.

ნირი წაუხდა შიომს, მკერდზე ხელი დაიბრაგუნა და თანდილას მუქარით გაშორდა. ასეთი მუქარა ყოველ საღამოს გაისმოდა ხოლმე წყაროსწინა ფორზე. მეორე დილით განაწყენებული ვაჟაკები ისევ ძველებურად, მეგობრულად გადახვედნენ ხელს ერთმანეთს.

იოველმა მკლავი გაშალა და ბიჭებს თვალი გადაავლო. დაუმარცხებელი ფალავანი წრეში იდგა და ვერავინ ბედავდა მასთან შერკინებას. მაგრამ სადღაც ვაჟაკის გულში თავმოყვარეობის გრძნობამ იფეთქა, იქით გოგოები თვალეხს აბრიალებდნენ.

მოედანზე გამოვიდა იოველის პირველი მოწინააღმდეგე. იოველმა ერთი კი შეხედა და გაახსენდა ამასწინანდელი, ბეჭებზე როგორ დააკრა.

დოლი გახურდა. იოველი რატომღაც ზანტად დახვდა მოწინააღმდეგეს. „დონე თუ მომატებია ამ ღმერთძალელსა“, გაიფიქრა იოველმა, როცა ვაჟაკის ძალა იგრძნო, მხრები კი ისე შეიბერტყა, თითქოს თოვლი მოიცილაო, ერთი ღრმად ამოისუნთქა და... ჭიდაობაც გათავდა. ბეჭებზე დაკრული ვაჟაკი იოველმა ხელად წამოაყენა, თავად გადაპკოცნა და დარცხენილი ისევ ბიჭებში შეაგდო. გოგოები ახორხოცდნენ, კისკისებდნენ და იოველის მარჯვენას ლოცავდნენ, ბიჭებს არცხვენდნენ, მოუწოდებდნენ. და აი, ერთი გამოვიდა კიდევ. მოსული ვაჟაკი იყო, მაგრამ იოველ-

თან რას მოვიდოდა! მკლავში ღონე ჰქონდა, მაგრამ იოველის მკლავის ღონეს რა შეედრებოდა!

— ზურაბ, შენა?— უღვაშზე გადაისვა ხელი იოველმა და საჭიდაოდ მოემზადა.

ზურაბმა ჯერ გოგოებისკენ გაიხედა. ალბათ იმ წუთში რაღაც ჩაითქვა გულში. იოველს წელში შეუფარდა. თავისთვის სასიფათოდ უტევედა ზურაბი. მაგრამ იოველმა შეატყო, რომ რატომღაც უწინდელზე უფრო მონდომებული იყო გაქვაცი, ძალას არ ზოგავდა. ზურაბი მუხას ევაჯგურებოდა და ვერა სძრავდა. იოველი ისე იდგა, თითქოს ფესვები ქვესკნელში აქვსო გამდგარი. უცებ შეტოკდა იოველი, ზურაბმა წელში დასტაცა ხელები და გახურდა ბდღვნა და ხენეშა.

სასწაული მოხდა ქვემო ხანდაკში: იოველი ბეჭებზე დაკრული ნახეს.

დოლი უცებ დადუმდა. გამარჯვებით გაოგნებული ზურაბი ერთხანს პირდაღებული დაჰყურებდა მიწაზე გადათხლარშულ იოველს. იქნებ არა სჯეროდა? იქნებ თვალი ღალატობდა? ირგვლივ სიჩუმე იყო, წამიერი სიჩუმე. ზოლოს დაირღვა ეს დუმილი, ზურაბს მიულოცეს.

იოველი ნელა წამოდგა. ისე ალაღად გაიღიმა, თითქოს ბეჭებზე ის კი არა, მისი მეტოქე ყოფილიყო გართხმული.

— მომილოცნია, ზურაბ! — გამარჯვებულს ხელი გაუწოდა და ძმურად გადაკოცნა, მერე პირდაღებულ ბიჭებს მიუბრუნდა, — აი, ხო ნახეთ! ჩემი წამტყვევი არაგინ იყო და ზურაბმა დამდო. ყოჩაღ, ბიჭო!

ერთხელ კიდევ გადაეხვია, მერე წავიდა და ბიჭებში ჩაღვა. თანდილა გვერდში ამოუღდა.

— მესიზმრა თუ მართალი იყო? — ჰკითხა დამარცხებულ ფალაგანს და ბეჭებზე ხელი გაუსვა, მტვერი უნდა მოეცილებინა. იოველმა შეუტია:

— თუ ვერ დაინახე, სხვასა ჰკითხე. მიდი, ახლა თქვენ ეჭიდეთ. ჩემი ფა-

ღანობა წასულია. მტვერს ნუ მაცლი. მნახოს სოფელმა, რო წამატყვის. სულ ერთია, გოგოები იტყვიან.

*

ავი კაცია გიგო. მამასახლისია და იღრინება. წყაროს ფორიდან მტრობა წაიღო იოველისა, ჩაფარს დაუძახა და ახლა შეიარაღებული კაცით მიეჭრა მოქიდავეებს. დოინჯემოყრილი გადმოდგა წყაროს თავზე და ჩაფარს უბრძანა, იოველი წამოიყვანეო.

შეიარაღებული კაცის დანახვაზე გოგოები დაწოკდნენ და სოფელში გაიფანტნენ. ჩაფარმა თოფი მოიღერა და ნელი ნაბიჯით გაშორდა მამასახლისს. იოველს ორ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, შედგა. იოველმა ხანჯლის ტარზე დაიდო ხელები. ჩაფარს ისე მიატყერდა, თითქოს სამტროდ მოსულს კი არა, კარგ სანახაობას უტყერისო. სითბო და სიმშვიდე იყო მის თვალეშში.

— შენა, ე, — წამოიკანკლა ჩაფარმა.

— ჰო, რა იყო. ეჭვი გეპარება, რომ მე ვარ?

— წამო!

— სად მეპატიყები, ძმობილო? ნეტავ სად მოგძებნეს ეგრე დალეული, თოფს ვერ ერევი და მე მომერევი?

ჩაფარი შეგულიანდა:

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! შემოიხსენებ ხანჯალი!

— მოდი და შემომხსენ, მოდი-მეთქი. აი, ხელები უკან მიმაქვს. — აქ კი ბიჭები წამოიქოჩრნენ, იოველს აეფარნენ.

— ბუნტია? მით უარესი შენთვის, იოველ! — გადმოსძახა მამასახლისმა.

— ახლა ეგ დამწამე, — ჩაიცინა იოველმა და მერე ბიჭები ჩამოიშორა.

ჩაფარმა თოფის ჩახმახი გაატკაცუნა.

— გესვრი!

იოველმა კიდევ ჩაიცინა და ტანმილეულ ჩაფარს აგდებით უთხრა:

— შენ მაგის შნო ვინ მოგცა!

— დაიცა, ბიჭო, მართლა არ ისროლოს! — შეშინდა თანდილა.

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

იოველმა ჩაფარი თვალში ამოიღო და ნელი ნაბიჯით წავიდა მისკენ, ერთი ნახტომი და თოფი ხელში მოიგდო იოველმა, ჩაფარს პანლუჩი ამოჰკრა და გაავლო.

ბიჭებმა შვებით ამოისუნთქეს, ეწადათ გამარჯვების ყიჟინა დაეცათ, გაქცეული ჩაფრისთვის ესტივინათ, მაგრამ წყაროსთაგზე მრისხანედ გადმომდგარი მთავრობის კაცი ბიჭებს ამ მხიარულ წუთებს უწამლავდა.

იოველმა ხელში შეათამაშა თოფი, მერე ჰაერში ისროლა და გიგოს მიაწოდა:

— აჰა, წაუღე. ცოლოა. დაიჭერენ მაგ უბედურს თოფის დაკარგვისთვის. ეს თოფი კი გამომადგებოდა ცხვარში, იქაც ბევრი მგელი გვესევა.

— ძვირად დაგიჯდება, იოველ! — ბოლმა გადმონათხია მამასახლისმა.

— ჩაფრად დაგიდგები, ძია გიგო, გინდა? თორემ ეგ ტილიანი რას გაგიკეთებს!

მაგრამ მამასახლისი ყურს აღარ უჯდებდა, თოფი მხარზე მოიგდო და სოფლისაკენ გაჰქუსლა.

იოველი წყაროზე დაროს ელოდა.

მარტო იყო და ამომავალ მთვარეს უტკერდა. ნელა, სულ ნელა, ნათელით ივსებოდა მიდამო. მაგრამ უცებ განათდა, როცა დარომ ბილიკი ამოიბრინა. იოველმა მკერდზე მიიკრა სატრფო და ლამაზი თვალეზი დაუკოცნა.

— იოველ, გოგოებმა შემაშინეს: მამასახლისმა ჩაფარი მიუსიაო, — ხმის თრთოლვით უთხრა დარომ და ვაჟაკს მიეკრა და მიეტმასნა.

— სხვა არა დაინახეს რა? — ჩაიცინა იოველმა.

— შეშინებულები იყვნენ, იოველ.

— არაფერია. მე და გიგოს ერთი სოფლის ჰაერი არა გვეყოფნის და ციმბირში მიბირებს გაგდებას.

— უწინ სიკვდილი მე! — შეკრთა დარო.

— გოგოებმა კიდევ არა გაიამბეს რა? შენი ფალავანი რო ბეჭებზე გააკრეს.

— ზურაბმა აჯობაო, თქვეს და არ დავიჯერე.

— დაიჯერე, მართალი იყო.

— ეგ არასოდეს არ ყოფილა.

— აი, ახლა კი მოხდა. ასე იყო და რას იზამ! ხანდახან სხვისი გულის ტიაც უნდა გაახარო. ამ წყაროს თაგზე თებრუანთ თინიკო გადმომდგარიყო. შენ კარგა იცი, როგორ გიყდება მისთვის. აჰა, რა გული მომცემდა, რომ სატრფოს წინ ბეჭებზე დამეკრა ვაჟაკი. ავდექი და გავიშოტი. ეგრე გემრიელად დაგეცი, რო შენი მოწონებული! შენ იქ არ იყავ და რა მენალგეზოდა, იმათ კი გაიხარეს და!

ქალი უსიტყვოდ უტკერდა ვაჟაკის მთვარით განათებულ სახეს და ვერ ეთქვა სიყვარულის დიდი სათქმელი. გული გამაღებით უძგერდა.

— შენი ჭირიმი, იოველ!

*

თედო გადაუდგა იოველს, გოგო ჩემია და შენ მაგას რად ეთამაშებო. იოველმა მარჯვენა წარბი აზიდა და გულისფეთქვა ყელში მოეზუნა.

— გოგოც ჩემია და სიყვარულიცა! — შეუძახა.

მაშინ იმ დედამკვდარმა თედომ ხანჯალი გაიძრო. ხანჯალი იოველსაც ჰქონდა.

დაჰკრა თედომ. მახვილს მახვილი შეაგება იოველმა. შეიქმნა ფიცხელი ბრძოლა. კაცი არ ჩანდა გამშველებელი. მერე საიდანღაც სოფლელები გამოჩნდნენ, მაგრამ ორ დევს ვერავინ მიეკარა. იდგნენ და შიშითა და კანკალით უტკერდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას.

მახვილი ცეცხლს აფრქვევდა, ორი დევგმირი საბერველივით ქშინავდა. ერთმანეთს უტკერდნენ, ზედ აწყდებოდნენ, ანთებულ მუგუზლებსა ჰგავდნენ, მუგუზლებს ერთმანეთს რომ მიახლი და ნაკვერცხლებს გაჰყრის, ისე ჰყრიდნენ ნაკვერცხლებს.

დიდხანს გაგრძელდა მათი ბრძოლა. ბოლოს ერთი დაეცა. იოველმა ღრმად ამოისუნთქა და ხანჯლით გულგააბოილ

ვაჟაკს დახედა, მაგრამ ძვირად დაუ-
ჯდა ეს გამარჯვება, ციმბირის გრძელ
გზას გაუყენეს ეტაბით.

ქვემო ხანდაკში მალე მოიტანეს ამ-
ბავი, იოველი მოკვდაო. არავინ იცოდა,
ეს ამბავი საიდან მოდიოდა.

*

წყარო უშრეტად დიოდა.

ქვები მოენგრა და სოფლის ახალმა
ხალხმა ახალი წყაროს აგება იწადა.
მოხუცი ხელოსანი დააყენეს და ისიც
დინჯად შეუდგა შენებას. სამუშაო რომ
მოათავა, საჭრეთლით დაიწყო ამოკვე-
თა: „1920 წელი“. მგზავრი წამოადგა.
ახმახი იყო, წვერმოშვებული. ნათელი,
გასხივოსნებული თვალები ჰქონდა. ორ-
მოცს გადაცილებული იქნებოდა, მაგ-
რამ ჯეელის სიმხნევე მოსდგამდა. ოს-
ტატს მიესალმა და მოხუცმაც თავისე-
ბურად ტკბილად დალოცა. მგზავრმა
თვალი არ მოაშორა და ოსტატი უხერ-
ხულად შეიშმუშნა:

— ეგრე რად მიყურებ? ვინა ხარ? არ
მეცნობი.

— ვინა ვარ? მგზავრი უბრალო. წყა-
ლი მწყურია და გზიდან გადმოვუხვიე.

— მიირთვი. წყალია ისეთი, რომ...
ცივი და გემრიელი.

— გემრიელია, ჰა?

— ვისაც ერთხელ მაინც უგემნია, არ
დაავიწყდება.

— აკი ამიტომ გადმოვუხვიე გზიდან.

— მერედა, თუ კი დაგილევია, შე
დალოცვილო, რაღას მეკითხები?

— ის ოდესღაც იყო, მაშინ ამდენი არ
გადმოდიოდა. ახლა ბლომადაა.

— როდინდელი გახსოვს?

— დიდი ხნისა. ოცი წლის წინანდე-
ლი. ყველაფერი გამოცვლილა.

— ვინა ხარ? ვერ მეცნობი.

— ვინა ვარ? ერთაწმინდელ მატრო-
ნას შვილი, კოტე. გახსოვს?

— მატრონას კოტე? — ჩაფიქრდა მო-
ხუცი, გონებაში გუშინდელ ფურცლებს
გადახედა, მაგრამ უცებ ვერ გაიხსენა,
რომელი მატრონას კოტე იყო. ჩურჩუ-
ლით გაიმეორა ეს სახელი და უცებ მოა-
გონდა, — მატრონას კოტე! მგონი

ცხრაასში დაიჭირეს და გააცემბირეს.
აკი მოკვდაო?

მგზავრს ჩაცენა, ტყუილი უთქვამსო.
— შენ კი დაბრუნდი, — კმაყოფი-
ლებით ჩაიღიმა მოხუცმა და ვაჟაკი
კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

— მოკვდაო, ჰა? — წვერზე ჩამო-
ისვა ხელი მგზავრმა და ქვეშ-ქვეშ გა-
მოხედა ოსტატს, — თუმცა ციმბირი
ისე შორსაა, იქიდან მართალი ამბავი
აქ როგორ მოაღწევდა!

— ამბობენ, ძაან შორიაო.

— ძალიან. — მგზავრმა ერთხელ კი-
დევ დაკვირვებით შეხედა მოხუცს და
უთხრა: — შენ ხომ აქაური ხარ, ძიაკა-
ცო? მგონია ბაჩუა ოსტატს გეძახდნენ.

— კარგა დაგხსომებივარ.

— როგორ არ დამამახსოვრდებოდი.
რაც ამ მხარეში წყარობია, ყველა
შენ აგიშენებია. და განა მართო წყარო-
ები!

— ბევრი რამ. მთელი ჩემი სიცოცხ-
ლე ვაშენებ, მაინც ვერ აშენდა ეს და-
ლოცვილი სოფელი!

— სოფელი სულ შენებაშია. გაივლის
ცოტა ხანი და ამ წყაროს ახლა სხვები
ააშენებენ. — მგზავრი დადუმდა, სოფ-
ლისკენ გაიხედა. მისი თვალები სევდით
მოიღუშა და აწყლიანდა. მოხუცმა შე-
ნიშნა და დაკვირვებით მიაჩერდა მატ-
რონას კოტეს, რომელსაც ქვემო ხანდა-
კის ჭვრეტამ ცრემლი მოჰგვარა.

— ერთი რამ მინდა გკითხო, ძია-
კაცო, — მოუბრუნდა მგზავრი ოსტატს.

— ბრძანე, შენი ჭირიმე.

— ციმბირში ერთ თქვენს თანასოფ-
ლელს შეგხვდი.

— იოველი იქნებოდა.

— დიახ, იოველი.

— დიდი ვაჟაკი იყო. დღესაც ზღაპ-
რად დადის მისი სახელი. ცოცხალია თუ
მკვდარი?

— ცოცხალია, ოსტატო.

— ე, რას ამბობ! — წელში შესწორ-
და, მოცოცხლდა ოსტატი. — მერედა, არ
მეტყვი, სად არის და რასა იქს?

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

— ცოტა ხნით რუსეთში დარჩა. მე ზოგიერთი რამ დამაბარა და უნდა შევატყობინო. მომწერე, დედაჩემი როგორ არისო. ჰა, როგორ არი?

ოსტატმა პირველი გადაიწერა და ღრმად ამოიხსრა.

— ათი წლის წინათ მიიცვალა, შვილო. ნუ მისწერ. ტანჯვასთან ერთად ღმერთს იმედი და მოლოდინიც გაუჩენია.

მგზავრმა შუბლი მოისრისა, აწყლიანებული თვალები მოხუცს მოარიდა.

— რა დაგემართა, ვაჟაკო? განა ასე განიცდი ამხანაგის დედის სიკვდილს?

— რა ვქნა, ასეთი გული მაქვს.

— აბა, რა მოუვიდოდა საცოდავს, მთასავით ვაჟაკაცი გამოეცალა მის ოჯახს. — წამიერი დუმილი ისევ მგზავრმა დაარღვია.

— ჰო, კიდეც ის დამაბარა. აქ ერთი გოგო ჰყვარებოდა, სახელი მაინც გამახსენდეს.

— უყვარდაო? უყვარდა და მერე როგორ?! სიყვარულიც კარგი იცოდა იმ დალოცვილმა!

— მერე, მოხუცო?

— იოველმა არა გაიმზო რა?

— ბევრი რამ მიაშო. მერე, მერე რა მოხდა? არა იცი რა?

— იოველი რომ დაიჭირეს, დარომ ლამის მოიკლა თავი, ძლივს გადაარჩინეს, ოთხი წლის მერე ძალით გაათხოვეს. ახლა თხუთმეტი წლის გოგო ჰყავს და თორმეტისა — ბიჭი.

მგზავრმა მკერდზე დაირტყა მუშტი და დაიგმინა:

— ვაი, შენ ჩემო თავო!

— რა იყო, ვაჟაკო? ამან რაღად შეგაწუხა?

— მაშ რა ვქნა, მოხუცო! იოველი აქა ვარ და ვუყურებ ჩემი ცხოვრების დამნაყრავ ცეცხლს! აღარც დედა, აღარც დარო! გული დამთუთქვია და სული მეწვის.

მოხუცს ყბა აუთრთოლდა და ენას სიტყვა ვერ მოავტო.

— რად მიმალავდი ვინაობას, ბიჭო? — ძლივს ამოღერდა და თვალში მომდგარი სიხარულის ცრემლი მოიწმინდა.

— მხოლოდ ამისთვის. იმიხა მემონოდა, რაც შენგან გავიგე. მემონოდა აკი ვისმინე კიდეც ჩემი ავტობიუსი რა მომარბენინებდა, ვისთვისღა ვიჩქაროდი!

— შენ ისევ ის მთა ხარ, იოველ, ისევ ის ცეცხლი ჩანხარ. ვაჟაკო, გამაგრდი.

— რაღა დამრჩენია ამ სოფელში! ვის ვუყურო და რითი გავიხარო?

— იოველ, სიმწარესთან მაღლიც არ გამოლეგია წუთისოფელს.

— სიმწარე მეტი მიმიზლო.

— მაღლსაც მოიმკი, — მოხუცი ახლა იოველის უიმედო სიტყვებს გამამხნეველეს აგებებდა.

— რა ტყუილად მამშვიდებ, კეთილო მოხუცო.

— გამშვიდებ მევე, შენი ავის მაუწყებელი. რა ვქნა, კაცი კაცისთვის გულის წამალიც უნდა იყოს, ჩემო იოველ, — მოხუცმა მხარზე დაადო ხელი, — ციმბირს არა დაუკლია რა შენთვის. მახსოვს, ბღღვირს რომ ადენდი ბიჭებულსა.

იოველი ხმას არ იღებდა. დადუმდა მოხუციც. წყარო არ ჩუმდებოდა. სადღაც ჩიტები არ ჩუმდებოდნენ.

— ჰოდა, ასე, ჩემო კეთილო მოხუცო, — წამოდგა ბოლოს იოველი, — მე აქ აღარაფერი დამრჩენია, დამრჩა ორიოდე ტკბილი დღის ვახსენება. მაშ, შენ ამზობ, გემრიელი წყალიაო? დავლევ და ჩემს გზას გაგუდებები ჯანდაბისაკენ.

— შენი ნასახლარი, გაციებული კერა?

იოველი წყაროს წყალს დაეწაფა. სვამდა და ვერ ძღებოდა. ასე ხარბად, ასე მწყურვალედ არასოდეს დაუღეგია. სვამდა და ძარღვებში ურბენდა, სიანჭკარით იგებოდა.

— ოჰ, რა გემო აქვს ამ დალოცვილს, — სული მოითქვა და წილში შესწორდა, — ჩემო წყაროვ, ჩემი მიწის ნოყიერო რძეო.

ვაჟაკი ერთ წუთს დაიბინდა. წყაროსკენ დარო მოდიოდა კოკით ხელში. მოდიოდა შოლჩივით მოქნილი, მსუბუქი და თვალშურთხა. იოველს თავბრუ

დაეხვა, ხელები წინ გაიწვდინა და ზმანებით გახარებულმა შვებით დაიძახა:

— დარო!

მაგრამ შეშინებული დარო მოხუცი-საკენ გაიქცა, ოსტატს მიეკრა.

— გონს მოდი, იოველ!

შემკრთალმა იოველმა უკან დაიხია.

— ეს დარო არ არის, — უთხრა მოხუცმა, — ეს მისი შვილია, წილან რომ ვითხარ.

*

ეს ყველაფერი ექთანმა მიაძმო, თამარმა მიაძმო და მომხიზლა იოველის წარსულით.

ერთ დღეს თამარს ახმახი ვაჟი ესტუმრა. ვაჟს ბირველად ვხედავდი. თამარს მის დანახვაზე თვალები გაუცისკროვნდა, ვაჟი ოთახში არ შემოუხშია, ალბათ ჩემი მოერიდა. სააეადმყოფოს ეზოში განმარტოვდნენ. საღამო იყო. ერთხანს ქიშკართან იდგნენ და ტკბილად ჭუჭუკებდნენ, მერე აქეთიქით გაიხედ-გამოიხედეს და ქალ-ვაჟმა ერთმანეთს მალულად და უცებ აკოცა.

ფანჯარასთან ვიდექი და ყველაფერი დავინახე. უმალ მოგარიდე თვალი — ისინი ხომ ქვეყანას ემალეზოდნენ.

თამარი მალე დაბრუნდა. ლოყები აწითლებოდა და თვალებში ბედნიერების სხივი უთამაშებდა. არაფერი მიკითხავს, ვითომც არც არაფერი შემინიშნავს. ჩვეულებრივ განვაგრძე საქმე.

მეორე დღეს ერთი ბერიკაცი მომადგა. ჩალიჩა რქმეოდა.

— რა გაწუხებთ? — ვკითხე ჩვეულებისამებრ.

— ბევრი რამ მაწუხებს, მაგრამ რა ვიცი, რა ვითხარა, ყველა როგორ ჩამოგითვალო, — დაიწყო მან, მაგრამ მალე გაჩუმდა და ისე მომაჩერდა, თითქოს მე გულთმისანი ვიყავი და უნდა გამომეცნო ის უამრავი რაღაც, რომლის ჩამოთვლაც ვერ მოეხერხებინა.

— მაინც რა გაწუხებთ?

— ჰო, ისა, — განაგრძო მან დაბნევილი, ბოლოს წამოდგა და თქვა, — ჩემს ბიჭს მოვიყვან, იმან უკეთ იცის.

— შვილმა იცის, რა გაწუხებთ და თაყად არ იცით, ვერა გრძნობთ? — გავიღიმე.

— რაღაცას ეძახიან, არ მაგონდება.

— გული გაწუხებთ?

— არა, ექიმო, გულს არ ვუჩივი.

— ფილტვები, კუჭი?

— არა, ექიმო.

— თავებრუ გეხვევათ? ჭამის მადა არ გაქვთ? უძილობა გაწუხებთ?

— მძინავს კიდეცა და ჭამის მაღაცა მაქვს, მაგრამ გუშინ კოოპერატივში გამგზავნა ბიჭმა, რაღაც დამაბარა, გზაში დამავიწყდა. შინ მივბრუნდი, ვკითხე, რაი-მეთქი, ბიჭო? კიდეც დამაბარა, გზაზე გაველ და დამავიწყდა. ხშირად მემართება ასეთი რამე და ბიჭმა მითხრა, ისა გაქვსო... რა ჯანდაბა ჰქვია. ისა... ფუი, დასწყევლა ღმერთმა! რაღაც ჯანდაბური სიტყვა მითხრა.

— სკლეროზი ხომ არა?

— შენ გაგახარა ღმერთმა, შენცა გკოდნია!

გამეცინა. მოხუცს ვთხოვე, დამჯღარიყო. ჩამოჯდა, გვერდით მივუჯექი და ვუთხარი:

— იცით, რას გეტყვი. ის თქვენი შვილი მოვიდეს ჩემთან. იმას უფრო სჭირდება მკურნალობა.

— რას ამბობ, ექიმო, ფრჩხილი არ წამოსტკენია.

— მოვიდეს, მოვიდეს!

— მე არ გამსინჯავ?

— ჯერ თქვენი ვაჟი მოვიდეს და მერე.

— არაფერი მეშველება? — მაინც თავის სიტყვაზე იდგა ჩალიჩა. ეტყობოდა, რაღაც ამბავი იყო მამა-შვილს შორის, რომ სიტყვას ბანზე მიგდებდა და მაინცდამაინც თავის გასინჯვას მოითხოვდა. ამან უფრო დამაინტერესა და შემეცოდა კიდეც მოხუცი. ჩავაცვივდი, გინდა თუ არა, შენი შვილი მოვიდეს-მეთქი. ერთხანს მდუმარედ მიყუ-

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

რა, მერე ხმადაბლა და ნალვლიანად მითხრა:

— დამიწერე, ექიმო, თორემ ჩემ სიტყვას არ გაიგონებს.

მაშინვე მიუჯექტი მაგიდას. ბიჭის სახელი ვკითხე. ბერდო ჰქვიაო, თქვა და თან ისე დარდიანად ამოიოხრა, თითქოს გულის მთელი ვარამი თან ამოაყოლა.

მოკლე და მორიდებული წერილი დავეწერე: ვაჟაკურად გთხოვთ, ჩემთან შემოიაროთ-მეთქი. წერილი დავეწერე და მოხუცს მივაწოდე.

— ეხლავე აქ გაახლებ, შენი ჭირიმი, თუ წამომყავა.

ცოტა გულიც მომივიდა.

— სად გაზარდეთ?

— შინ, შენი ჭირიმი! — გულუბრყვილოდ მიბასუხა და წერილი ჯიბეში ჩაიდო, შეტრიალდა და წავიდა. კარს რომ მიუახლოვდა, მომიბრუნდა, — და-არიგე, გეთაყვა, იქნებ შენმა სიტყვამ გასჭირას. სოფელში ბევრს არ ეპუება. რა ვენა, შვილია და მშობლის ჯიგარი მეწვის.

არ გასულა ცოტა ხანი, მოხუცი ჩალიჩა მოვიდა და თან ერთი ახოვანი ახალგაზრდა მოჰყვა, ხელში ჩემი წერილი ეჭირა.

— ექიმო, გზაზე მიდიოდა და გეახლათ, — წამოიწყო მოხუცმა.

— ვეახლე რა! — შეუღრიხა ბერდომ, — სადა ხარ, რომელი დრო გგონია?!

მერე მე მომიბრუნდა და მომესალმა, მაშინვე მკითხა, ჩემგან რა გენებავსო. მე სკამი შევთავაზე მამა-შვილს. მამა ჩამოჯდა, შვილი ისევ ფეხზე იდგა.

— ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი, — დავიწყე მე და ბერდოს შევხედე, მინდოდა გამეგო, რა ვაჟაკი კაცი იყო.

— ჩემთან რა... — შეინძრ-შემოინძრა ბიჭი, გაიკვირვა. ჩემთან ექიმს რა ხელი აქვსო, აშკარად დაიხატა მის თვალეზში. მე ასეთი ღომგული და ძალოვანი ვარ, ფრჩხილი არ წამომტკენია და ამ დროს ექიმი მიბარებსო, ცოტა დაცინვაც იხატებოდა მის მხერაში. მერე მომიახლოვდა და ხმადაბლა მკითხა:

— თუ ისეთი სატკივარი რამ აქვს მამაჩემს, რომ ვერ ეუბნებოდა...

უნდა საიდუმლოდ გამანდო...

ხმას კიდევ უფრო დაუწია და განაგრძო:

— მამაჩემი ამ ბოლო დროს ცოტა აფრენს.

ჩალიჩამ, ეტყობა, გაიგონა შვილის სიტყვები, წამოიწია და გულის სიღრმიდან აღმოხდა:

— ბიჭო!.. შვილო!

ბერდომ ყბა მამისაკენ მოღრიცა და დაუდუღღუნა:

— შენ გითხრეს, ლაპარაკში ნუ მერები-მეთქი. — ისევ ჩემსკენ შემობრუნდა და მიჩიჩია, — რამე ისეთი წამალი მიეცი, რომ...

გული საგულეს აღარ მიდგებოდა, მაგრამ სრულიად დამშვიდებით, ვითომც არ გამეგონოს მისი ყიამყრალი სიტყვები, მიემართე ბერდიას:

— უფიქრდებით, რას ლაპარაკობთ?

— ამას რა დაფიქრება უნდა?

— უნდა, ყმაწვილო!

— თქვენ რა, ბიძად მერგებით? — აგდებით მკითხა.

— მამაც რომ არ იყოს, ბერიკაცს რეებს ჰკადრებ, არა გრცხვენია?

— შენ რა, ექიმი ხარ თუ მილიციელი?

— სამსახურში რომ არ ვიყო, კარგ წამალს გამოგიწერდი და მილიციელსაც განახებდი! — ვეღარ მოვითმინე და წამოვენთე.

არ დამითმო, თავი გვერდზე გადასწია და ქვეშ-ქვეშ შემომხედა.

— მაინც რას გამომიწერდი, ბიძია? ვეღარ მოვითმინე. თავბრუ დამესხა. ზიზღმა ისე წამომანთო, თავს ანგარიში ვეღარ მივეცი, გწვდი საყულოში და ჩემსკენ ისე ღონივრად მოვაგდე, რომ არ ელოდა და დაიბნა. დაიბნა და მის თვალეზში იმ ერთ წუთში დავინახე, რა ვაჟაკიციც ბრძანებულა. გაიბრძოლა და გამისხლტა, მაგრამ გვიანდა იყო. ნირწამხდარმა და თავლაფდასხმულმა გალახული ბავშვივით გაისწორა ქამრიდან ამოჩეჩილი ხალათი.

ხმას ავუწვიე:

— შენისთანა ბარე სამი მეყოლება გალახული. გეტყობა, რა ვაჟაკიც ხარ, სადაც გინდა, იქა გცემ! არა გრცხვენია, ვის ედიდგულები და ვის ამცირებ — მამას, შენს მშობელ მამას?

გონს მოევო:

— არ შეგრჩება! — დამემუქრა და წასვლა დააპირა.

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! —

წაფუსისინე დაცინვითა და აგდებით.

კარი გაიჯახუნა და წავიდა.

წავიდა და ნაღვლიანი ბეროკაციც უკან გაჰყვა; სასწრაფო ვედარაფერი ვუთხარი. გონება ამერია.

*

ერთსანს მშვიდობიანად მიდიოდა ჩემი ცხოვრება. ათასი რამ გავიგე ხანდაკელებსა, განსაკუთრებით პაპა იოველის ვაჟაკური ამბებით ვიყავი მოხიბლული. აკი რამდენჯერმე კიდეც ვნახე იგი სოფლის ფორზე.

შუა ზაფხულის ერთ დღეს თამარმა, ჩემმა ექთანმა, შინ თავი მოიწამლა.

ეს ისე მოულოდნელი და შემზარავი ამბავი იყო, — რომ შემატყობინეს, ჯერ დავიბენი. როგორ შევეჩვიე იმ წყნარსა და სათნო გოგონას! დაუზარელი და კეთილშობილი იყო. სამკურნალო ფაკულტეტზე აპირებდა შესვლას, ვაკრდომილთა მოვლა-პატრონობით გატაცებული ბევრ რამეს მეკითხებოდა ხოლმე, ავადმყოფის სარეცელთან ღამისტეხვას არავის ამადლიდა, ოღონდ კაცისთვის სიკეთე გაეწია, მისგან ადამიანური სითბო ვიგრძენი. ბოლო დროს ერთი წუთითაც რომ დაეგვიანებინა, გზას გავყურებდი.

და აი — საავადმყოფოს დამლაგებელი ქალი აქოშინებული, აცრემლებული მოვარდა, თამარმა თავი მოიწამლაო.

ვიღაც სხვა თამარი მეგონა. ექიმი ასეთ ამბავს გულმაგრად უნდა შეხედეს, — ისიც თუ დაიბნა, განსაცდელში მყოფს ვიღამ მიხედოს და უპატრონოს!

— ჩვენი თამარი, — ძლივს გამაგებინა ქალმა, თან გამწარებულმა ლოყა

ჩამოიკაწრა, — იქნებ ვედარც მიუსწრო/ ექიმო!

საქონელში
გამაგებების

თავედმოგლეჯილი გავვარდი. თამარი მარტო ცხოვრობდა მამაპაპისეულ ძველ სახლში. ქალები უკვე ეხვეოდნენ, მაგრამ მათგან შეველა არ იყო.

მივუახლოვდი მოწამლულის სარეცელს. თამარი მიტკალივით თეთრი იწვა, იწვა და არ იძვროდა. სიკვდილის პირას მიმდგარი მძიმედ სუნთქავდა.

არაფერი დამიკლია. ვღელავდი, ხელები მითრთოდა. ასე ძარღვებმომშლილი არასოდეს არ ვყოფილვარ. უცხო ქალებს ბრძანებებს ვაძლევდი და ისინიც უსიტყვოდ მეხმარებოდნენ.

სალამომდე ვერ მოიხედა თამარმა. მე კი იმედი მქონდა. იგი არც იქით იყო, არც აქეთ უჩანდა პირი. დაღამდა და გათავდა ჩემი იმედებიც. სასოწარკვეთილებას მაინც არ მივეცი თავი. გააფთრებული ვებრძოდი სიკვდილს. დიღამდე თუ გაატანა, რაიონის საავადმყოფოში წავეყვანდი სასწრაფოდ, ეგებ იქ მაინც... თქ, რა იმედი მქონდა თავისა და მოვტყუვდი...

სოფელში ახალი ექიმი ვიყავი და ჩემი იმდენად არა სჯეროდათ. ქალები უკვე ჩემს გასაგონად ამბობდნენ:

— რაიონიდან გამოგვეძახნა ვინმე!

— ახალგაზრდაა, გამოუცდელი!

— ქალი მოგვიკვდება!

შეღამებისას კარი გაიღო და კარის ზღურბლზე დიდი პაპა იოველი გამოჩნდა.

— ექიმო!.. — მომმართა მან.

ფეხზე წამოვდექი და როგორც გენერალს, ისე გამოვეჭიმე უხუცესს. რაღაცას ველოდი, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იოველმა გააქნია თავი და სწრაფად გაბრუნდა.

ვერაფერს მივუხვდი. მართალია, ყველა ღელავდა თამარის ხვედრის გამო, ყველა ვანიცდიდა მის ჭირს, მაგრამ მოხუცის ამგვარი მოსვლა და უმალ გაბრუნება მეუცნაურა. მას რაღაცის

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

თქმა უნდოდა, მაგრამ სათქმელი გულ-
შივე დაიტოვა და წავიდა.

ზაფხულის გრძელი, უძილო, ტანჯ-
ვის ღამე.

დილის ცისკარს იმედი ამოჰყვა. თა-
მარმა მოიხედა. მოიხედა და პირველად
ჩემი თბილი ალერსი იგრძნო. შემომხე-
და და მის თვალეში ვედრება წავიკით-
ხე; ვხედავდი, მართლაც რა ტკბილი
ყოფილა სიცოცხლე. მისი ხელი ორივე
ხელში მეჭირა და სიხარულით აღელვე-
ბული ვუაღერებდი. იგი არ ცდილობ-
და დახსნოდა ამ ალერსს, წაეღო თავი-
სი ღონემიღეული, რბილი და გაყინუ-
ლი ხელი.

სოფელი ჭრელია და აჭრელდა მით-
ქმა-მოთქმაც.

უკვე მაქებდნენ.

*

სადილად სოფლის სასადილოში და-
ვიარებოდი ხოლმე. სასადილო სოფლის
ბოლოში, გზის პირას იყო. გარშემო
მშვენიერი ბაღი ჰქონდა და ერთ რამედ
ღირდა იქ წაქეიფება; მაგრამ ამჯერად
მარტო ვიყავი და სადმე კუთხეში ობ-
ლად უნდა მივმჯდარიყავი.

დახლიდარი დიდი ამბით მხედებო-
და. ჩემი მისვლა უხაროდა. ყოველ მისე-
ლაზე მლოცავდა.

შაქრო ერქვა. მიკიტნის შვილი იყო.
მამის ხელობას დასდგომოდა, ძველ
დროს გულისტკივილით იკონებდა
ხოლმე.

— იმ კუთხეში მებარდნე იჯდა, დახლ-
თან მამაჩემი იდგა, — იტყოდა ხოლმე
და სინანულით გადააქნევდა თავს, —
იცი რა იყო?! — მერე ხელს ჩაიქნე-
და, — რაც იყო, იყო! ახლა რაც არის, ისა
ვთქვათ. რა მოგართვა, გეთაყვა? მწვა-
დი? ახლავე, ისეთს შევიწვამ! სალიან-
კა! ოჰ, ისეთი „ოსტრი სალიანკა“
მაქვს, სულ თითებს ჩაიკვნეტამ! ლო-
ბიო, ნიგეზითა და უნიგეზოდ, დაკაკ-
ლული და ამოლესილი, მწვანელი, წი-
თელი და თეთრი ღვინო.

ახლაც ხელებს შლის გულუხვობის
ნიშნად, სურს მომაწონოს სასადილოს
ავლადიდება და მადაზე მომიყვანოს.

სხვა რის მაქნისია, სხვა რის
შაქრო!

— ლობიო კარგი იქნება!

— მარტო ლობიო?

— ჰო, ლობიო ძლიერ მიყვარს.
თანაც დრო არა მაქვს მწვადს მოვუცა-
დო, ავადმყოფთან მიმეჩქარება.

— შენ დაგელოცა მარჯვენა! ის
გოგო რომ გადაარჩინე, მას შემდეგ
ყველას საფიცარი ხატი ხარ...

— ჩემი ბედნიერებაც ეგ არი... შენი
ჭირიმიე, ცოტა ჩქარა.

შაქრო სუფრას მიწყობს.

— ღვინოს, რასაკვირველია, არც ახ-
ლა მიირთმევთ. საერთოდ არა სვამთ.
თუ?

— როგორ არა ვსვამ. მაგრამ ახლა,
ამ შუადღისას ღვინო?!

— ცხონებული მამაჩემი ერთ ვედ-
როს სვამდა.

შაქრო მაგიდასთან ჩამომიჯდა. სასა-
დილოში ჩვენს გარდა არავინ იყო. მე
მშოიდა, მას კი ლაპარაკის საღერღელი
აშლოდა.

— ბევრი საზღაპრო ამბები გაგვიგო-
ნია ჩვენს წინაპრებზე. — გაუღები საუ-
ბარი.

— მაშ, საოცარ ამბებს იტყვიან.

— რა ვქნათ, ისინი ისეთი ვაჟკაცები
იყვნენ, ჩვენ სხვანი ვართ. ახლაც არიან
ბიჭები, ღვინოში თავს რომ იღრჩობენ.
არა მგონია, ეს ვაჟკაცობა იყოს. ავა-
შენა ღმერთმა, მართლა გემრიელი ლო-
ბია.

— ქოთნისაა და იმიტომ.

— ვითომ ქოთანი უფრო აგემრიე-
ლებს?

— მაშ, ექიმო! არ იცოდით? რა
თქმა უნდა, ექიმო... აბა, სად თონეში
გამომცხვარი პური და სად ფურნეში,
სად ქვაბში მოხარშული ლობიო და
სად — ქოთანში. ეე, საწყალმა დედა-
ჩემმა ისეთი ლობიოს შეკმაზვა იცოდა.
სუნი მეორე უბანში გადადიოდა ხოლმე.
გზადგავილი იბნიდებოდა და მამლა-
რიც კი ჩვენს ლობიოს ნატრობდა. ახ-
ლაც პირში მაქვს იმისი გემო. მინდა.
ისეთი ლობიო შევკმაზო, მაგრამ არ
გამოდის. არ გამოდის და რა ვქნა!

— რას ამბობ, ამაზე გემრიელი რა-
ღა უნდა იყოს!

— ოღონდაც თქვენ იყავით კმაყო-
ფილი.

ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა, მე-
რე შაქრომ ხმადაბლა მითხრა:

— ამბობენ, ის გოგო ფეხმძიმედ
იყო, მართალია?

ეს მართალი იყო, მაგრამ შაქრომ
საიდან იცოდა? ამ ამბავმა თავის დრო-
ზე მეც ჩამაფიქრა, მაგრამ თამარის
საიდუმლოს სარქველი ვერ ავხადე, არ
ვცდილვარ შეხორცებულ კირილოზის
ხელახლა გახსნას. მან მთხოვა საიდუმ-
ლოდ შემენახა მისი ამბავი და მეც
არსად დამცდენია. მაგრამ, აგერ...

— მე არა ვიცი რა, — მაშინვე მიფუ-
გე შაქროს, — ეგ ჭორია, ნურავის უჯე-
რებთ.

— ამბობენ, თორემ...

— მე მგონი ეს თქვენთვის სულ
ერთი უნდა იყოს, თამარი თქვენი ნათე-
სავი ხომ არ არის?

— არა, ნათესავი არ არის, მაგრამ...

— მით უმეტეს. რად გინდათ ამაზე
ლაპარაკი! ჩვენ მამაკაცები ვართ, ჭო-
რიკანობას და მითქმა-მოთქმას ნუ და-
ვიწყებთ. ქალის სახელს გავუფრთხილ-
დეთ.

ჩემმა მკვახე პასუხმა ნირი წაუხდინა
ცნობისმოყვარე შაქროს. დანახარჯი
მიანგარიშა, გაფუსწორდი და სწრაფად
გავწიე სოფლის შარაზე.

*

ის, რაც ჩემი წასვლის შემდეგ სასა-
დილოში მომხდარა, სოფლის საპარიკ-
მახეროში მისხალ-მისხალ დამხვდა.
პირს ვიპარსავდი და თან ყურს ვუგდებ-
დი. აქ მიღეთის ამბებს გაიგებ და მეც
ერთი ამბავი აქ მოვისმინე.

სოფელს დიდი, ძალზე დიდი თვალი
აქვს, რა იქნება მისი დაუნახავი!

სოფელს დიდი, ძალზე დიდი ყური
აქვს, რა გამოეპარება!

შაქროს ყმაწვილები სწვევიან, ახალ-
ულვაშაშლილები. დახლთან მდგარ ხნი-
ერ კაცს შეუძახეს:

— ჯეელო, სამი მწვადი და ~~მაგდე~~
ნივე ღვინო.

— ეხლავე, — დახლიდარი სამასაინ-
ძლოდ მოემზადა, ერთ-ერთ ყმაწვილ-
თავანს გამოელაპარაკა, — როდის ჩა-
მოხველ, ბიჭო? გამარჯობა არ უნდა
თქვა?

— გაგიმარჯოს! დღეს ჩამოველ.
რაო, მოგენატრე?

— ეე, თემო! პაპიშენის შვილიშვილ-
სა ეგეთი სიტყვა-პასუხი არ შეგშენის.

— რამდენს უკრამ, ჯეელო?! ჩვენ აქ
სალაპარაკოდ კი არ მოვსულვართ! —
შეუძახნია ჩემგან ვაჟკაცობაში ნაცად
ბერდოს, თემოს ამფსონსა და მეგო-
ბარს. მესამე ვილაც ბაადური ყოფილა,
ზემოუბნელ გოგიტას ბიჭი, უქნარა და
ზარმაცი!

საპარიკმახეროში ამ ამბავს ერთი
პარიკმახერი ჰყვებოდა. სულ სიტყვა-
სიტყვით აეკრიფა: ჩემი დისშვილი შაქ-
როსთან მუშაობს სამზარეულოში და
იმასთან ვიჯექი. ყველაფერი იქ გავი-
გონეო. შვილები დაიფიცა, არც არა-
ფერს ვუმატებ და არც ვაკვლებო.

სუფრა გაშლილა.

ბერდო და ბაადური თემოს გამოელა-
პარაკნენ:

— მაშ, ქალაქმა არ მიგილო, პა?

— წავიდნენ, იმათი... (შეუგინებია.
პარიკმახერმა თქვა, ჩემს დღეში ისეთი
გინება არ გამიგონია და ახლაც ვერ
ვიტყვიო, თუმცა აქ სულ კაცები ხარ-
თო). — ერთი უყმური გადამეკიდა, —
განაგრძო თემომ, — პირველივე დღეს
ჩამჭრა. იმას ეგონა... ოჰმე, იმის! ქა-
ლაქის ამბები რად გინდათ, აქაური
მითხარით.

შაქრო სამზარეულოში მალი-მალ
შემოდოდა. მხრების აჩეჩით გვაგრ-
ძნობინებდა, რა ვქნა, ეს რა ხალხი მეწ-
ვიაო, — თქვა პარიკმახერმა.

— ეხლავე იქნება მწვადები, — ეუბ-
ნება შაქრო ბიჭებს.

— მორჩი ზლაპარს! — აჩუმებს ბერ-
დო, მერე იქით თემოს მიუბრუნდება, —

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

აქაური ამბები რა, პაპაშენი იოველი ისევ დააბაკუნებს იმ ჯოხს, უზნიდან უბანში ისე ღრიალებს, გეგონებათ, ჰკლამენო. მერე ისა, შენ არც კი იცი, ალბათ. თამარმა თავი მოიწამლა.

— მერე?

— გადაარჩინეს, მაგრამ მე იმის გადამარჩინელს, თუ ბიჭი ვარ...

აქ პარიკმახერის საუბარში მე ჩავერიე. ეგ, ალბათ, მე დამემუქრა-მეთქი.

— რას ერჩი, ქალი გადაურჩინია, — უბასუხნია თემოს.

— არა, ჩემთან სხვა ანგარიშები აქვს.

შაქრო სმენად გადაქცეულა. მაშინ ბერდოს შეუტყვივა, შენ რა ყურს გვიგდება, შენი საქმე აკეთეო.

— ყურები გამიხმეს, თუ... რას ამბობს! კარგა ხანია ისე აღარ მეყურება, — დაიფიცა შაქრომ.

— მალე მოგვიტა საქმელი.

ცოტა ხნის შემდეგ ღუმილი ირღვევა და თემო კითხულობს:

— მაშ, თამრომ თავი მოიწამლა?

— ჰოოდე, ამბობენ ფეხმძიმედ იყო. შენგან იქნებოდა, ბიჭო.

— ჩუმათ, არაფერს გაიგოს!

— ჩურჩულებენ, მაგრამ მაინც ისმის, ისმის და გული სივდება, — პარიკმახერმა ეს თქვა და მკერდზე მუშტი დაიკრა.

ბიჭებმა ჩაის ჭიქები მალლა შემართეს და სადღეგრძელოები თქვეს.

ჭიქები გამოსცალეს და ისევ სადღეგრძელო...

სამ ბოთლს სამი მიუმატეს. ორ-ორი ერგოთ.

— დაასხი, მაგის ღვინიც არ იყოს! — იძახის თემო.

— ვასხამ, მაგის... — არ ჩამორჩა ბერდო.

„ვეელი“ შაქრო დახლთან წამოეჭორჩრა.

— თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, ცოტა ჩუმად!

— ხმა, თორემ... — შეუძახეს და სადღეგრძელოები წუმბეში ჩაიძირა. გოგონებს ახსენებდნენ, ჟინმორიულები თვალებს აბრიალებდნენ, შაქროს წუწუნს

ყურს არ უგდებდნენ და ჭიქები ^{წამის} ხელში შემომტერეოდათ, ისე უბასუხებდნენ ერთმანეთს.

თემომ სადღეგრძელო განაგრძო.

— ეს ჩვენს ვაჟკაცობას გაუშარჯოს, ბიჭებო. ჩვენს ძმობას, ჩვენს სიყვარულს.

სვამენ და ითრობიან.

— რა მწვადია! — ამბობს თემო, — ბიძაჩემიც ასეთ მწვადებს მაჭმევდა, მაგრამ მერე, გამოცდა რომ ვერ ჩავაბარე, გამლანძღა და გამომაგდო.

— რა ბიძა გყოლია, ბიჭო!

— ბიძა! ახლა მამიდაჩემთან წავალ გორში. აბა, აქ რა გამაჩერებს! დედა მე არა მყავს და მამა, პაპაჩემთან ჩემმა მტერმა გასძლო!

— მე რაღა ვქნა, — დაჩივლა ბერდომ, — მამაჩემი მაგრად გამოჩერჩეტდა. მომდგება და ლექციას მიკითხავს: შვილო, მომეშველე, შვილო, რატომ არაფერს აკეთებო.

ცოტა ხნის შემდეგ თემო ისევ თამარის მოწამელის ამბავს დაუბრუნდა.

— შენი ღალატი ვერ აიტანა. ქალაქში სხვა გოგონებთან ვისეირნია, — უთხრა ბაადურმა.

— შენ მოკეტე-მეთქი! — შეუტია თემომ, — არა, მე ერთი რამ მინდა გავიგო და ვისგან გავიგო, არ ვიცი. ახლა ვნანობ და ჩემი თავისთვის ვერ მიპატივბია. რა ვიცოდი, თუ თავს მოიწამლავდა.

— გაუგებარი ისეთი რა იქნება, მე რომ ვერ გავიგო! — უთხრა ბაადურმა.

— თამარს წერილი მოვწერე. ის წერილი ხო არ გამოუჩენია?

— წერილისა არა ვიცი რა.

— ჰო, სხვა არაფერი, — შევებით ამოისუნთქა თემომ და ღვინო დაასხა ჭიქებში.

და სწორედ ამ დროს სასადილოს ღია კარში იოველი გამოჩნდა. ხელში თავისი დიდი ჯოხი ეჭირა. მისი დაკვესებული თვალები პირდაპირ მოქეიფეთ მიაცვიდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მოხუცი სასადილოში შევიდა და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სუფრას.

თემოს ჭიქა ხელში შერჩენოდა, პაპს თვალს არ აშორებდა და რაღაცას ელოდა.

მოსუცი არ ჩქარობდა. მაგიდას რომ მიუახლოვდა, ხმადაბლა იკითხა:

— ქეიფობთ, პა?

— ვქეიფობთ, პაპა,— ძლივს ამოდერდა თედომ.

— შევარცხვინე თქვენი პურ-მარილიც და თქვენი ვაჟაკობაც. ჰაიტ, თქვენი დედ-მამის სული!.. — დაიქუხა იოველმა, ჯოხი ჯერ სუფრას დაჰკრა და ლაწალაწი აუყენა ჭურჭელს, მერე მოიქნია, მაგრამ მოქეიფენი სწრაფად გაუსხლტნენ და სასადილოდან გაჰქრნენ.

იოველი არავის გამოჰკიდებია, შაქროს მიუბრუნდა და თვალები გადაუბრიალა:

— არ უნდა იცოდე, ვის აჰამო პური?!

შაქრო გამშრალი შეჰყურებდა დაღეწილ ჭურჭელს. უცებ, თითქოს გონს მოეგოო, პაპა იოველს შეხედა. შეხედა და ვერაფერი გაუბედა.

*

იოველზე ფიქრი აღარ მასვენებდა. ვინ იცის, იმდროინდელი კაცის გონების დიდი წიგნი რამდენ საოცარ ამბავს იტყევდა! ახლა რომ ასეთი შემმართებლური ბუნებისა იყო, ჯეელობაში რა იქნებოდა!

მაგისთანა პაპას ეგეთი შვილიშვილი როგორ უნდა გყავდესო, შეუვინებიათ ერთხელ იოველისათვის. მოხუცს ვერ მოენელებინა ეს ამბავი. სულ მუდამ იქადნებოდა, ცხოვრებიდან ისე წავალ, რიგიან შთამომავალს დავუტოვებ ქვეყანასო. სამი სამაგალითო შვილი დაზარდა, შვილიშვილებიც დაეხვია და მათაც რიგიანობას ატყობდა. უფროსი ვაჟისა, რომელიც ფრონტზე დაედუპა, ზარმაცი გამოდგა, ქალაქს წავიდა, არ იწავლა, ჩამოვიდა და ფეხი ფეხზე შემოიღო, ბიჭ-ბუჭებში გაერია და ნუნუა გაუტკაბა. სწორედ მისი მიზეზით იყო, თამარმა თავი რომ მოიწამლა.

„განა ასეთი ვაჟაკი ვიყავი?“, გაიხსენა თურმე იოველმა თავისი წარსული.

ერთხელ გულზე ცეცხლმოდებულმა აიარა თავისი სახლის კიბე, ჯოხის ბაქუნით შევიდა დარბაზში და სმარტულია დაიძახა:

— თემო!

ხმა არავინ გასცა.

კედლიდან თემოს მამის სურათი იქტირებოდა. იოველმა ანაზდად შეავლო თვალი შვილის სახეებს და გულის კოვში მოეწვა.

— განა ასეთი ვაჟაკი იყავი, — თავს გაესაუბრა და მუხლებში პირველად იგრძნო სიძაბუნე, არა მოხუცებულობისა გამო — დარდი დააწვა ლოდზე უმძიმესი, უჩინარი, მაგრამ საჩინოზე უფრო დიდი.

ფეხის ხმა მოესმა. კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. მწყურალად მოიხედა და კარის ზღურბლზე მოხუცი ჩალიჩა დაინახა. ხშირად მოსულა იგი, მაგრამ ახლა არ ელოდა. ახლა თემოსთან პირისპირ შეყრა და მასთან საბოლოო საუბარი ეწადა, გვარისა და ჯილაგის შემარცხვენელს უნდა მოლაპარაკებოდა.

— მარტო ხარ, იოველ?

— მარტო ვარ.

— კარგი გამარჯობა!

— იღლეგრძელი!

— შენმა მტერმა იღლეგრძელა, მე რომ ვღლეგრძელობ.

— უბედური მამა ხარ, ვხედავ და ვგრძნობ. დაჯექი.

ჩალიჩა ჩამოჯდა და ამოიოხრა. ტახტზე დაჯდა იოველი, კომბალისოდენა ჯოხს ჩამოეყრდნო.

ჩალიჩამ თვალში მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

— სტირი, კაცო? — თითქოს შეუტიათ, ისე ჰკითხა იოველმა.

— ნურაფერს მკითხავ, იოველ.

— რა გკითხო. რა ვიცი. დედაკაცივით კი სტირი.

— გამიწყერ, გამკიცხე, გამიჯავრდი, გამლანძღე და მაგინე! ყველაფერს მოგისმენ. ყველაფერი ახია ჩემზე, იო-

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

ველ! — თედომ აცრემლებული თვალე-
ბი მიაპყრო.

— რა დაგემართა? — მშვიდად ჰკით-
ხა იოველმა.

— სად წავსულიყავ, ვისთვის რა
მეთქვა. პირველად შენთან მოველ, შეჩ-
ვეული ვარ შენს დარიგებას.

— გარიგებდი, განა! — მხრები აზი-
და იოველმა, — ვისი და რისი დამრი-
გებელი ვყოფილვარ, ჩემი მოდგმის ნა-
ბოლარა ვერ დავარიგე რივიანად!

— ბუნებითაა, იოველ, ბუნებით, თო-
რემ შენ ოქრო შვილები გყავს, შენი
მარუსა, შენი იაკობა, ვენაცვალე იმათ.
ეს ხო, — ჩალიჩამ ომში დაღუპული
ვაჟკაცის სურათს შეხედა, — სოფლის
თვალი იყო!

ქული მხოლოდ ახლა მოიხადა და
პირჯვარი გადაიწერა.

— მერე? — იკითხა ნახევრად ფიჭ-
რებში წასულმა იოველმა.

— რა მერე! ბუნებით არი-მეთქი.

— ყველაფერი ბუნებით არი.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია ჩალიჩამ და
ცრემლი მოიწმინდა.

— ნუ დედაკაცობ! — ხმადაბლა შეუ-
ტია იოველმა.

— ესეც ბუნებით არი, ჩემო იოველ.
განა ვაჟკაცს არ ეტირება?

— ვაჟკაცს თვალი მშრალი უნდა
ჰქონდეს, გული ისე უნდა სწუხდეს და
ტიროდეს, სხვამ ვერა გაიგოს რა.

— უფრო მეტი ცრემლი მაქვს დასა-
ღვრელი, იოველ. ჩემმა ბერდუამ შინი-
დან გამომავდო.

— რის იმედით?

— რა რის იმედითა, კაცო?!

— ჰო, რის იმედითა? შენ ასმევედი,
აჰმევედი. გაძლა? ხვალ მოშივდება.

— მე რა მეშველება?

— შენ კი გეშველება, მაგრამ იმას რა
ეშველება?! ჩალიჩავ, ხედავ რა საოცარ-
ი რამა ყოფილა ეს დალოცვილი წუ-
თისოფელი! ვიშრომეთ, ვიცხოვრეთ.
შევექმენით, გაგზარდეთ, მოდიან და
წიხლსა გვეკრამენ!

კიბზე ვილაც სწრაფად ამორბოდა.
დარბაზში თემო შემოიჭრა. წამონთე-
ბული იყო.

— ძია ჩალიჩა, ბერდო ცხენიდან გად-
მოვარდა.

ჩალიჩამ პირველად არ დაიჯერა და
ჩაიბურტყუნა:

— თავ-პირიც დაულეწია!

— მართლა ეგრება. ჩამოვარდა და
ქვებს დაენარცხა. ძალიან მძიმედ და-
შავდა.

— სტყუი თუ მართლა ამბობ? — ჰკი-
თხა იოველმა.

— პაპაჩემო, ამაზე ტყუილი როგორ
იტქმის!

ჩალიჩამ თავი დახარა, ხელით ნიკაპი
მოისრისა, ადგილზე შეტოკდა, აღელ-
და, მაგრამ თავი შეიმაგრა. უნდოდა,
გულმაგრად დახვედროდა ამ ამბავს.
ცივად გადაეტანა და არაფრად ჩაეგ-
დო, მაგრამ გულში და სულში შე-
სისხლხორცებულმა მშობლის სიყვა-
რულმა მაინც ვერ დააძლევინა მღელ-
ვარება. წამოიჭრა, — შვილო, შვილო, —
დაიძახა და კარს ეცა.

თემოს უნდოდა უმალ შებრუნებული-
ყო და ჩალიჩას ასდევნებოდა, მაგრამ
მოჰკრა თუ არა თვალი პაპის განრის-
ხებულ თვალებს, მონუსხულივით შედ-
გა.

— ცხენზე ჯდომა თუ არ იცოდა.
რად ჯდებოდა?

— რა ვიცი. ღამის მოკვდა. ექიმმა
მოუსწრო, თორემ მართლა არ ეშველე-
ბოდა რა.

— ცოდომ უწია! — თითქოს ბეჭედი
დაასავო, ისე თქვა იოველმა და ჯოხი
იატაკს დაჰკრა.

— რის ცოდო, პაპაჩემო?

— ცოდომ უწია! — გაიმეორა იოველ-
მა ისევ ისე მოჭრითა და მკვახედ, —
ბედისა არა გწამთ რა, მაგრამ ასეა.
ცოდომ უწია! შენცა გაქვს ცოდო.

— ვისი და რისი ცოდო?! — ურცხ-
ვად გაიკვირვა თემომ.

— თვალეში შემომხედე! გული მეწ-
ვის და სული მეხუთება! — დაიქუხა
იოველმა, — სად დაკარგე ვაჟკაცური
სინდისი, ბიჭო?!

— ნუ მიწყრები. მე სინდისი არ და-
მიკარგავს.

— მაშ, თუ არ დაგიკარგავს, — უცებ

დაცხრა იოველი, — დღესვე მიდი თამართან, მის წინ მუხლებზე დადექ და პატიება სთხოვე.

— მაგას ვერ ვიზამ.

— იზამ! დღესვე!

— არ მიყვარს.

— მაშ რად ატყუებდი? ფეხმძიმედ რად დატოვე? ლაჩარო!

— ფეხმძიმედ? ვინ გითხრა?

— პატიება სთხოვე-მეთქი! თუ გაპატიია, ცოლობაც სთხოვე. თუ არა და თავი რომ მოიკლა, არავის დაგვენანები.

— მაგას ნუ ამბობ.

— გააკეთებ-მეთქი!

— დღეს გორში მივდივარ, მამიდაჩემთან.

— წასვლამდე იმას იქმ, რაც მე გითხარ!

— შეუძლებელს მეუბნები.

— შეგაძლებინებენ! ძალით შეგაძლებინებენ! სხვა თუ არ იზამს, მე თვითონ გაგასამართლებ საჯაროდ, შეგაჩვენებ და დაგწყევლი, უწმინდურო!

თემომ კარისკენ დაიხია.

— სად მიხვალ?

თემო კარს მიუახლოვდა.

— წყეულიმც იყავ! — კვლავ თავდავიწყებით დაიქუხა იოველმა.

*

ბერდო ცხენიდან დაენარცხა თუ არა, მაშინვე მე დამიძახეს. ვუშველე და სოფლის საავადმყოფოში დავაწვინე. როცა გონს მოვიდა, თვალი ვერ გამისწორა. მისი საცოდავი მამა აქოშინებული და ფერდაკარგული მოიჭრა საავადმყოფოს კართან. „შვილია, მაინც ჩემი „ჯიგარია!“ — იძახდა ათრთოლებული ხმით და ხელები უკანკალებდა. გული ამიტირდა. მოხუცი ვანუგეში დავამშვიდე, შვილი კი ორი დღე ვერ ვანახე. მერე, როცა შევეუშვი პალატაში, ბერდოს ჩაეკონა და ატირდა. ის უღმერთო ბერდო კი, თუმც ლაპარაკი შეეძლო, ერთ სანუგეშოს არას ეუბნებოდა აღელვებულ მამას. საერთოდ არავის გვცემდა ხმას, იყო გარინდებული

და ხანდახან ტკივილებისაგან თუ წამოიგმინებდა ჩუმადა.

— რაც გინდა დასწვა გულსა და სისხლს სიყვარული მაინც არ დაიწვება, — მითხრა მოხუცმა.

— მერედა, შვილები გრძნობენ ამას?

— იოველი ჩემზე ძლიერი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მოდგმაში მაინც გამოერია ერთი ურიგო, — პასუხის ნაცვლად მითხრა ჩალიჩამ.

დღე ერთი იყო და საავადმყოფოს კარზე ათჯერ მოგვადგებოდა, ერთსა და იმავეს კითხულობდა და ღელავდა.

ათიოდე დღის შემდეგ გავწირე ბერდო. მამა შეუდგა მხარში და წაიყვანა. მხოლოდ ერთი მშრალი სიტყვა ვაღმომიგლო ბერდომ, გმადლობოთ, და წავიდა. საცოდავი ჩალიჩა, ისე მიჰყავდა ის იმხელა ვაჟკაცი, თითქოს ჩვილი, უმწეო ბავშვი უჭირავსო, მისთვის მუდამ პატარა, მისთვის მუდამ ბავშვი, ეს ურჩი და უზრდელი ვაჟკაცი.

მე და თამარი ერთხანს ვიდექით და ვუყურებდით ნელა მიმავალ მამა-შვილს და მათს სიკეთეზე ვოცნებობდი.

თამარს ადრე ძლიერ ებრალებოდა ჩალიჩა. მაგრამ ახლა ერთი სიტყვა არ უთქვამს, ნელა მოშორდა აივნის ხარახას და ექიმის კაბინეტში შევიდა.

ის თამარი აღარ იყო, პირველად რომ შემხვდა. ახლა დაბინდული და გულჩათხრობილი დაიარებოდა. ვკადილობდი მის გამხიარულებას, მის მობრუნებას, თითქოს ვაღწევდი კიდევ საწადელს. თამარი გამილიმბდა, საუბარში ამყვებოდა, მაგრამ მისი გულის შავ ღამეში მაინც მიმჭრალიყო სიხარულის ვარსკვლავი.

დრო ყველაზე დიდი მკორნალიაო, მართალი უთქვამთ. თამარი მიხვდა თავის შეცდომას, ერთსაც და მეორესაც. ერთს—უღირსს რომ მიენდო, მეორეს—რომ სიცოცხლე უტკობღისია და წუთისოფლიდან ასე ადრე წასვლა მართლაც დიდი დანაშაული იყო.

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

თამარის სიყვარულის ყვავილი სხვა ვაჟის გულში იშლებოდა. მე ვგრძნობდი, რომ ეს გოგონა ჩემს არსებაში ისადგურებდა და დღითიდღე მავსებდა სითბოთი, ოცნებითა და წყურვილით.

თემო სოფლიდან გაქრა.

ერთ ხანს კიდევ ისმოდა იოველის ქუხილი. სადღაც რაღაც არ მოსწონდა და ბრახობდა. ალბათ ვიღაცას პურმარილი გაუტყუდა, რა ღირსი ხართ პურისჭამისა, უქნარა პურმარილის ღირსი არ არისო. შვილიშვილს არ შეარგო და სხვას დაინდობდა?!

— ეჭვი, ჰე! — ისმოდა იოველის ქუხილი.

ერთხელ საბჭოში შევხვდი. თავმჯდომარეს რაღაცას არიგებდა. ახალგაზრდა კაცი მორჩილი ბავშვივით უსმენდა და თავს მალიმალ უკატუნებდა. შორიახლო ვიდექი და ვერ გავიგე, რაზე მსჯელობდნენ. საბჭოს თავმჯდომარე ჯარისკაცოვით გამოსჭიმოდა სოფლის „გენერალს“, ამით მიგხვდი, იოველს როგორ აფასებდნენ.

რაღაც ძალა სიღრმისაკენ ეწეოდა იოველის ცეცხლიან თვალებს და სურდა ჩაეკრო ისინი. რაღაც ძალას გაეთეთრებინა მოხუცი, ალბათ იმიტომ, რომ ქნიყნის ბნელი გზა თეთრი თმის შუქით გაენათებინა.

ის კი ბოზოქრობდა, წუთისოფლის კიბის უკანასკნელ საფეხურზე იდგა და ფეხს არ იცვლიდა, სოფლის ზოგიერთ ურიგობას აწესრიგებდა.

და აი, ერთხელ საავადმყოფოში მომადგა.

მძიმედ შემოაღო კარი. ალბათ უმძიმედა ჩემთან შემოსვლა. ამ დროული კაცისთვის ექიმის კარზე მიდგომა ძალზე ძნელი იყო.

— შეიძლება, ექიმო?

— მობრძანდით, პაპა იოველ. დაბრძანდით!

სკამი დავუდგი და ჩამოჯდა.

— რას გვიბრძანებთ, პაპა იოველ? რამ შეგაწუხათ?

— ჩემ სიცოცხლეში პირველადა ვარ

ექიმთან. გჯერა? — მკითხა და თვალი თვალში ჯიქურ გამისწორა.

— მჯერა, როგორ არ მჯერა, იოველ. ახლა რამ შეგაწუხათ?

— ჩემ დღეში არავისთვის შემჩივლია. გჯერა?

— როგორ არ მჯერა, პაპა იოველ. თქვენზე ბევრი საზღაპრო რამ მსმენია.

— კაცი უნდა კაცად ვარგოდე. თედოც კარგი ვაჟკაცი იყო, ღმერთმა შეიწყალოს! მოვერიე. ხუთი და ექვსი თურქი ომში ერთმანეთისთვის მიმიხლია. ახლა კი იოველის დროც მოსულა.

— რა გაწუხებთ?

— თავბრუ მესხმის რაღაც, გულმაც მიღალატა.

თამარი უბანში იყო წასული და ჩვენ მარტონი ვიყავით კაბინეტში. მოვამზადე წნევის გასაზომი ხელსაწყო და იოველს ვუთხარი, წილზევით გაეხადა, რადგან ავადმყოფი კარგად უნდა გამესინჯა.

მოხუცმა შეასრულა ჩემი თხოვნა. ჩემ წინ დადგა ბებერი დევგმირი, რომელსაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შერჩენოდა სხეულის სილამაზე, ვაჟკაციური ნაკვთები.

დავუწყე გასინჯვა. გული, რომელიც ოთხმოცდაათი წელი ფეთქდა, სადღაც გაბზარულიყო, ბროლი ზარივით აღარ წკრიალებდა. გულის სიცოცხლის სიმღერაში ხრინწი გამორეულიყო.

იოველს თავისი ჭირი დავუმაღე.

— ასეთი გულით კაცი ორმოცდაათ წელს კიდევ იცოცხლებს.

— მე უკეთ ვიცი, რა გულიც მაქვს. შენ კი ტკბილი ენა გქონია, ჯეელო.

— ტკბილი ენა რა შუაშია, სიმართლეს გუეუნებთ.

— ექიმები ავადმყოფებთან ენას იშაჩრავენო, გამიგია, რომ დავრდომილს აამონო.

— თქვენ ვინ რას გამოგაპარებთ, პაპა იოველ, — ღიმილით მივმართე, — თქვენი გულისთვის კი ტყუილად გიკადრებიათ სამადურავი. ახლა წნევა გავსინჯოთ.

წნევა? მდგომარეობა სავალალო იყო.

— განა ეს წნევა კი რამეს გიზამთ? სულ რაღაც უმნიშვნელო მომატებაა. ალბათ თავბრუს ამის გამო გეხვევათ. აი, თქვენ ეს წამლები მიიღეთ და...

— სხვანაირად არ იქნება, ექიმო? წამლის გემო არ ვიცი. ქეიფში კოკასა ვცლიდი, ჭირში და ლხინში თამადად მივყავდი, ღვინო ვერ მეკიდებოდა და ფეხს ვერ მირევდა. ესლა წამალი ვყლაპო? ჰაი დედასა, იოველ! შორიდან ვუყურებ იმ ჩემს სიჯიულეს და ყველაფერი ზღაპარი მგონია.

— რას იზამთ, პაპა იოველ, ასეა ცხოვრება.

— ჰოდე, ვის რას დააბრალებ. ალბათ ასე იყო საჭირო, რახან ასე მოხდა. მე უნდა წავიდე და თქვენ მოხვიდეთ, ჯეელები. მაშ, წამალი დავლიო, ჰა? — დამცინავად ჩაეღიმა, უღვაწზე გადაისვა ხელი და მერე ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო.

— ის რომ რიგიანად ყოფილიყო, რა გამტეხდა! — თქვა და ჯოხი ხელში მოიმარჯვა.

— ვისზე ამბობთ, პაპა იოველ?

— ჩემს შვილიშვილზე მოგახსენებ. განა ასეთი ვაჰკაცი ვიყავი? სიყვარული ვიცოდი ისეთი, დღემდე გამომყოფია. ქალის რიდი და პატივი ყოველთვის მქონია. ის კი გაიქცა. ჩემს სიმართლეს, ხალხის სიმართლეს გაექცა, მაგრამ სად დაიმალება! გულიო, წელან რომ დაეჩივლე, თორემ იოველს რა გასტეხდა!

მოხუცი დადუმდა. მერე აქეთ-იქით მიმოიხედა და იკითხა, თამარი სად არისო. უბანშია-მეთქი, ვუპასუხე. იოველმა თავი გააქნია და არა თქვა რა.

— მეც ძალიან განვიცდი თამარის შერცხვენას, — წამოვიწყე და იოველს მივხედე. — ქალი მაინც ქალია და გულწრფელად ენდო ვაჰკაცის სიტყვას.

— ვაჰკაცისა, ჰა? — იოველმა მწარედ ჩაიციხა, — სწორედ ეგ არის სავა-

ლალო და სატირალი წუთისოვლიდან მიმავალი კაცისა, რომ ნაშიერში უფრო გამომერია. ეგ დარდი მიმყვება, შემტეხტეხა იქნება, ღმერთმა სიკეთე ქნას!

ამ დროს კარი გაიღო და თამარი გამოჩნდა. ეტყობოდა, იოველს არ ელოდა, შეკრთა და უკან დაიხია.

— თამარ, შვილო! — მიმართა იოველმა რბილად და დაყვავებით. მაგრამ თამარმა ყური არ ათხოვა, თავი დახარა, შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. იოველი აღელდა. შემომხედა და ხმის თრთოლვით მითხრა:

— ხედავ?...

— დამშვიდდით, პაპა იოველ.

მოსუცს წყალი მივაწოდე. ორიოდე ყლუბი მოსვა და გული საგულეს ჩაიგლო თითქოს. ჯოხი ააბაკუნა და კარისკენ გასწია. იქ რაღაც თქვა, მაგრამ ვერ გავიგონე.

*

ექიმის მოსვენება ვინა თქვა. თითქოს ოთხ საათზე უნდა დამემთავრებინა ავადმყოფების მიღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც თამარი შინ წაივლოდა, ჩემთან მიმსვლელ-მომსვლელი არ ილეოდა.

სალამო ხანი იყო. ერთმა შაოსანმა დედაბერმა შემოიხედა და კარი ისევ გაიხურა. გავხედე. კიბეზე ჩადიოდა. დედი-მეთქი, დაფუძახე, მაგრამ ფეხაჩქარებით გამშორდა და უკან აღარ მოუხედავს.

ყურადღება აღარ მივაქციე. მეორე დღეს დედაბერი ისევ შევნიშნე საავადმყოფოს დერეფანში. დღის ბოლო იყო. ორიოდე კაცი რომ გავისტუმრე, დედაბერმა ჩემი ოთახის კარი შემოაღო.

— შეიძლება, ექიმო?

— მოზრძანდით, დედი!

ოთხმოციოდე წლის იქნებოდა. წინ ორი კბილი მოუჩანდა და ჩიფჩიფებდა. ოთახში რომ შემოვიდა და სკამი დავუდგი, რატომღაც აქეთ-იქით მიმოიხედა.

— გაწუხებთ რამე, დედი?

თენგიზ გოგოლაძე
ნამუსის ქუდი

— ჰო, თავის ტკივილი. ჯანდაბას!
იცი რა, შვილო, — ოთახში კიდევ მი-
მოიხედა, მერე ჩემსკენ გადმოიხარა და
ხმადაბლა მკითხა — იოველს დიდი წნე-
ვა აქვს, შვილო?

— ნურაფერს ეტყვი... — წამო-
ვიწყე და შევატყვე, რომ ქალს არ ესია-
მოვნა ჩემი გაწყვეტილი პასუხი.

— რა ვაქაკი იყო! — გულის სიღრ-
მიდან თქვა და მის ხმაში ბევრი რამ
გავიგონე უთქმელი, მაგრამ მძიმე და
სევდიანი, — მაშ დიდი წნევა აქვს, ჰა?
რამე მოუვა, ექიმო?

— არაფერი, ისე...

— აფსუს, იოველ! მაგისთანა ვაქაკა-
ცი არც დაბადებულა და არც დაიბა-
დება!

— გულს ნუ გაიტეხთ.

— გულს ნუ გაიტეხო! — ჩაეცინა
დედაბერს, მაშინვე წამოდგა და გამო-
მემშვიდობა. კარში რომ გადიოდა, თავი
რამდენჯერმე გადააქნია და გავიგონე
მისი ჩიფჩიფით ნათქვამი:

— აფსუს! მაგისთანა ვაქაკი არც
დაბადებულა და არც...

კარი გაიხურა და მარტო დაგრჩი.
ისევ იოველზე ვფიქრობდი. ისე ვაძიარა
დრომ გვიანობამდე, იოველის ხმა არ
გამიგონია, ზემო უბნიდან რომ დასკექ-
და ხოლმე ყოველ საღამოს.

მომსვლელ-მომსვლელი. საქმე. ათასი
დავიდარაბა.


ერთხელ საავადმყოფოს ფანჯრიდან
გზაზე მიმავალი ის დედაბერი დავინახე
და მაშინდა გამახსენდა მისი უცნაური
სტუმრობა.


— თამარ, თამარ! — დაფუძახე ჩემს
თანაშემწეს.

თამარი თეთრი ხალათის შრიალით
გამოიჭრა დერეფანში და ის ქალი დავა-
ნახე, ვინ არის-მეთქი.

თამარმა შარას გახედა, მერე რატომ-
ღაც გაკვირვებით შემომხედა და მით-
ხრა:

— ეგ ის არის, დარო. იცი, რომელი
დარო?





ჩიპინი

ნაწილი მეორე

თავი მეთექვსმეტი

ამით გადასტრეს ყურე, და ჩრდილო-დასავლეთიდან კარგა მაგრად უბერავდა. როცა ინათლა და მზე ამოიწვერა, მან ნავსადგურიდან გამოსულ ტანკერს მოჰკრა თვალი. ისე წამოზიდულიყო და მზის სხივებზე ისე თეთრად ელავდა, რომ ამ დილის სიცივეში ზღვიდან წამომართული შენობა ეგონებოდა კაცს, და მან ზანგს მიმართა:

— ნეტა, სად ჯანდაბაში ვართ?

ზანგი წამოდგა და გახედა.

— მაიამისკენ ამისთანა არაფერი არ მეგულება.

— ველარ გაიგე, რომ მაიამისკენ არ მივდივართ! — შეუტია მან ზანგს.

— მეც მაგას გეუბნები — საერთოდ ფლორიდა-კისკენ მაგისთანა შენობა არ მეგულება.

— ჩვენ სენდ-კისკენ გვიჭირავს გეზი.

— მაშ, აქამდე უნდა გამოჩენილიყო ან ისა და ან ამერიკის რომელიმე მეჩეჩი მაინც.

ცოტა ხანიც და უკვე კარგად გაარჩია, რომ ეს შენობა კი არ ყოფილა, ტანკერი იყო, ხოლო ამის შემდეგ ერთი საათიც არ გასულა და თვით სენდ-კისაც ჰკიდა თვალი; ზღვიდან ამოსვეტილიყო ყავისფრად სწორედ იმ ადგილას, საცა ვარაუდობდნენ.

— გულდაჯერებული უნდა უჯდე საჭეს, — უთხრა მან ზანგს.

— გულდაჯერებული კი ვიყავი, მაგრამ ამ მგზავრობის დროს ისე უკულმართად დატრიალდა ყველაფერი, რაღა გული შემრჩებოდა.

— ფეხი როგორა გაქვს?

— ერთთავად მტკივა.

— არაფერია, — უთხრა პირველ-

მა, — სუფთად შეხვეული გქონდეს და თავისით მოგიშუშდება.

ახლა დასავლეთით აიღო გეზი, რათა უმენ-კის მახლობლად რიზოფერას ბუჩქებს მოფარებოდა და დღე იქ გაეტარებინა. შეპირებულ ნავსაც აქ უნდა შეხვედროდა.

— გაგივლის, ნუ გეშინია, — უთხრა მან ზანგს.

— რა ვიცი, — მიუგო ზანგმა, — მაგრად კი მტკივა და!

— ერთი ჩავაღწიოთ და ყველაფერს გაგიკეთებ, — უთხრა მან, — დიდი ჭრილობა არა გაქვს, ნუ გეშინია.

— დიდი მაქვს თუ პატარა, ჭრილობა — ჭრილობაა, მაინც საშიშია, — თქვა ზანგმა, — ჩემს დღეში არ ვყოფილვარ დაჭრილი.

— შეშინდი და მეტი არაფერი.

— არა, სერ. დაჭრილი ვარ. საშინლად მტკივა. მთელი ღამე მაყრკოლებდა.

აღარ გაათავა ბუზღუნი, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჭრილობა შეიხსნა.

— მოეშვი, — უთხრა იმან, საჭეს რომ მართავდა. ზანგი კოკიტიში იწვა, პირდაპირ იატაკზე და ირგვლივ უთავბოლოდ ეყარა ღვინის ყუთებით გამოტენილი ტომრები, ერთი შეხედვით, საგულდაგულოდ გამოყვანილი ღორები გეგონებოდა. ტომრები გვერდზე მიეყარმოეყარა და ჩაწოლილიყო. რამდენს გაინძროდა, ტომრებში დამსხვრეული ბოთლები გაიჩხრიალებდა და ღვინის სუნი გამოვარდებოდა. ყველგან ღვინო ესხა. ახლა უმენ-კის გაუპირდაპირდა კარჭაბი. მესაპე უკვე კარგად ხედავდა ყველაფერს.

— მტკივა, — თქვა ზანგმა, — სულ უფრო და უფრო მტკივა.

— ძალიან მეცოდები, უესლი, — უთხრა მესაპემ, — მაგრამ საჭეს ვერ მოვშორდები.

— შენთვის ძალი და ადამიანი ერთია, — უთხრა ზანგმა. საშინელი ღრენა დაიწყო. მაგრამ იმ პირველს მაინც ეცოდებოდა.

— ყველაფერს გაგიკეთებ, უესლი, —

ამშვიდებდა იგი, — ოღონდ ახლა წინარად იწევი.

— ადამიანი შენ ფეხებზე უთხრა ზანგმა, — არაფერი არა გცხნია ადამიანისა.

— ნახე, რა კარგად მოვიარო, — ეუბნებოდა იგი, — ოღონდ წყნარად იწევი.

— ვიცი, რა მომვლელიც ხარ! — არა ცხარებოდა ზანგი. კაცმა, რომელსაც პარი მორგანი ერქვა, არაფერი უპასუხა, რადგან მართლაც უყვარდა ეს ზანგი; მაგრამ ახლა არაფერი არ შეეძლო, გარდა დარტყმისა, დარტყმას კი გული არ აძლევდა. ზანგი სულ ბუზღუნებდა და ბუზღუნებდა.

— რატომ არ გავაჩერეთ გემი, სროლა რომ დაგვიწყეს?

პარის არაფერი უპასუხნია.

— ადამიანი უფრო ძვირფასია თუ ერთი ყუთი ღვინო?

ის მეორე კვლავ საჭეს ჩაფრენოდა გულისყურით.

— მაშინვე უნდა გაგვეჩერებინა. წაეღოთ ღვინო. დიდი ამბავი!

— არა, — უთხრა მან, — ღვინოსაც წაგვართმევდნენ, გემსაც, და ჩვენც ციხეში ჩაგვყრიდნენ.

— ნეტა არ დაგვჭრილიყავი და ციხეს რას დავეძებ, ჩავესვით ციხეში.

ისე გაუწვრილა გული, რომ იმ მეორეს მოპეზრდა ამდენი წუწუნის მოსმენა.

— ეს ოხერი, ვის უფრო მაგარი ჭრილობა აქვს, შენ თუ მე?!

— შენა გაქვს, — მიუგო ზანგმა, — მაგრამ მე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ დაჭრილი. არც მიფიქრია, ოდესმე თუ დაგიჭრებოდი. დასაჭრელად კი არ მოგექირავე. რა ოხრობა უნდა ვუყო ამ ჭრილობას!

— დამშვიდდი, უესლი. — უთხრა კაცმა, — წუწუნი რაღას გიშველის?

ამასობაში მიაღვნენ კიდევ კუნძულს. მეჩერებს შორის უნდა გაეძვრინა გემი და წყალი კი ისე ლაპლაპებდა მზეზე, რომ სულ თვალეხსა სჭრიდა. ზანგი გაგიჟდა თუ გამოთაყვანდა ჭრილობის შიშით — ერთი წუთით ენა არ გაუჩერებია.

— ან ამ ღვინოს რას გვათრევი-
ბენ? — ბუზღუნებდა იგი. — მშრალი
კანონი გაუქმებულია. ვის რაში სჭირ-
დება ამისთანა კონტრაბანდა? ადგნენ
და დიდი გემებით გადაზიდონ!

მესაჭე კვლავ წყალს მიშტერებოდა.

— რატომ არ შეიძლება, რომ ალალი
შრომით და პატიოსნად იცხოვროს კაცმა
და პატიოსანი და ალალი ლუქმა ჭა-
მოს?!

მესაჭემ წყლის ჭავლის თამაში კი
შენიშნა ნაბირის სიახლოვეს, მაგრამ
თვით ნაბირის დანახვას მზე უშლიდა.
მაინც დროზე მოაბრუნა კარჭაბი. ცალი
ხელით საჭე სწრაფად გადაატრიალა,
მძიმედ შეაცურა და ნელა მიაყენა რიზო-
ფერას ბუჩქნარებს. კიჩოთი შეაცურა
ბუჩქებში და ორივე ძრავი გამორთო.

— ლუზის ჩაშვებას როგორმე მოვა-
ხერხებ, მაგრამ ამოღებით ვეღარ ამო-
ვიღებ, — თქვა მან.

— მე განძრევის თავიც აღარ მაქვს, —
თქვა ზანგმა.

— რა ჯანდაბა მოგივიდა, სულ მოგე-
ლო ბოლო, — უთხრა მესაჭემ.

ძლივძლივობით მოხსნა პატარა ლუზა,
გამოათრია და წყალში მოიქნია, ბაწარი
გრძლად მიუშვა და გემმა რწევა იწყო
რიზოფერას ბუჩქებში, რტოები პირდა-
პირ კოკპიტში შეცურდა. მესაჭე გამოზ-
რუნდა და კოკპიტისაკენ გაემართა, ერთი
ვნახო რა ჯოჯოხეთი დატრიალდაო.

მთელი ღამე კომპასს უჯდა. ჯერ
ზანგს შეუხვია ჭრილობა, მერე ზანგმა
მას შეუხვია მკლავი, და ამის შემდეგ
საჭეს და კომპასს არ მოსცილებია; რო-
ცა ინათლა, მაშინდა დაინახა, რომ
ზანგი კოკპიტში ჩაწოლილიყო, ტომრებს
შორის. მაგრამ კომპასსა და ზღვას
მაინც ვერ აშორებდა მესაჭე თვალს,
თან სენდ-კისაკენაც უნდა ეცქირა და
ვეღარ მოახელთა, რომ ენახა, გემბანზე
რა ხდებოდა. კარჭაბზე კი საქმე ცუდად
დატრიალებულიყო.

ტომრებში გაჩხირულ ზანგს ფეხი
მალდა აეშვირა. ტყვიებს რვა ადგილას
დაეცხრილა და აეტკევა გემის კორპუსი,
ქარსაღარი მინა ერთიანად დაღშენილი-
ყო. არ იცოდა რამდენი ღვინის ბოთლი

დაემსხვრა, და საცა ზანგის ხისხლს
ვერ მიედწია, იქ თვითონ მის სისხლს
მოერწყო იატაკი. მაგრამ ამჟამად ყველა
ლაზე უფრო მაინც სპირტულის სუნი
აწუხებდა. ირგვლივ ყველაფერი სასმე-
ლებს გაეჟღინთა. კარჭაბი ახლა წყნარად
იდგა რიზოფერას ბუჩქებში, მაგრამ ის
საშინელი ნჯღრევის გრძნობა, რაც წუ-
ხელ განიცადა ზღვის უბეში, ჯერაც
ვერ მოეშორებინა.

— ჯერ ყავას მოვამზადებ, — უთხრა
მან ზანგს, — და მერე მოვიცილი.

— ყავა არ მინდა.

— მე მინდა, — მიუთო მესაჭემ, მაგ-
რამ კაიუტაში რომ ჩავიდა, თავბრუ
დაეხვა და იძულებული გახდა ისევ
ბანზე ამოსულიყო.

— ყავას ვეღარ ვეღირსებით, ეტყო-
ბა, — თქვა მან.

— მე წყალი მინდა.

— ახლავე დაგაღვივებ.

შემოწნული ბოთლიდან გადმოასხა
ფინჯანში წყალი და ზანგს მიაწოდა.

— რატომ მაშინვე არ გააჩერე, სრო-
ლა რომ აგვიტყეს? რას მოექანებოდი?

— იმათ რატომღა აგვიტყეს სრო-
ლა? — უპასუხა მეორემ.

— ექიმი მინდა, — თქვა ზანგმა.

— ექიმმა რა უნდა გიქნას ისეთი, რა-
საც მე ვერ გაგიკეთებ?!

— მომარჩენს.

— ექიმიც იქნება საღამოზე, ჯერ
ნავი მოვიდეს.

— აღარ შემიძლია ნავის ლოდინი.

— კარგი, — უთხრა მეორემ, — წყალ-
ში ჩაფუშვათ ეს ბოთლები.

და მაშინვე შეუდგა ტომრების წყალ-
ში ჩაყრას, მაგრამ ცალხელა კაცისთვის
ძნელი გამოდგა. სულ ორმოციოდე გირ-
ვანქას იწონის ბოთლებიანი ტომარა,
მაგრამ რამდენიმე ცალი რომ ჩაუშვა,
ისევ დაეხვა თავბრუ. იატაკზე ჩაჯდა
და მერე გაწვა კიდევაც.

— თავს მოიკლავ ასე, — უთხრა ზანგ-
მა.

ის კი გაუნძრევლად იწვა კოკპიტში,

ერნესტ ჰემინგუეი

პარი მორტანი

თავი ტომარაზე მიედო. რიზოფერას რტოები კოკპიტში შემოჭრილიყვნენ და ჩრდილსა ჰქმნიდნენ. ამ ჩრდილში იწვა იგი. ესმოდა ქარის სისინი, რომელიც რიზოფერას ბუჩქებს აწყდებოდა, გაპყურებდა ცივ, მაღალ ცას და ჩრდილოეთიდან დაძრულ თხელ დრუბლებს ხედავდა.

„ამისთანა ქარში ვინდა უნდა მოვიდეს, — ფიქრობდა იგი, — გრივალი რომ ამოიჭრა, მაშინვე იფიქრებდნენ, აღარ წამოვლენო“.

— მოვლენ, ვითომ? — იკითხა ზანგმა.

— უსათუოდ, — უპასუხა მეორემ, — რატომ არ უნდა მოვიდნენ?

— ძალიან მაგრად უბერავს.

— გველოდებიან.

— ამისთანა ამინდში ვინ დაგველოდება! ჩემი მოტყუება რაში გჭირდება? ზედ ტომარაზე მიედო ტურები ზანგს და ისე დუღღუნებდა.

— დამშვიდდი, უესლი, — ამშვიდებდა მეორე.

— დამშვიდდი! ადვილი სათქმელია, — დუღღუნებდა ზანგი, — დამშვიდდი! რამ უნდა დამამშვიდოს?! ძალღვით ამომხდება სული და მაშინ დავმშვიდდები. როგორც შემომათრიე აქ, ისევე უნდა გამოიყვანო.

— დამშვიდდი, — აღერსინადა უთხრა მან.

— აღარავინ არ მოვა, — თქვა ზანგმა, — დანამდივლებით ვიცი, რომ არ მოვლენ. მცია, გაიგონე! ველარ გავუძლებ ამ ტკივილს და სიცივეს, გესმის?!

ჰარი წამოჯდა. სულში სიცარიელესა და სისუსტეს გრძნობდა. ზანგი თვალს ადევნებდა, როგორ წამოიჩოქა მან ცალ მუხლზე, უსიცოცხლოდ ჩამოკიდებულ მარჯვენა მკლავს მარცხენა ხელი ჩასჭიდა და მუხლებს შორის ჩასჩარა, მერე

პლანშირზე მიკრულ ფიცარს მოეჭრდა და წამოდგა, ზანგს თვალს არ აშორებდა, მარჯვენა ხელი კვლავ ფეხებში ჰქონდა გაჩრილი. ჩემს დღეში ტკივილი არ გამომიცდიაო, ფიქრობდა.

— ასე თუ მიჭირავს, ასე გაჭიმული, მაშინ აღარ მტკივა იმდენად, — თქვა მან.

— მოდი, სამხარილოეზე წამოგიკიდებ, — უთხრა ზანგმა.

— ნიდაყვში ვერა ვხრი, გამიშეშდა.

— რა ვქნათ ახლა?

— ტვირთი უნდა ჩავძიროთ, — მიუგო მეორემ, — იქნებ შენც გადაგეყარა. უესლი, რასაც მიწვდები!

ზანგი ტომარას წაეპოტინა, მაგრამ მაშინვე კვნესა ამოუშვა და დაწვა.

— ძალიან გტკივა, უესლი?

— ო, ღმერთო! — ამოიკვნესა ზანგმა.

— იქნებ, რომ იმოძრაო, მაშინ უფრო დაგვიამდეს.

— მე დაჭრილი ვარ, — თქვა ზანგმა, — ვერ გავინძრევი. დაჭრილ კაცსაც აღარ ეშვება — ტომრები უნდა გადააყრევი-ნოს!

— დამშვიდდი.

— კიდეც რომ მიოხრა ეს სიტყვა, გავკიჟდები.

— დამშვიდდი, — წყნარად გაუმეორა კაცმა.

ზანგმა წამოიყმუვლა, ხელი იატაკზე მოათათურა და კომინგს ქვეშ სალეს ქვასა სწვდა.

— მოგკლავ, — იყვირა მან, — გულს ამოგჭრი.

— სალესი ქვით რას ამომჭრი, — უთხრა მეორემ, — დამშვიდდი, უესლი.

ზანგმა ტომარაში ჩარგო თავი და აზლუქუნდა. ჰარიმ კი თავისი საქმე განაგრძო — ნელ-ნელა სწევდა ტომრებს და ყრიდა.

თავი მეხვინდი

ტომრების გადაყრაში იყო გართული, როცა ძრავის ხმა გაიგონა, გაიხედა და სწორედ მათკენ მომავალი ნავი დაინახა; უბე გადმოეჭრა და კის გაყოლებზე ყურეს მოჰყვებოდა. ყვითლად

შედებილი ნავი იყო, წინ ქარსაფარი მინა ჰქონდა ჩასმული.

— ნავი მოდის, — თქვა მან, — ადექი, უესლი.

— არ შემიძლია.

— ამიერიდან ყველაფერს დავიხსოვებ, რაც კი მოხდება, — უთხრა მან, — აქამდე სხვა იყო.

— დაიხსომე, რამდენიც გენებოს, — მიუგო ზანგმა, — არც მე დავივიწყებ რამეს.

ახლა კიდევ უფრო დაფაცურდა, მუშაობაში გართულს, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თავიც კი არ აუღია, რომ მძიმედ მომავალი ნავისკენ გაეხედა; სალი ხელით ტომრებს სწევდა და გემიდან ყრიდა.

— გადაბრუნდი, — იმ ტომარას წაეპოტინა, რომელზედაც ზანგს თავი ჰქონდა მისვენებული და წყალში ჩაუშვა. ზანგი წამოიჯდა.

— მოვიდნენ, — უთხრა მან ზანგს. ნავი უკვე მათ გაპირდაპირებოდა.

— კაპიტანი უილია, — თქვა ზანგმა, — მოხალისე მეთევზეები მოჰყავს.

თეთრი ნავის კიჩოზე ორი თეთრქუდიანი კაცი მოკალათებულიყო, ფანელის კოსტუმები ეცვათ, ხელში ანკესები ეჭირათ; საჭეს კი საწვიმარში ჩაცმული, ფეტრის ქუდიანი ბერიკაცი ეჯდა და ნავს პირდაპირ რიზოფერას ბუჩქებისაკენ მიაცურებდა, საცა კონტრაბანდისტების კარჭაპი იდგა.

— რასა იქ, ჰარი? — გასძახა მენავემ. კაცმა, რომელსაც ჰარი დაუძახეს, პასუხად სალი ხელი დაუქნია. ნავმა ჩაიარა. მეთევზეებმა კონტრაბანდისტების კარჭაპს გახედეს და რაღაც უთხრეს ბერიკაცს. ჰარის არ გაუგონია მათი სიტყვები.

— ზღვის ყელში მოტრიალდება და ისევ აქ მოვა, — უთხრა ჰარიმ ზანგს, დაბლა ჩავიდა და საბანი ამოიტანა. — მოდი, დაგახურო.

— კარგ დროს კი გაგახსენდა! ალბათ დაინახეს კიდევ ღვინო. ახლა რა უნდა ვქნათ?

— უილიმ იცის თავისი საქმე, — უპასუხა მან. — ქალაქში რომ ჩავა, ეტყვის, ვისაც საჭიროა, რომ აქა ვართ. მაგ მეთევზე ვაქტატონებს სულაც არ აწუხებთ ჩვენი ამბავი, რაში ენალვლებათ, ჩვენ რას ვაკეთებთ?

ფეხზე ძლივს იდგა. საჭეს მიუჯდა, მარჯვენა ხელი ფეხებში ჩაიჩარა და

მუხლები მოუჭირა. მუხლები უკანკალღა და ამის გამო მკლავის ძვლები ერთმანეთს ეხახუნებოდა. ისევ გაშალა მუხლები, მკლავი გაითავისუფლა და გვერდზე დაუშვა. იქვე იჯდა, მკლავჩამოკონწიალებული, როცა თეთრმა ნავმა ისევ ჩამოიარა. ის ორი მოხალისე მეთევზე ერთმანეთს ელაპარაკებოდა. ანკესები გვერდზე გადაედოთ და ერთი მათგანი დურბინდით უყურებდა მას. კარგა მოშორებით იყვნენ და მათი ლაპარაკი არ ესმოდა. კიდევ რომ გაეგონა, რას ვახდებოდა.

საქირაო ნავ „სამხრეთ ფლორიდაზე“ კი, — რომელიც ახლა აღმა-დაღმა დაპროწიალობდა უმენ-კის არხის გასწვრივ, რადგან ამისთანა ქარში ღია ზღვაზე გასვლა არანაირად არ იქნებოდა, — კაპიტანი უილი ადამსი საჭეს მისჯდომოდა და ჰარის წინაღამინდელ თავგადასავალზე ფიქრობდა. მაშ წუხელ დაბრუნებულა კუბიდან, ნამდვილი ვაქკაცი კია! შუაგულ გრივალში მოხვდებოდა. გემიც კარგი აქვს. ეს ქარსაფარი როგორღა ჩაემსხვრა, ნეტა?! ცოცხალი თავით ამისთანა ამინდში ვერ გავბედავდი წამოსვლას. კუბიდან სასმელის წამოღებასაც არ ვიკისრებდი. ახლა მარიელიდან მოაქვთ ხოლმე. იქ თურმე თავისუფალი ვაჭრობაა.

— რა მკითხეთ, სერ?

— ის რა ნავია? — ჰკითხა ერთმა მეთევზემ.

— ის ნავი?

— ჰო, ის ნავი.

— ოჰ, ეს კი-უესტის კარჭაპია.

— ვისია-მეთქი, მე გეკითხები.

— რა მოგახსენოთ.

— პატრონი მეთევზეა?

— ჰო, მეთევზეც არისო, ამბობენ.

— ვერ გავიგე, რას ამბობ.

— ცოტ-ცოტაობით ყველაფერ საქმეს მისდევს.

— სახელი არ იცი?

— არა, სერ.

— ჰარი რომ დაუძახე!

— მე არაფერი არ დამიძახნია.

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი

— ჩემი ყურით გავიგონე, რომ ჰარი დაუძახებ.

კაპიტანი უილი ადამსი კარგად დააკვირდა ამ კაცს, ვისაც ელაპარაკებოდა; გამოზურცული ღაწვები ჰქონდა, თხელი ტუჩები, ღაჭღაჭა სახე, ზიზღით გამოზიზღალი, ღრმად ჩამჯდარი ჭროლა თვალები; თავზე ტილოს თეთრი ქუდი ეხურა.

— ალბათ ისე წამოვიძახე, — მიუგო კაპიტანმა უილიმ.

— დაჭირილი ჩანს ეს კაცი, დოქტორ, — უთხრა ამხანაგს მეორე მეთევზემ და დურბინდი გადასცა.

— მაგას უდურბინდოდაც ხედავ, — თქვა მან, რომელსაც დოქტორი უწოდეს, — ვინ არის?

— რა მოგახსენოთ, — უპასუხა კაპიტანმა უილიმ.

— მაშ, ახლავე გაიგებ, — თქვა ზიზღით გამოზიზღალმა კაცმა, — ნავის ნომერი ჩაიწერე.

— ჩაწერილი მაქვს, დოქტორ.

— ახლოს მივიდეთ და ვნახოთ, რა ამბავია, — თქვა დოქტორმა.

— მართლა დოქტორი ხართ? — ჰკითხა კაპიტანმა უილიმ.

— დოქტორი კი ვარ, მაგრამ მედიცინისა არა, — მიუგო ჭროლათვალეზიანმა.

— თუ ექიმი არა ხართ, არ წავიყვანთ.

— რატომ?

— რაზე რომ სდომოდა ჩვენგან, თვითონვე დაგვიძახებდა. თავად თუ არაფერი უნდა, ძალათი ხომ არ შევეჩხირებოთ. ჩვენში ასე ვიცით ხოლმე — სწვლამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

— მაშ შენც შენს საქმეს მიხედე, იმ გეგთან ახლოს მიგვიყვანე.

კაპიტანმა უილიმ ოდნავადაც კი არ გადაუხვია აღებულ გეგს — ორცილინდრიანი პალმერი კვლავ მძიმე ქოთქოთით მიჰყვებოდა ყურეს.

— არ გაიგონე, რა გითხარი?

— გავიგონე, სერ.

— მერე, რატომ არ ასრულებ ჩემს ბრძანებას?

— ნეტა ვინა გგონიათ თქვენი თავი?! — კითხვა შეუბრუნა კაპიტანმა უილიმ.

— ეგ რა შენი საკითხავია, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე!

— ნეტა ვინ გგონიათ თქვენი თავი?!

— მაგასაც გეტყვი, თუ ასე გაინტერესებს. მთელს შეერთებულ შტატებში სამ ყველაზე გავლენიან პირთაგან, ერთ-ერთი მე გახლავართ.

— კი-უესტში რაღა ოხრობა გინდათ? მეორე მეთევზე ვინ გადმოიხარა.

— ეს ფრედერიკ ჰარისონია, — დიდის ამბით განაცხადა მან.

— ჩემს დღეში არ გამიგონია, — თქვა კაპიტანმა უილიმ.

— არა უშავს, ახლა გაიგონებ, — უთხრა ფრედერიკ ჰარისონმა, — შენცა და მთელი ეს აყროლებული ქალაქიც, თუნდაც ძირფესვიანად მომიხდეს მაგისი ამოხსრა და ამოძირკვა.

— რა მშვენიერი კაცი ხარ, — მიმართა კაპიტანმა უილიმ, — ასეთი დიდი ვინმე როგორ გახდით?

— ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია მთელს მთავრობაში, — უთხრა მეორემ.

— როგორ არა, დიან, — მიუგო კაპიტანმა უილიმ, — მაგხელა კაცი რომ იყოს, რაღა კი-უესტში ჩამოვიდოდა!

— დასასვენებლად ჩამოვიდა, — განუმარტა მდივანმა, — ეგ უნდა გახდეს გენერალ-გუბერნატორი...

— კმარა, უილის, — თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, — ახლა შენ იმ კარჭაბთან მიგვიყვან, — განაგრძო მან ღიმილით. რაღაცნაირი ღიმილი ჰქონდა, ასეთი შემთხვევებისათვის იზოგავდა.

— არა, სერ.

— აქეთ მოიხედე, შე გამოთაყვანებულ მეთევზევ. ისე გავიხდი საქმეს, რომ შენი ცოდვიტ...

— ვიცი, — თქვა კაპიტანმა უილიმ.

— შენ ჯერ არ იცი, ვინა ვარ!

— ვინც გინდა იყავი, ჩემთვის სულ ერთია, — მიუგო კაპიტანმა უილიმ.

— კონტრაბანდისტია ხომ, ეგ კაცი?

— თქვენ თვითონ როგორ გგონიათ?!

— ჯილდოც იქნება დაწესებული მაგაზე.

— არა მგონია.

— ყაჩაღია.

— ოჯახის კაცია, თვითონაც უნდა ჭამოს და ცოლ-შვილიც არჩინოს. თქვენ ვინ ოხრობალა გარჩენთ? ისევ ეს ხალხი, კვირაში ექვსნახევარ დოლარად რომ ემსახურებიან მთავრობას ამ კიუესტში.

— დაჭრილია. ეტყობა რამე ფათერაკს გადაეყარა.

— თვითონვე თუ არ დაიჭრა თავი გასართობად.

— ეგ ხუმრობა შენთვის შეინახე, გამოგადგება. ახლა ადგები და იმ კარჭაპს მიგვაყენებ. უნდა შევიბყრათ ის კაცი და თავის კარჭაპიანად პოლიციას გადავცეთ.

— სად?

— კი-უესტში.

— თქვენ რა, პოლიციელი ხართ?

— ხომ გითხარი, ვინც არის! — პასუხი დაასწრო მდივანმა.

— რა გაეწყობა, — თქვა კაპიტანმა უილიმ. ერთბაშად მოატრიალა საჭე და ნავი მოაბრუნა. ისევ ახლოს ჩაუჭროლა ნაპირს, რომ პროპელერი წამოედო კიდეც და მერგელის მტვერი ჰაერში დახვეულ ღრუბლად ავარდა. მერე ქოთქოთით გაემართა რიზოფერას ბუჩქებისაკენ, საცა ის კარჭაპი იდგა.

— რამე იარაღი არა გაქვს ნავზე? — ჰკითხა ფრედერიკ ჰარისონმა კაპიტან უილის.

— არა, სერ.

ფანელის კოსტუმიანი ორივე მეთევზე კიჩოზე წამომდგარიყო და გაფაციცებით ადევნებდა თვალს კონტრაბანდისტის კარჭაპს.

— თევზობაზე უფრო კაი სეირს გადავეყარეთ, არა, დოქტორ? — მიმართა მდივანმა.

— თევზობა სისულელეა, — უპასუხა ფრედერიკ ჰარისონმა, — შიმშირიც რომ დაიჭირო, რის მაქნისია! მე შენ გეტყვი, საჭმელად გამოგადგეს! ეს კი ნამდვილად საინტერესო რამეა. ძალიან მიხარია, რომ პირდაპირ გადავეყარე ამისთანა საქმეს. დაჭრილი კაცი რას გაგვექ-

ცევა. ზღვა მაგრად ღელავს. კარჭაპის ნომერიც ვიცით.

— მართლაც რომ სხვის დაუსმარებლად შეგიძლიათ შეიბყროთ, — აღფრთოვანებით შესძახა მდივანმა.

— თანაც უიარაღოდ, — დასძინა ფრედერიკ ჰარისონმა.

— არც საიდუმლო პოლიციის ფახი-ფუხი! — განაგრძო მდივანმა.

— ედგარ ჰუვერმა ლამის თავი გადაგვჭამოს, ამისთანა სახელი გვაქვსო, — თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, — ჩვენი ბრალია, თავის ნებაზე მივუშვი. გვერდზე მიაყენე, — უთხრა მან კაპიტან უილის. კაპიტანმა ძრავი გამორთო და ნავი დინებას მიჰყვა.

— ჰეი, — გასძახა კაპიტანმა უილიმ კონტრაბანდისტების გემს, — თავი დამალეთ!

— რა ღმერთი გიწყურება?! — გაბრაზდა ჰარისონი.

— მოკეტე! — შეუტია კაპიტანმა უილიმ. — ჰეი, — კვლავ გასძახა მან კონტრაბანდისტების გემს, — ყური მიგდეთ. ახლავე ქალაქისკენ გასწიე და ფიჭრი ნურაფრისა გექნება. გემს ველარაფერს უშველი. წაიღებენ. ტვირთი ჩაძირე და თავი ქალაქს შეაფარე. აგერ ერთი ვაჟბატონი მყავს ნავზე, ვაშინგტონელი ჯაშუში უნდა იყოს. პრეზიდენტზე დიდი კაცი ვარო. შენს ჩავლებას ცდილობს. კონტრაბანდისტი ჰგონიხარ. კარჭაპის ნომერიც ჩაიწერა. მე შენ ჩემს დღეში არ მინახიხარ და არც ვიცი, ვინა ხარ. გუმანიტაც ვერა ვხვდები, ვინ უნდა იყო...

ნავი უარგა შორს წაიღო დინებამ. კაპიტანი უილი კვლავ გაჰყვიროდა:

— არც ეს ადგილი მახსოვს, საცა შენ დაგინახეთ. ვერც გამოვიგნებ აქეთკენ გზას.

— ოკეი! — გამოსძახეს კონტრაბანდისტების გემიდან.

— ეს დიდი კაცი დაღამებამდე უნდა ვათევზაო, — დაუყვირა კაპიტანმა უილიმ.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— ო'კეი!

— ჭკუას კარგავს თევზაობაზე, — ისე ღრიალებდა, ლამის ხმა ჩაუწყდა კაპიტან უილის, — მაგრამ საჭმელად უვარგისიაო, ამ ძაღლისგაგდებულს დაუჭინა.

— მადლობა, ძმაო, — გაისმა ჰარის ხმა.

— შენი ძმაა? — ჰკითხა ფრედერიკ ჰარისონმა, რომელიც ერთიანად წამოჭარხლებულიყო სახეზე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა კვლავ სტანჯავდა.

— არა, სერ, — მიუგო კაპიტანმა უილიმ, — შენაგეები ასე მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს.

— ახლავე კი-უესტისკენ მივდივართ! — თქვა ფრედერიკ ჰარისონმა, მაგრამ მის ხმას სიმტკიცე მოჰკლებოდა.

— არა, სერ, — უპასუხა კაპიტანმა უილიმ, — თქვენ მთელი დღით დაიჭირავეთ ეს ჩემი ნავი. რაც ფული დაგი-

ხარჯავთ, იმისი ხომ უნდა გასიამოვნოთ. გამოთავყენებული კი დამიძახებთ, მაგრამ მე მაინც მთელ დღეს გასეირნდები.

— კი-უესტისკენ წავგიყვანე, — გაუმეორა ჰარისონმა.

— კი, ბატონო, — მიუგო კაპიტანმა უილიმ, — ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ისე, შიმშირი მერლანს არაფრით არ ჩამოუვარდება, ნაკლები გემო არა აქვს. ჰაენას ბაზარზე გირვანქაში ათ ცენტს გვაძლევდნენ, მეტი არც მერლანი ღირს.

— ხმა ჩაიკმიდე! — დაუყვირა ფრედერიკ ჰარისონმა.

— მე მეგონა, ამისთანა რამეები დაგაინტერესებდათ მთავრობის კაცს. თქვენ არ აწესებთ, საკვების ფასიო თუ ამნაირი რაღაცეები? ჰა, ხომ თქვენ აწესებთ? რაც შეიძლება ძვირიო და ამნაირი რაღაცეები? ბურღული რაც შეიძლება ძვირი, თევზი — იაფი!

— ხმა ჩაიკმიდე-მეთქი! — უყვირა ჰარისონმა.

თავი მერვე

თავისი კარჭაბიდან ჰარიმ უკანასკნელი ტომარა ჩაუშვა წყალში.

— თევზის დანა მომაწოდე, — უთხრა მან ზანგს.

— დაიკარგა.

ჰარიმ სტარტერს ფეხი დააჭირა და ორივე ძრავი აამუშავა. მეორე ძრავი მას შემდეგ დადგა, რაც სასმელით კონტრაბანდისტობას დაუბრუნდა, როცა კრიზისმა საჭირაო ნავეებს უქნარა მოხალისე მეთევზე მუშტრები დაუკარგა. მარცხენა ხელით ნაჯახი გამოიღო და ღუზის ბაგარი ზედ კოტასთან გადაჭრა. ჩაიძირება და ტვირთს რომ ამოვიღებთ, ამასაც გამოვდებთო, გაიფიქრა. ახლა გარისონ ბაიტისკენ გავწევე. თუ გემის წართმევას დააპირებენ, წაიყვანონ, რა ვქნა. მე ახლა ექიმი მჭირდება. გემთან ერთად ხელსაც ხომ არ დავკარგავ. ეს საქონელი გემზე ნალებს როდი ფასობს. არც იმდენი დამსხვრეულა. ერთი ბოთლი რომ გატყდეს, იჭაურობა სუნით გაიქვინებოდა.

მარცხენა სასხლეტი გადასწია და კარჭაბი ბურჭნარიდან დასძრა. ძრავები თანაბრად მუშაობდა. კაპიტან უილის ნავი უკვე ორ მილზე ჩანდა, ბოკა გრანდესაკენ აედო გეზი. მოტყვევის გამო წყალი ისე მოდიდებულა, რომ უკვე ტბებში შესვლაც შეიძლება, გაიფიქრა ჰარიმ.

ახლა მარჯვენა სასხლეტი გადასწია. დროსელი გაისხნა და ძრავები აღმუშვლდა. იგრძნო, როგორ წამოიწია გემის ქიმი და რიზოფერას ბურჭები სწრაფად გაცურდა. იქნებ, ღმერთით, არც წამართვან კარჭაბი, ფიქრობდა იგი. ეს ხელიც იქნებ მომირჩინონ, ღმერთით. რას ვიფიქრებდი, რომ მარიელში სროლას აგვიტებდნენ — ექვსი თვეა დავდივარ და კაცს ხმა არ გაუცია. ესეც შენი კუბელები. ვილაცა ვილაცას ფულს არ გადაუხდის და შენ უნდა გესროლონ. ასე მოსდგამთ კუბელებს.

— ეი, უესლი, — გასძახა მან და კოკბიტისკენ მიიხედა, საცა საბანწაფარებული ზანგი იწვა, — როგორა ხარ?

— ღმერთო, — ამოიგმინა უესლიმ, —
ამაზე უარესად აღარ შეიძლება იყოს
კაცი.

— უარესი მაშინ იკითხე, ექიმი რომ
გაგისნისს ჭრილობას, — უთხრა ჰარიმ.

— შენ ხომ კაცი არა ხარ, — თქვა
ზანგმა, — კაცის გული არა გაქვს.

უილი ძველია, მაგათ გააცურებს, ფიქ-
რობდა ჰარი. მაგისტანა რამე უილის
ჰკითხე. კარგი ვქენით, რომ არ დავიცა-
დეთ და წამოვედით. დაცდა სისულელე
იყო. ისე დამხვდა თავბრუ და გულიც ისე
მეზიდებოდა, რომ განსჯის უნარი დავ-
კარგე.

შორიდან სასტუმრო ლაკონჩას თეთრი
შენობა გამოჩნდა, რადიოანძებსა და
ქალაქის ქუჩებსაც კარგად ხედავდა.
ტრუმბოს დოკთან ბორანიც დაინახა. ამ
ბორანს გვერდს აუქცევს და გარისონ

ზაიტისკენ გაემართება. ჰა, ეს ძველი
უილი, ფიქრობდა იგი. მაგათ აჩვენებს
სეირს. ნეტა რა ჯილაგის ხალხი აქაა
იმ ნავში! ახლაც ლამის წავიქცე. თავ-
ბრუ მეხვევა. კიდე კარგი, წამოვედით.
კიდე კარგი, არ დავიცადეთ.

— მისტერ ჰარი, — უთხრა ზანგმა, —
მაპატიე, რომ ტომრების ჩაძირვა ვერ
გიშველე.

— კარგი ერთი! — მიუგო ჰარიმ. —
დაჭრილ ზანგს რა მოეთხოვება. შენ
მანც კარგი ზანგი ხარ, უესლი.

ძრავის ღრიალი და წყლის ძალუმი
ტლაშუნი ოდნავადაც ვერ ახშობდა იმ
უცნაურ, ყრუ სიმღერას, რასაც იგი სა-
კუთარ გულში გრძნობდა. მუდამ ასე
იყო ხოლმე, როცა რეისიდან შინ ბრუნ-
დებოდა. ხელი იქნებ მომირჩინონ, ღმერ-
თით, ფიქრობდა იგი. ამით მიდვას სული.

ნაწილი მესამე

თავი მეხრამ

ელზარის ნაპოვნი

ფრედის ბარში ვსხედვართ ყველანი
და, ვნახოთ, ეს ჩვენი აწოწილი ვექილი
შემოდის. ხუანი სად არისო.

— ჯერ არ დაბრუნებულა, — მიუგო
ვილაყამ.

— ვიცი, რომ დაბრუნდა და ნახვა
მინდა მისი.

— მაშ არა და: შენ თვითონ დააბეზ-
ლე, სამართალში მიეცი და ახლა ვექი-
ლად გინდა დაუდგე, — უთხრა ჰარიმ. —
ნეტა აქ რას მოდიხარ და რას გვეკითხე-
ბი. შენ თვითონ ჯიბეში გეყოლება.

— რას მიქარავთ, სამუშაო გამოვუქე-
ბნე.

— მაშ, წადი და სადმე სხვაგან ექე-
ბე, — უთხრა ჰარიმ, — აქ არ არის.

— სამუშაო გამოვუქებნე-მეთქი, გეუ-
ბნები, — არ მოეშვა ვექილი.

— შენც რომ ვინმესთვის თავს შეი-
წუხებ. შხამი ხარ და მეტი არაფერი.

უცებ ის გაბურძნული ბერიკაცი შე-
მოვიდა, ჭალარა თმა საყელოზე რომ
აქვს გადმოშვებული; აი, რეზინის ნივთე-

ბით რომ ვაჭრობს. ერთი კვარტი სასმე-
ლი მინდაო. ფრედიმ ჩაუსხა. დაუყო
ბერიკაცმა საცობი და ფაცხაფუცხით გა-
ვარდა ქუჩაში.

— ხელზე რა მოგივიდა? — ჰკითხა
ვექილმა ჰარის. სახელო ჰარის ზედ
მხარზე ჰქონდა მიბნეული.

— თვალში არ მომდიოდა და მოვიჭე-
რი, — მიუგო ჰარიმ.

— შენ თვითონ მოიჭერი თუ სხვაც
დაგეხმარა?

— მე და ექიმმა გადავჭერით, — უპა-
სუხა ჰარიმ. ბევრი ჰქონდა დაღეული და
უკვე თავში აუვარდა. — მე გაუნძრევლად
მეჭირა და ის კიდეც სჭრიდა. სხვის ჯი-
ბეებში ფათურისათვის რომ სჭრიდნენ
ხელებს, შენ აქამდე არც ხელი შეგრჩე-
ბოდა და არც ფეხი.

— რა მოგივიდა ამისთანა, რომ მოსა-
ჭრელი გაგიხდა? — ჰკითხა ვექილმა.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— რა შენი საქმეა, — მიუგო ჰარიმ.

— ისე გეკითხები. რა მოგივიდა, სად იყავი?

— რალა მე ჩამაცივდი, სხვა ვინმე მონახე, — შეუტია ჰარიმ, — ძალიან კარგად იცი, სად ვიყავი და რა მომივიდა. ენას კბილი დააჭირე და გული ნუ გამიწყალე.

— რალაც უნდა გითხრა.

— თქვი, რალას უცდი.

— არა, ცალკე უნდა გითხრა.

— სულაც არ მეხალისება შენთან ლაპარაკი. კარგს არაფერს არ უნდა მოელოდეს შენგან კაცი. შხამი ხარ.

— რალაც უნდა გითხრა, კარგი რამე.

— კარგი, ამ ერთხელ მოგისმენ, — მიუგო ჰარიმ, — ვისზე უნდა მითხრა? ხუანზე?

— არა. ხუანზე არა.

დახლს შემოუარეს, გადატინრულში შევიდნენ და კარგა ხანს დარჩნენ იქ. იმათ არყოფნაში გასიებული ლიუსის გოგო შემოვიდა, ის ქალი ახლდა, მუდამ თან რომ დასდევს. დახლს შემოუსხდნენ და კოკა-კოლა მოითხოვეს.

— რალაც კანონი გამოდისო, სალამოს ექვსი საათის შემდეგ გოგოებს ქუჩაში გამოსვლა ეკრძალებათ თურმე, არც ბარში შემოუშვებნო, — გასიებული ლიუსის გოგოს უთხრა ფრედიმ.

— ჰო, ამბობენ.

— ქალაქი კი არა, პირდაპირ ჯოჯოხეთი გახდა, — თქვა ფრედიმ.

— მართლაც რომ ჯოჯოხეთია. სენდვიჩი მოგინდა, იქნება, ადამიანს, ან კოკა-კოლა. გამოხვალ და გტაცებენ ხელს, თხუთმეტი დოლარი ჯარიმა!

— მაგისტანა ხალხი ამოიჩემეს ახლა, — თქვა გასიებული ლიუსის გოგომ, — ხალხიანი ხალხი. ღიმილი თუ შენიშნეს ვინმეს სახეზე, მორჩა.

— რამე თუ არ მოხდა ამ ცოტა ხანში, ცუდადაა ჩვენი საქმე, აღარ გვედგომება ამ ქალაქში.

ამ დროს ჰარი და ის ვეჭილი შემობრუნდნენ.

— მაშ იქ მოხვალ, არა? — უთხრა ვეჭილმა.

— ისინი რომ მოიყვანო აქ?

— არა. აქ არ მოვლენ. შენ მოდი იქ.

— კარგი, მოვალ, — უთხრა ჰარიმ და დახლისკენ მიბრუნდა, ვეჭილი კი ქუჩაში გავიდა.

— ელ, შენ რას დაღვე? — მკითხა ჰარიმ.

— ბაკარდის.

— ორი ბაკარდი, ფრედი, — მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, — სადა ხარ ახლა, ელ?

— ბირჟაზე.

— რას აკეთებ?

— მიწას გვაჩიჩქინებენ. ტრამვაის ძველ ლიანდაგსა ვთხრით.

— რამდენს გაძღვევენ?

— შვიდ ნახევარს.

— კვირაში?

— აბა რა გეგონა?!

— მაგ ფულით რა უნდა დალიო?!

— არცა ვსვამ, აგერ შენ დამპატიქე, — მივუგე. ჰარი ცოტათი ჩემსკენ გადმოიწია.

— რეისზე არ წახვიდოდი?

— რეისს გააჩნია.

— მაგას მოვილაპარაკებო.

— კი, ბატონო.

— წამოდი, მანქანაში ჩავსხდეთ, — მითხრა მან, — ფრედი, ნახვამდის, — ცოტათი ქოშინებდა. სულ ასე მოსდის ხოლმე, როცა დაღვეს. გავიარეთ ათხრილი ქუჩა, სადაც მე მთელი დღე მამუშავებენ, კუთხეში მოვუხვიეთ და მის მანქანას მივადექით. — ჩაჯექი, — მითხრა მან.

— სად მივიღვართ?

— მე თვითონ არ ვიცი, უნდა მოვძებნო.

• ისე ავიარეთ უაიტჰედ-სტრიტი, რომ ხმა არ გაუღია. ქუჩის თავში მარცხნივ შევუხვიეთ, ქალაქის ცენტრი გადავჭერით და, უაიტ-სტრიტზე გავლით, სანაპიროს მივადექით. ამ ხნის განმავლობაში ჰარის კრინტიც არ დაუძრავს. სანაპიროთი ბულვარისკენ გავემართეთ. გავედით თუ არა ბულვარზე, მანქანა ზედ ტროტუართან დაამუხრუჭა და გააჩერა.

— ვილაც უიჯოლეები კარჭაპსა მთხოვენ, ერთ რეისზე მოგვაქირავეო, — მითხრა მან.

— კარჭაბი რომ საბაჟო პოლიციამ ჩამოგართვა!

— ეგ მაგათ რა იციან.

— რა რეისია?

— ერთი კაცი უნდა გადავიყვანოთ კუბაზე, რალაც საქმე აქვსო — არც თვითმფრინავით შეიძლება თურმე გადაყვანა და არც სამგზავრო გემით. ენა-გატლექილმა მითხრა.

— ამისთანა საქმესაც აკეთებენ?

— მაშ არა და. სულ ასე არ არის, რაც გადატრიალება მოხდა! არც არავის უკვირს. ასე დადის მთელი ხალხი!

— კარჭაბს რა უნდა უყოს?

— უნდა მოვიპაროთ. ძრავები მოშალეს და ერთბაშად ვერ ავამუშავებ.

— აბა, როგორ გინდა ნავსადგურიდან გამოიყვანო?

— რამეს მოვახერხებ.

— უკან როგორღა დავბრუნდებით?

— მაგას მოვიფიქრებ. თუ არ გინდა წამოსვლა, პირდაპირ მითხარი.

— სიამოვნებით წამოვალ, ცოტა ფულს თუ გამაკეთებინებ.

— მოიხედე, — მითხრა მან — კვირაში შვიდნახევარ დოლარს ვადმოვიგდებენ. სამი ბავშვის პატრონი ხარ, გამგებულულები მოგადგებიან ხოლმე სკოლიდან შუადღისას. შიმშილით კუჭი გეწვით მთელს ოჯახს... მე კიდევ ცოტა ფულის გაკეთებას გპირდები... რა გინდა მეტი?

— რომ არ გითქვამს, რამდენს მპირდები! ღირდეს მაინც, საალაღბედოდ თუ გავიხდი საქმეს.

— რაც არ უნდა საალაღბედოდ გაიხადო, ხომ იცი, რომ ზევრმა ფულმა მოგჭამა ჭირი, — მითხრა მან, — აგერ, მე შემომხედე. იყო დრო, მთელი სეზონი დამყავდა სათევზაოდ ხალხი და დღეში ოცდათხუთმეტ დოლარს ვახდევინებდი. ახლა მესვრიან, ხელსა ვკარგავ, გემს ვკარგავ, რისთვის? რალაც ბითურული სასმელისათვის, რომ გასწიო და გაჭიმო, გემის ფასს არ ამინაზღაურებს. მაგრამ რა ვქნა, ბავშვებს შიმშილით კუჭს ვერ ავუწვავ, ვერც იმ არხების ჩიჩქნას მოვყვები მთავრობისათვის, ბავშვები თუ არ გამოიკვება იმაში აღებულმა ფულმა. ანკი სად შემიძ-

ლია ახლა მიწის თხრა. არ ვიცი, კანონები ვინ დააწესა, მაგრამ ეს უკანაა, რომ, იშიმშილეო, ამისთანა კანონი არ არსებობს.

— მაგისთანა ხელფასის გამო იყო, რომ გავიფიქვე.

— მერე ადექი და ისევ იმ სამუშაოს მიუბრუნდი, — მითხრა მან, — ქველმოქმედებას გაეფიცნენო, გამოაცხადეს. შენ სულ მუშაობ, შენი დღე და მოსწრება, ხომ? კაცისთვის არ გთხოვია, ქველმოქმედება გამოიჩინე და მოწყალეა მოილეო.

— ახლა აღარ არის სამუშაო, — ვთქვი მე, — იმისთანა სამუშაოს ვეღარ ნახავ, რომ კაცმა თავი დაირჩინო.

— რატომ მერე?

— არ ვიცი.

— მეც არ ვიცი, — თქვა მან, — მაგრამ, მანამ სხვას არ გამოლევია საჭმელი, არც ჩემს ცოლ-შვილს გამოეღევა. მაგათ გადაუწყვეტიათ, შიმშილით სული ამოგხადონ კონჩებს, აქედან ფეხი ამოგაკვეთინონ, თქვენი ქონხახები გადაბუგონ და თქვენს ნასახლარზე დიდებულნი სახლები წამოჭიმონ, ტურისტული ქალაქი გააშენონ. ასე მაქვს გაგონილი. ამ მიწის ნაკვეთებს ყიდულობენო, მითხრეს, მერე აქ რომ ავეწვებათ მაგრად შიმშილით კუჭი და სხვა ადგილებში საშიმშილოდ გასწევთ, მოვლენ და მშვენიერ ტურისტულ კუთხეს მოაწყობენ.

— რა რადიკალივით ლაპარაკობ, — ვუთხარი მე.

— რადიკალი არა ვარ, — თქვა მან, — გამწარებული ვარ. გამამწარეს.

— აბა, რა კაი გუნებაზე დაგაყენებდა ხელის დაკარგვა.

— ხელი ჯანდაბას. ერთი ხელი დავკარგე, რა მოხდა მერე. ამაზე უარესიც მომხდარა. ბოლოს და ბოლოს, ორი ხელი აქვს კაცს, და ორი სხვა რამე კიდევ. ერთი ხელიც რომ დარჩეს, და გინდა ერთი სხვა რამე, კაცი მაინც კაცია. ჯანდაბას, — თქვა მან, — არც ღირს ამაზე ლაპარაკი, — ერთი წუთის შემდეგ

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

ისევ განაგრძო, — დანარჩენი ყველაფერი მრთელი მაქვს, — მერე მანქანა აამუშავა და თქვა: — წავიდეთ, ის ხალხი ვნახოთ.

აყვევით ბულვარს, ზღვიდან სუსტი ქარი უბერავდა, შემხვედრი მანქანები კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა. იმ ადგილებიდან, საცა ტალღებს ცემენტის ჯებირი გადმოელახათ, დამპალი ზღვის ბალახის სუნი მოდიოდა. პარი მარცხენა ხელით მართავდა საჭეს. თავიდანვე შემყვარდა ეს კაცი; რამდენჯერ ვხლებივარ ხოლმე ძველად გემზე, მაგრამ რაც ხელი დაკარგა, სულ შეიცვალა კაცი; მერე, აქ რომ ისვენებდა, იმ ვაშინგტონელმა ვაჟბატონმაც დააბეზლა, კარჭაბიდან ზღვაში სპირტიან ყუთებსა ჰყრიდაო და საბაჟო პოლიციამ კარჭაბიც ჩამოართვა. გემზე თავს მუდამ კარგად გრძნობდა, უგემოდ კი ძალღის გუნებაზე იყო ხოლმე. ახლა, მოპარვის მიზეზი რომ მიეცა, შეგატყვევ, გაეხარდა. დიდი ხნით არ შეარჩენდნენ, ამას კი გრძნობდა, მაგრამ იქნებ ცოტაოდენი ფულის გაკეთება მაინც მოვასწროო, ფიქრობდა. ფული მეც ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ ხიფათში გაბმას ვერიდებოდი.

— ხიფათში კი არ გავებათ, პარი, — ვუთხარი მე.

— ამაზე მეტი რა უნდა გაება?! — მიპასუხა მან, — ამაზე უარესს რას უნდა გადაეყარო, შიმშილით სული გძვრება.

— ნეტა რას დაგიჩინია ეს შიმშილი, — ვუთხარი მე, — სულაც არა ვარ მშიერი.

— შენ იქნებ არ იყო, მაგრამ შენი შეილები არიან.

— კარგი, გეყოფა, — ვუთხარი მე, — გამოყოლით გამოგყვები, მაგრამ ამისთანა ლაპარაკი აღარ დამიწყო.

— კი, ბატონო, — თქვა მან, — მაგრამ ხომ ნამდვილად გინდა ჩემთან მუშაობა? მსურველს ბლომად ვიშოვი ქალაქში.

— მინდა, — ვუთხარი მე, — აკი ვითხარი, მინდა-მეთქი.

— მაშ, გამხნევდი.

— შენ თვითონ გამხნევდი. შენ ლაპარაკობ რადიკალივით.

— ჰო, ჰო, გამხნევდი, — თქვა მან, — თუმცა ვინ მისცა კონჩას ვაჟბატონმა?

— რამდენი ხანია, კონჩა აღარ მხრძანდები?

— პირველად რომ გავძეხი, მას შემდეგ.

ძალიან ბინძურად კი გამოუვიდა, მაგრამ ბავშვობიდანვე ასე იყო, არავისი დანდობა არ იცოდა. თუმცა რა, საკუთარ თავსაც არ ინდობდა ხოლმე.

— ასე იყოს, — ვუთხარი მე.

— აბა, მშვიდად, — გამაფრთხილა მან. უკვე გამოჩნდა იმ ბარის შუქრეკლამა.

— აქ უნდა შევხვდეთ იმათ, — მითხრა პარიმ. — კბილი მაგრად დააჭირე ენას.

— წადი, ერთი.

— აბა, აბა, მშვიდად.

შევუხვიეთ და ბარს უკანა კარიდან მივადექით. დიდი ჭინჭყლი ვინმე იყო და ენაც მყრალი ჰქონდა, მაგრამ მე მაინც მიყვარდა.

მანქანა კართან დაეაყენეთ და სამზარეულოში შევედით. დიასახლისი ღუმელთან ფუსფუსებდა.

— ფრედას გაუმარჯოს, — უთხრა პარიმ, — ენაგატლექილი სად არის?

— ეს წუთია შემოვიდა, პარი. ელბერტ, გამარჯობა.

— გამარჯობა, მისს რიჩარდს, — მეც მივესალმე. დიდი ხანია ამ ქალს ვიცნობდი, ჯერ კიდევ „ჯუნგლებიდან“ მახსოვდა. მაგისთანა წრიდან გამოსულეები სხვებიც ყოფილან ჩვენს ქალაქში. გათხოვების შემდეგ კაი მშრომელი ქალები გახდნენ. ეს დედაკაციც, რაც მართალია მართალია, მშენიერი მეოჯახე დადგა.

— თქვენები როგორ არიან? — მკითხა მან.

— კარგად.

სამზარეულოდან უკანა ოთახში შევედით. სწორედ აქ დაგვხვდა ენაგატლექილი ვექილი, და მასთან ერთად მაგიდას ოთხი კუბელი შემოსჯდომოდა.

— დასხედით, — მოგმართა ერთერთმა ინგლისურად. მოსული კაცი იყო, ჩასკენილი, პირბრტყელი, ხმაჩახლეჩილი,

ხელადვე შეატყობდით, რომ უკვე კარგა
ბლომად ეყლურწა, — შენი სახელი?

— შენ თვითონ რა გქვია?

— კარგი, — თქვა კუბელმა, — აგრე
იყოს. კარჭაპი სადაა?

— იახტების ნავსადგომში მიდგას, —
მიუგო ჰარიმ.

— ეგ ვილა? — ჩემზე ანიშნა.

— ჩემი თანაშემწე, — უპასუხა ჰარიმ.
იმ კუბელმა მე შემათვლიერა, დანარ-
ჩენებმა კი ჩვენ ორივენი. — მშიერი
ჩანს, — თქვა კუბელმა და გაიცინა, და-
ნარჩენებს არ გაუცინიათ, — არ დალევეთ?

— რატომაც არა.

— რას? ბაკარდის?

— რასაც თქვენ სვამთ, — უთხრა ჰა-
რიმ.

— შენი თანაშემწეც სვამს?

— ერთს მეც დავლევე, — ვთქვი მე.

— დალიეო, არავის უთქვამს შენთ-
ვის, — მითხრა იმ ზორზოხა კუბელმა, —
თუ სვამ-მეთქი, გკითხე.

— ეჰ, კარგი ერთი, რობერტო, —
უსაყვედურა მეორე კუბელმა, ყმაწვილი
იყო, ბავშვი გეგონებოდა, — ისე ვერა-
ფერს გაარიგებ, თუ არ დაგესლე!

— გესლი რა მოსატანია, თუ სვამ-
მეთქი, ვკითხე. კაცს რომ დაიჭირავენ,
არ უნდა ჰკითხო, მსმელია თუ არა?!

— დაუსხი და დააღვივინე, — უთხრა
მეორემ, — საქმეზე მოვილაპარაკოთ.

— რამდენს გადაგვახდევინებ მაგ
შენს კარჭაპში? — ეს იმ ხმაჩახლეჩილმა
კუბელმა იკითხა, რობერტოს რომ ეძახ-
დნენ.

— გააჩნია, რაზე გჭირდებათ.

— კუბაზე უნდა გადაგვიყვანო ჩვენ
ოთხი.

— რა ადგილას?

— კაბანასში. კაბანასის მახლობლად.
მარიელა რომ გასცდები ცოტათი. ხომ
იცი, სადაც არის?

— როგორ არა, — მიუგო ჰარიმ, —
გადაგიყვანთ და მორჩა, ხომ?

— მეტი არაფერი. მიგვიყვანთ და
ნაპირზე გადაგესხამთ.

— სამასი დოლარი.

— ბევრია. დღიურად რომ მოგვაქი-
რავო, ორი კვირის ვადით?

— ორმოცი დოლარი დღეში და არას
ხუთასი დოლარიც — წინდად, კარჭაპს
რომ რამე მოუვიდეს. ნებართვა გვინდა?

— არა.

— ბენზინის და ზეთის ფულსაც თქვენ
იხდით, — უთხრა ჰარიმ.

— ორას დოლარს მოგცემთ და გადა-
გვიყვანე.

— არ იქნება.

— აბა რამდენს თხოულობ?

— აკი გითხარი.

— ძალიან ბევრია.

— სულაც არა, — უთხრა ჰარიმ, —
ვინ ხართ, არ ვიცი. რა საქმეზე მიდი-
ხართ, არ ვიცი. უცებ სროლა რომ აგი-
ტეხონ! ორჯერ უნდა გადავცურო უბე ამ
ზამთარში. ბოლოს და ბოლოს, კარჭაპსაც
სარისკოდა ვხდი. კარგი, გადაგიყვანთ
ორასად, მაგრამ ათას დოლარს წინდად
ჩამოდით, გემს რომ რამე მოუვიდეს.

— სწორია, — ლაპარაკში ჩაერია ენა-
გატლექილი, — სწორზე მეტიც არის.

კუბელებმა ესპანურად დაიწყეს ერთ-
მანეთში ლაპარაკი. მე არაფერი მესმოდა
იმათი, მაგრამ ვიცოდი, რომ ჰარის ეს-
მოდა.

— კარგი, — თქვა იმ ჩასკვნილმა, რო-
ბერტომ, — გასვლა როდის შეგვეძლება.

— ხვალ ღამით, რა დროსაც გინდათ.

— ზეგამდე რომ შეგვაგვიანდეს?! —
იკითხა ერთმა მათგანმა.

— თქვენი ნებაა. ჩემთვის სულერ-
თია, — მიუგო ჰარიმ, — ოღონდ წინას-
წარ შემატყობინეთ.

— კარჭაპი მზადა გაქვს?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჰარიმ.

— ისეთი ღამაში ნავია! — თქვა ერთ-
მა მათგანმა.

— შენ სად გინახავს?

— აგერ, ჩვენმა ექვილმა მაჩვენა, მის-
ტერ სიმონსმა.

— ა-ა! — თქვა ჰარიმ.

— აიღეთ, დალიეთ, — გვითხრა მეორე
კუბელმა, — კუბაში ბევრჯერ ყოფილ-
ხარ?

— რამდენჯერმე.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— ესპანური იცი?

— ვერ იქნა, ვერ ვისწავლე, — უპასუხა ჰარიმ.

შეენიშნე, როგორ გადახედა ენაჭარტალა ვეჭიღმა, მაგრამ თვითონ გაფუჭებული კაცი იყო და ტყუილს რომ იტყოდა ვინმე, გაეხარდებოდა ხოლმე. პარისტან რომ მოვიდა, მაგალითად, ამ საქმეზე, განა პირდაპირ უთხრა თავისი სათქმელი! მიკიბ-მოკიბა, ხუან როდრიგოს ვეჭებო, მოიგონა; ერთი აქოთებული გაღეგოა, ქურდი და ავაზაკი, საკუთარ დედასაც არ დაინდობს და აწაბნის რამეს, თუკი მოახელთა, ამ ენაჭარტალამ თვითონ მისცა სამართალში, რათა მერე გამოსულიყო და დაეცვა.

— მისტერ სიმონსმა კაი ესპანური იცის, — თქვა კუბელმა.

— განათლებული კაცია.

— გემის მართვა შეგიძლიათ?

— იმდენი კი შემიძლია, რომ მიგიყვანოთ და მოგბრუნდე.

— მეთევზე ხარ?

— დიახ, სერ, — უპასუხა ჰარიმ.

— ცალი ხელით როგორ ახერხებ? — ჰკითხა პირბრტყელა კაცმა.

— ორჯერ უფრო მარდად, — მიუგო ჰარიმ, — სხვა ხომ არაფერი გინდათ?

— არა.

ისევ ესპანურზე გადავიდნენ.

— მაშ, წავსულვართ, — თქვა ჰარიმ.

— ნავის ამბავს მე შეგატყობინებ, — უთხრა ენაჭარტალამ ჰარის.

— ეგ ხვალაც მოისწრება.

— მაშ, ღამე ნებისა, — გაჟოემშვიდობა ჰარი ყველას.

— ღამე ნებისა, — უპასუხა ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ზრდილობიანმა. პირბრტყელს ხმაც არ გაუღია. დანარჩენი ორი კი, ინდიელებს რომ მიუ-

გავდათ სახე, ზოგჯერ ესპანურად თუ გამოელაპარაკებოდნენ იმ პირბრტყელს, თორემ ისე მთელი ამ ხნის განმავლობაში კრინტიც არ დაუძრავთ.

— მე მოგვიანებით გნახავ, — უთხრა ენაჭარტალამ.

— სად?

— ფრედისთან.

გამოგბრუნდით და ისევ სამზარეულო გამოვიართე.

— მარი როგორა გყავს, ჰარი? — ჰკითხა ფრედამ.

— ახლა დიდებულად, — მიუგო ჰარიმ, — კარგად არის ახლა.

გამოვედით ქუჩაში, მანქანაში ჩავსხედით და უკანვე დაფუყვეით ბულვარს, ისე რომ ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა.

— შინ მიგიყვანო?

— მიმიყვანე.

— გზატკეცილზე ცხოვრობ ახლა?

— ჰო. რეისისა რა გადაწყვიტე?

— რა ვიცი, — თქვა მან, — ჯერ არ ვიცი, საერთოდ თუ წავალთ. ხვალ გნახავ.

სახლის წინ ჩამომსვია, შინ შევედი, მაგრამ კარის გაღებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემმა ბებრუხუნამ საყვედურებით ამავსო, სად დაწანწალებო, სადღაც ხეთქავ და ვახშამზე მალლოღინებო. ფული ვინ მომაქვავა, რითი უნდა დავლიო-მეთქი. ვუთხარი. სესხლობო. შენ რას მიედმოედები, ბირჟაზე მომუშავე კაცს ფულს ვინ ოხრობა მასესხებს-მეთქი. ღვინოს სუნი არ გამაკარო, თუ შეიძლებოდა, მაგერ სუფრას მიუჯექიო. დავჯექი, რას ვიზამდი. ბავშვები ბეისბოლის საყურებლად გაკრებილიყვნენ, ვზივარ სუფრასთან და ცოლს ვახშამი მოაქვს, მაგრამ ხმას კი არა მცემს.

თავი მათე

ჰარი

სულაც არ მეხალისება ამისთანა საქმეში გარევა, მაგრამ ჩემს სურვილზეა? სურვილს ვილა დაგიდევს. უარს ვეტყობდი, მაგრამ რომ არ ვიცი, ხვალ რა მე-

ლის! საგანგებოდ არასოდეს არ მიძებნია ასეთი საქმე, როცა თავისით შეგხედება, რა უნდა ქნა, ხელს ხომ არ კრავ. ელბერტის წაყვანა კი არ ღირს, ალბათ,

შტერია. თუმცა პატიოსანი კაცი კია, თან მარჯვე მეზღვაურიც. გულადია, აგრერიგად ვერ შეაშინებ. მაინც ვერ გადამიწყვეტია, წაიფყვანო თუ არა, თუმცა ვილაც ლოთს ან ზანგს ხომ ვერ წაიფყვან, სანდო კაცი უნდა შევარჩიო. თუ რამე გამოდნა, წილს მასაც ვარგუნებ. მაგრამ ყველაფერს ვერ გავუმხელ, არ წამომყვება. არა და ვინმე ხომ უნდა ვიახლო, მარტოკა კი მირჩენია — სხვას რომ არ ჩაირევ საქმეში, იმას რა შეედრება, მაგრამ ახლა სხვის დაუხმარებლად თავს ვერ გავართმევ. ისე, იცოცხლე, მარტოკა სჯობს. ელბერტისთვისაც უმჯობესია, რომ ამ საქმის ასავალ-დასავალი არ იცოდეს. შენ ისა აქვი, ენაგატლეკილს რა მოვუხერხო. ყველაფერი ეცოდინება მაგ ენაგატლეკილს. იმათ უნდა ეფიქრათ ეს. თავიდანვე გაეთვალისწინებიათ ყველაფერი. დავიჯერო ისე შტერია ენაგატლეკილი, რომ ვერა ხვდება, რის გაკეთებას აპირებენ?! არა მგონია. ვინ იცის, იქნებ სულ სხვა რამეს ფიქრობენ. იქნებ სულაც არ აპირებენ მაგისთანა საქმეს. თუმცა მაგათვან სწორედ ეს არის მოსალოდნელი, აკი მოგვარი კიდევაც იმ სიტყვას ყური. თუ მართლა ამას აპირებენ, მაშინ დაკეტვამდე უნდა გააკეთონ, თორემ სანაპირო დაცვის თვითმფრინავი მოუსწრებთ მაიამიდან. ექვსზე ღამდება ახლა. თვითმფრინავს ერთი საათი მაინც მოუნდება. რომ დაბნელებდა, მერე ვედარაფერს დააკლებენ. მართლა თუ მიმყავს ეს ხალხი, მაშინ კარჭაპსაც უნდა მოვუხერხო რამე. გამოყვანა არ გამიძნელებდა, მაგრამ ამაღამ თუ გამოვიყვანე და გამოიგეს, ადვილად მომაგნებენ. ჰოი, რა ამბავს დაატრიალებენ. მაინც ამაღამ უნდა გამოვიყვანო. ზღვის მოქცევის დროს გამოვიყვან და საღმე დავმალავ. გავსინჯავ, რა აკლია (თუკი აკლია რამე), ხომ არაფერი

ამოაცალეს. მერე ბენზინსაც ჩავასხამ. წყალს ავიღებ. მაგარი მუშაობა კი წილის ღამით. როცა კარგად დავმალავ, ბერტი პატარა ძრავიანი ნავით მოიყვანს იმათ. თუნდაც უოლტონის ნავით, ვიქირავენ და გადავუხდი. ან ენაგატლეკილი იქირავენ. ასე აჯობებს. გემის გამოყვანაშიაც მიშველის ამაღამ ენაგატლეკილი. მარტო ენაგატლეკილს თუ დავიხმარებ. იმიტომ რომ, ცხადზე უცხადესია, ენაგატლეკილის ბედი იმათ უკვე გადაწყვეტილი აქვთ. ჩემი და ელბერტის ბედიც რომ ჰქონდეთ გადაწყვეტილი?! ჰგავს, ნეტავ, რომელიმე მათგანი მეზღვაურს? ჰა, ეტყობოდა რომელიმე მათგანს მეზღვაურობა, ჰა?! მგონი კი. აი, ის სანდომიანი ბიჭი. სწორედ ის, ყველაზე ახალგაზრდა. ეგ უსათუოდ უნდა გავარკვიო, იმიტომ რომ, თავიდანვე თუ გადაწყვეტეს ელბერტისა და ჩემი მოშორება, რაღა გამოვიდა. ადრე იქნება თუ გვიან; კი მორიდომებენ ამას. მაგრამ უბეში რომ შევალთ, დრო ბევრი გვექნება. მეც სულ ამაზე ვფიქრობ. კარგად უნდა ავწონ-დავწონო ყველაფერი. შეცდომა არ უნდა მომივიდეს. არავითარი შეცდომა. არც ერთხელ! ეჰ, საფიქრელი მართლაც ბევრი გამიჩნდა ახლა. საფიქრელი და მოსაგვარებელი. მარტო იმის ვარაუდი, რა მოხდება-მეთქი, არას მარგებს. გულხელის დაკრეფა და ლოდინი, რა უბედურება მოხდება-მეთქი. რაკი წამოიწყეს ეგ საქმე, მორჩა. რაკი შენც გაერიე. რაკი საქმე იშოვე. გულხელის დაკრეფა და შორიდან ცქერა, რა ჯანდაბა მოხდებაო, არ გარგებს. უნავოდ და უსახსროდ ყოფნა. ჰა, ეს ენაგატლეკილი! თვითონაც არ იცის, რაში გაება. ჯერ აზრზეც არ არის, რა მოხდება. ნეტა კი დროზე მოვიდეს ფრედისთან. ქვეყნის საქმე მაქვს ამაღამ. წავიდე, რამე შევჭამო.

თავი მეთერთმეტი

ათის ნახევარი იქნებოდა, როცა ენაგატლეკილი დანიშნულ ადგილას მოვიდა. ზედვე ეტყობოდა, კარგა ბლომად დაეღია რიჩარდთან, რადგან, როგორც კი ცოტას დაღვეს, სახზე ხელად უტიფ-

რობა აღებეჭდება, ახლა კი მეტისმეტ უტიფრობას იჩენდა.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

— აბა, ძამიკო, — მიმართავს იგი ჰარის.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ მეძამიკოვები, — უბასუხებს ჰარი.

— უნდა მოგელაპარაკო, ძამიკო.

— სადა? შენს კაბინეტში, ამ დახლს უკან?

— ჰო, დახლს უკან. არის იქ ვინმე, ფრედი?

— ვილა იქნება ამ კანონის გადაშვიდე?! მოიხედე, კიდეც დიდხანს უნდა იყოს ეგ ექვსი საათის კანონი?

— რატომ არ ამიყვან მერე ვეჭილად, იქნებ რამე გავაროგო? — ენაგატლევკილი უბასუხებს.

— ეშმაკმა აგიყვანოს, — ეუბნება ფრედი. და ის ორი, ჰარი და ენაჭარტალა, დახლს უკან გადიან, კაბინეტებში, საცა ცარიელბოთლებიანი ყუთები აწყვია.

ჭერიდან ერთი ელექტრონათურა იყო ჩამოშვებული და ჰარიმ ყველა კაბინეტში შეიჭყიტა, საცა კი ბნელოდა; დარწმუნდა, რომ არავინ იყო.

— აბა! — თქვა მან.

— ზეგ საღამოსთვის გადასდეს.

— რა უნდათ, რას აპირებენ?

— შენ აკი იცი ესპანური, — უთხრა ენაგატლევკილმა.

— ეგ იმათ ხომ არ გააგებინე?

— რას ამბობ. მე შენი მეგობარი ვარ. შენც ხომ იცი.

— საკუთარ მშობელს არ დაინდობ.

— კარგი ერთი. ხომ ხედავ, რა საქმე გიშოვე.

— რამდენი ხანია, რაც ამისთანა საქმეებს მოჰკიდებ ხელი?

— მოიხედე, მე ფული მჭირდება. როგორმე აქაურობას თავი უნდა დავაღწიო. სულ ამეწეწა აქ საქმეები. შენც ხომ იცი.

— ეგ ვინ არ იცის

— ხომ ნახე, როგორ შოულობენ რევოლუციისათვის ფულს — მოტაცებთ, მოპარვით და ამისთანა რამეები.

— ვიცი.

— ეგეც ისეთივე საქმეა. კეთილი საქმისთვის გვჭირდება.

— ჰო, მაგრამ აქ კი არ შეიძლება აქ დაბადებულხარ, აქ გაზრდილხარ, ყველას იცნობ...

— არავის არაფერი არ დაუშავდება.

— არც იმ ბიჭებს?

— მე შენ ვაჭკაცი მეგონე.

— მე კი ვარ ვაჭკაცი, არხეინად ბრძანდებოდე. მაგრამ კიდეც ვაპირებ ამ ქალაქში ცხოვრებას.

— მე არ ვაპირებ, — თქვა ენაგატლევკილმა.

ღმერთო, გაიფაქრა ჰარიმ. თავისი პირით ამბობს.

— მე აქედან წასვლას ვაპირებ, — განაგრძო ენაგატლევკილმა, — კარჭაპი როდის გინდა გამოიყვანო?

— ამაღამვე.

— ვინ უნდა დაგეხმაროს?

— შენ.

— სად დააყენებ?

— საცა მუდამ მიდგას ხოლმე.

კარჭაპის გამოყვანა სულაც არ გაძნელებიათ. ისევე უბრალოდ მოხდა ყველაფერი, როგორც ჰარი ვარაუდობდა. ღამის დარაჯი საათში ერთხელ ჩამოივლიდა ხოლმე, სხვა დროს ძველი სამხედრო ნავსადგურის გარეთა ჭიშკართან იჯდა. ნავსადგომში პატარა ორჩხომელათი შევიდნენ. ბაწარი გადასჭრეს და როცა მოქცევა დაიწყო, ორჩხომელაზე გამოზმული კარჭაპი თავისით შეცურდა ზღვაში. ყურეში რომ გავიდნენ, ჰარიმ ძრავები გააჩნჯა, მარტო ხუფები გადაქრთოთ და სხვა არაფერი. მერე ბენზინიც ნახა — ასორმოცდაათი გალონი იქნებოდა დარჩენილი. ბენზინისთვის სულაც არ ეხლოთ ხელი, წინა მგზავრობაზე რაც დარჩა, უკლებლივ იყო. მაშინ გამგზავრების წინ სულ დაავაო ავზები. დახარჯვით კი ძალიან ცოტა დაეხარჯა. რადგან ზღვა ღელავდა და იძულებული იყო წელა ევლო.

— შინაც მაქვს ბენზინი, — უთხრა მან ენაგატლევკის, — ერთ ბოცას მე თვითონ წამოვიღებ მანქანით, ერთსაც ელ-

ბერტს მოვატანიებ, კიდევ თუ დაკვ-
ჭირდა. მდინარეში მინდა დავაყენო
კარჭაპი, ზედ შარაგზასთან, იმათ შეუძ-
ლიათ მანქანით მოვიდნენ.

— მაგათ კიდევ პორტ-დოკთან უნ-
დოდათ ჩასხდომა.

— პორტ-დოკთან როგორ დავაყენებ
კარჭაპს!

— მართალი ხარ. მაგრამ ისინიც რომ
არ მოინდომებენ მანქანით მოსვლას!

— კარგი. მაშ, ამაღამ მდინარეში და-
ვაყენოთ — ბენზინს ჩავასხამ, გავაკეთებ,
რაც კი რამ საქიროა. შენ ძრავიან ნავს
დაიჭირავენ და იმათ მოიყვან. ჯერ იქ
დავაყენებ. ქვეყნის საქმე მაქვს. შენ ახ-
ლა ორჩხომელით გადი ნაპირზე, მანქანა
წამოიყვანე და ხიდთან მომაკითხე. ორ
საათში გამოვალ შარაზე. დავაყენებ
კარჭაპს და მაშინვე გამოვალ.

— ხიდთან მოგაკითხავ, — უთხრა ენა-
გატლეკილმა. ჰარიმ ძრავი გამოართო.
კარჭაპი უხმოდ გაცურდა წყალზე, მერე

ნავი იჭითკენ დაძრა, საიდანაც ხატუშა-
გო მხუნების სინათლე გამოკრთოდა. ორ-
ჩხომელა ხელით დაიჭირა, მანამ ცნაგატ-
ლეკილი გადაჯდებოდა.

— მაშ ორ საათში, — შეახსენა მან.

— ჰო, — უპასუხა ენაგატლეკილმა.

საჭეს უჯდა, კარჭაპს ნელა მიაცურებ-
და სიბნელეში, ცდილობდა ნავსადგომი-
დან გამომკრთალ სინათლეში არ მოხვედ-
რილიყო, და ფიქრობდა — ამ ენაგატლე-
კილსაც რომ წვალება სჭირდება ფულის
საშოვნელად. ნეტავ რამდენს მოელის?!
ან ამ ვაყბატონებს როგორ აეკიდა
ნეტავ?! კაი ყალთაბანდი ბრძანდება,
მაგრამ ერთ დროს შეიძლება რამე
გამოსულიყო მაგისაგან. ისე, კარგი ვე-
ქილიც არის. თვითონვე რომ თქვა ის,
ტანში ამბურძგლა. საკუთარ თავს დას-
ჩხავლა. საოცარი კია, საკუთარ თავს
რომ დასჩხავლებ კაცი. ტანში გამცრა.
რომ გავიგონე, როგორ დასჩხაოდა სა-
კუთარ თავს.

თავი მეთორმეტი

სინათლე არ აუნთია, შინ რომ მივი-
და, ფეხსაცმელები დაბლა წაიძრო და
წინდებისამარა აუყუა ქვის კიბეს. პერან-
გის გარდა ყველაფერი გაიხადა და,
მანამ ცოლი გაიღვიძებდა, ლოგინში
შეწვა. ქალმა სიბნელეში წამოილაპარა-
კა, „ჰარი ხარ?“ და მანაც უპასუხა:
„დაიძინე, დაიძინე, ბებრუხანა“.

— რა მოგივიდა, ჰარი?

— რეისზე მივდივარ.

— ვინ მიგყავს?

— არავინ. იქნებ ელბერტი წაიყ-
ვანო.

— ვისი გემით?

— ჩემი გამოვიყვანე.

— როდის?

— ამ საღამოს.

— ციხეში ჩავსვამენ, ჰარი.

— კაციშვილს არ გაუგია.

— სად გიყენია?

— დამალული მაქვს.

იწვა და გრძნობდა, როგორ მოცოცა-
და ქალის ტუჩები, მას ეძებდა, მერე
ხელიც შემოაჭდო. კაცი გადბრუნდა და
მაგრად ჩაეკრა.

— ეს მკლავი არ გიშლის? არ გეზიზ-
ღები?

— რამ გავასულელა. ასე უკეთესია.
შენი ყველაფერი მიყვარს. აგერ დამა-
დე. არა, აქა. ასე, მართლა კარგია.

— კუს თათივითა მაქვს გამოჩრილი

— კუს სულაც არა ჰგავხარ. მართლა
ასე მოსდგამს ზღვის კუს — მართლა სამ
დღეს უნდებიათ ამას? მთელ სამ დღეს?

— ჰო, ჩუმაღ! გოგოები არ დააღვიძო.

— მაგათ რა იციან, შენ ვინა მყავხარ.
თავის დღეში ვერ გაიგებენ, რა ბიჭი
მყავხარ.

— დაიცა.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— რატომ უნდა დავიცადო. მოდი...
ზანგის ქალთან თუ ყოფილხარ რო-
დისმე?

— რატომაც არა?

— კარგია?

— ზვიგენივით.

— სასაცილო კაცი ხარ. ნეტა არ მი-
დიოდე, ჰარი. ნეტა სულაც არ დადიო-
დე. რამდენ ქალთან ყოფილხარ—ვინ
იყო ყველაზე უკეთესი?

— შენ.

— ტყუი. სულ ასე მატყუებ.

— არა. შენ ყველას ჯობიხარ.

— რომ დავბერდი?

— შენ არასოდეს არ დავბერდები.

— თან ისიც რომ მჭირდა.

— ქალი კარგი იყოს და ეგ არაფე-
რია.

— მოდი. მოდი. ეს ტაკვი აქ დამადე-
ასე. კარგია. ასე გქონდეს. ასე. ასე.

— ძალიან ვხმაურობთ.

— რა ხმაურია ვჭურჩულვით.

— გათენებამდე უნდა ავდგე.

— დაიძინე. მე გაგაღვიძებ. რომ
დაბრუნდები, დროსტარება მაშინ ნახე!
ძველებურად გავუტოთ მაიამისკენ და
სასტუმროში დავდგეთ. გავისენოთ ძვე-
ლებური. ისეთი ადგილი ამოვარჩიოთ,
საცა არავის არ ვუნახივართ. სულაც
ნიუ-ორლეანში წავიდეთ!

— რატომაც არა, — უთხრა ჰარიმ, —
გეყოფა, მარი, უნდა დავიძინო.

— წავალთ ნიუ-ორლეანში?

— რატომაც არა! ოღონდ ახლა უნდა
დავიძინო.

— დაიძინე. შენ ჩემი თაფლის კვერი
ხარ. დაიძინე. მე გაგაღვიძებ. შენ დარ-
დი ნუ გაქვს.

კაცმა დაიძინა, მოკვეთილი მკლავის
ტაკვი ბალიშზე ედო. ქალი დიდხანს
იწვა და ქმარს შეჰყურებდა. ფანჯრი-
დან შემოსული სინათლის შუქზე ხედავ-
და მის სახეს. რა ბედნიერი ვარ, ფიქ-
რობდა იგი. ეს სოულები გოგოები! არც
კი იციან, რა მოელით. მე ვიცი, ვინ
მყავს და ვინ მყავდა. მუდამ მწყალობ-
და ხოლმე ბედი. კუს თათივით გამოჩრი-
ლიო. კიდე კარგი, ფეხი არ გაუხდა მო-

საკვეთი. ფეხის მოკვეთა მართლაც დამ-
წყვეტდა გულს. რა იქნებოდა, მსაქლა-
ვიც არ დაეკარგა?! თუმცა მე სულაც
არ მიშლის. რაც არ უნდა მოუვიდეს,
ჩემთვის მაინც ყოველთვის კარგი იქნება.
რა ბედნიერი ქალი ვარ! ამისთანა კაცს
სად შეხვდები. ვისაც არ უგემნია, რას
გაიგებს! მე ბლომად მინახავს. რა ბედ-
ნიერი ვარ, რომ ამას შეხვდები... შეხედე,
როგორ სძინავს პატარა ბავშვივით. არ
დავიძინებ, დროზე უნდა გავაღვიძო.
ღმერთო, მე მთელი ღამე არ მომწყინ-
დება... ერთი წუთითაც არ დავიძი-
ნებ. სულ არა, სულ არც ერთი წუთით.
სავსებით, არც ერთი წუთით, სულ არა,
სულ. ხედავ, რა ხდება! ჩემი ხნის ქალი
რომ ამას ამბობს! სულ არ დავბერებულ-
ვარ. ხომ მითხრა, ისევ კარგი ხარო.
ორმოცდახუთი წელი რა სიბერეა. სულ
ორი წლითა ვარ ამაზე უფროსი. შეხედე
როგორ სძინავს. როგორ ბავშვივით
ჩაუძინია.

გათენებას ორი საათი აკლდა, როცა
ისინი გარაჟში ბენზინის ავზს უტრია-
ლებდნენ, ბოცებში ასხამდნენ და მან-
ქანაში ალაგებდნენ. მარჯვენა მკლავზე
კავი ჰქონდა გამობმული ჰარის და
უფრო მარჯვედ სწევდა ხოლმე მანეუ-
ლით შემოწნულ ბოცებს.

— საუზმე არ გინდა?

— რომ მოვბრუნდები, მერე.

— ყავა მაინც დაგელია?

— გაქვს?

— აბა რა. როცა გამოვდიოდით, მაშინ
დავდგი.

— ბარემ გამოიტანე.

გამოუტანა ყავა, კაცი მანქანასთან
ჩაცუცქდა და იქვე შეხვრიპა. ქალმა
ფინჯანი გამოართვა და გარაჟში თარო-
ზე შემოღო.

— მეც გამოგყვები, ბოცებს გადაგა-
ზიდინებ, — უთხრა ქალმა.

— კარგი, — დაეთანხმა კაცი და
ქალი გვერდში მოუჯდა, ჩამსხვილებუ-
ლი, კანჭმალალი, ბრტყელხელა, თქო-

გამობურცული, ჯერ ისევ ლამაზი ქალი, რომელსაც ოქროსფრად შეღებულ თმაზე ქუდი ჩამოეფხატა. ამ დილის სიცივესა და სიბნელეში ისინი შარაგზაზე მიჰქროდნენ, მძიმედ ჩამოწოლილ ნისლს მიაჩვენებდნენ.

— შეწუხებული რატომ ხარ, ჰარი?

— მე თვითონ არ ვიცი. რაღაც უმიზეზოდ დავღონდი. თმის გაზრდას აპირებ?

— ჰო, ასე გადავწყვიტე. გოგოები აღარ მომეშვნენ.

— გოგოებს რა ყურს უგდებ. ასე გქონდეს.

— მართლა ასე გირჩევენია?

— ჰო, — უთხრა კაცმა, — ასე უფრო მომწონს!

— ბებერი არ გეჩვენები?

— მაგათ ყველას ჯობიხარ.

— მაშ კარგი. ისევ შევიკრეჭ. თუ გინდა, უფრო ბაცად შევიღებავ.

— შენს თმასთან გოგოებს რა ესაქმე-

ბათ?! — უთხრა ჰარიმ, — ნეტავ რას გაწუხებენ.

— მაგათი ამბავი ხომ იცი. გოგოები, საერთოდ, ყველა ასეა. მოიხედე, კარგად თუ გაგიმართლა ამ რეისმა, ნიუ-ორლეანში წავიდეთ, კარგი?

— მაიამში.

— კარგი, მაიამი იყოს. ეგენი აქ დავტოვოთ.

— ჯერ ამ რეისს მოვრჩე.

— ახლა აღარ ხარ შეწუხებული, ხომ?

— აღარა.

— მთელი ოთხი საათი თვალი არ მომიხუჭავს, ვიწექი და შენზე ვფიქრობდი, იცი.

— კარგი ბებრუხუნა მყავხარ.

— შენზე რომ დავიწყებ ფიქრს, მაშინვე მომინდები ხოლმე.

— კარგი, ჯერ ეს ბენზინი ჩავასხათ, — უთხრა ჰარიმ.

ვაგრძელება იქნება

ინგლისურიდან თარგმნა
ვახტანგ ჭელიძემ

ნოქა ნათაძე**რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე**

წერილი მეორე

დღევანდელ ქართულ პროზაში შეიმჩნევა თანამედროვე დასავლეთის ლიტერატურაში გამომუშავებული ზოგიერთი თავისებური ტექნიკური სიახლის გადმონერგვის ცდები. რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს მსოფლიოს მოწინავე, პროგრესული ლიტერატურის მიღწევებთან ქართული პროზის გათანაბრების ამოცანა მხოლოდ ან ძირითადად ამ ტექნიკურ სიახლეთა გადმონერგვაში მდგომარეობს. პირიქით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის ერთგვარი სიახლე, რასაც დღეს ბევრი ქართველი მწერალი ესწრაფვის, თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიერ მიღწეული თვისობრივი ცვლილებების მხოლოდ მცირე ნაწილია. მაგრამ ვინაიდან წე-

რის ტექნიკის სიახლე ლიტერატურის ამ ზოგადი სიახლის ყველაზე ადვილად დასაანახი მხარეა და ვინაიდან მიზანძვის საგნადაც ყველაზე მეტად იგი იქცევა ხოლმე, ჩვენი მწერლობის ახალ ტენდენციებზე ლაპარაკისას სწორედ ამ მხარეს უნდა შევხვით.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საკითხი ე. წ. უსიუჟეტო მოთხრობას შეეხება. ასეთი მოთხრობები ჩვენ პრესაში საკმაოდ მომრავლდა (ტერმინი „უსიუჟეტო“, ცხადია, პირობითია). ამ სიახლის გაჩენას ჩვენს ლიტერატურაში უმთავრესად ჰემინგუეის სახელს უკავშირებენ. თუ რა დამსახურება მიუძღვის ჰემინგუეის ამ თავისებური ლიტერატურული ფორმის შექმნაში, ამაზე მსჯელობა აქ ზედმეტია. გაკვ-

რით შევნიშნავთ მხოლოდ, რომ არც ჰირველი, არც ერთადერთი წარმომადგენელი ამ სტილისა ლიტერატურაში ჰემინგუეი არ არის. მაინც ფაქტია, რომ ამ სტილით წერის სურვილი ქართველ ავტორებს სწორედ ჰემინგუეიმ აღუძრა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახალი ტექნიკის შეთვისება მწერლობას სარგებლობის მეტს არაფერს მოუტანს, მეორეც, ჰემინგუეისთანა დიდი ოსტატისაგან მართლაც ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, მაგრამ ლიტერატურული ოსტატობის „სწავლა“ ორიგინალის ძალზე ფაქიზ და დეტალურ ანალიზს გულისხმობს. ასეთი „სწავლა“ „მასწავლებელი“ ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიაში ღრმად, „ვიგნიდან“ ჩახედვას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა სწავლა კი აღარ იქნება, არამედ უბრალო მიბაძვა; შემოქმედებითი არსენალის გამდიდრება კი არ იქნება, არამედ მხოლოდ გზასაცდენილი ეპიგონობა და საკუთარი ინდივიდუალობის სრული დაკარგვა.

ჩვენი ყურნალების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში, სამწუხაროდ, ჰემინგუეის უსიუჟეტო მოთხრობის რთული ხელოვნება უფრო ხშირად ამ სიხლის მხოლოდ ერთი ნიშნით — საკუთრივ უსიუჟეტობით არის წარმოდგენილი. მიმდევარსა თუ მიმბაძველს რატომღაც მიუჩნევია, რომ, რაკი ჰემინგუეიმ მკვეთრი სიუჟეტური კვანძის გარეშე ექსპრესული ნაწარმოების შექმნა შესძლო, ნოველის ეს ყველაზე რთული და არსებითი ელემენტი — სიუჟეტი ამიერიდან აღარ არის საჭირო, რომ სინამდვილის ყოველი ნაგლეჯი, თუკი იგი დეტალების საკმაოდ სრული აღწუსხვით და პერსონაჟთა მეტყველების საკმაოდ ზუსტი მიბაძვითაა გადმოტანილი, შეიძლება ხელოვნების ნაწარმოებად იქცეს. სხვათადად რითი შეიძლება აიხსნას ისეთი ნოველების არსებობა, როგორცაა დავით ჯავახიშვილის „ბაზალეთი“ ან გურამ გეგეშიძის — „სანამ ერთად ვართ“? ამ მოთხრობებში არაფერი არ

სდება. სოციალურ თუ ეთიკურ პრობლემაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქ არ არის რაიმე მკვეთრი ფსიქოლოგიური კონფლიქტი; გმირთა მეტყველება მოკლებულია არა მარტო რაიმე ქვეტექსტს, ელემენტარულ ფსიქოლოგიურ თემასაც კი (რას განიცდის გმირი, როცა ამ ყოველდღიურ ამბებზე ლაპარაკობს). დიალოგი აქ ყოველდღიური, უმნიშვნელო საუბრის უბრალო მიბაძვაა. ეს განსაკუთრებით გ. გეგეშიძის მოთხრობას ეხება. რა მხატვრულ მიზანს ისახავს ასეთი მოთხრობის ავტორი, ეს სრულებით გაუგებარია. იქნებ მას სურს მკითხველს გადასცეს განწყობილება, რაც გმირს გარკვეულ სიტუაციაში, ვთქვათ, პალეონტოლოგიური გათხრების წარმოებისას ან პლაჟზე წოლისას აქვს? მაგრამ მაშინ ავტორს იმის რწმენაც უნდა ჰქონდეს, რომ ეს განწყობილება მკითხველისათვის დიდად საინტერესოა. ან იქნებ ავტორს იმედი აქვს, რომ ის ოდნავ მინიშნებული, მკრთალი და თავისი მასშტაბით უმნიშვნელო კონფლიქტი, რასაც მოთხრობაში ეხედავთ, იმდენად საინტერესოა, რომ მკითხველის ყურადღებას მიიზიდავს? ან იქნებ მწერალს ნაწარმოების ორი პერსონაჟის არადამაჯერებელი დაპირისპირება ხასიათთა დაპირისპირებად მიუჩნევია, იმდენად მნიშვნელოვან დაპირისპირებად, რომ მკითხველის ინტერესი აღძრას? („ბაზალეთი“).

იძლევა თუ არა ჰემინგუეის სტილი ასეთი მიბაძვის საფუძველს? არა, არ იძლევა, და ამის დასანახად ჰემინგუეის შემოქმედებაზე ოდნავი დაკვირვებაც კმარა. განა ჰემინგუეის აქვს თუნდაც ერთი ისეთი უსიუჟეტო მოთხრობა, რომელსაც მნიშვნელოვანი თემა არ ედოს საფუძველად? განა მას ბევრი აქვს ისეთი უსიუჟეტო მოთხრობა, რომლის თემის გაშლა მკვეთრი სიუჟეტის მქონე მოთხრობად არ შეიძლებოდეს? ავიღოთ ჰემინგუეის ერთ-ერთი უსიუჟეტო

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

მოთხრობა „სისუფთავე, სინათლე“. ვანა ავტორს ეპოქალური მნიშვნელობის განწყობა არა აქვს გადმოცემული, როცა გვიჩვენებს, რომ დასავლეთის დიდი ქალაქის მცხოვრებისათვის სუფთა რესტორნის ატმოსფეროს ისეთივე მაგნიტური ძალა აქვს, როგორც სინათლეს მწერისთვის? მით უმეტეს, რომ ადამიანს ამ უშუალო განცდის მეტი ქვეყნად აღარაფერი დარჩენია! ვანა ჰემინგუეის მოთხრობაში „თეთრი სპილოები“ მკვეთრი, ხელშესახები კონფლიქტი არაა მოცემული? ვანა უსიუქეტო ციკლში „ძღვანდ შვეიცარიას“ არა ვხედავთ განსხვავებული ხასიათების, უფრო მეტიც — მთელი განსხვავებული სამყაროების მკვეთრ ფსიქოლოგიურ დაპირისპირებას? ჰემინგუეის ძალა, როგორც მწერლისა, სრულებითაც არაა მხოლოდ ის, რომ მან სიუჟეტთან მოთხრობებთან ერთად უსიუქეტო მოთხრობებიც დაწერა. მისი ძალა უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ იგი ხედავს მკვეთრ კონფლიქტებს, რომლებშიც სინამდვილე ისევა ასახულია, როგორც სამყაროს აღნაგობა ატომის აღნაგობაში. ეს თვისება ჰემინგუეის იმდენადვე ახასიათებს, რამდენადც ყველა სხვა დიდ რეალისტ მწერალს მანამდე ან მის შემდეგ ახასიათებდა. ჰემინგუეის მეორე ღირსება კი ის არის, რომ მან **განსაკუთრებით** ფაქიზი, ფსიქოლოგიურად **განსაკუთრებით** მძაფრი კონფლიქტების გამოხატვა შესძლო ისე, რომ არ გასცილდა ყოფის, ყოველდღიურობის ფარგლებს, არ გამოიყენა ის ხელოვნური ლიტერატურული ხერხი, რაც მხოლოდ **განსაკუთრებული** ამბის თხრობაა. თუ ჰემინგუეისგან სწავლა შესაძლებელია და საჭიროა, მაშინ ვანა ბუნებრივი არ არის, მისგან ჯერ ის ისწავლოს კაცმა, რაც ყველაზე არსებითია მისთვის და რაც მას ყველა სხვა დიდ რეალისტებთან აერთიანებს! რატომ არავინ არ მიბაძა ჰემინგუეის ისეთ სიუჟეტთან შედევრებს, როგორიცაა „მისტერ მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ და „კილიმანჯაროს თოვ-

ლი“, ან უსიუქეტო მოთხრობას **რეკი-მო**, მომეცით წამალი“, სადა **განწყობილებათა** ცვლის უმდიდრეს გამასთან ერთად ღრმა ფილოსოფიაცაა მოცემული? იმიტომ ხომ არა, რომ უსიუქეტო მოთხრობის წაბაძვა, თითქოს, უფრო ადვილია? სამწუხაროდ, ეს სიადვილე მხოლოდ ილუზიაა. მკვეთრი და მნიშვნელოვანი კონფლიქტის გარეშე ნაწარმოების შექმნის ტექნიკა ჰემინგუეის არ გამოუმუშავებია და არცა გვგონია, ვინმემ გამოიმუშაოს.

ჰემინგუეის გავლენასთან დაკავშირებით ჩვენ შეგნებულად ვახსენებთ მხოლოდ ის ქართველი ავტორები, რომლებსაც დასახელებულ მოთხრობებთან ერთად გაცილებით უკეთესი მოთხრობებიც აქვთ დაწერილი. ჰემინგუეის ყველა მიმბაძველი და მიმდევარი რომ ჩამოგვეთვალა, საკმაოდ მოზრდილი სია გამოგვივიდოდა.

იმ ლიტერატურული სტილის გავლენა, რომელსაც პირობითად ჰემინგუეის სტილს ვუწოდებთ ხოლმე, ჩვენს ლიტერატურაში ძალიან დიდია. ჩვენ შეგნებულად აღარაფერს ვამბობთ ამ გავლენის ყველაზე უკიდურეს გამოვლინებებზე. მაგრამ მაინც არ გვინდა გვერდი ავუაროთ ლიტერატურული გავლენის იმ ფაქტებს, რომელიც ქართული ენის საკმაოდ უცნაურ ხელყოფაში მდგომარეობს და მნიშვნელოვნად ამახინჯებს ქართული ენის ბუნებას.

ჰემინგუეი კარგი ინგლისურით წერს. მაშ რატომ უნდა წეროს მისმა ლიტერატურულმა შეგირდმა ცუდი ქართულით? აქ მიმბაძველი მასწავლებლის საწინააღმდეგო გზით წასულა, მაგრამ არა შეგნებულად, არამედ იმიტომ, რომ საქმის ვითარებაში ვერ გარკვეულა.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ გაუმართლებელი მიმბაძველობისა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ჰემინგუეის სტილის გავლენა ჩვენს ლიტერატურაში მხოლოდ უარყოფითი მოვლენაა. ჩვენ შეგვეძლო არა ერთი და ორი მაგალითი დაგვესახელებინა ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ.

ჰემინგუეის გავლენა, როგორც უკვე ვთქვით, ქართულ ლიტერატურაში უპირატესად ფორმის სფეროში ვლინდება. თემატიკისა და მსოფლმხედველობის სფეროში ასეთივე ძლიერი უცხო გავლენის მითითება ძნელია. არის, მართალია, ხელოვანისა და ხელოვნების პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოტივის სესხების ცდა, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, იმდენად სუსტ ნაწარმოებებში ვლინდება, რომ ამას მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტად ძნელად თუ ჩავთვლით. გვინდა შევეხოთ მხოლოდ ერთ თავისებურ „სიახლეს“ (თუ ამას სიახლე ვთქმის), რაც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ლიტერატურაში და არანაკლებ თვალსაჩინოდ ვლინდება ფართო საზოგადოებაში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე მსჯელობისას.

„პატარა ადამიანის“ თემა ლიტერატურისა და ხელოვნებისთვის დიდი, ამასთან, უძველესი თემაა. ამ თემის ის ვარიანტი, რომელსაც ჩვენ ე. წ. „ნეორეალიზმის“ სტილის კინემატოგრაფიაში ვხვდავთ, თემის მთელ სიმდიდრეს სრულებითაც ვერ ამოსწურავს, ეს ამ თემის მხოლოდ ერთ-ერთი კერძო ნაირსახეობაა. ამ თემით გატაცება ნიშნავდა ჩახედვას იმ ფართო დემოკრატიული ფენების ცხოვრებაში, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე უფრო ადრინდელ ლიტერატურაში ასახული, ვიწროდ შემოზღუდული კასტის მაგიერ გამოვიდნენ. იტალიურ „ნეორეალიზმში“ მობრუნება რიგითი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისაკენ ერთის მხრივ იყო ომისაგან დაღლილი ხელოვანისა და მათურების ბუნებრივი განწყობილების გამოხატულება ომის დამთავრების პირველ წლებში. მეორე მხრივ, ამ სტილის ხელოვნების წყაროდ იქცა მძაფრი სოციალური თემატიკა, სოციალური მხილების პათოსი. არც კლასიკური კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში, არც თანამედროვე „ნეორეალიზმში“ ადამიანის „სიპატარავე“ თავისთავად არ გამხდარა მწერლის ინტერესის საგანი. ეს

მხოლოდ ფსიქოპათოლოგიური მხრით გატაცებული ლიტერატურისთვის იყო და არის დამახასიათებელი. პატარა ადამიანისადმი ინტერესი, თუ მას სხვა, უფრო ზოგადადამიანური ან მწვავე სოციალური მოტივებიც არ ახლავს, არც რეალიზმს ნიშნავს და არც ცხოვრებაში ჩახედვის სიღრმეს.

სამწუხაროდ, ეს ანბანური ჰემიბარიტება ჩვენს მწერლობაში ზოგჯერ დავიწყებას ეძლევა. ჩვენს ჟურნალებში ხშირად გვხვდება მოთხრობები, რომლებიც არ შეიცავენ არავითარ ამბავს ამ სიტყვის ნამდვილი აზრით და თავიდან ბოლომდე ვინმე მოხუცი ან ახალგაზრდა კაცის პროფესიულ საქმიანობისა და ამ საქმიანობის მსვლელობაში მიმდინარე ფიქრების გადმოცემას წარმოადგენენ (ნ. წულენისკირი — „მეპაპიროსე მოსე“. ს. დემურხანაშვილი — „ფოსტალიონი“ და ზოგი სხვა). ასეთ მოთხრობაში რომ იყოს სოციალური პრობლემატიკის რაიმე ნიშანწყალი, ღრმა ან, თუნდაც, ოდნავ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ანალიზი, ლირიკული ნაკადი თუ ინტერესი საერთოდ ადამიანისადმი, მაშინ ავტორს უსიუყეტობასაც ვაპატიებდით და მისი გმირის ფიქრითაც დაინტერესდებოდით. მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ავტორს თავისი გმირი აინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადც იგი რიგითი, სხვა ადამიანისაგან გამოურჩეველი ადამიანია, თითქოს ავტორს ესახელებოდეს კიდევ, რომ ყურადღება ამ სხვისთვის შეუშინეველ ადამიანს მიაქცია. მწერალი რატომღაც კმაყოფილდება ამ საეჭვო „მიღწევით“ და აღარც დაეძებს, რომ მისი კეთილი, გულუბრყვილო გმირი უფრო წარმოსახვითს, იდილიურ ფიგურას გვაგონებს, ვიდრე ნამდვილ ადამიანს.

ამ მხრივ ბოლო წლებში დაბეჭდილი ბევრი სხვა, უფრო ვრცელი მოთხრობაც სცოდავს. ვფიქრობთ, ამ არასა-

ნოდარ ნათაძე

რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

სურველი ცალმხრივობის მთავარი წყაროც ლიტერატურული გავლენაა. ბევრ მკითხველს და მკითხველს „ნეორეალისტური“ სტილი, რომლის ცალკეულ ნიმუშებს ჩვენ ეკრანებზე ვხედავთ ხოლმე, ძველი და ახალი დროის ხელოვნების უმაღლესი მიღწევა ჰგონია. ასეთი მკითხველი უთუოდ ახდენს გავლენას ბევრ ავტორზეც, რომელიც ფიქრობს, რომ თუ თავის ნაწარმოებში ძველი სახლის ეზო და სანაგვე ყუთი აღწერა, ამით ცხოვრების ცოდნასაც დამტკიცებს და ხელოვნების უკანასკნელი სიტყვის დონეზეც დადგება. „ნეორეალისტური“ ხელოვნების შეფასებაზე მსჯელობა აქ ზედმეტია. მაგრამ, რომ ამ ხელოვნებაში განსახიერებული სულისკვეთება და სინამდვილის ხედვა სუსტი ბაზაა მხატვრული პროზისთვის, ეს, ვფიქრობთ, უდავოა. ამის ნიმუშად კმარა თუნდაც ალბერტო მორავიას მოთხრობები — დიდად ნიჭიერი მწერლისა, რომელსაც მახვილი თვალისა აქვს და საუცხოვო ლიტერატურული სტილიც, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო ნოველისტებს თავისი შემოქმედების მნიშვნელობითა და გაქანებით მაინც დიდად ჩამორჩება.

კლასიკურ ქართულ ლიტერატურას რიგითი ადამიანის, თუ გნებავთ, „პატარა ადამიანისა“ და მისი განცდების ხატვის დიდი ტრადიცია აქვს. მაგრამ ხელოვნებამ არ უნდა დაივიწყოს და ვერც დაივიწყებს თავის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას — მოუწოდოს ადამიანს უკეთესისა და უდიადისისაკენ. დიდ თემებთან, დიდ ამბებთან და ხასიათებთან შეუჭიდება არც რეალიზმს გამორიცხავს და არც სიფაქიხეს. და ჩვენ ამის დიდი ტრადიციაც გვაქვს. მოდურმა ლიტერატურულმა გავლენებმა ეს ჭეშმარიტება არ უნდა დაგვავიწყოს.

სიახლის ძიება და ამ ძიებისას მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურის უკანასკნელ მიღწევათა შემოქმედებითად ათვისების სურვილი ჩვენს მწერლობაში ყველასთვის თვალსაჩინო ფაქ-

ტია (ეს ეხება როგორც ახალგაზრდა ავტორებს, ისე უფროსი თაობის მწერლებსაც). განსაკუთრებით საინტერესოა კი ის არის, რომ იმ თხზულებებშიც, სადაც წერის ახალი ტექნიკის დაუფლების ცდებს ვხედავთ, — წაბაძვა, მონური მიყოლა არ შეიმჩნევა. რითაა ეს გამოწვეული, ძნელი სათქმელია: შესაძლოა, აქ მხოლოდ ავტორთა პირადი ნიჭი და უნარი თამაშობდეს გადაწყვეტ როლს. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ჩვენი ყოფისა და გარემოს უსაზღვრო მრავალფეროვნება და უდიდესი სპეციფიურობა.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ყველა იმ ახალგაზრდა ავტორს, რომელთა გვარები მკითხველის თვალში დღეს ჩვენი მწერლობის ტრადიციების გაგრძელებისა და განახლების ამ პროცესთან არის დაკავშირებული. სანიმუშოდ გავიხსენებთ მხოლოდ ერთს.

გურამ რჩეულიშვილის პირველმა მოთხრობებმა ორიგინალობისა და სიახლის, მოწონებისა და მოლოდინის გრძნობა აღძრა. ამ პატარა მოთხრობებმა მკითხველს აგრძნობინეს ჯერ კიდევ მთლიანად ჩამოუყალიბებელი, მაგრამ მძლავრი ნიჭის ძალა, გულწრფელობა და ტემპერამენტი. შემდგომ მოთხრობებში ავტორი თვალნათლივ გაიზარდა ჩვენს თვალწინ — ადრე მხოლოდ მინიშნებული მიდრეკილებები და შესაძლებლობები ვაბედულად, თავისუფლად გამოავლინა. კიდევ უფრო გვიანდელ მოთხრობებში ახალგაზრდა ავტორი უკვე მკაფიო საკუთარი ხმისა და საკუთარი მსოფლმეგობრების მქონე მწერლად წარმოგვიდგა. მისი მოთხრობების ზოგი ინდივიდუალური თვისება, რაც პირველსავე ნაწარმოებებში თვალში გვეცა (მაშინ ჯერ კიდევ ეჭვი გვეპარებოდა, შემთხვევითი იყო ეს თუ კანონზომიერი), გაძლიერდა, გაფართოვდა, მისი შემოქმედების მკვეთრ თავისებურებად ჩამოყალიბდა. თავისი საკუთარი, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნების მანერით მან შექმნა ნაწარმოებები, რომლებმაც

მკითხველის აზრსა და გრძნობაზე ზემოქმედება მოახდინა.

გურამ რჩეულიშვილი არ იყო მიმბაძველი. მას არა აქვს მოთხრობა, სადაც უსიამოვნოდ ყურში მოგხვდებათ ლიტერატურიდან ნაცნობი, მაგრამ ამ შემთხვევაში უადგილო ჰანგი, თვალში გეცემათ ნაცნობი სახე, მოგაგონდებათ ნაცნობი ლიტერატურული თემა.

მკითხველი მის ნაწარმოებში ვერსად ვერ ამჩნევს ლიტერატურულ რემინისცენციებს. მიუხედავად ამისა, გურამ რჩეულიშვილი არ არის თავის უშუალო ლიტერატურულ გარემოში ჩაეტილი მწერალი, ისეთი, რომელსაც არ აინტერესებს, ან ვერ ამჩნევს, რა ხდება დიდი საბჭოთა ლიტერატურისა თუ მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურის ფართო ასპარეზზე.

რაში მდგომარეობს გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების შინაარსისა თუ ფორმის თავისებურება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. ეს იქიდან ჩანს, რომ ცალკეული ფაქტის აღწერისას, იგი სწორედ იმ მხარეებს ამჩნევს, რაც გრძნობითა და გონებით განვითარებული თანამედროვე ადამიანისთვის ყველაზე ახალი და საინტერესოა; რომ მწერალი ზედმეტად არ ჩერდება აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების იმ მხარეებზე, რაც თანამედროვე ადამიანის აზროვნებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი და რომელთა ახსნა თუ შეფასება ჩვენთვის უკვე განვლილი ეტაპია. გურამ რჩეულიშვილი რომ ფაქტების ემპირიულ მხარეს ივწყობდეს, თავის გარშემო დანახული ცხოვრების მოვლენებს რომ მხოლოდ ლიტერატურიდან მოტანილი პრობლემების გადაწყვეტისათვის იყენებდეს, მაშინ მისი ნაწარმოებების პრობლემატიკა უნიადაგო იქნებოდა, მაშინ მისი მოთხრობა თავისი ჩანაფიქრის მიხედვით არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ, საზოგადოდ, მოთხრობაც არ იქნებოდა. მაგრამ ავტორის ძალა სწორედ ისაა, რომ მისთვის მოთხრობილ ფაქტებსა და იმ პრობლემებს შორის, რომელთა პრიზმითაც

ის ამ ფაქტებს ხედავს, ბზარი არ ატყობს. მისი ფაქტები ჩვენი ცხოვრების თვალსაჩინოდ, მკაფიოდ, ათთქმის ნატურალისტურად აღწერილი ფაქტები: მოსწავლე ახალგაზრდობა, სახიფათო სპორტული თავგადასავალი, ეთნოგრაფიული სიზუსტით აღწერილი ხევსურთა ყოფა. არც ამ ფაქტების აღწერისას, არც მათს, ასე ვთქვათ, ხედვაში მკითხველი წუთითაც ვერ გრძნობს, რომ ავტორი იმას არ აქცევდეს ყურადღებას, რაც მთავარია, რაც ამ მკითხველის თვალსაზრისით არსებითია. ამავე დროს ჩვენ ყოველ წაშში ვგრძნობთ, რომ გველაპარაკება კაცი, რომლისთვისაც დღევანდელი მსოფლიოს სულიერი ცხოვრების ძირითადი მოტივები არა მარტო ნაცნობია, არამედ ორგანულიც.

მსჯელობა რომ ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს, მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს.

მოთხრობა „სიკვდილი მთებში“ რეალისტური ნაწარმოებია, სადაც მწერლის მიერ ნახი კონკრეტული ფაქტია აღწერილი. მისი მოქმედი პირები კონკრეტული, სახელითა და გვარით მოხსენიებული ადამიანები არიან, მისი პეიზაჟი ხევსურეთის ერთ-ერთი ხეობის ნამდვილი და მკაფიოდ გამოხატული პეიზაჟია, მისი ფონი — მართლად და ზუსტად დახატული ხევსურთა ცხოვრება და ჩვეულებები. ჩვენ მოთხრობაში თვალნათლივ ვხედავთ, როგორ მოძრაობს ხევსურეთის მთებში მიკარგული ტურისტული ჯგუფი, როგორ მიტის ცხენი ბილიკზე, როგორ გადადის ხეობაზე ღრუბლის ჩრდილი, როგორ მოძრაობენ და ლაპარაკობენ უბედური ამბის შემსწრე ხევსურები. ამ მხრივ ავტორს ვერავინ უსაყვადურებს ვერც თვალსაჩინოების ნაკლებობას, ვერც ყოფითი დეტალებისა თუ დიალექტის უგულვებლყოფას. შესაძლოა ეს დეტალები და კოლორიტი მოთხრობის შესაქმნელადაც კი იყოს

ნოდარ ნათაძე
რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

საკმარისი, მაგრამ გურამ რჩეულიშვილი ამით არ კმაყოფილდება. მისი ყურადღების ცენტრში მაინც სხვა არის — სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემა, სიკვდილის განცდა თუ აღქმა ადამიანის მიერ, ადამიანის გრძნობა და ქცევა ამ მარადიული საიდუმლოს პირობებში. ეს თემა ჩრდილავს ნაწარმოების ყველა სხვა თემას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა თემაც სრულად, ე. ი. ყველა იმ დეტალისა და ნიუანსის სრული გამოყენებითაა მოცემული, რაც მკითხველისათვის საინტერესოა.

მაგრამ ნაწარმოების თემატიკა არც გადამწყვეტია და არც ერთადერთი. მთავარია ის, თუ როგორაა გადაწყვეტილი თემა, თუ ფაქტთან დაკავშირებული რომელი დეტალი მიუჩნევია ავტორის არსებითად. ავტორს ფაქტის აღწერისას ძირითადად ის აინტერესებს, თუ როგორ რეაგირებს სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა აღზრდის კაცი მახლობლის სიკვდილზე? როგორ რეაგირებს კაცი მის თვალწინ მომხდარ სხვის უბედურებაზე? სად თავდება თანაგრძნობა? სადაა განსჯისა და უშუალო გრძნობის მიჯნა სიკვდილის პირობებში? ფსიქოლოგიური სიზუსტით, სიმკაცრით, უღმობელი თვითნაღიზითა და განზოგადებულ ფილოსოფიურ რეფლექსიასთან შეერთებული ნატურალიზმით ავტორი თავისი ყურადღების ცენტრში აქცევს აღწერილი ამბის სწორედ ამ მხარეს, მისი მოთხრობა ფაქტების, სახეებისა და ნახევარტონების ენით სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება.

გურამ რჩეულიშვილს აქვს კიდევ უფრო ვიწრო-კონკრეტული, პიროვნული, სუბიექტური ხასიათის მოთხრობებიც. უფრო მეტიც — მისი საუკეთესო მოთხრობების დიდი ნაწილი ასეთია. ეს ნაწარმოებები გადმოგვცემს ავტორის თავგადასავალს, მოთხრობილს პირველ პირში, მის ღრმა პიროვნულ და ინდივიდუალურ, უაღრესად არატიპურ განცდებს — ავტორისავე სახელით გამოყვანილს, მისი ასაკისა და მისი მდგომარეობის გმირის განცდებსა და

ვნებებს. მოთხრობებში „ასკობა“, „ალავერდობა“, „მე ოცი წლისა ვარ“ და სხვ. გადმოცემულია ავტორისათვის გმირის თავგადასავალი და დრამატული სულიერი განცდა, ღრმა ბუნების ჭაბუკის თავგანწირული ბრძოლა სიკვდილის შიშთან, ადამიანისთვის გამოუცნობ მარადიულ საიდუმლოებათა სიღიადესთან. თხრობაში ღრმადაა შეჭრილი უაღრესად პიროვნული ნაკადი, პიროვნული წინათგრძნობები, ჭაბუკის მძაფრად დახატული და ზუსტად გაანალიზებული ვნებათაღელვა — ჭაბუკისა, რომლის სულიერი სამყარო მდიდარი და დაძაბულია. ავტორის სულიერი სამყაროს ასე გადაშლა მკითხველისთვის არ არის არც უცხო, არც მოსაწყენი. ეს იმიტომ, რომ ამ მოთხრობების მიღმა ჩვენ ვგრძნობთ პიროვნებას — ცოცხალ, გულწრფელ და მდიდარი შინაარსის მქონე პიროვნებას, რომელთანაც საუბარი არასოდეს არ გვეწყინდება. მისთვის არაა უცხო არაფერი, რაც დღევანდელმა ადამიანმა თავისი და სხვების გამოცდილებიდან თუ წიგნებიდან იცის. ამასთან ის ჩვენს გარემოში, ჩვენს ქალაქში და ჩვენს ქუჩაზე მცხოვრები ადამიანია. რომელიც ზედმიწევნით იცის, როდის რა ტრანსპორტი გაივლის ჩვენს ქუჩებში, როდის რა ფერი აქვს საქართველოს ბუნებას, როგორ გამოიყურება სოფელი ზაფხულში და ქალაქი ზამთარში. ამის წყალობითაა, რომ მოთხრობების გმირიცა და ატორიც ჩვენთვის ცოცხალი და რეალურია. თავის ყველაზე ღრმად პიროვნულ მოთხრობებშიც კი გურამ რჩეულიშვილი თვალსაჩინოებას, მკითხველთან სიახლოვეს და ამასთან შეერთებულ განზოგადების უნარს ინარჩუნებს.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში კონფლიქტები არასოდეს ერთფეროვანი არ არის, მაგრამ მისი მოთხრობების უმრავლესობას მაინც აქვს საერთო ნიშანი, რაც ავტორის აზროვნებასაც და გრძნობასაც მკვეთრად ახასიათებს.

მეტად საინტერესოა ხასიათის შექმ-

ნის საკითხი გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებში.

მის პირველ მოთხრობებში მკითხველს თვალში ეცემოდა მოქმედების განვითარების სწრაფი, თითქმის თავბრულდამხვევი ტემპი, თავგადასავლის აჩქარებული და რიტმული თხრობა, რაც ავტორს თითქოს საშუალებას არ აძლევდა თავის მოქმედ პირთა რაიმე ინდივიდუალური, განმასხვავებელი თვისებების დასახატად მოეცალა. ამ მოთხრობებიდან შეიძლება დარჩენილიყო შთაბეჭდილება, რომ ავტორი არ ხატავს ან ვერ ხატავს ხასიათს, რომ მას მხოლოდ რაიმე ერთი, კონკრეტული განცდის გადმოცემა ეხერხება და არა ურთიერთგანსხვავებული განცდებისა და ადამიანების ხატვა, რაც ეპიკურ ლიტერატურაში მწერლის მსოფლმხედველობის გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

სამწუხაროდ, ეს ილუზია ავტორის სიცოცხლეში არ გაფანტულა. მაგრამ სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულმა მოთხრობებმა უკვე სხვაგვარად მოჰფინეს შუქი მისი მოთხრობების თავისებურებას. აქ, ისევე, როგორც გ. რჩეულიშვილის ადრეულ მოთხრობებში, მკითხველმა დაინახა რეალური, თითქოს ცხოვრებიდან აღებული ფიგურების მკაფიო და თვალსაჩინო ჩანახატები — მედოლე, ნოქარი, ლეკურის მოცეკვავე, მთვრალი გლეხი თუ ექიმი. მაგრამ მათ გვერდით მკითხველმა დაინახა ნამდვილი ხასიათებიც — ინდივიდუალური, ყველა სხვა ადამიანთაგან განსხვავებული ადამიანები საკუთარი, ურთიერთგანსხვავებული სულიერი სამყაროთი, რომლებიც ავტორისთვის საინტერესონი არიან არა მხოლოდ როგორც კონფლიქტის თუ თავგადასავლის გამირები, არამედ თავისთავადაც, როგორც განსხვავებული და უაღრესად თავისებური ადამიანები.

„ბათარეკა ჭინჭარაული“ — ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნოველა — ამგვარი დახასიათების კარგი მაგალითია. ამ პატარა მოთხრობის გამირი მზია მკაფიო, მომ-

ხილავი და მდიდარი შინაგანი სამყაროს მქონე ქალის სახეა. იგი გარკვეულ ეთნოგრაფიულ გარემოში — ცხენორობს და მკვეთრი და ორიგინალური დრამატული კონფლიქტის მოქმედი პირიც არის. მაგრამ პირველ რიგში იგი მაინც ხასიათია — ცოცხალი და განუყოფელი ადამიანის სახე, რომელიც ხევსურეთის მცოდნე მკითხველისათვის და მისი არმცოდნისთვისაც, კონფლიქტის გარეშეც კი საინტერესო და ამაღლევბელი იქნებოდა.

ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ გმირის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება, რასაც გურამ რჩეულიშვილი იშვიათად იყენებდა, ნაკლებმნიშვნელოვანი იყოს, ან ხასიათთა შექმნის ის ხერხი, რომელიც მან გამოიყენა, თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის ერთადერთი გზა, ან, თუნდაც, ძირითადი გზა არის. რასაკვირველია, არა! ჩვენს ლიტერატურას ფართო თემატიკა და დიდი ამოცანები აქვს, რომელსაც ხასიათების ხატვის რაიმე ერთი ხერხი, რასაკვირველია, ვერ ამოსწურავს. მაგრამ გურამ რჩეულიშვილმა განსხვავებული, რთული და საინტერესო ხასიათების შექმნისას გარკვეულ და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.


ჩვენი ლიტერატურის წინაშე დღეს ასეთი წარმატების არა ერთი და ორი გზა გადაშლილი. იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც ჩვენი დღევანდელი დღე ჩვენს მწერლობას უყენებს, სწორედ მხატვრული ძიების გზათა ამ მრავალფეროვნებას გულისხმობს. ყოველმა ავტორმა, თუ მას სურს ჩვენი დღევანდელი მოთხოვნილებათა სიმალლეზე იდგეს, ლიტერატურაში მოსვლისთანავე უნდა მონახოს ის გზა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მის „სათქმელს“, მის თემას, მის ინდივიდუალურ ლიტერატურულ მიდრეკილებებს. გულწრფელობა, ცხოვ-

ნოდარ ნათაძე
რამდენიმე შენიშვნა მხატვრულ პროზაზე

რების ცოდნა, მაღალი იდეურობა ყვე-
ლასათვის საერთო პირობაა, მაგრამ ამ
საერთო პირობის რეალიზაციისას ავ-
ტორი არ უნდა უფრთხოდეს თამამ
მხატვრულ ძიებას, არ უნდა ეშინოდეს
გაბედული ექსპერიმენტის, არ უნდა
მოადუნოს არც ერთი წამით სიახლის
გრძნობა.

მაინც არის ზოგი უფრო კონკრეტუ-
ლი მოთხოვნაც, რომელიც ყველა ან
თითქმის ყველა თანამედროვე ეპოქის
მწერლის „დიდ შარაგზას“ გვიხასია-
თებს და არა მის ცალკეულ ბილიკებს.
უპირველესი ასეთი მოთხოვნა არის
ჩვენი თანამედროვეთა ხასიათების შექ-
მნა ამ სიტყვის საუკეთესო აზრით —
ისეთი ცოცხალი, დამაჯერებელი სახე-
თა შექმნა, რომლებშიც ორგანულად
შერწყმულია სოციალური კონკრეტუ-
ლობა და ფართო განზოგადება. რო-
მელთაგან თვითოეული თავის საკუთა-

რი ცხოვრებით ცოცხლობს. ქართულ
ლიტერატურას ნამდვილად ^{ცოცხალი} ~~ცოცხალი~~
და ამავე დროს ფართოდ ^{განზოგადე-}
ბული ხასიათების შექმნის დიდი ტრა-
დიცია აქვს, მოყოლებული კრიტიკული
რეალიზმის ჩასახვიდან ჩვენში და დამ-
თავრებული ჩვენს საბჭოთა საზოგადო-
ებაში მომხდარი დიდი სოციალური
ძვრების ასახვით. ჩვენი თანამედრო-
ვის — ამ უკანასკნელ წლებში მომწი-
ფებული და საზოგადოების წევრად
ჩამოყალიბებული ადამიანის — საზო-
გადოებრივი და სულიერი ცხოვრებაც
იმდენად მდიდარია, რომ დიდი განზო-
გადების, ნამდვილად დიდი ნაწარმოე-
ბების შექმნის საფუძველს იძლევა. ამ
ადამიანის სწორად, სრულად და საინ-
ტერესოდ დახატული სახის შექმნა
ცხოვრების ცოდნასთან ერთად ახალ,
მახვილ მხატვრულ იარაღსაც მოი-
თხოვს.



ბოჩის ნანიგაშვიდი

ვაჟას საყვარელი სახეები

1. ნი ს ლ ი

არწივთა, მალის მთისათა
ნეტავ რად უნდა მქებარი!..

ღიახ, თავისთავად დიდებულია, განუმეორებელია ვაჟას ვაჟკაცური, არწივისებური პოეზია. ვაჟა მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ისეთი მწვერვალია, რომელიც შესანიშნავად მოჩანს მსოფლიოს ყოველი კუთხიდან. მთის პატარა ხეობაში დაბადებული ზოგადადამიანური, ზოგადსაკაცობრიო იდეალები — ვაჟაკობის, გმირული შემართების, მტრის მტრულად დახვედრის, მეგობრისათვის თავდადების, წმინდა სიყვარულის იდეალები სამყაროს მხატვრულ განვითარებაში გადადგმული ბრწყინვალე ნაბიჯია.

და მაინც გვგონია — ვაჟას პოეზიის მომხიბვლელი, დამატყვევებელი ძალა,

მისი ჭეშმარიტი სიდიადე და სიდიდეთითქოს უფრო საგრძნობი, უფრო თვალნათელი, უფრო ხელშესახები ხდება, როცა სუნთქავ არაგვის ჰაერით, როცა შესცქერი ცამდე ამართულ ფშავის მწვანე მთებს, სალ კლდეებს, მოჩხრიალე ნაკადულებს, ანკარა წყაროებს, ლაყვარდში ლაღად მონავარდე არწივს.

კაცს გიჭირს თქმა — ეს მთები, ეს მდინარეები, ეს ირმები და ჯიხვები, ეს ბულბულები და მტრედები, ეს არწივები და შევარდნები მატებენ ძალასა და მნიშვნელობას ვაჟას პოეზიას, თუ, პირიქით, ვაჟას პოეზია ამაღლებს და ადიდებს მათ. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ვაჟას პოეზია და

ჩვენი მთა ერთი, განუყრელი მთლიანობაა და უერთმანეთოდ ისინი ბევრს, ძალიან ბევრს კარგავენ.

მართლაც თუ არაგვის ხეობაში არ ყოფილხარ, თუ აქ საღამოქამს არ გინახავს მთის წვერზე შემომჯდარი, თითქოს ქვეყნის მშვენიებით სახეგაზადრული მზე, ძნელია იგრძნო კალმის ერთი გენიალური მოსმით, როგორც ეს მხოლოდ ვაჟას შეეძლო, დახატული სურათის მთელი დიდებულება:

საძილედ გამზადებული
მზე ეშხს მთის წვერზე დაება.

მთაში უცარი გამოდარება თუ არ გინახავს, როგორ შეიგრძნობ ამ სახის მთელ მშვენიერებას:

ცამ ვადიხანა ბირიღამ
მური ნაცხები ღრუბლისა.

წვიმის დროს ან ნაწვიმარზე მთის ხეების ბორგვა და ხმაური თუ არ გსმენია, როგორ დატკბები ამ შედარების სიდიადით:

ახველდებიან ხეები,
ვით ავადმყოფნი ქლექითა.

არაგვის ხეობაში მყოფს ვაჟა თითქოს მოუშორებლად თან ვახლავს, გიჩვენებს, გიხსნის ბუნების ყოველი საგნის, ყოველი მოვლენის აზრს, არსს, მშვენიერებას. გზაზე ჩხიკვი გადაგიფრენს და ვის არ მოაგონდება „ჩხიკვთა ქორწილი“? ტყეში დაფეთებულ შველს წააწყდები და განა შეიძლება „შველის ნუკრის ნაამბობი“ არ გავახსენდეს? გაუვლი ბებერ ხეს და მეხსიერებაში „ხმელი წიფელი“ ცოცხლდება, ყველა ცოცხალ წიფელზე უფრო ცოცხალი „ხმელი წიფელი“! კლდეებს, არაგვს უტყერი და თვალწინ დაგი-

დგება „კლდის და მდინარის“ დეკორული შემართება. აქაური სრულყოფის დანახვაზე არ შეიძლება არ მოგავიწყდეს:

გალმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუღესავითა...

ნისლით დაბურთულ მთებს შესცქერი და წარმოუდგენელია ენაზე თავისთავად არ მოგადგეს:

ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი.

ნისლი და ფიქრი!

ფიქრი და მთა!

გიგანტები, გიგანტური ფიქრები!

ამ გენიალურმა მხატვრულმა აღმოჩენამ ბიძგი მომცა მომეძებნა ვაჟას შემოქმედებაში — კიდევ სად, როგორ იყენებს პოეტი ნისლის სახეს? ბრწყინვალე სურათი გადამეშალა თვალწინ. თითქოს ყველაფერი ამოვწერე, რაც ვაჟას შემოქმედებაში ბუნების ამ ერთ მოვლენასთან — ნისლთან არის დაკავშირებული. მე ვაწვდი ამ ამონაწერებს პეკთხველს.

მოთხრობაში „კლდე მტირალი“ ვაჟა ეკამათება იმათ, ვინც გულმაგარ ადამიანებზე ამბობს — „კლდეა, მაგარი, მაგან ტირილი რა იცის, რა ჯავრი მოერევავო“. ნამდვილად კი კლდე ღამღამობით ტირის, რომ არავინ ნახოს და არ დაჰგმოს. „ცის ტირილზე მეტია ომის ტირილი. კიდევაც იმდენ ცრემლს არა ჰღვრის, რამდენიც შეუძლიან, შიშობს, ბარი არ წალეკოსო“. „კლდის ტირილს თავდაკიდებით ყურს უგდებენ მთანი და შავს ნისლს შავის ფიქრებისას მუხარადად იხურავენ“.¹

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961, ტ. III, „კლდე მტირალი“, გვ. 113.

შავი ფიქრების შავი ნისლი, მთების მუზარადი!

ჰიმნი მთებისა — მოთხრობა „მთანი მალაღნი“. პოეტი მთებს მიმართავს: „არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულმკერდს გიმშვენებს? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩემ-ჩემად რასმე არ ფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცოვთა წყაროთა? რად აქანებთ ზგავებს? რადა ზრდით ლაღთა ხარჯიხვთა?! ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!“¹.

მთები ნისლს იბურავენ, ადამიანს თავიანთი ფიქრი რომ დაუმალონ.

„კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“ — ეს მოთხრობაა სიყვარულზე, ჰუმანიზმზე. „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი... შინა და გარეთ ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩინებდეს შვილს აკვანში“. ეს მხოლოდ ერთხელ თქვა კლდემ და დადუმდა. „დაბლა ხეცებიდან მოაწვა შავი კუპრივით ნისლები და კლდე სრულიად დაფარა“. პოეტს კიდევ უნდა ესაუბროს კლდეს, მაგრამ ის არ იღებს ხმას და აღარ ეჩვენება, „გადაიცვამ ტანზე ჯავშნად შავ ჯანღს“².

სალი კლდე ჩივის — მისი შვილები, მის გულ-მკერდს ანაგლეჯ-ანასხები ლოდები, უფსკრულში ჩალაგებულნი, დედასავით ჯიუტნი, ერთხელაც არ ახედავენ ზემოთ დედას, რომ „თვალე-ბი თვალეებით ამოწოვოს“, ერთხელაც არ გააგონებენ ალერსიან სიტყვას — დედა, დედიკოვო, და ღრმა წუხილით ამბობს: „ვისგანღა უნდა მოველოდე დედობის თქმას? ღმერთმანი, ნისლი

მიმართავს ამ სიტყვით. არასოდეს ეს მოვა ფშვინევით, დამეხურება ჰუმანიზმ-მომერტყმის გარშემო, თან ფშვინევს; დუდუნებს რაღაცას, ვგონებ უნდა ლოცულობდეს: „კლდო, შე საწყალო, რას ოხრავ, რას შფოთავ: პატარახან თვალი მოატყუეო“.¹

ვაჟა ნისლს ხშირად დარდის, მწუხარების, ნაღვლის სინონიმად იყენებს.

მწყემს ქალს, ლამაზს, ხუჭუტომიანს, ტყეში დაძინებია და პოეტი ზეცას ევედრება „მა გოგოს კალთა აფარე, არიდე ყველა მას ავი,“ რადგან,

თუ მის თვალეში გაქრება
და სხივს არ მომაყრიანო,
გულის წყლულს არ მომიჩინენ,
ნისლებს არ გადმიყრიანო,
რაც ქვეყანაზე მიწა,
სულამც მე მომაყრიანო.²

პოეტი გაზაფხულს — იას, მერცხალს, გუგულს, წეროებს, ოფოფს მოელის და თავის გულს შესძახებს:

გულო, რას დაპლონებულხარ,
რას იბურები ნისლითა?
განა სულ ესრე ვიქნებით
დაკრუნხვილები ყინვითა!³

ვაქაცს, რაც უნდა უჭირდეს, რა მძიმე მდგომარეობაშიც უნდა იყოს, გულგატეხილობა არ შეშვენის, სინათლე და იმედის სხივი არ უნდა ჩაიქ-

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, „კლდე სალი“, გვ. 50.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. I, „მწყემსი ქალი“, გვ. 43.

³ ვაჟა-ფშაველა, ტ. I, „გულო, რას დაპლონებულხარ“, გვ. 58.

ქვემოთ ყველგან ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მხოლოდ ტომები, ნაწარმოებები და გვერდები იქნება მითითებული.

¹ ვაჟა-ფშაველა, ტ. III, „მთანი მალაღნი“, გვ. 260.

² ვაჟა-ფშაველა, ტ. III, „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“, გვ. 308—309.

როს, სულის სიმდაბლე არ უნდა გამო-
იჩინოს, — აი რას უმღერის პოეტი
ლექსში „გულო არ გასტყდე!“, რომე-
ლიც ასე თავდება:

გულო, გაკლევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძლით,
ღღეს მტერი გავგებებს ველარა.¹

სახიკაულს ჯავრი ჰკლავს, რადგან
„ცხენი მოუკვდა ლურჯაი“. ის ფიქრს
წაუღია — „რით-ღა წავიდეს ლაშქარ-
სა, ლეკებს რით გაჰყვეს კვალზედა,
ვინ-ღა შააშრობს ტყვეებაა ცრემლს,
ჩამომდინარს თვალზედა?“ და ვაჟ-
კაცი:

შაბურება ნაღლითა,
როგორც მყინვარი ნისლითა.²

მუცალთან ორთაბრძოლაში გამარ-
ჯვებული ალუდა ქეთელაური, მოწი-
ნაღმდეგის ვაჟკაცობით მოხიბლული,
ქალივით ატირდა, მკვდარს იარაღი არ
აპყარა და წესისამებრ არც მარჯვენა
მოაჭრა — „იტყუოდა—ცოდვა არიო“.
დარდი არც შემდეგ მოშორებია ალუ-
დას:

ყმა მოდიოდა გორი-გორ,
არ ეწონება თავია;
პირს დასწოლია ნისლები,
გულთ ნაღენი, შავია.³

ლომგულ ძმებს — სულას და კურ-
დღელას „სოფლისთვის შრომა, სოფ-
ლისთვის ბრძოლა“ სიყრმიდანვე თან
დაჰყოლიათ. „ხალხის შველისათვის
გულდამშეულნი“, ისანი მთებიდან არ-
წივებივით სოფელს თვალს ადევნებ-
დნენ, იქ ჩნდებოდნენ, სადაც საჭირო
იყო და, როგორც მეხი ცხვრის ფარას,
„ურჯულთ ჯარს“ რიყედ ჰყრიდნენ.
შემდეგ ძმები შინ, ციხეში ბრუნდებ-
ოდნენ. დედა მათ ბრძოლის ამბებს
გამოკითხავდა, მაგრამ:

სულა, კურდღელა, შავად ჩაცმულნი
ძვირად აძლევენ დედას პასუხსა:
სხედან ვით მთანი, ნისლით ბურვილნი
არ აჯერებენ წვრილს ბრძოლას გულსა.¹

გმირებს „წვრილი ბრძოლები“ აღარ
აკმაყოფილებთ, გული დიდი ბრძოლე-
ბისაკენ მიუწევთ. ამიტომ ჩუმად სხე-
დან „ვით მთანი, ნისლით ბურვილნი“.
ჭაღარა მეცხვარე, რომელსაც „მუხ-
ლებში წყალმანკი“ ჩაპარვია და ცხვრის
პატრონობა აღარ შეუძლია, თავის
დარდს ასე გამოხატავს:

მე ერთი ღერი კაცი ვარ,
უშვილო, ცოლის ამარა;
ჩემი ყოფნა და სიცოცხლე
შავმა ნისლებმა დაძვარა.
ცხვარი მყავს, მაგრამ მწყემსობა
მე შემძლიან აღარა.²

ფშაველი კვირია, ოც წელიწადს
„უცხო მხარეში“ — თუშეთში მწყემსად
ნამყოფი, მთაში ბარის უბედურების
საცნობებლად და მტრისაგან მისი გა-
თავისუფლებისათვის ლაშქრის მისაშ-
ველებლად გამოგზავნილი, თავის ამბავს
ასე მოუთხრობს სანათას:

ოც წელს მიწა მაქვ ლოგინად,
ცა მახურია საზნადა;
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაზნადა.³

მთიელი ხალხი ტრადიციულად ძველი
ციხე-კოშკების ნანგრევებში, დახავსე-
ბულ ლოდთა შორის შეკრებილა სალო-
ცავად, სადღესასწაულოდ. ეს არ მოს-
წონთ თევდორე მღვდელს, ბოქაულს.
ისინი ხალხს ძველებურად ლოცვა-დღე-
სასწაულის ნებას არ აძლევენ. რკინის-
კენტიიანთ სალომე ბოქაულს წინ აღუ-
დგება. ბოქაულის განკარგულებით
დარაჯები სალომეს დაიპყრენ და მათ-
რახით სცემენ, მაგრამ მაინც ვერ აჩუ-
მებენ. მამაკაცები მხოლოდ ემუდარე-
ბიან დარაჯებს — შეიბრაღეთ ქალიო,

¹ ტ. I, „გულო, არ გასტყდე!“ გვ. 221.

² იქვე, „იმედა სახიკაული“, გვ. 80.

³ ტ. II, „ალუდა ქეთელაური“, გვ. 33.

¹ ტ. II, „სულა და კურდღელა“, გვ. 28.

² ტ. II, „უიღბლო იღბლიანი“, გვ. 191.

³ ტ. II, „ბახტრიონი“, გვ. 74.

მიშველებას კი ვერ ბედავენ. ვაჟა მოგვითხრობს: „ზურნა, გარმონი, შარბანკა, სტირი მიჩუმდნენ, ვოდველი დრამად შეიცვალა. გაფუჭდა ლხინი, წახდა ვედრება ღვთისა, მოიწამლა დღესასწაული: ფიქრი თავის უძლურებისა, თავისთავის ლანძღვისა, სვინდისის ქენჯნისა ნისლის მსგავსად შეიპარა ყველა მლოცველის გულში, დაფარა და მოიცვა მთელი არსება ადამიანისა“¹.

ხალხი უფრო ძლიერ დაღონდა მეორე დღეს, როცა მღვდლის ჩაგონებით და ბოქაულის განკარგულებით ხევისბერს წმინდად მიჩნეული, თამარისეული დროშა წაართვეს. ხევისბერი, რომელიც მზად იყო, რომ „იმის გულიდან, როგორც ცეცხლის მფრქვეველ მთიდან, ამოეხეთქა ქვითინს“, სასწაულებრივ თავს იჭერდა, გულს იმაგრებდა, ხალხსაც ამხნევებდა და სალოცავად წინ მიუძღოდა. ვაჟა ამ სურათს ასე ამოთარებს: „ხატის სალოცავად დამშეული და გასწრაფებული ხალხი ამასობაში მთის კალთებზე მოტანტალე ნისლებმა დაფარეს, შეახვიეს ისინი ძაძაში, როგორც ძვირფას სამოსელში. ბუნებამ თითქოს ამით ანუგეშა გულდაწყლული ერი და დაუამა მწვავე იარა“².

ფშაველეების დღესასწაული აფხუშობაა. ცეკვა-თამაშთან და ჭამა-სმასთან ერთად ნიშანში თოფის სროლაში შეჯიბრებაც იმართება. ძველ მონადირეს, ბეროს, ძალიან სწყინს, რომ რაღაც ახალი თოფები შემოიღეს. მას თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ძველ და საყვარელ ქართულ თოფს თავი გაანებოს. „ის მეთოფოსნების უკან ერთს ყვითელს ხავსით მორთულს ლოდზე იჯდა და უზარმაზარს, უშნოდ კაკლის ნუჟრიდამ გათლილს ჩიბუხს შეეჭეოდა: უმისოდაც ნისლიანი მისი სახე უფრო განისლიანებულიყო თამბაქოს ბოლისაგან“³.

წყაროსთან ზის თუში, მთის ყარა-

ული, კახეთის დამცველი, და დარღვეული შეუპყრია, რადგან ბიჭები არ მოვიდნენ. მარტოდმარტოა, გზა კი ვაშლის მტრის ლაშქარი ყოველ წუთს შეიძლება გამოჩნდეს:

წყაროსთან იჯდა ვაჟაკი, საყრონის ქედის პირადა — მთებს მოსდებოდა ნისლები — მწვერვალთ და მთების ძირადა. მთა უჩაჩქნ-უმუზარადო სანახავია ძვირად! თვითონ ვაჟაკიც ნისლს ჰგავდა, — მისი იერი სდებოდა; წელთ ხმალი, თოფი კალთაში, გვერდით დამბაჩა ჰხლებოდა⁴.

დარღობა შეპყრობილი თუში მეომრის ვარაუდი კიდევ გამართლდა. მალე:

ცას სისხლის სვეტი ავიდა — მზე ძაძას იცვამს ტანზედა. ურიცხვი ლეკის ლაშქარი ნისლივით დაწვა მთაზედა².

ბრძოლების შემდეგ, როცა მეომრები საფინხოდ-სასაუბროდ სხდებოდნენ და ერთი-მეორეს მოუთხრობდნენ — ვის რა გადახდა, ვინ რამდენი მოკლა, ივანე კოტორაშვილს, — ომში ქარცეცხლს, მესხს, — ხმას ვერ ამოაღებინებდნენ. მზიარულსა და მცინარეს მას ვერ ნახავდით:

შავგერემანი ნისლს ჰგვანდის, გაბუტვილს. ხეში მძინარეს, ან კლდისგან შევიწროებულს აღლევებულსა მდინარეს³.

უდარდელად ცაში მონავარდე ფრინველზე პოეტი ამბობს:

მიცურავს ლაქვარდს ცაშია, ნისლი არ ებუტრებოდა⁴.

¹ ტ. II, გვ. 303-304.

² ტ. II, გვ. 305.

³ ტ. II, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, გვ. 128.

⁴ ტ. II, „მთათა ერთობა“, გვ. 261.

¹ ტ. IV. „დროშა“, გვ. 78.

² იქვე, გვ. 90.

³ ტ. V. „აფხუშობა“, გვ. 34.

მგოსნის საახალწლო სურვილია — ახლებმა თავით, გულით, ხელით ისეთი საქმე აკეთონ, რომ „შვილთ გვიკურთხონ საფლავი, არ მოგვიგონონ წყევლითა“, რომ „ოფლმა დაღვრილმა მიწაზე ამოაცენოს იანი“, რომ

ვაღაიაროს ნისლეგმა,
დღე გამოვიდეს მზიანი
და აღაღანდეს მინდორი
ოფლით მორწყული, ცვრიანი¹.

ბავშვს დედა ყველაფერს ურჩევნია. პოეტი იგონებს — „ოლომც მშობელი თვალთ მენახა, მადლარი ვიყავ, როცა მშობილაო“. დედას თვალს მოვკრავ — „მზე ამოვიდის“, დედა სადმე წავა — „მზე ჩაესვენის“ და

შავი ნალველი, გულის მჩაგვრელი,
ნისლად და ლოდად გულს დამესვენის².

მგოსანი „ამაყი გულით, ამაყი სულით“, ბავშვად დაბადებული ბავშვადვე ბერდება და ბევრი რამ ამქვეყნიურ იმას არ ეხერხება. მონური გრძნობა თუ შეეპარა მგოსანს, „მყის დაუდგება გულისა ძგერა“.

გულსა, რომელსაც ცად ტრფიალებმა
გარს ნისლადა აქვს შემოხვეული³.

საზრდოც და ისარიც!

პუბლიცისტურ წერილში „ფიქრები“

ვჯა აცხადებს — ქვეყანაზე ცრემლი რომ არ იყოს, ბეჩავი და შესაბრალებელი რომ არავინ იყოს, ჩემი ნახევარი ბუნება მკვდარი იქნებოდაო. უფრო მეტიც — პოეტი გადაპრით ამბობს: „მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და არც სასიცოცხლო ვიქნებოდიო“. ამავე წერილში ვჯა ურთავს ლექსს, რომელიც ასე იწყება:

ბევრი რამა მაქვს სათქმელი
და დიდი გულის ჰირვება;
სათქმელი დარდი მდღურად
გულს ნისლად დამეფინება¹.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ეს დარდი, ეს გულისჰირვება სულის გაფურჩქვნის წყაროა და ამავე დროს ისარიც გულისა.

პოეტი ხელში ჩონგურს იღებს, სურს ლალი სიმღერა თქვას, მაგრამ თითები არ ემორჩილება, გული არა აქვს საღადა, რადგან ფრთებს უკვეცავს „ამბავი ყოველდღიური“. მას სწადა „მომკმეთ გონების სიმალე, იმით გრძნობათა და ფიქრთ დიდობა“, ვერაფერს კი ვერ გახდა, ცუდი ამბავი ესმის ძმებისა. მშრომელებს გული „ბედის მდურვით და ნალველ-შხამით“ აქვთ სავსე. მგოსანი ამბობს:

გელით — არ მოხველ მთვარეო,
ცრემლი წინ გვიდგა გუბიდა,
შავი მოერტყა ნისლეგები,
ჩვენს უბედურ ბედს ზღუდავდა².

ვაქასთვის ყველა დრო ერთნაირი
როდია:

ზოგი დრო მოვა, ნისლითა
სულ-გული შამებურება,
არსად ეღვაა, არც მეხი,
ჩაბნედილ ჩაიხურება³.

სულ სხვაა, როცა წვიმა წამოვა, ღრუბელი დაიწურება და „გულისა მწარე ტკივილი თვალებს დაუწყებს წოვასა, ელამუნება სასამელად შავი ფიქრების გროვასა“. ამით პოეტს დროებით უყუჩდება ტკივილი, მაგრამ მხოლოდ დროებით.

ქედები მგოსანს მკერდში „მეორე გულად“ უსხედან, „ნასულდგმულარი მათითა“ ჯერ ისევ არის ფხიანად:

¹ ტ. I, „სახალწლო“, გვ. 89.

² ტ. I, „ბავშვობაშიც დედა მიყვარდა“, გვ. 198.

³ ტ. I, „ვინ არის!“, გვ. 281.

¹ ტ. V, „ფიქრები“, გვ. 117.

² ტ. I, „ქებათა ქება“, გვ. 164.

³ ტ. I, „ზოგი დრო მოვა“, გვ. 144.

ხან თუ ნისღები მეწვევა,
გულს შამიბურავს შავდა,
მწევ თვის გაჩენის დღესა,
გუნებითა ვარ ავადა,
თქვენ რომ თვალს მოგკრავთ, მაშინვე
მოგრჩები თავისთავადა I.

მგოსნის გულს ბევრი რამ უნდა —
„ხარია გალაღებული“ და მას არ მო-
ეთხოვება „მსჯელობა დალაგებუ-
ლი“ — მას სანატრელად გადაქცევია
ერთი რამ, ვერ გადაუწყვეტია — თქვას
თუ არა, და ეს აქვს

გულს ნისლად დაფარებული².

მაგრამ მერმე მაინც გვიმხელს თავის
გულისნადებს, ნატრობს — ამოწუროს,
დალიოს ბუნების უსაზღვროება: „ნე-
ტავ დაგლევი, ბუნებავე, შენის ცოდ-
ვით და მადლითა, ან შენ დამლევი,
რომ შენთან მეც შემუშავა ადლითა“.

როცა ალავერდს, კახეთს, ჩვენი სამ-
შობლოს ამ მშვენებას გადასცქერის,
ვაქას „სამოთხის კარი“ ეღება,
„გულში ცისკარი ამოუდის“, მოუდენ-
ბა ძველი დროების „გარდასულ გმირ-
თა ხსენება“ და:

რაზმი და რაზმი ფიქრების
გარს შემომერტყა ნისლადა,
აღარ მაცლიან აეწონო,
რაც მომივიდა ფიქრადა³.

პოეტი ფიქრების ზღვარში დაცურავს,
ბედ-იღბლის ვერაგობაზე კბილებს ამა-
ოდ აღრქენს, ეეჭვება — „ავაყენებ კი
ტირილით გარდასულ ქართველის გმი-
რებსა?“ გმირთა შესანდობარს დღეს
მხოლოდ მითებია სვამენ:

ის მთები კავკასიისა, —
მკვიდრი კახეთის ზღუდენი,
კვარცხლბეკი შავი ნისღების,
სად არწივთა აქვთ ბუდენი⁴.

ახალწლის წინა ღამეს პოეტი ჩვეუ-
ლებრივ ზის კერასთან, დიდი ცეცხლი

დაუნთია და ელის მეკვლეს — „გულს
იარის მალამოს“.

გარეთა ცივა, თოვლი სთოვს,
თან მოქპრის ქარი, გრიალებს,
ნამქერის სვეტი და სვეტი
ნისლივით ცაში ტრიალებს;
დატანჯულს გულში მიღვიძებს
იმ მიუხრებულ იარებს¹.

კარმა სახლისამ დაიჭრიალა და
„დარბაზს შემოჩნდა მხევალი“, ტანსამ-
კაულდამშვენებული, თვალმარგალიტ-
ში ჩამჯდარი. „ავამენოსო!“ — წარ-
მოთქვა მან და დაელოდა პასუხს.
მგოსანს უკვირს — ჩემს მეკვლეს კი
ჰგავს სახით,თვალებით, ფერით, მაგრამ
რა მოსვლია ასე ლხენით რომ არისო.
ირკვევა — მეკვლეს აზრი გამოუცვლია,
ოცნებაზე, ქვეყნისათვის ფიქრზე და
სამსახურზე უარი უთქვამს და ამასვე
ურჩევს პოეტსაც: „აბა ქვეყანამ რა
მოგვცა, მასზე ფიქრმა და შრომამა, იმის
წყლულეებზე წუწუნმა, მის ორგულებ-
ზე წყრომამაო“. ვაქას ასეთი მეკვლე
არა სურს, მაცდურს სახლიდან ისტუმ-
რებს, კაცი კაცად რჩება, ის სულ სხვა
ჯურის მეკვლეს მოელის. გარეთ კი:

ქარი ქვითინებს, გრიალებს...
ნამქერის სვეტი და სვეტი
ნისლივით ცაში ტრიალებს,
ესაღბუნება ყველა ეს
გულზე დაჩნულს იარებს².

თავისი თავი პოეტს „საწყალ ამი-
რანს“ აგონებს. მას აწუხებს წარსულ-
ზე ფიქრი, აწუხებს, რომ „აწყოში
არა ყრია-რა და მომავლის ფიქრებიც
არაგინ გაუშვიანა“, გაუნათა:

ნისღებში გახვეულია,
ოღნავა ბეუტავს ვარსკვლავი³.

მგოსანს გული შავმა ყორანმა აგ-
ლიჯა, მას სურს იძიოს მტარვალის

¹ ტ. I, „ჩემი ახალი მეკვლე“, გვ. 181.

² იქვე, გვ. 183.

³ ტ. I, „შემღერება და ვიღერი“, გვ. 205.

⁴ ტ. I, „შემოგვიზინეთ, ქედებო“, გვ. 156.

² ტ. I, „ერთი რამ მინდა სათქმელად“, გვ. 104.

³ ტ. I, „კახეთს“, გვ. 338.

⁴ იქვე, გვ. 339.

სისხლი, გულში დასცეს ხანჯალი, მაგრამ „დუნდება მთელი სხეული, ამოარი აბჯარ-აბგარი“. ირგვლივაც არავინ არის, რომ მის ტანჯვა-კვნესას უწამლოს:

მოდის და მოდის შავი ნისლები,
წინ მოუძღვება, მოზუის ქარი.
ვარ ერთ ადგილას გაქვავებულნი,
მდის უშრეტულად ცრემლისა ღვარი¹.

პოეტი ზეცას ევედრება — იმდენი ძალა მაინც მომეცი, რომ მტარვალს ხელი შევეუბრუნოვო. ნუგეშად ზეცა მას მოუვლენს ჩვენებას — კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს, რომელსაც არწივი სწიწკნის. „ვაჰ ამისთანა ნუგეშისცემასო“, — პროტესტს აცხადებს ის:

მოდის და მბოკავს შავი ნისლები,
როგორაც კუპრი, როგორაც ფისი².

პოეტი მიმართავს მთებს:

ხან კი რომ დაითოვნებით,
ხან დაგედებათ ნისლიო...³

გაყრით დაღონებული მგოსანი კვლავ ნისლის სახეს მიმართავს:

კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
შე გულს მაწეხხარ ნისლადა⁴.

დარდი, ნაღველი ტკბილი არის. ვაჟა მიმართავს ფანდურს:

ამოჰიკვიკვიდი, ფანდურო,
გული შაბურე ნისლითა, —
მაშფოთოს ხმამა მკენესარმა
ჩემს საყვარელზე ფიქრითა⁵.

პოეტის სურვილია — რაც ტკბილი ხმებია ცა-ხმელთა შორის, ყველანი მასთან მოგროვდნენ, მის ბედკრულ ჩანგს ჩაეწნან, ხოლო როცა ეს ხმები

უკანვე, მთაში და ბარში წავლენ.
სთხოვს თან გაიყოლონ

წარმართული
მხატვრობის

ხმა სიმართლისა,
ხმა სათნოების,
თავის განწირვის,
ტრფიალებისა
გაებას ნისლად
ქვეყნისა პირსა¹.

ნისლს ვაჟა ბნელის, ბოროტის. მტრულის სახედაც ხმარობს. ნისლები ხარობენ, რომ ქვეყანას ბნელით ფარავენ:

ხევედ მოდიან ნისლები,
გაჩქარებულნი, მღერითა.
როგორ ხარობენ ტივლები,
რომ მიწას ფარვენ ბნელითა!²

„წვერნი მთისანი“ გაქრნენ, „სხივნი მზისანი“ მიწას ვედარ წვდებიან და პოეტი ამბობს:

ბარემ მეც ჩამთქით, ნისლებო,
დამნაცრეთ, დამაფერფლეთო,
თვალნი დამთხარეთ, გულისაც
სადილი გაიკეთეთო³.

პოეტს რაც ერთხელ შეეყვარებია, ის რჯულზე უმტიცესად გაუხდია, დაკარგულზე გლოვას ვერ იშლის და ამიტომ:

აღარც-რას მერცხალს ვუყურებ,
აღარც ცას მკვივანთ წეროთა,
იღინონ ნელის ნაბიჯით
შავთ ნისლთა გასაშტეროთა,
მკერდს მაიფინონ ყვავილნი
ჩემი სამშობლოს მღელოთა⁴.

მტრებმა მგოსანი შერისხეს, მის წინაღმდეგ „ჭორის შუბები“ გალესეს, კარი-კარ დადიან, საკირის ცეცხლი და ანთეს და დასაწვავად ემოქრებიან, მაგრამ მისი დატანჯვის მსურველნი წაღილს ვერ ისრულებენ და თვითონვე

¹ ტ. I, „ამგლიჯა გული შავმა ყორანმა“, გვ. 253.

² იქვე, გვ. 254.

³ ტ. I, „ოქვენი ჭირიმი, პოი, მთებო“, გვ. 45.

⁴ ტ. I, „სიყვარული“, გვ. 92.

⁵ ტ. I, „ფანდურს“, გვ. 77.

¹ ტ. I, „ჩანგის ხმა“, გვ. 342.

² ტ. I, „ხევედ მოდიან ნისლები“, გვ. 46.

³ იქვე, გვ. 46.

⁴ ტ. I, „აღარც-რას მერცხალს ვუყურებ“, გვ. 139.

იტანჯებიან. ვაჟა იმედიანად აცხადებს — განა ქვეყანა სულ დაბნელებული იქნება?

იალბუზს ძლიერ ეოცა,
რა ნახა ესე ოინი.
მიხვდა რასაცა ჰნიშნავდა
მომღვარი ნისლის ბოინი¹.



ციდამ რომ ნისლი ჩამოვა,
დაეფარება მიწასა,
ეს დრო წაუვა ერთხელაც,
ალარა ფიქრობს იმასა.
და ჩვენც ხომ ვიცით, დარი სდევს
ქარიშხალსა და წვიმასა...¹

ემშაკმა, შურის, სიძულვილის მთესველმა, ჩურჩულთ კაცის გონების მომწამვლელმა „დაღუბა ქვეყანა, გააუშნოვა ტყე-ველი“. მან მთებს სპეტაკი და წმინდა გული „გაუთხუბნა მურიითა“, აამხედრა უფროსი ძმის დასაღუბავად. მთებს აბრაზებს იალბუზი „ყველას რო თავზე მოჰყვიის“, პირქუში გმირი. ამიტომ გადაწყვეტენ, იალბუზს ნისლი თავს მოახვიონ „ჯანლების მკერვალნი“.

ახეც ქმნეს: ყოველი მზრიდან
მოლალეს ჯარი ნისლისა,
დამალულია თვალთათვის
გზა იალბუზთან მისვლისა.
ერეკებიან ნისლებსა
მთები წიხლით და მუშტითა,
თან უბრაძანებენ, იალბუზ
დაფარონ ფერით კუშტითა.

ისე დაფარონ, რომ ხალხის თვალე-ბი იალბუზს ვედარ ხედავდეს, ხალხი და იალბუზი დააშოროს, ერთი-მეორეს მოსწყვიტოს. იალბუზი უნდა დარჩეს სიბნელეში, ტიროდეს და წვალობდეს.

დაესხა საწყალს იალბუზს
მთელი ნისლების ძალები,
უჩინარი ჰყვეს ერთ თვესა
გმირის ტანი და მკლავები².

მთები კი გაბრწყინებულან, კობწია-ობენ, „ძალიან მოსწონთ თავები“. მათ „მთობა აღარ ეტყობათ, გამხდარან დასაწყევლები“.

ის დაღონდა, ზეცას შეღალადებს — ძმათ სიყვარული გულს მენთო, მუდამ მთების დღეგრძელობას ვესწრავფოდი, რა დავუშავე მათ, რად ამიჯანყდნენ? ალბათ, დიდი რომ ვარ, ძმებს იმიტომ ვძულვარ; შურის მიზეზი რომ მოისპოს, გთხოვ, ტანი შემიმცირო და სხვებთან გამასწოროვო. მაგრამ ზეცა ამ სიტყვებს არ შეისმენს და იალბუზიც ჩუმდება-მთები კი ბრძოლას განაგრძობენ:

მთებმა როცა სთქვეს, კიდეც ჰქმნეს:
იალბუზს დასცეს ნისლები,
თავად კი შეიმსუბუქეს
ტვირთით ზურგი და კისრები³.

ჯანდი იალბუზს გადმოვარდნილი ზღვასავით ეხვეოდა, მთელ ერთ წელს აღარა სჩანდა; მაღლიდან მას მესხ ესროდნენ, სეტყვავდნენ, წარღვნის შესადარებ ღვარებს აღენდნენ: „გაფრთხენ იქიდან ნადირნი, გადაიკარგნენ ფრინველნი“, იქ აღარ წასულა არც მეცხვარე, არც მონადირე, არც მთიბველი.

როცა ღმერთმა ნახა, რომ „მთათ გროვა სიავეს აღარ იშლიდა, ბრძანა ხსნა იალბუზისა და შეჩერება შფოთისა“.

ენახეთ, რომ ნისლების გუნდი
უკან და უკან მოდისა³.

მთები ჭკუაზე მოდიან, ემშაკი იქიდან-გარბის, რადგან საკბილოს შოვნის საშუალება მოესპო. მზე ეფინება იალბუზს, ის დასცქერის „შფოთით დამძღარ“, ერთმანეთზე მიჯრილ მთებს და პირზე ღიმილი მოსდის. მთებმა შეიგნეს, რომ ისინი ემშაკმა შეაცდინა.

¹ ტ. I, „იალბუზი“, გვ. 387.

² იქვე, გვ. 388.

³ ტ. I, „იალბუზის სიმღერა“, გვ. 408.

¹ ტ. I, „ქებათა-ქება“, გვ. 132.

² ტ. I, „იალბუზი“, გვ. 386-387.

ახლა იალბუზს კარგი თვალით უცქე-
რენ და თითქოს კიდევ შესტრფიან.

ნისლი მონადირეს კლდე-ღრეში გზა-
კვალს უბნევს და ატირებს, მგელსა და
ქურდს კი ალაღებს.

„მომავონდება მთაზე შეფენილი
ცხვარი და ღრმა ხევი, — წერს ვეა
მოთხრობაში „სურათები“. — გაღმა-
გამოღმა ბექ-ბუქია. მეცხვარეს
სთვლემს. შენ (მწერალი მგელზე ლა-
პარაკობს. — ბ. ნ.) ტყილამ ნახე ცხვა-
რი და მეცხვარის ყოფა, მაგრამ ვერ
გაბედე ცხვრის მოტაცება, თუმცა კი
ძლიერ გზიან. შენ უცდი ნისლს; აი,
დაიძრა ქალიდამ და ხევზედ შემოწვა.
მიიწვეს აღმა და შენც ნისლს გამოჰყე-
მოჰყევი ბევის პირს. ნისლი ცხვარსა
და მწყემსს დაეფარა შავის ნაბადივით.
შენც იქ მიხვედი და ერთის კლდის
ნაღლეჯთან აიტუხე. უცდი, ცხვარი
მოგიახლოვდეს“¹.

მგელი სარგებლობს ამ ნისლით და
ცხვარს იტაცებს, თუმცა მეცხვარის
ძალმა ეს შეიტყო, მტაცებელს დაე-
დევნა და ნადავლი დაატოვებინა.

ნისლი აბნელებს, „უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა“:

სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა
დაფიქრებულის სახითა.
ყურს უღლებს არე-მარესა,
გულ-ლაღობს სანახავითა.
სტუმარი ცოტა ხანისა,
ხელ სხვავან წავა აქითა.
წავა, გადივლის გორებსა,
ქედებსა ყინულიანსა;
აბნელებს, უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა².

სანადიროდ წასულ ხევსურ ზვიადა-
ურს სწორედ ნისლი ატრევს გზას და
საბედისწეროდ შეაჩეხებს ქისტ მონა-
დირეს — ჯოყოლას. ზვიადური ხელ-
ცარიელია, ვერაფერი მოუკლავს. ის
თავს იმართლებს — „სულ დავიარე
ჭიუხი, არა ვსტოვებდი ხევებსა“. მაგ-
რამ

ზედ შავი ნისლი ჩამოწვა³

¹ ტ. III, „სურათები“, გვ. 38.

² ტ. II, „სტუმარ-მასპინძელი“, გვ. 103.

³ იქვე, გვ. 104.

და ნადირის მოკვლა კი არა, წინს-
ლასაც ველარ ვებდავდიო.

ასე გახდა ნისლი „სტუმარ-მასპინძ-
ლის“ გმირთა შეხვედრის მიზეზი.

მთაში გზააბნეული ადამიანი მღე-
რის:

მთას იქით მთვარე ამოდის,
მთას აქით ნისლი ეღება.
გზა-არეული დაედივარ
და გულზედ ცაცხლი მეღება⁴.

ნისლი გზას ურევს წეროებს. ობლე-
ბი ჩივიან:

უბედურებამ მოგვასწრო,
როგორაც ნისლმა წეროთა...
არ ვიცით სადღა წავიდეთ,
ვის არე-მარე ვსთელიოთ².

„ბაყაყთ აბჯარი აისხეს“, ავ საქმეს
უპირებენ მათ მტრებს — წეროებს.
წეროების ყმობა ბაყაყებს აღარ სურთ,
„ბრმანი აღარ გახლავან“. წეროებმა ეს
რომ გაიგეს, ძალიან იწყინეს, ბაყაყებს
მუქარით შეუთვალეს — თქვენს სინ-
სილას გავაჭრობთო, და ლაშქარი დას-
ძრეს. ომის თავიდან ასაშორებლად
„სულკურთხეულმა ელიამ“ მოიყარა
შავი ღრუბლები, გამართა ელვის
ციალი,

მიფანტ-მოფანტა ნისლები,
შივ წვიმა ჩაქსო მტრედია,
ვერა გაიგეს წეროთა
გზა თვისი წასასვლელია³.

ისინი აირ-დაირივნენ და ბაყაყები გა-
წყვეტას გადარჩნენ.

ტრედები ელოდებიან ნისლის აყრას,
რომ გზა განაგრძონ:

ტრედებმა მთის ნახევარი ავლეს. „ამ
ღროს თხემი მთისა გაიბურა ნისლით,
დაუცადეს ნისლის აყრას, კლდის კინ-
ჭუხზე დასხდნენ“⁴ და გზა მხოლოდ

¹ ტ. I, „მთას იქით მთვარე ამოდის“, გვ. 41.

² ტ. I, „ობლების სიმღერა“, გვ. 69.

³ ტ. I, „ბაყაყთა აჯანყება“ გვ. 232.

⁴ ტ. III, „ტრედები“, გვ. 86.

მის შემდეგ განაგრძეს, რაც „ჯანლი აიყარა“.

ნისლმა გზა აურია მამალსაც, რომელიც ამოხტა მექათმის ცხენზე აკიდებული გალიიდან და თავი ტყეს შეაფარა:

„ქალას ნისლი დააწვა შავად და ისედაც ჩამოხტურულ-ჩაბნელებული არემარე უფრო დააბნელა. მამალი გაჩერდა ერთ ადგილას, დიდრონ წიფლის ძირას, გარინდებულმა არ იცოდა საით წასულიყო“¹.

ნისლი ცასა და მიწას შუა ბუდობს, როგორც მტრობა და შურია:

ბნელდა შავად, ნისლები,
სწორედ ფისი და კუპრია,
ცა-ხმელთა შუა ბუდობენ,
როგორც მტრობა და შურია².

ხელსაყრელია ნისლი ჩასაფრებული მტრისათვის. აი, ქისტები ფშაველთა თავდასხმას მოელიან. მათი ხელმძღვანელი — მუსა ვარაუდობს, რომ ფშაველები „ლაშქარს ორად გაჰყოფენ და ახლა მთას ნისლი აკრია, ამ ნისლს ჩამოჰყვებიან ხევ-ხევ, მეორენი იქნება ან გალმითაზე ან გამოღმა გვერდას მოჰყვენენ“³. მუსას მეომრებიც წუხან, რომ „მთას ნისლი აქვს მობმული“⁴.

და არაფერი ჩანს, მაგრამ მეთაური მათ მაინც მარჯვე ადგილას ჩასაფრებს.

რალა დღეში არიან ფშაველი მეომრები?

„ი ა ნ ვ ა რ ა. ოჰ, როგორ ჩამოეხვია ეს ნისლი, ეს ოხერა!

ი ვ ა ნ ე. ძალიან ცუდი ამინდია, ცუდი დრო დაგვიდგა.

3 ფ შ ა ვ ე ლ ი. მე არ ვიცი, სადა ვართ ახლა ჩვენ.

4 ფ შ ა ვ ე ლ ი. რა დაინახოს კაცმა, სად ან საქონელია, ან კაცი!.. (ამ დროს

ჩასაფრებული ქისტები ესვრიან (ბოფებს).

ი ა ნ ვ ა რ ა. ჰოი, თქვე რა ვაქონდა, ლეზო, აქა ხართ განა? (რამდენიმე ფშაველი იქცევა. ნისლი აიწევს. ხმლით გადმოეშლებიან ქისტები, რამდენიმე თოფი ფშაველების მხრიდანაც გაუარდება და ხმლებით ერევიან ერთმანეთში. იანვარა, მკლავში დაჭრილი, ფარს იბლუჯავს), არ აგისრულდებათ წადილი, ძაღლებო, არა!“¹.

მზე და ნისლი ურთიერთის მოწინააღმდეგენი არიან, ერთმანეთს ებრძვიან. აი ამ ბრძოლის სურათი:

„მთებს შავად ნისლები მოსდებოდა და დაებნელებინა მთელი არემარე. დღე იყო, მაგრამ მზე გამჭრალიყო. უკუნეთს შთაენთქა იგი, თუმც ებრძოდა ჯანლების გროვას, მოიწვედა მალლიდან დედამიწის გასანათებლად, მაგრამ ამაოდ ჰგზავნიდა სხივების რაზმებს, რათა გაეპო წყვდიადი და დაემკვიდრებინა ქვეყანა, მაგრამ დღესდღეობით ჯანლი იმარჯვებდა. თითქოს პირობა აქეთო, ახალ-ახალი გუნდი ნისლისა, — მთასავით დიდრონები, — მოგორავდენ ხეობებზე დაბლიდან მალლისაკენ — გაეესოთ ჯურღმულები. მთელი მიდამო სდულდა, ფუოდა და უკვემურად ფშვინავდა. მეტისმეტი შრომისაგან ნისლებს ოფლი სდენოდათ. ნისლების ოფლი ბალახსა და მთის ყვავილებს თავზე ჰფრქვეოდა“².

შემდეგ:

„შუადღე ახლოვდებოდა. ნისლებმა მალა აიწიეს და მთებზე დინჯად დალაგდნენ. განათდა მიდამო, მზის სხივებმა გასჭრა და დაქსაქსა ნისლები“³.

მზემ, სინათლემ გაიმარჯვა ნისლებზე, ბნელზე.

¹ ტ. IV, „მოკვეთილი“, გვ. 263.

² ტ. III, „ყორანი“, გვ. 366.

³ იქვე, გვ. 367.

¹ ტ. III, „დიდებული საჩუქარი“, გვ. 459.

² ტ. II, „უიღბლო იბლიანი“, გვ. 205.

³ ტ. IV, „მოკვეთილი“, გვ. 262.

⁴ იქვე, გვ. 262.

ბორის ნანიტაშვილი
ვაჟას საყვარელი სახეები

ნისლი წყვედიადით ბურავს ისედაც
ბნელით მოცულ ქვეყანას:

ღამეა ბნელი, პირ-ქუში,
შავი ნისლები ცურავენ,
ისედაც უჩინს ქვეყანას,
უფრო წყვედიადით ჰბურავენ.
გაცრცივოს, გაროზგილს ბუნებას
ტანზე ნაბადსა ჰბურავენ¹.

ან კიდევ:

უკუნეთია — ცა ღრუბლით,
ქალა და მთები ნისლებით
შაბურვილია თავ-ბოლოს,
როგორც იღდა გინებით².

ნისლისა ეშინიათ მოსამკელად მზა
პურის თავთავებს. ისინი მინდიას ეხ-
ვეწებიან — არა მე მომჰქერ და არა
მეო:

ბატარა ნისლიც რომ ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჰრას დანითა³.

ვაჟსა შემოქმედებაში ნისლს ზოგ-
ჯერ ჰირისუფლის, დამტირებლის
ფუნქციაც აქვს დაკისრებული. და ეს
როლიც, ეს ფუნქციაც ძალიან უხდება
მას.

სამშობლო მიწის მცველები, რომ-
ლებსაც სიკვდილი აურჩევიათ, ვიდრე
ფიცის დარღვევა, გულ-გაგმირულნი
ბრძოლის ველზე გაფანტულან. ხევ-
სურთ ჯარის გაწყვეტის ამბავი „ჯერ
არ იციან დიაცთა“ და „ქალ-რძალის
არ ისმის ქვითინი“.

დაღერილი გმირების სისხლი
მიწის გულს ჩასწვდა ქვევითა,
შეწუხებული ნისლადა
ამოხეთქილა ზევითა⁴.

შემდეგ:

ამიტომ ნისლი თავს ადგათ
წითელი სისხლის ფერადა.
დახოცილთ თავზე დასტირებულნი
და-დღათ მაგიერადა.

ამბობენ: მუღამ იმ დღესა,
როდესაც გასწყუნენ გმირები,
ნისლი განდება როგორაც
ძმა ძმასთან შენაბირები;
იტირებს იმ დღეს, იმ ღამეს,
არ უშლის მზისა სხივები.
მერმე კი დაიმალება
უჩინარ მთათა ყურესა;
ღრომდე არ იძვრის, ღროზე კი
სატირალს მიაშურებსა.¹

შემდეგ:

ნისლისგან ნაცრემლ მდელოზე
ამოხეთქავს ყოილი,
ტურფა, სხვადასხვა ფერისა,
ჯადოსნურადა ქსოვილი.²

ძაღლების სათრევად და ფრინველთა
საჯიჯგნად მიტოვებულ მკვდარ ხევ-
სურ გმირს — ზვიადურს მაინც გამო-
უჩნდება ჰირისუფალი:

ზვიადურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორჯგნა წყლისაო,
ნიადა ჩამონადენი
ოხვრა მაღლის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა.
ნაბრძანებია ღვთისაო.³

მთელი ქვეყანა მორწყულია მართა-
ლი ადამიანის სისხლით. კაინის მიერ
მოკლული —

აბელის სისხლი
იქცა დიდ ტბადა,
ნისლმა შესუტა,
ავიდა ცადა.
შემდეგ ამ ნისლმა
მთელი ქვეყანა
მორწყო სისხლითა
უხვად ყველგანა.⁴

ნისლს მანუგეშებლის როლიც აქვს
დაკისრებული.

¹ ტ. II, „პაოს და ქართლოს“, გვ. 158 — 159.

² ტ. II, „მამიდის დანაბარები“, გვ. 185.

³ ტ. II, „გველის მკამელი“, გვ. 171.

⁴ ტ. I, „ბუნების გლოვა“, გვ. 367.

¹ ტ. I, „ბუნების გლოვა“, გვ. 368.

² იქვე, გვ. 368.

³ ტ. II, „სტუმარ-მასპინძელი“, გვ. 110.

⁴ ტ. II, „სვინილისი“, გვ. 276.

მგოსანს გულზე ნათელი რომ მოფენოდა, ზღვაშიც კი ააღლევა მისი მძინარე მთებური ტალღები, და იგი ნისლს მიმართავს:

ნისლსო, ასხედით ცის პირად,
ელვაე, დანათდი ღრუბლებში,
რა გეხარჯებათ, ტივლებო,
ოქვენ მაინც მეცით ნუგეშო.¹

მგოსანი ევედრება ქალს — მომხედე, გამიცინე, შენ მაინც ნუ მიძალატებ, მოვეკვდები — დამიტირეო. მაგრამ იცის, რომ სოფლისგან დაიწეებულს, ქალიც მალე დაივიწყებს, და უბარებს — „ემ კლდეებს მაინც შესტირე დანაბარები ჩემია: იდგნენ გულ-საღნი ამყად, არ შამაუშვან მტერია“, „არწივთ მოზარდონ წიწილნი, დაჰბრუნონ ჩემსა საზარეს“, და

მთებმა ახარონ ყვავილნი,
კისრით ატარონ ნისლები,
მკვდარს გულზე ნამი მანამონ, —
ისევ ცოცხალი ვიქნები.²

ვაჟა ნისლის ბედს შენატრის:

ნეტავი შენა, შავ-ნისლო,
შეუპოვარად მძინარო,
ხან ქვეყნის დამბნელებლო,
ხან ზღვის უბეში მძინარო!³

მგოსანი შენატრის ნისლს იმიტომ, რომ მისთვის ერთია ყოველი — „ვაკე, მთა-გორი, კლდეცა“, „თავის წესს მაინც არ იშლის, თუმც ცრემლი ბევრი დენია“.

იმიტომ, რომ მის სვლას ვერ აფერხებს „მთელი ხმელეთის ძალია, ვერც გვირგვინოსანთ ბრძანება, ვერც ამოწვდილი ხმალია“;

იმიტომ, რომ საწოლად ნისლს მთა აქვს და ნანას კლდეები ეუბნებიან, ქვეყანას მადლიდან დაჰყურებს, შემდეგ უფრო ზევით იწევს, ყანას ცრემ-

ლით რწყავს და „კაცის შავ გულსა“ აძლბებს;

იმიტომ, რომ უიმისოდ ხალხი ერთურთს დასჭამდა, „მამა ვაჟს მწვადად შესწვავდა, დედა — ბატარას ქალისა“.

კლდეზე დაფუძვნიებულ, კლდის აღზრდილ არყის ხეს „ქვევიდან დიდი ჭანდრები“ შურით შეჰყურებენ:

რად ვდგევარ იმათე მალა
ასე ამყის გულითა,
თუმც ხშირად შემურვილი ვარ
ნისლებ-ჯანდების მურითა,
ტან-მომცრო, გაბუებული,
მხოლოდ ძლიერი სულითა.¹

იალბუზი ჩივის — ერთთავად სულ ჭირითა ვარ მოცული, დაბლა, ბარში გინდ ზამთარი იყოს და გინდ ზაფხული, მე ქედზე მაინც თოვლი მაწევს, ქარი თავპირზე ნამქერს მაყრის, ჩემი სიმადლე შურთ, მაგრამ სიმადლე მხოლოდ მწუხარებას მიმატებს, გასახარელი არაფერი არა მაქვსო.

როს იალბუზი მღეროდა
ამას ნატკენის გულითა,
ნისლებმა იწყეს მოდენა,
მოდგა მათ კრება სრულია.

ჩურჩულით ეუბნებიან:
ნუ გაგიტყდება გულია,
ამაგი იალბუზისა
არ არის დაკარგულია:

მდინარე შენი ნაშობი
ხმელეთზე გადართხმულია,
ცხოველ-მცენარეთ და ხალხსა
იმისგან უდგათ სულია.²

ნისლები იალბუზს თავის შეილებად მიაჩნია, დედასავით იღებს. ის ეუბნება თავის უმცროს ძმებს — მყინვარს, ბორბალას, სპეროზას:

¹ ტ. I, „პასუხი არყისა“, გვ. 196.

² ტ. I, „იალბუზის სიმღერა“, გვ. 408.

¹ ტ. I, ზღვაშიც ააღლევა მძინარე“, გვ. 82.

² ტ. I, „ისევ შენ, ისევ, ქალაო“, გვ. 43.

³ ტ. I, „ნეტავი შენა, შავ-ნისლო“, გვ. 61.

თქენიდან გადმოხიზნული
ნადირ-ფრინველი, ნისლეები,
მოძივლენ უკრძალავადა,
როგორც დედასა შვილები.¹

იალბუზი აცხადებს, რომ მომავალ-
შიც:

ძველებრივ ვადენ მდინარეთ,
ნისლებს დაიყრდნობ მკერდზედა,
მზისა და მთვარის სხივებსა
კვლავ ოავისგნებ მხრებზედა.²

ნისლი იალბუზის პირსახოციცაა:

დაბანილს პირსა იწმენდა
თეთრის, წიშარო ნისლითა.³

მახარობელი მალალ მთას მიმართავს:

— მთაო მალალო,
ნისლით ბურვილო,
სალის ყინულით
თავ-დახურვილო,

გამოიფხიზლე, გაიხარე, ბარში გაზა-
ფხული მოვიდაო. მთა მიუგებს — გა-
ზაფხული და ია ჩემთან მაინც არ მოვა,
„ასში ერთ დღესა ვერ ვხედავ მზიანს“,
„მაგრამ არ ვწუხვარ, ვარ მშვიდი“,
რადგან

ნისლი ვადიყრის,
მიჩნდება ბარი
და შევტრფი შორით,
იმისთვის მკვდარი.⁴

მთას მართალია საქმე სალხიხოდ არა
აქვს, ბევრი გაჭირვება ადგია, მაგრამ
მაინც უხარია, რომ მისი ამაგი დაკარ-
გული არ არის, რომ იგი ბარს სამსა-
ხურს უწევს. მთა შორიდან შესტრფის
ბარს, მაგრამ ბარად გახდომა კი არა
სურს. აი, მთები საშინელ სიზმარს ხე-
დავენ — ისინი ბარად ქცეულან, ბარი
კი მთებად. ბარად ქცეულ ამაყ მთებს
ყველა სთელავს, ვისაც კი მოესურვება,
„ათასი მდილი უჭკრეტს მათ გულ-

მკერდს“, „ლორები სთხრიან“. ბევრ
სხვა გულისამრევ სურათსაც შეხედავენ.

ალარსად მათთვის ტკილი ოცნება,
ანკარა ნამით პირების ბანა,
ალარსად მთაზე ცივნი წყარონი,
ელვა-მეხითა გულმკერდის ფხანა,
ალარსად დეკა, არსად პირიშზე,
ალარსად შურთხის ლამაზი სტვენა,
იაფად ნამი მარგალიტისა,
ხშირ-ხშირად ლურჯი ნისლების დენა.⁵

გარიჟრაჟზე მთებს გაეღვიძათ და
ლხინი გამართეს, რომ ეს მხოლოდ
სიზმარი იყო, რომ ისინი „ისევ-ისე
მეფენი იყვნენ“.

ნისლი შეიკრიციცაა, მთაში ბარის ამ-
ბავი, მისი გულისტყვივლი, მისი ოხვ-
რა და კვნესა მოაქვს:

ცისკრის ხანია, ბარიდან
იწყეს ნისლებმა მოღენა,
გროვა და გროვა, შეეფერი
ცა და ხმელეთის ოღენა.²

გვალვისაგან მიწა დამწვარ-დაბუგუ-
ლია; სოფლის ამაგს, ჭირნახულს, სა-
ფრთხე ემუქრება. ამ დროს:

მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულთივითა,
ჰშვენოდა ფიქრებში გართვა
მინდორზედ სუმბულთივითა.

მას ეკითხებიან:

— რას უცდი, ნისლო პატარავ,
დაკარებულო მთაზედა?³

ის უპასუხებს, რომ სურს ქვეყანას
ეწამლოს, ზეცას ეხვეწება — გაზარ-
დოს, ძალ-ღონე მისცეს, ღრუბლად აქ-
ციოს, „მძიმედ დატვირთოს წვიმიითა“,
რომ ქვეყნის გული მორწყას.

აზრი და გრძნობა დასასვენებლად
მთაში წავიდნენ. უაზროდ და უგრძ-
ნობლად გდებულმა ქვეყანამ „ერთმა-
ნეთს ჭამა დაუწყაო“, „ძმამ ძმას სამარე
უთხარა, შვილი დაარჩევა დეღამა“;

¹ ტ. II, „მთათა ერთობა“, გვ. 257.

² იქვე, გვ. 256.

³ იქვე, გვ. 254.

⁴ ტ. I, „პასუხი“, გვ. 93.

¹ ტ. I, „მთების სიზმარი“, გვ. 194.

² ტ. II, „მთათა ერთობა“, გვ. 267.

³ ტ. I, „მოლოდინი“, გვ. 99.



„გაპქრა ყოველგან სიმართლის ყველა ნასახი, გამეფდა მხოლოდ მგლის მადა, ძალა, დანა და მათრახი“. აზრი ამ დროს ხარივით დინჯად მთაზე იარებოდა, გრძნობა კი ყვაველებს კრეფდა, კაბად ტანზე იცვამდა; გრძნობას

აკენადა ჰქონდა ნიავი
მადლ-სხურებული მთებისა. —
ზედ ერწეოდა ბეშვივით
და ნისლი იმის თმებისა
ნაშს აკურებდა მიწასა,
მარგალიტებად სცვიოდა,
ნაირ-ნაირი ყვავილი
მიწიდან ამოდიოდა. ¹

მაგრამ აი, ზამთარი მოახლოვდა, მთას „მთა-წვერი გაუთეთრდა“. აზრი შეეყარა გრძნობას, რომელსაც „გაპხუნებოდა სამოსი, შემოჰკნობოდენ ყვა-ვილნი“, და ურჩია — ისევ ბარში ჩა-ვიდეთ, თორემ სადმე აქ სულს განუ-ტევებო. გრძნობას მთაში დარჩენა სურს, მაგრამ აზრი ძალით ჩამოიყვანს მას ბარში. აქ ისინი ხედავენ, თუ რა ცოდვა ჩაუდენიათ მთაში წასვლით, როგორ არეულა უდიმათოდ ქვეყანა, და ისევ დაიდებენ ბინას „ადამიანთა ტომში“.

ნისლი ვაჟას ბრწყინვალე პეიზაჟების ფრიალ დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი შტრიხია.

აი „მთათ ძილის“ სურათი:

ხევებში ჩაწვა ნისლები,
განზე დაყრილან მთანია,
ერთურთზე მიქაღლებულნი,
როგორც ერთგული ძმანია.

ნისლით — ამ „შავის მანდილით შეკრულა ხევ-ხუვი, მთისა ყელები“. ორბებს, არწივებს ნისკარტები, მხრები დაუშვიათ და დაძინებიათ. ვიწრო ბილიკებით ფრთხილად, წყნარად მიაბიჯებენ ჯიხვები. ცეცხლი აღარსად ანთია. აღარც გუშაგები დგანან. მთვარე ცას შემოსწყრომია. ვარსკვლავნი მთების წვერთ სწვევიან და ნანას ეუბნე-

ბიან. შორით წყლის შხუილი ტირილი ვით ისმის. ბალახები დანამულტყვენი

ნამი უმცვრევე მწვანეზედ
ნისლებს ნასტუმრალთ, მრავალთ,
თან ნამის, სიოს შვიდველთა
შავთა, შავ-ფერად მავალთა.

განთიადი მოახლოვდა:

აგერ ნისლებიც დაძირა,
როგორც სულები მკვდრებისა,
ცაზედ ვარსკვლავნი დაბნულდნენ,
დაბლა — თავები მთებისა. ¹

მთები კი ძილს განაგრძობენ, არ იღვიძებენ, „შიში არა აქვთ მტრებისა“.

მთა წვიმის შემდეგ:

„წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცაზედ მზე მაინც არა სჩანდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაფანტულ ნისლებს ზოგს სად ეძანა და ზოგს სად ხევებში, ან გორ-გორის პირებზე; ზოგი კურუმად დარჩენილიყ. და თითქოს ტყე იწვება, ბოლი ასდისო, ისე ფუოდა ტყის წვერებზე. მეტისმეტად ტურფა სანახავია ამ დროს მთა! თითოეული მასზედ დაცემული წვიმის ცვარის პირით თუნ-გობით ასხამს წყალს სიწმინდისას კაცის გულში“ ².

შემდეგ:

„არწივმა თვალების ვლებით გაღ-მოიარა მთაზედ და მიეფარა ნისლებს, გაღმიდამ ყელმოღერებული ორბიც გამოჩნდა, რამდენიმე კალო გალეწა ჰაერში, ხევების თავზე და დაიმალა ისიც ქვევით“ ³.

გაზაფხულია. „საოთები და წერონი“ მოფრინავენ;

• ცა მოწმენდილა. მთებზედა აღარსადა ჩანს ნისლია.
პატარა ფიღქი მოსულა,
ქეღები დაუქირსლია. ⁴

¹ ტ. I, „მთათ ძილი“, გვ. 59.
² ტ. III, „შალვას ნანახი ხატი“, გვ. 133 — 134.
³ იქვე.
⁴ ტ. I, „არწივი და ყვაი“, გვ. 137.

¹ ტ. I, „აზრი და გრძნობა“, გვ. 261.

მთა ნისლებს სჭრის, ელვას ჰმუს-
რავს:

მთაც ამწვანებას აპირობს,
ჟანგს იყრეინებს ქედითა,
ნისლებს სჭრის, ელვასა ჰმუსრავს
გაუტეხელის მკერდითა¹.

შემოდგომის მოახლოება: „დღემ
იკლო, ღამე გადიდდა, გრილა, გაყვით-
ლდა ტყე-ველი“; მდინარე დაწყნარ-
დადუმდა; აღარსად მტრედი ღულუ-
ნებს, აღარც მერცხალი სრიალებს;
მთას შუბლი მოუქმუნხნია, დაწეწილი
აქვს თმა-წვერი, „ჰმვენის ჩართული
ქალარა“;

რთვილსა დებს ღამეობითა,
დილ-დილ გორავენ **ნისლები**².

მთა-ბარი ღარდმა შეიპყრო, „რა გა-
უხუნდა მშვენება“. აცივდა. მთები და-
უთოვნია. პანტით და ფოთლით ავსილა
ბილიკები და გზები. „მომაკვდავსა
ჰგავს ბუნება“.

სახლებიდანა ამოდის
ბოლები, როგორც **ნისლია**,
ერთვიან ღრუბელს ცისასა,
ვით მონაწევრები მისია³.

ახლა ავდარიც გადიყრის
და მზეც გადივლის გორასა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი **ნისლები**
ხევებში სდგამენ გორასა⁴.

დიან ძველებრივ **ნისლები**
უცვალებელის წესითა,
არა დგებიან ერთ ალაგს
უფესვოები ფესვითა⁵.

მართალია ნისლი ვერ დგება ერთ ად-
გილას, მაგრამ შესვენება მასაც ჰქირ-
დება:

დილა საღამოს ნიშნს უგებს,
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,
ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი
დაისვენებენ მთაზედა⁶.

მთვარე არა ჩნდა ცაზედა,
ვარცკლავნიც მიჩქმალულიყვენენ,
ნისლნი, დალილინი ცურვიან
მთის ყურეს მიმალულიყვენენ.¹

ზღვაზე ტალღები ისე ისვენებენ,
როგორც ნისლები მთაზე:

და დაისვენა ზღვამ ზღვაზე,
როგორც **ნისლებმა** მთაზედა.²

ნისლები ხან გაგვახარებენ და ხან
თავბედს გვაწყველინებენ:

დილაზე ფრთა-დაკეცილთა,
ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინა **ნისლებსა**
მიტკლით შაკრულის თავითა;
ზოგჯერ რომ გაგვახარებენ
მაცოცხლებელის ცვარითა,
სხვა დროს ბედს გვაწყველინებენ
ჩანადინარის ავითა.³

მთაზე ნისლები ფარასავით დაწო-
ლილან:

ღამეა. ჰმუნფდა. მთებზედა
ნისლები იწვენ ფარადა.⁴

ტკბილად და უღარდელად ძინავს
ნისლს გორაკზე:

„მერე რა საამური ტაროსია, რა
მშვენიერი ამინდი: ნისლს გორაკზე
სძინავს ტკბილად, უღარდელად, ცხრა-
თვალა მზე იკბინება“⁵.

დაბინდა. აგერ თოვლიანს მთაზე
დასავლეთისეკ მკვდართ მზეცა ჰრეზა.
ღამიძრა **ნისლი**, მიათრევს ფრთასა
და ქარავანიც შეუღვა გზასა⁶.

მთებზე და ველებზე ნისლები მუხლ-
მოკეცილი სხდებიან:

თავის წესს არ ჰშლის ბუნება,
ღამე დღეს, დღე სცვლის ღამეთა.

1 ტ. II, „კობალა“, გვ. 39.

2 ტ. II, „უიღბლო იღბლიანი“, გვ. 203.

3 ტ. II, „გველის მკამელი“, გვ. 178.

4 ტ. II, „ქართული ქორწილი“, გვ. 301.

5 ტ. IV, „ოპ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბი-
ლო!“ გვ. 27.

6 ტ. IV, „ქაჯი“, გვ. 300.

1 ტ. I, „გაზაფხულის სურათები“, გვ. 230.

2 ტ. I, „ბუნების სურათი“, გვ. 128.

3 ტ. I, „შემოდგომა მთაში“, გვ. 212.

4 ტ. I, „არავს“, გვ. 50.

5 ტ. I, „ბალღი რასაცა ვხედავდი“, გვ. 363.

6 ტ. II, „კობალა“, გვ. 43.



ბუნებას ქვეყნის ცოდვა-ბრალი არ
ეკითხება: სოფელი „კარგებსა სჩაგრავს,
უმსგავსთ კი კალთას აფარებს, ჰშვე-
ლისა“, მაგრამ ბუნება წარბსაც არ იხ-
რის:

ცაზე მზე რომ აიწვეს, ნისლეები ხე-
ვებს სტოვებენ:

მზემ აიწია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები;
მისჯარებიან ცის კიდეს
კავეკასიონის ღვევები².

ათაჯერა წვიმს, სეტყვა,
მთებზე ნისლეები ჰკილია,
ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
შიგ ცოდვა-ბრალი დილია;
ბუნება წარბსაც არ იხრის,
მაინც მშვიდი და მშვიდილა².

ნისლეები აღელვებული, აბობოქრე-
ბული ზღვის ტალღებივით ირწვეიან:

„ცას მოეყრეინა გულმკერდიდან
ღრუბლები და ჩაებერტყა დაბლა ხეო-
ბებში. მაღლიდან მოწმენდილი ცა დას-
ცქეროდა დაბლა ნისლების გროვას,
ისინი აღელვებული, აბობოქრებული
ზღვის ტალღებივით ეწეოდნენ ქვევით,
სადღაც ჯურღმულებში, გულჩათხრო-
ბილ უფსკრულში³.“

ღვარი მოვიდა საშინელი რამ — რაც
კი ჩვენ ჯოჯოხეთზე ვიცი, „უსაშინ-
ლესი მასზე ცხრაჯერა“, დაღეწა და
გააცამტვერა ყველაფერი... „ფრინველ-
ნი თრთიან, ნადირნი ჰკრთიან“.

და ნისლიც მიდის დასამალავად,
თავ-რეტ-დასხმული, მალა მთაზედა³.

ჩუმად მდგომარე უდაბურ ტყეს ნის-
ლი ეხვევა, როცა „მთების მოზარის“ —
მდინარის წყევლას უსმენს:

გაშფოთებული მოქმუხს მდინარე,
წყევლას უგზავნის მთასა და კლდესა,
იმის მფარველსა, ჩუმად მდგომარეს,
ნისლი ეხვევა უდაბურ ტყესა⁴.

დილა გათენდა „თავის რჯულით და
წესითა“. ღამით ნატანჯი ბუნება
ოცინის:

ოცინის მთა-ბარს ბუნება,
ღამის ნატანჯი კენესითა.
მთაზე შაჯარდა ნისლები
გზა-გზა ცრემლების თესვითა⁴.

ნისლი ცის მური და ლაფი:

ცა გაიბურვის ნისლებით,
როგორც მურით და ლაფითა⁵.

სოფლის დილა:

თენდება, მთის წვერ დაწითდენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, იღვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა⁵.

გამთენიისას მონადირე თორღვა სახ-
ლიდან გამოდის. ცისკარი ამოსულა.
ქინყლავს. „მთანი ივარცხნენ თავებსა“
და

ნისლები გადასწოლია
ქიაურაის მხარესა⁶.

მონადირე ტყეში მიდის, ხედავს:

მზე რომ მოვალის, მასინის
შავ ნისლებს ვადაიყრიან,

1 ტ. II, „ბახტრიონი“, გვ. 84.
2 ტ. II, „ალუდა ქეთელაური“, გვ. 33.
3 ტ. III, „არწივი“, გვ. 358.
4 ტ. I, „პოეტი და მისი ნუგეში“, გვ. 422.
5 ტ. I, „დაუსრულებელი კვნესა“, გვ. 86.
6 ტ. II, „მონადირე“, გვ. 17.

1 ტ. II, „სისხლის ძიება“, გვ. 144.
2 იქვე, გვ. 149.
3 ტ. I, გვ. 377.
4 ტ. II, „სისხლის ძიება“, გვ. 140.
5 ტ. II, „ალუდა ქეთელაური“, გვ. 35.

ნადირთ ულახავ ბალახნი,
მისდევს ნავალი შუნისა,
მოსცმია გარსა მიდამოს
ნისლი ყვავილთა სუნისა¹.

დიდებული სახეა. რა ძლიერი უნდა იყოს ყვავილთა სუნი, რომ ის მიდამოს ნისლად დაედოს! ამ შესანიშნავ სახეს ვაჟა ერთხელ კიდევ მიმართავს მოთხრობაში „ბუნების მგოსნები“. ვანო ნატრობს ნახოს ბულბულის იუბილე:

„მართლაც რა ტურფა სანახავი იქნებოდა მენახა ჩემი თვალით ბულბულის იუბილე, როცა ჩვენს ქალაქში ხეხილი აყვავებულია და ყვავილების სუნი ნისლივით დასწოლია ზედა, ჰაერი მთელი ყვავილების სუნად არის გადაქცეული, — იქამდის, რომ ადამიანი ათრობს, ბნედავს“².

არაგვი მთა-კლდეთა პირმშოა, მას რომ არ ხედავდნენ, „ხომ დახდებიან ავადა“. მთა-კლდენი არაგვს ეფერებიან, ეალერსებიან, „ტანზე აცმევენ ბექთარისა, თავზე მუზარადს ჰხურავენ“, ლონესაც უსინჯავენ, „მუჭში სწურავენ“:

ღულის ძირს საღა კლდეები
არაგვს მუჭაში სწურავენ,
არ უნდათ ჭვეით გაუშვან,
გზას უღობავენ, სუჭუკავენ,
თავ-პირზე ყვავილს აყრიან,
როგორაც ნახლით ჰხურავენ³.

დიდ მთათა შუა, მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპრაღნი დგანან. დაბლა გაბრაზებული მდინარე ლოდებს ასკდება, თითქოს ეჩხუბება: „ნუ მიშლით, გზა მომეციოთ, მინდა თავისუფლად ვიდინოვო. მაგრამ ამაო იყო ყოველივე მისი მეცადინეობა, — ლოდები წარბსაც არ იხრიდნენ, ხოლო მდინარის ტალღების შენახეთქები, ამ ლოდებზე წინწყლებად ქცეული, ნისლის მსგავსად ესხმებოდა ამ ნაპრაღთ“⁴.

ნაპრაღთ მდინარისა ეშინოდათ — ძირს გამოგვიოხრის და დაგვამხოზო.

ისინი წუხდნენ, როცა თავისთვის მდინარისაგან დაგვრეულ-დაფუჭებულად, ლოდებად წარმოიდგენდნენ. „ვიც უნდა ფეხს დაგვადგამს, ვინც გინდა, ზედ დაგვაფურთხებს, აგვიღებს ხელში და გავვისერისო“. მაგრამ ეს დარდიც არ აკმარეს ნაპრაღთ: „დღეს იმათი ნაღველი უფრო დიდია: ერთ იმათგანს ეწვია დიდი, როგორც შავი ნისლი, ვეშაპი, დაადგა თავს და შუაგულზე დაუწყყო ნგრევა, ბუნაგს იკეთებდა“¹.

თუ ერთ ნაპრაღში ვეშაპმა გაიკეთა ბუნაგი, მეორე ნაპრაღში ალმა მოიკალათა. გაბატონდა ბოროტება, სისაძაგლე, საშინელება. მაგრამ დრონი იცვალნენ. უზარმაზარმა ფრინველმა ჯერ ალი მოიტაცა და მოსპო, ხოლო შემდეგ იგივე არწივი ვეშაპს დაეცა, შეებრძოლა და სული გააფრთხოინა.

„დროება ცვალებადია! — ამბობდა თავისთვის ნისლი, რომელიც ბარიდან მთისკენ მიიზღაზნებოდა დინჯად, აუჩქარებლად, უდარდელად“².

მთის ძირას მძინარე შავი ნისლი უზარმაზარი გველივით ჩანს:

მთის ძირში სძინავს შავ ნისლსა,
სჩანს უზარმაზარ გველად³.

გველი ხეზე ნისლივით გაწოლილა:

ერთ დღესა გველი, ვით ნისლი,
გაწოლილიყო ხეზედა,
წიოდა გულჯაფარიანი,
თანაც თბებოდა მზეზედა⁴.

ეს ის გველია, რომელსაც თქმულეზის მიხედვით, შეებრაღა ბახტრიონის ბრძოლების გამირი ლუხუმი, — დაჭრილი, სასომიხილი. ერთ თვეს შესანიშნავად უვლიდა და „შაძლებინა ფეხზე დადგომა“.

მთის ქედზე შავი ნისლი გველვეშაპივით მოცურავს:

¹ ტ. II, „კოპალა“, გვ. 41.

² ტ. IV, „ბუნების მგოსნები“, გვ. 67.

³ ტ. II, „მანდილი“, გვ. 282.

⁴ ტ. III, „ნაპრაღნი“, გვ. 335.

¹ ტ. III, „ნაპრაღნი“, გვ. 336.

² იქვე, გვ. 339.

³ ტ. II, „ხის ბეჭი“, გვ. 120.

⁴ ტ. II, „ბახტრიონი“, გვ. 89.

„შავი ნისლი მთის ქედზე გველვეშა-პივით მოცურავს უღარდელად, შეუპოვრად. თავს უხრის და ეხვეწება ვერხვი: „ნისლო, გეთავყა, შენ ხომ, ვიცი არ დაგამძიმებს და ჩახვალ ქვევით, ხევში, მოგლიჯე ერთ-ერთი ვერხვი ფესვებიანად და აქ ამომ.ტანე!“¹

ნისლი ვეშაბთან შედარებულია აგრეთვე ლექსში „სიზმარი“. პოეტი საშინელ სიზმარს ხედავს — მოძმეთა სისხლში დაცურავს და ფონს ეძებს გასასვლელად. დიდი წვალებით ნაპირზე გადის, სახლს მიაშურებს, მაგრამ იქაც შეიჭრება სისხლის მდინარე, „ჭერიდან წითელი წვიმა კოკისპირულად დიოდა“, „წვილ-კივილი, გოდება ისმოდა ყოველ მხრიდანა“, „ხალხო, მოიდა ვეშაპი!“ — კაცი იძახის ძთიდანა“.

შევხედე, მართლაც, ნისლივით უზარმაზარი ცხოველი მოცურავს, რაც კი წინ შეხვდა, ერთ წუთში შთანთქა ყოველი².

პოეტი ერთს გაიფიქრებს — მუხლთ მოვეხვევი ამ ურჩხულს, „ეგები სისხლისმსმელობა მისი მოლბეს და დაებასო“, მაგრამ სწრაფად იცვლის აზრს — „თხოვნით ვინ შეუწყალია სიკვდილს და სულთამხუთავსა?“, უცქერის გულსაკლავ სურათს და „გულის ხვაშიადს მხოლოდა გამოიტყოდენ თვალები“.

ისევ ნისლი და ვეშაპი:

„მთის წვერებზედ დალაგებულიყვენ ნისლები, და ზღვის ნაპირზე დაძინებულს ვეშაპს მოაგონებდნენ კაცს. ნისლს ვერ შეეპყრო მხოლოდ საშავარდნის კლდე, რომელიც ცის ტატანზე მკერდ-ჩავარდნილი და თავწამოხრილი იდგა გახარებული. შავი, დაღმეჭილი, მრისხანე პირისახე ეხლა გაჰხარებოდა; იმას ღიმილივით ეტყობოდა ღრუბლებიდან გამოპარული მთვარის მკრთალი სხივების თამაში პირზედ“³.

ფშაველმა ვაჟკაცებმა მტრებს ტყვე-

ები გამოსტაცეს. ბროლოში გამოიღრღრა დაეცა გიგლია, ვის გამოც თვამთავრებოლად ტირის ტყვეობიდან გათავისუფლებული „გოდერძანთ ქალი“. ამ ტირილის ძალას გამოხატავს პოეტი სიტყვებით:

იმის ნაცრემლის ნისლებმა მეც ამირიეს კვალია¹.

ნისლივით თმა ქალისა — ვაჟკაცის „ტყვიდამ ამრევი“:

სულ თავში გოგოც ვინმე ზის ტურდა, ლამაზი რამაო. ტყვიდამ არი, სტუმარი იმის ნისლივით თმამაო. წამოდგა ქალი ფეხზედა, თითქოს იღვრა ცამაო, — ჰაერში გაიკრიალა მისმა ზარივით ხმამაო².

„ნადირთა პატრონი“ (პატარა ქალი) გრძელ, ხშირ თმაში ისეა გახვეული, როგორც ნისლში:

„ციდან ჩამოეშვა ხშირი, გრძელი თმით, თითქოს ნისლში გახვეულიო, პატარა ტანის ქალი ღვთიურის სახით, ღვთიურის თვალებით. ტანზე ყვავილებისა და ფოთლების კაბა ეცვა. ჩამოეშვა ციდან და ჩაიმალა ტყეში“³.

ხეცსურები სტუმრად არიან, ღრეობენ, თასებით ლუღს სვამენ, ფანდურს უკრავენ, საგმირო ამბებს უმღერიან, ხოლო:

მოხუცი ჩიბუხებს სწევდენ, ბოლი ეხვიათ ნისლად, განმარტავდიან მათ ამბავს, შანდობა თქვიან გმირთადა⁴.

გუდანის ჯვარის ღღესასწაულზე ხალხი იღუნეს, ერთობა. აქაც:

თავზედა ჩიბუხებისა ხალხს ნისლი აწვეს ხშირია,

¹ ტ. II, „გიგლია“, გვ. 15.

² ტ. II, „ხის ბიჭი“, გვ. 119.

³ ტ. III, გვ. 449.

⁴ ტ. II, „გველის-მჟამელი“, გვ. 168.

¹ ტ. III, „ვერხვი“, გვ. 321.

² ტ. I, „სიზმარი“, გვ. 360.

³ ტ. V, „აფხუშობა“, გვ. 39.

საუბრის საგნად ისა ჰყავთ,
ვინაც ყოფილა გმირია.

ყალივნების ბოლი ცეცხლის ბოლს
ჩრდილავს.

ხინკალს ნისლივით ოხშივარი ასდის:
„ხინკალს“ ნისლივით ოხშივარმა და-
უწყო ადენა და ჩვენც მოუთმენლად
მოველოდებოდით, რომ ჩქარა ხონჩა
მოეტანათ...“¹

„ბურის ჭამა გავათავეთ და სუფრა
გადავდგით. არჯალამ და პაპაჩემმა ჩი-
ბუხები გააჩაღეს, იმათი ყალივნების
ბოლი ცეცხლის ბოლს სჩრდილავდა და
ნისლივით ადიოდა „საკომში“².

თოვლიან ღამეში ნისლი სოფელს
საბნად ჰხურავს:

„ქვეიდან, შორს სოფლიდან გაურკ-
ვეველ უჩრამული ისმოდა; სახლებიდან
ამონადენი ბოლი ნისლად, ჯანდად ზედ
გადასწოლოდა სოფელს, საბნად
ეხურა³...
ხეობაში

ჩრდილოეთისკენ მთები მოსჩანდა,
თავს დაჰნათოდა იმათ ცისკარი
და ხეობაში ნისლი ჰბოლავდა
ლურჯი და ლაღი, ცის მინაგვარი⁴.

სოფელს დასცქერის მთა ნისლოვანი:
„მუცელა ჩაჰყვა ერთს ფლატო ხეე-
სა, ბილიჯზე მიდიოდა, ამ დროს დაი-
ნახა მთა ნისლოვანი. გულმა გაუფარ-
თხალა. სთქვა: „ახ, როდის იქნება,
მთავ, შინ ვიჯდე და ძირიდან შემოგ-
ცქეროდე!“⁵

ნისლებში მთა ძლივს მოჩანს:

ნისლებში მოსჩანს
ძლივას ქალის მთა.
მასზე ნაძვის ტყე
სჩანს, ვით ყორნის ფრთა⁶.

ჯავარა ჩქარობს ცხვარ-ძროხის/მო-
ნახვას:

„ნისლები მოდის, ღამდღე^{გაქრდეს}
ვინ იცის, ის ცხვარ-ძროხანი წამივლენ,
ღამეიკარგებიან“¹.

მდინარეზე გემი მიცურავს:

გემის პატრონსა
აღეჟსი ჰქვიან,
გასცქერის შორსა
(ნისლები დიან)².

ქალი მონოზნად შედგა, მაგრამ მო-
ნოზნის ტანისამოსში „ძველებრივ
სძგერდა გული ცოდვილი“. ლოცვისა
და გალობის დროს მას თავისი დაღუ-
პული საქმროს შემაშფოთებელი ხმა
ესმის:

ხმა შემოესმა ნაცნობი, ძვირი
და საქმეელისა ხშირს ბურან-ნისლში
ჰკრთოდა, სცურავდა იმისი პირი.
უხმობს თავისთან, უქნევს თან ხელსა³.

სიზმრად ნახული სამოთხე როცა
ჰქრება „ნისლში ეხვევა სამყარო მთე-
ლი“.

გაჰქრა ჩვენება, ვით სუღარაში,
ნისლში ეხვევა სამყარო მთელი,
მიუუჩ-მოუუჩდა სრულად ბუნება,
თითქოს სიკვდილსა დაედევას ხელი.
დაბებრა ქარმა, ნისლი გაფანტა,
ჩამავალი მზის ბედკრული სხივი
ეაღერსება მთა-ბარს ნაღვლიანს
და მას იხუტებს ბუნება ცივი⁴.

ცას მეტი საქმე არა აქვს — ხან მო-
იწმინდავს, ხან მოიღრუბლება:

„ბუნებამ ფერი იცვალა, გორებს
ნისლები მოედო, ცამ ნაღველი და-
იტყო შუბლზე, იგი ჯავრობდა, ვილა-
ცას ემდუროდა. მეტი ან რა საქმე აქვს

¹ ტ. II, „მანდილი“, გვ. 285.

² ტ. III, „საშობაო მოთხრობა“, გვ. 149.

³ იქვე, გვ. 150.

⁴ ტ. III, „ამოდის, ნათლება“, გვ. 297.

⁵ ტ. IV, „ქაჯი“, გვ. 306.

⁶ ტ. IV, „ქალის მთა“, გვ. 324.

¹ ტ. IV, „მოკვეთილი“, გვ. 259.

² ტ. IV, „ქალის მთა“, გვ. 323.

³ ტ. IV, „ქაჯი“, გვ. 305.

⁴ ტ. IV, „საქართველოს ოცნება“, გვ. 286.

ცას? ხან მოიწმინდავს, ხან მოიღრუბ-
ლება. საქმე ისაა, ცის ქვეშ რა ხდება,
რამდენი რამ საკვირველებაა. განა იმა-
ზედაც შეიძლება ვთქვათ: ხან მოიწ-
მინდავს, ხან მოიღრუბლებო? არა, ეს
არ კმარა, იქ ბევრი რამ არის ერთმა-
ნეთში არეული: ზოგს ჰკვა ჰქვიან,
სხვას გრძნობა-ვნებანი, ცოდვა, მადლი
და სხვ. და სხვ.“¹

ერთი მუხა „ბოროტი სულის ბუდედ
არის ცნობილი“. წყვედიდში ბოროტი
სულები ამ მუხის ტოტებზე გალობენ.
ამიტომ მას ყველა ერიდება ამ ადგილას
ლამით მარტო გავლისას.

მუხის ქვეშ ვნახე რალაც **ნისლივით**,
თვისთან მიწვევდა შიშელის მკლავითა².

კაცი მოდგა **ნისლივით**:

ეს ვინღა მოდგა **ნისლივით**,
თითბრით ნაზიკის ხმალითა.
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა³.

მუშაკაცს პურის მკის დროს გაოფ-
ლიანებულ ბეჭებზე **ნისლი** ასდის:

ბევრჯერ უნახავთ, ხუმარას
მარტოს მოემკოს დღიური;
ბეჭებზე **ნისლი** ოფლისა,
ნისლი ენკენისთვიური
რომ ასდიოდეს მუშასა,
ბოლად და კვამლად ქიეთული⁴.

მარჯვე მკელი „ცეცხლად ედება ყა-
ნასა, ჰკაფავს უღმერთოდ, მედგრადა“:

დაკვივის როგორც მთის ქორი,
და ნაბუერი ყანისა
ნისლად დაედვა მიწდორსა,
როგორც ციავი ღამისა⁵.

მართალ კაცს, რომელსაც ვაჟა საბ-
რლოს უწოდებს, არწივი იტაცებს:

დასწვდა კლანჭებით საბრალს,
შეთამაშა ცაშია,

დინთქა თავის მსხვერპლითურთ
ღრუბელ-**ნისლების** ზღვაშია¹.



ქართული
ენების
სწავლის
ინსტიტუტი

ფშაველებმა ქისტის **ლაშქარო** დას-
მარცხეს და მათი ცხვარი და ხარი გა-
მოირეკეს:

ლაშარის გორზე შამოდგა
ათასი ქისტის ცხვარია,
ასი კურეტი რქა-თფორი,
ორასი **ნისლა** ხარია...
თან მაჰყვა დროშის ეღვრითა
გამარჯვებული ჯარია².

როცა ზარბაზანს (-დურდურას) ისე-
რიან, მიწა იძვრის და ისეთი ბოლი
ჩნდება, რომ **ნისლი** გეგონება. ხევესური
ამბობს:

„ტილო დურდურაო, რარიგს ბოლ
გამაჰყუდნებს, **ნისლ** გეგონების, მიწან
იძვრიან“.

სურათი ბრძოლ-ს შემდეგ ყარსის
ბოლოს:

ძირს ვაეე არის გადათელილი,
ზედ წამლის **ნისლი** თხლად გაწოლილა;
მზის შუქი, მასში გამოპარული,
თოფ-იარაღზე **ნისლით** ჩაიცილა³.

სასაცილო სურათი: დუნია ხალხი,
ჯარი რომ გეგონება იმდენი, მიაჭენებს
ცხენებს; ისმის ყვირილი, კიჟინი; აუა-
რებელი ძაღლების წკავწკავი და ყეფა
არემარეს აყრუებს; გახურებული თო-
ფის სროლაა:

„წამლის ბოლი და მტვერი, ერთმა-
ნეთში არეული, **ნისლივით** ფურს“⁴.

თურმე, მთელი ეს ამბავი ერთი კურ-
დღლისათვის ხდება, ერთ კურდღელს
მოსდევნ.

ნისლი აბლაბუდასავით გაბმული
ბლის, ალუბლის და ქლიავის ტოტებში:

¹ ტ. II, „უიღბლო იღბლიანი“, გვ. 207.
² ტ. I, „გოლაშქრება ლაშარის-ჯვრის დრო-
შით“, გვ. 73.
³ ტ. I, „ყარსის ბოლოს“, გვ. 415.
⁴ ტ. III, „კურდღელი“, გვ. 55.

ბორის ნანიტაშვილი
ვაჟას საყვარელი სახეები

¹ ტ. IV, გვ. 572.

² ტ. IV, „ორღენელი ქალი“, გვ. 352.

³ ტ. II, „აღუდა ქეთელაური“, გვ. 36.

⁴ ტ. I, „ხარისთვის უდიერი“, გვ. 178.

⁵ ტ. II, „უიღბლო იღბლიანი“, გვ. 194.

„შემოდგომის უნეტარიანი დილა იყო, ნისლი აბლაბუდასავით იბმოდა ხეტეს სახლის წინ, ბლისა, ალუბლისა და ქლიაგების ტოტებში. სთხოვდა რასმე, თუ რამ მოუტანა გაცვრცილს ხეებს, დღესაც არავინ იცის. ეტყობოდა, ნისლი დიდხანს არ უნდა დარჩენილიყო ხეტეს ეზოში: დილის მზის სხივს ელოდა მხოლოდ, რომ იმას უსაქმურად არ დანახებოდა, ვგონებ იმიტომ უფრო დაფუსფუსებდა. ჰნახავდა რა მზის შუქი წავიდოდა და იქვე მახლობელ სერზე დაისვენებდა გაბუტულ პატარა-ძალივით“.

ნისლის ფუსფუსს ამ ეზო-გარემოს პატრონი — ხეტე ყურადღებას არ აქცევდა:

„ხეტე ნისლს ყურს როდი უგდებდა. გულმოდგინედ დერეფანში გოდორსა სწნავდა“¹.

მესტირე, რომელსაც სურს ანუ გეშოს დაჩაგრული, იმის წყლულს წამლად დაედოს, იმის გულიდან ნაღველი მოხსნას, ქვეყნად ძმობა, ერთობა და სიყვარული დაამკვიდროს, — ვერსად, ვერც სოფლად, ვერც ქალაქად საამისო ძალას ვერ პოულობს და მთა-კლდეს მიაშურებს, რათა მძინარე ამირანი გააღვიძოს:

სტირს ენა უხსენ, ავჯღრიალე,
ახლოს მივსდექ და კლდე ვაგრიალე —
ყრუ მთა-კლდე, მარტო ნისლით
შეპყრული —
ცხოველის ხმით მე ავაზრიალე².

და მესტირე კიდეც აღწევს მიზანს — ამირანი იღვიძებს, ჯაჰვს წყვეტს, ჰეჰა გააქვს მთასა და კლდეს. წელში გაშლილ ამირანს „მხრებში მიჰყვება სვეტათ ნათელი“. ის მიდის, რომ ბოროტების მკედლები შემოუსროს.

ვაჟა წინააღმდეგია იმისა, რომ მწერალმა თავისი შემოქმედება ნისლით და ჯანლით შებუროს. ის ამბობს:

„რამა გამოსადეგი ჩვენი შემოქმე-

დება, რომ პოეტებმა საიდუმლოების ნისლით და ჯანლით შეგებურობა? შეგებულ მათ ვითომ ძალა და მნიშვნელობა დაეკარგებათ? სრულიადაც არა... ჩვენი ნაწარმოები, თუ ნამდვილად პოეტურია, არაფერს წააგებს, პირიქით, იქნება კიდეც მოიგოს, შემოქმედების საიდუმლოება რომ გამოვამჟღავნოთ“¹.

აი თითქოს ყველაფერი, რაც ვაჟას შემოქმედებაში ნისლთან, ნისლის სახესთან არის დაკავშირებული. ვამბობთ — თითქოს, რადგან შესაძლებელია ჩვენდაუნებურად რაიმე გამოგვჩინა, რაიმე ვერ შევამჩნიეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სრული სურათის მოცემა გვქონდა განზრახული.

ვაჟას სახეების, შედარებების, მეტაფორების ოქენადან ამ ერთის გამოყოფა და მისი ცალკე ჩვენება ადასტურებს, თუ რა ამოუწურავია მხატვრული აზროვნების სამყარო, რა მრავალმხრივ შეიძლება ერთი საგნის, ერთი მოვლენის, ერთი საღებავის გამოყენება სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა სურათის ხატვის დროს, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

ვაჟა ბუნების საგნებს, მოვლენებს მართალია განასულიერებს, ადამიანურ თვისებებს — გონიერებას, გრძნობიერებას მიაწერს, მაგრამ თვითონ არც ანიმისტია და არც ჰილოზოისტი. მან კარგად იცის, რომ აზროვნება, მეტყველება, საგნების, მოვლენების ესთეტიკური შეფასება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი ნიშანია. ბუნების საგნების, მოვლენების განსულიერების, მათთვის ადამიანური ნიშან-თვისებების მიწერის განსაცვიფრებელი, განუმეორებელი ოსტატი ვაჟა-ფშაველა თვითონ აცხადებს, რომ ბუნებას არც თვალეზი აქვს, არც თავი და ჰკუთნა საიდან ექნება რაც უნდა ეცადოს, ის ლოდებს ხმას ვერ ამოაღებინებსო, ლოდების, ხმელი წიფლის, შვლის ნუკრის, ჩხიკვის, იას,

¹ ტ. IV, „ოპ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტყბილო“, გვ. 24.

² ტ. II, „დაჩაგრული მესტირე“, გვ. 329.

¹ ტ. V, „ფიქრები ეფეხისტყაონის“ შესახებ“, გვ. 281-282.

ქუჩის მაგივრად თვითონ ლაპარაკობს, თავის გრძნობა-განცდებს, თავის შეხედულებებს გამოხატავს და გადმოგვცემსო. საპროგრამო ლექსში „ნუგეში მგოსნისა“ ეს აზრი ვაჟას ბრწყინვალედ აქვს გამოხატული. მგოსნის ნუგეში ის არის, რომ „ქვეყნის სარგოდა ფიქრით გამსჭვალულს“, ავი არადროს ჩაუდენია, „მიწას მიწურად და ცას ციურად“ ეთავაზება, „ქვემძრომად არ უბობღია“, მის ტურფა მხარეს ზედ დაათარა „სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი“, „მამა-პაპათა აკლდამებიდან“ „გმირთა აჩრდილი“ გამოიწვია, ისინი, ეს გმირები, ხელის ერთი შეხებით გააცოცხლა, თავზე დაფენის გვირგვინი დაადგა და წელი ისევე ხმლით შეუშკო, სამშობლოს სიყვარული თანამომძედ აუწყა მედგრად, ნალარით, დაფით, შემდეგ:

უსულო საგნებს სული ჩაებერე,
ავასუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა! 1

1 ტ. I, „ნუგეში მგოსნისა“, გვ. 129.

მართლაც! მართლაც მადლი ევინა მარჯვენაზე დიდ მგოსანს, რომელიც მკვდარი გააცოცხლა, უსულო საგნებს სული შთაბერა და ადამიანურად აამეტყველა.

ვაჟამ შესანიშნავად იცის, რომ ნისლი ისევე, როგორც ბუნების ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა, თავისთავად არც ავია და არც კარგი, რომ ნისლი არც გველია და არც ვეშაპი, არც გრძნობს და არც აზროვნებს. მაგრამ ნისლს ადამიანისათვის ზოგჯერ კარგი მოაქვს და ზოგჯერ ავი, ზოგჯერ ახარებს და ზოგჯერ აღონებს, ზოგჯერ იმედს და მხნეობას მატებს და ზოგჯერ სასიოებას უსპობს.

ვაჟას მიერ ადამიანის გრძნობების, ფიქრების, ოცნების, სიხარულის, მწუხარების, მისწრაფებების, იდეალების გამოსახატავად ნისლის სახის, ისევე, როგორც ბუნების მრავალი სხვა საგნის, მოვლენის გამოყენება სამყაროს მხატვრული შემეცნების, მისი მხატვრული განვითარების გზაზე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია.

ბორის ნანიტაშვილი
ვაჟას საყვარელი სახეები



მამია ჩოგოლაშვილი

ისევე, როგორც საქართველოს დედაქალაქს, მის ტრანსპორტსაც აქვს მდიდარი და საინტერესო წარსული.

იმედია, ეს ნარკვევი დაეხმარება ჩვენს ახალგაზრდობას, წარმოდგენა იქონიოს თბილისის ტრანსპორტის განვითარების ისტორიაზე.

ავტორი

აქლემების ქარავნიდან საბავირო გზამდე

ცოტა რამ ისტორიიდან

ვახუშტი ბატონიშვილს ძველი თბილისის თავის ცნობილ გეოგრაფიაში ასე აქვს აღწერილი: „ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს. სახლნი ნაშენნი არიან ქვატალახითა და ვალესილი გაჯითა. ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითაჲრისანი არიან, გარემო ქალაქისანი წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხელითა და ყვავილთა სავსეა განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი (მეიდენები) უშვერნი. ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვითაჲრისა.“

მართალია თბილისი პატარა ქალაქი იყო, მაგრამ თავისი სილამაზით, თავისებური არქიტექტურით იგი ხიბლავდა მნახველებს.

გამოჩენილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში 1671 წელს იყო, წერდა: „ტფილისი შვენიერი ქალაქია, არტყია ლამაზი და მავარი ვალავანი...“

მეორე უცხოელი მოგზაური იოსებ დელაპორტი, რომელმაც თბილისი შარდენის შემდეგ თითქმის ერთი საუ-


კუნით გვიან ნახა, აღტაცებული წერდა: „ტფილისი ვრცელი არ არის, მაგრამ ლამაზია. მასში არის ფრთხილ კარგი შენობები, პალატები...“

ამ ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ მშვენიერების სამკვიდრო...“

ძველი თბილისის ტერიტორია მტკიცედ ნაგები ვალავნის შიგნით იყო მოქცეული. მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში შარდენისეული „ლამაზი და მავარი ვალავანი“ სიმაგრეებითა და კოშკებით იწყებოდა ვარზაბაკურის დროს აშენებული შერის ციხიდან (ახლანდელი კომკავშირის ხეივანი), მიემართებოდა ჩრდილოეთით და ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩით მიდიოდა მდინარე მტკვრამდე. ხსენებული ვალავნის ნაწილი დღესაც დაცულია სამასი არაგველის ბაღში.

მაშინდელი თბილისის სიგრძე ორ კილომეტრზე მეტი არ იყო, სიგანე კი ნახევარი კილომეტრი თუ იქნებოდა.

თბილისს ძალზე მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნების ვაჭრები.



ძველი თბილისი (გარეუბანი), ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი

აი, რას მოგვითხრობს მეჩვიდმეტე საუკუნეში თბილისში მყოფი მისიონერი სერაფინო მელიკოკანელი: „ტფილისში განუწყვეტლივ ერთმანეთს ხედებიან ყოველი მხრის ვაჭრები — სპარსეთიდან, ალექოიდან, სმირნიდან, კონსტანტინეპოლიდან და მთელი საქართველოდან...“

ფრანგი მოგზაური პესიონელი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საგანგებოდ დაათვალიერა საქართველო, წერდა: „თბილისში ყოველდღე მოდიან ქარავნები განჯიდან, შამახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან და არზრუმიდან. თბილისში იშოვება ბლომად ურემი და ცხენები ძლიერ იაფად, ყოველს თვეში იქიდან გადის 150 — 200-მდე კარგი ურემი ერევანს, თავრიზსა და არზრუმში...“

სწორედ თბილისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ფართო მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში საფუძვლად დაედო საქართველოს დედაქალაქის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას.

გალავანში მომწყვდეულმა ქალაქმა ციხე-სიმაგრის კარები გამოაღო და ახლანდელი რუსთაველის პროსპექტისაკენ იწყო განაშენიანება.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. თბილისი დიდ თანამედროვე ქალაქად იქცა.

თანდათანობით ვითარდებოდა საქალაქო ტრანსპორტიც, მამაპაპური ურმის ნაცვლად თანამედროვე თბილისში ელექტროფიცირებული ტრანსპორტი მუშაობს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის

პირველი მერცხლეზი

თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების თარიღად მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისს მიიჩნევენ. ამ დროისათვის დედაქალაქში მიმოსვლისა და ტვირთის გადასაზიდ საშუალებას ძირითადად მამაპაპური ურემი, მარხილი, საბარგული, ტივი, ბორანი, ნავი და ცხენი

წარმოადგენდა. ეს იყო ტრანსპორტის პირველი სახე რკინიგზის გაყვანამდე, თუმცა თბილისის ქუჩებში აქლემების ქარავნებსაც ხშირად ნახავდა კაცი. თბილისის ქუჩებში ყოველ ფეხის ნა-

მამია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბაგირო გზამდე

ბიჯზე შეხედებოდით მენახშირეებს, რომლებიც სახედრებით დაატარებდნენ ნახშირს, ხოლო ფალანშოკიდებული ანუ, როგორც მათ ეძახდნენ, „კურტინიანი მუშები“, თათრის მოედანზე საათობით ელოდებოდნენ დამქირავებელს.

თბილისში თავდაპირველად სამდინარო ტრანსპორტმა იწყო განვითარება. განსაკუთრებით დიდი გასავალი ჰქონდა ტივისა და ბორანს. ორთაყვირებიანი ტივიდან ხშირად ისმოდა ვაჟკაცური, ომახიანი მეტიური:

სატიოზე ტივი შევკარ,
ტივი არის ნაძვის ხისა,
ორთაყვირები მოვასხი,
მოსასმელი არის წყლისა.

ტივრთის გადასატანად როდი ეყენებენ, მასზე ხშირად ქორწილებსა ეყენებდნენ. მართავენ.

აი, როგორ აგვიწერს ტივზე ქორწილის ამბავს იოსებ გრიშაშვილი თავის „საიათნოვაში“.

„მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადაბამდნენ და მტკვარზე ქორწილს იხდიდნენ: აქეთ ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ეჯიბით და მღვდელებით, იქით ნაკვთიანი ბიჭები ორთაყვირის ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში.“ ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დღუღუჭზე, მეორე მხარეს ცეცხლი ჩახახებდა, რომელზედაც წყლით სავსე კოჭობი იდგა ცოცხალი თევზებისათვის.“



ბირჟის ეტლები ერევნის (ახლანდელი ლენინის) მოედანზე

ჩემო ტივო, მაშინ ვაქებ,
რომ ქალაქში ჩასულიყო,
თავს მუშტარი დავხვეოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო.

ტივთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. ტივი იმდროინდელი თბილისის უცილობელი ატრიბუტი იყო. როგორც მემეტნიანე ვადმოგვეცემს: „ტივის მეშვეობით ანანია გლახას მეტეხის ციხე აუფეთქებია.“

ტივს მარტო მგზავრობისათვის და

ცნობილია ერთი საინტერესო ფაქტიც: კერძოდ, ისტორიკოს პლატონ იოსელიანისა და მხატვარ გიორგი გაგარინის მოგზაურობა ტივით. ამ მოგზაურობას თვითონ პ. იოსელიანი ასე აგვიწერს: „ტკბილია ტივზე ჯდომა და სიარული მტკვრის გზითა. გიორგი გაგარინმა მოინდომა წამოსვლა გორიდან თბილისის და ვიარეთ ამ გზით მე დამან 1851 წლისა სექტემბრის თვეში. დილით წამოსული მოვედი მეორე დღესა 8 რიცხვსა ქალაქსა თბილისსა.



გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტი

ტივზე მჯდომელნი თავისუფლად და დაუბრკოლებლად ვიკითხავდით წიგნთა და ვწერდით. ესე ქმნა მან, რათა შეაჩვიოს ქართველნი ტივითა შამოსვლასა თბილისად, მაგალითათა მით, რომელ ტირულში მდინარითა აზარ, შევლნენ ესრე ტივითავე მუნხენში“.

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსისა და მხატვარის ტივით მოგზაურობა საფუძვლად დაედო ზ. ანტონოვის კომედიას „ტივით მგზავრობა ლიტერატურთა“, რომელიც 1852 წელს წარმოადგინეს კიდეც თბილისის თეატრის სცენაზე.

მტკვრის გაყოლებაზე მოწყობილი იყო სპეციალური მისადგომები, რომლებსაც „სატიოს“ ეძახდნენ. სატიოები თბილისელთა საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. მათ გარშემო გაშენებული იყო ბაღები, ხალხს განსაკუთრებით იზიდავდა ვერის უბანში მოწყობილი სატიო, აქ მრავალი გამოჩენილი მოღვაწისათვის გაუმართავთ საღამოები. როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, სატიო ნიკოლოზ

ბარათაშვილის საყვარელი ადგილი ყოფილა.

მდინარე მტკვარზე ტივის გამოჩენამ მაშინდელი საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტის განვითარება გამოიწვია, კერძოდ, გამოინახა საშუალება თბილისის ერთი უბნის მეორესთან დაკავშირებისა. მტკვრის ვიწრო ადგილებში გაიკიმა ფოლადის ბაგირები, რომლებზედაც ბორანი იყო გამობმული. ბორნების რაოდენობა თბილისში ხიდების მშენებლობის გამო თანდათანობით მცირდებოდა. 1955 წელს კი დიდუბეში მოიხსნა უკანასკნელი ბორანი. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ თბილისში პირველი ბორნის მოხსნიდან უკანასკნელი ბორნის მოხსნამდე 71 წელი გავიდა. პირველი ბორანი მოხსნეს ვერის ხიდთან 1884 წელს.

სამდინარო ტრანსპორტის გვერდით სახმელეთო ტრანსპორტმაც იწყო გან-

მამია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბაგირო გზამდე

ვითარება, თუმცა იმ დროისათვის თბილისში ქვაფენილი არ იყო და წვიმიან ამინდში ქუჩებში საშინელი ტალახი დგებოდა.

„ქალაქში, — გადმოგვცემს ბარონი ტორნაუ, — არ იყო ქვაფენილები. ეს მშრალ ამინდში არ იგრძნობოდა, მაგრამ საკმარისი იყო ცოტა წამოეწვიოდა, რომ ქუჩებში გაუვალი ლაფი დგებოდა. თვით საქართველოში თავადაზნაურობა, კაცი და ქალი უმეტეს შემთხვევაში მოგზაურობდნენ ცხენებით, იშვიათად ურმით ან ტახტრევნით“.

მე-19 საუკუნიდან დაწყებული თბილისის ქუჩებში ურმების ნაცვლად ჩნდება რკინის სალტეებიანი ერთ-ცხინიანი გადაუხურავი ეტლები. მალე

ოროლა ეტლს გვერდში ბირუს ეტლებიც ამოუდგა, მათმა ზოომობაში 550-ს მიაღწია. „დროშეები გასწვრივებული იდგნენ შუა ბაზარში მადათვის მოედანზე. თბილისის მედროშენი ისე დაქროლებდნენ თავიანთ ცხენებს, რომ მგზავრებს შიშის ზარსას ცემდნენ,“ — წერს ტორნაუ.

1790 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ოჯახით დაბრუნებულმა გარსევან ჭავჭავაძემ ჩამოიტანა პირველი კარეტა. იონა მეუნარგია მოგვითხრობს: „ბელისაგან განებვიერებული ალექსანდრე თავისი ფრანკუზის მეცნიერებას ისმენდა და თავისუფალ დროს დასეირნობდა მამისაგან ჩვენში გადმოყვანილი კარეტით“.



კონკა ძველი თბილისის ქუჩებში

ქალაქში მოძრაობას იწყებს ორცხენიანი ეტლები, რომლებშიაც ოთხი მგზავრი თავსდებოდა.

რკინის სალტეებიანი ეტლები ქალაქში დიდ ხმაურს იწვევდა, ამიტომაც მალე იგი რეზინის საბურავებიანი ეტლებით შეცვალეს.

პირველი ასეთი ეტლის მფლობელი იყო ვინმე მეეტლე ცაყანა. თითო-

თბილისიდან ქალაქის გარეუბნებში (კოჯორში, წყნეთში, მანგლისში და სხვ.) სამგზავროდ ძირითადად დილიქანსსა და ომნიბუსს იყენებდნენ. ორივე სახის ტრანსპორტი გადახურული იყო და იტევდა 20 მგზავრს.

კავკასიის მიმართულებით რეგულარულად მოძრაობდა საფოსტო კარეტები და ფორნები.

1826-28 წლებში სპარსეთთან ომის დროს თბილისში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი სახის ტრანსპორტი — „კალიასკა“. იგი თბილისის პირველ სამხედრო გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტ ნ. სიპიაგინს ეკუთვნოდა.


თუ კვლავ ბარონ ტორნაუს რწმუნებას დავუყრდნობით, „1832 წელს თბილისში სულ რვა თუ ათი კარეტა და კალიასკა ყოფილა“.

მოდასაყოლილი ქართველი თავადაზნაურობა ოცნებობდა საკუთარი კალიასკის, დროშკისა თუ ეტლის შექმ-

ნაზე. პირველი მანეთი ოქროთი. პირველ ხანს გავიფიქრე, ახლად მოსულნი ვართ მოუცდელით ისარგებლა მეთქი, მაგრამ მითხრეს, ფასი სწორედ ასეთიაო“.

კარეტას, კალიასკას, დროშკას, ეტლს „ოდინოჩკაც“ (ერთცხენა) მოყვა. სწორედ ასეთი „ოდინოჩკას“ პირველი მსხვერპლი გახდა გამოჩენილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ჩამოთვლილი ტრანსპორტი, რა თქმა უნდა, არ იყო ხელმისაწვდომი და მო-



კონკა, კარიკატურა

ნაზე. აი, რას წერს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას: „ჩემო ილიკო, პირობაზე როგორ ხარ? თრიბელიუზის კალიასკა რომ დამპირდი, აბა სად არის? ამ მოხუცებულობაში მაშ რით ვიარო?“

დროშკებითა და აქლემებით მგზავრობა არც თუ ისე იაფი იყო. დიდი რუსი პოეტი პუშკინი შენიშნავს: ეტლით ორ ქუჩას გადავედი და ნახევარი საათის შემდეგ გავათავისუფლე მეეტლე, მაინც იძულებული გავხდი

სახლეობის მოთხოვნილებას ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა.

თბილისის ტერიტორიისა და მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ახალი, შედარებით სრულყოფილი ტრანსპორტის შექმნა, თბილისის ქუჩებში გაჩნდა დილიჩანსი, ომნიბუსი, ხოლო გასული საუკუნის შუა წლებში რელსის გამოგონებამ საფუძველი ჩაუყარა სალიანდაგო გზის მშენებლობას.

ცხენის რკინიგზა — კონკა.

1837 წელს გაიყვანეს რკინიგზა პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შორის. გზის სიგრძე 26 კილომეტრი იყო. 1851 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ლენინგრადისა და მოსკოვის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი. 1883 წელს კი მოძრაობა გაიხსნა ბაქო-თბილისის ხაზზე.

პირველი სარკინიგზო მიმოსვლების წარმატებებმა საფუძველი ჩაუყარეს ქალაქებში რკინიგზის ხაზების მშენებ-

ლობას, რის საფუძველზედაც პეტერბურგში 1860 წელს გაიყვანეს ცხენიანი სატვირთო რკინიგზა, ხოლო 1864 წელს კი სამგზავრო.

1872 წელს მოსკოვში პოლიტექნიკურ გამოფენაზე სამხედრო ტვირთების გადასაზიდად გააკეთეს ცხენიანი რკინიგზის პირველი ხაზი.

მამია ჩორგოლაშვილი

აქლემების ქარავნიდან საბავირო გზამდე

და აი, 1883 წელს საქართველოს დედაქალაქშიც გამოჩნდა პირველი საქალაქო სარელსო ტრანსპორტი, რომელიც იმ დროისათვის საზღვარგარეთელი კაპიტალისტების მოგების წყაროს წარმოადგენდა.

1881 წლის 11 აპრილს კონცესიონერი დრეჟვეცი ქალაქის სათათბიროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უფლებას იღებს თბილისში ცხენის რკინიგზის გაყვანასა და მის ექსპლოატაციაზე. ერთი წლის შემდეგ დრეჟვეციმ თავის უფლება გადასცა სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ შვეცოვს, რო-

გააუმჯობესა კავშირი მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ქალაქის ყველა უბანს შორის.

ცხენიან რკინიგზაზე მოძრაობდა პატარა ღია ვაგონები, რომლებსაც ჰქონდა გადასახსნელი ზურგიანი საჯდომები და გრძელი საფეხურები.

კონკის ვაგონები მოძრაობას იწყებდა დილის შვიდ საათზე და ამთავრებდა ღამის პირველ საათზე.

გაჩერებები არ არსებობდა. ვაგონებს აჩერებდა კონდუქტორი მგზავრების მოთხოვნილების მიხედვით, თუმცა აღმართსა და დაღმართზე გაჩერება აკრძალული იყო.



ძველი ფუნიკულორის ზედა სადგური

მელმაც თავისი სააქციო საზოგადოების უფლება მიჰყიდა ბელგიის ანონიმურ საზოგადოებას.

ბელგიელებმა 1883 წელს აამუშავეს კონკის პირველი ხაზი, იგი რკინიგზის სადგურს ვორონცოვის (ახლანდელი კ. მარქსის) მოედანთან აკავშირებდა. კონკის პირველი მარშრუტის სიგრძე 2419 მეტრს აღწევდა.


აღსანიშნავია, რომ ომნიბუსისა და დილიჟანსის შემდეგ ახალი სახის ტრანსპორტის შემოღებამ შესამჩნევად

1888 წელს კაპიტალისტებმა ყორღანოვმა და შახ-ბუღაგოვმა ქალაქის სათათბიროს ავჭალის ხაზზე კონცესიის მიღება სთხოვეს. ხაზი გაიყვანეს კიდეც რკინიგზის სადგურიდან ნეკრასოვის ქუჩამდე. მისი სიგრძე ორ კილომეტრს უდრიდა.

მოგვიანებით ყორღანოვსა და შახ-ბუღაგოვს შორის, ჩანს, უკმაყოფილებამ იჩინა თავი, ამის შედეგად შახ-ბუღაგოვმა ყორღანოვთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. მალე მისი

ადგილი კონცესიონერმა ალიბეკოვმა დაიკავა.

მალე დავა ყორღანოვსა და ბელგიის ანონიმურ საზოგადოებას შორისაც წარმოიშვა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ქალაქის სათათბიროსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ბელგიელების ვარდა, კონკის ხაზების მშენებლობის უფლება ქალაქში არავის ჰქონდა, ხოლო ყორღანოვის კონცესიაზე ანონიმურ საზოგადოებას თანხმობა არ განუცხადებია. ამიტომაც ეს საზოგადოება ყოველნაირად ეწინააღ-



დღევანდელი ფუნიაქლორის საერთო ხედი

მდეგებოდა ავჭალის ხაზის მშენებლობას, თუმცა ხაზი მაინც გაიყვანეს და როგორც მაშინ ამბობდნენ, „ყორღანოვის კონკამაც“ დაიწყო მოძრაობა.

ბელგიელთა სამმართველო და პარკი ახლანდელი ტელმანის ქუჩაზე იყო, ხოლო ყორღანოვის კი ავჭალისა და ანტონოვის ქუჩების გადაკვეთასთან.

1891 წელს წამოიჭრა დიდუბე-ნავთლულის ხაზის მშენებლობის საკითხი.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი მოთხოვნებისა, ანონიმურმა საზოგადოებამ ამ ხაზის მშენებლობაზე უარს განაცხადა, მშენებლობა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ხოლო შემოსავალი კი ცოტა იქნებოდა.

1895 წლის 10 აპრილს ქალაქის სათათბირომ განიხილა ბელგიელთა კუთვნილი ცხენიანი რკინიგზის შესყიდვის საკითხი, რომელსაც 1896 წელს ვადა გაუდიოდა. სათათბიროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ძირფესვიანად შეისწავლა კონკის მუშაობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ბელგიელებს ყოველწლიურად ცხენის რკინიგზის მძარცველური ექსპლოატაციის შედეგად სუფთა მოგების სახით ზრებოდა შემოსავლის 30-41 პროცენტი.

იმ დროისათვის ცხენიან რკინიგზაზე გამეფებული იყო უსამართლობა, მუშებს აბუჩად იგდებდნენ, ხშირი იყო ცემა-ტყეპის შემთხვევები. სამუშაოდლე ცამეტი საათის ხანგრძლივობისა იყო. ცხადია, ბელგიის ანონიმური საზოგადოების იმდროინდელი „სანაქებო“ რეჟიმი მუშა-მოსამსახურეებში მოწონებით არ სარგებლობდა.

ამაზე ნათლად მეტყველებს ის ათი გაფიცვა, რომელიც ლ. კეცხოველის, ვ. სტურუას, მ. ბოჭორიშვილისა და მ. ჩოდრიშვილის ხელმძღვანელობით მოაწყვეს 1894 წლის თებერვლიდან 1918 წლამდე.

ბელგიელთა საზოგადოების კონკის ხაზის სიგრძე 22,4 კოლომეტრს აღწევდა.

ცხენის რკინიგზამ თბილისში 1910 წლამდე იარსება ავჭალის (ახლანდელი საბჭოს) ქუჩაზე.

რუსეთის ცხენის ტრამვაის შეცვლის საკითხი წარმატებით გადაწყდა. ამან აიძულა ბელგიის ანონიმური საზოგადოება ცხენი ელექტრონით შეეცვალა. 1891-1906 წლებში თბილისშიც გამოჩნდა პირველი ელექტრული ტრამვაი.

მამია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბაგერო გზამდე

თბილისში ელექტრული ტრამვაის პირველი მატარებლები გაუშვეს ვიწროლიანდაგიან ხაზებზე.

1915 წელს თბილისის საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გამოესყიდათ ტრამვაის მეურნეობა და გადაეცათ იგი ქალაქის თვითმმართველობისათვის.

ტრამვაის მეურნეობა მთლიანად დანგრეული იყო. რელსები ნორმაზე მეტად გაცვეთილი, ხოლო ხაზებზე მომუშავე ვაგონები — დანჯღრეული. ვაგონები მოძრაობდნენ ყოველგვარი განრიგის გარეშე.

1912—17 წლებში ტრამვაის მეურნეობა დაცემასა და დაქვეითებას განიცდიდა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ტრამვაის მეურნეობა კიდევ უფრო დაქვეითების გზას დაადგა. ამიტომაც იყო 1917—21


წლებში ტრამვაის პარკი ვაგონების სასაფლაოდ გადაიქცა. 179 საინვენტარო ვაგონის მხოლოდ 28 პროცენტი ძლივს მოძრაობდა ქალაქის ქუჩებში.

დანგრეული ტრამვაის მეურნეობა ქალაქის მოსახლეობაში სამართლიან აღშფოთებას იწვევდა.

მენშევიკების ბატონობამ თავისი დიდი დაასვა ტრამვაის მუშებსაც. მათი ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი.

საქართველოს დედაქალაქის მშრომლებმა მენშევიკებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს დამტვრეული, ვიწროლიანდაგიანი ვაგონები და მოშლილი ელექტრომომარაგების სისტემა.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ტრამვაელებმა განახორციელეს მთელი რიგი ენერგიული ღონისძიებანი ტრამვაის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. გაუშ-



დღევანდელი ფუნქულორის ზედა სადგურისა და რესტორნის ხელი სატელევიზიო ანტიდან



პირველი ქართული ტრამვაი

ჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები, რამაც გამოიწვია ის, რომ ჯერ კიდევ 1922 წელს მატარებელთა რიცხვი 15 პროცენტით გაიზარდა.

1926 წლისათვის თბოელსადგური უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ხაზებზე მომუშავე ვაგონების მოთხოვნილებას. ერთ-ერთი აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლა ხაზებზე ტრამვაის შემცირებას იწვევდა, ეს კი ქალაქის მოსახლეობის მომსახურების პირობებს აუარესებდა.

საქართველოში ზემო ავჭალის ელექტროსადგურის აგების შემდეგ თბილისის ტრამვაი, ძირითადად, გადავიდა ზაპესის ელექტრულ დენზე.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გაიყვანეს თერთმეტი კილომეტრის სიგრძის ტრამვაის ახალი ხაზები. კაპიტალურად შეეკეთა, როგორც ლიანდაგები, ასევე ქსელის და მოძრაობის შემადგენლობაც.

1904 წლიდან თბილისის ქუჩებში, ძირითადად, „პელიოსისა“ და „სიმენს-შუკერტის“ ფირმის ვაგონები მოძრაობდნენ.

1926 წლიდან ბელგიის ანონიმური საზოგადოების ვაგონები თანდათანობით მიტიშინსკის ქარხნის ვაგონებით შეიცვალა. 1926—32 წლებში თბილისში მიიღო სამამულო წარმოების 114 ვაგონი, რომლებიც თავიანთი თვისებებით ბევრად სჯობდნენ ადრინდელ ვაგონებს.

1932 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის მთავრობისა და თბილისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით ტრამვაის სამმართველომ დაამუშავა ტრამვაის მეურნეობის რეკონსტრუქცია — განვითარების გენერალური ტექნიკური პროექტი 1932—42 წლების განმავლობაში.

ელექტროტრანსპორტის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის შედეგად 1937 წლიდან თბილისში მხოლოდ ნორმალურდერძიანი ვაგონები მოძრაობდნენ, რამდენადაც 1933 წლიდან ვიწრო ლიანდაგის ნაცვლად დაიგო ფართო ლიანდაგი.

მამია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბაგირო გზამდე



პირველად თბილისში დამზადებული მისაბმელი ტროლეიბუსი

1937—41 წლებში გაიყვანეს 23 კილომეტრი სიგრძის ტრამვაის ახალი ხაზები დედაქალაქის თითქმის ყველა რაიონში.

ტრამვაელებმა მრავალი სიახლე დანერგეს ვაგონების შეკეთებასა და კონსტრუქციაში. 1947 წელს საკუთარი ძალებით დაამზადეს პირველი თბილისური ტრამვაის ორი ვაგონი. დამზადდა აგრეთვე ქუჩების სარწყავი ვაგონები; თვითმცლელი ვაგონი, ტრამვაის ბაქანზე მოაწყეს სამტონიანი ამწე.

პროგრესული მეთოდების დანერგვით

ტრამვაელებმა ათეულ ათასობით მანეთი დაზოგეს.

ომისშემდგომ პერიოდში თბილისის ტრამვაის პარკი ივსება სამამულო წარმოების ახალი კომფორტული ვაგონებით.

1961 წელი ქართული ტრამვაელებისათვის ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. მათ ადგილობრივი რესურსებით დაამზადეს და საქსპლოატაციოდ გადასცეს საბჭოთა კავშირში პირველი შეწყვილებულსახსრიანი ტრამვაის კომფორტაბელური მატარებელი.

ფუნქიკულორი

თბილისში ელექტრული ტრამვაის გაშვებიდან ოთხი თვის შემდეგ, 1905 წელს, დედაქალაქს შეემატა ახალი სახის ტრანსპორტი — მოძრაობა დაიწყო სამთო-საბაგირო გზის ფუნქიკულორის ვაგონებმა.

მთაწმინდის კალთები თავიდანვე თბილისელთა საუცხოო დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა გაზაფხულისა და ზაფხულის ცხელ დღეებში.

1896 წელს ქალაქ თბილისის კონკის დირექტორმა ალფონს რობიმ გადაწყვიტა სამთო-ელექტრული რკინიგზის აგება. მან ქალაქის თვითმმართველობისაგან თანხმობა მიიღო, შეიძინა მთაწმინდის პლატო და დანაწევრებული აგარაკების სახით შეუდგა გაყიდვას. ვაჭრობა სწრაფი ტემპით არ მიმდინარეობდა, რის გამოც ელექტრული რკინიგზის მშენებლობა ჭიანჭურდებოდა. ეს

მოაგარაკეთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. მოაგარაკეებმა ბელგიის ანონიმური საზოგადოების მიმართ საჩივარი აღძრეს. საჩივარმა თბილისის ცხენიანი ტრამვაის დირექტორი აიძულა დაეწყო სამთო-საბავირო რკინიგზის მშენებლობა.

1900 წლის 8 ივლისს ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც აღფონს რობის ნებას აძლევდა დაეწყო მთაწმინდის სამთო-საბავირო ელექტრული რკინიგზის მშენებლობა.

სამთო-საბავირო მშენებლობა დამთავრდა 1905 წლის მარტში და მიმოსვლაც მაშინვე დაიწყო.

იმდროინდელი გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „მამადავითის გორაზე ფუნიკულორის ვაგონების მიმოსვლა დაიწყო გუშინ, პირველ მარტს. ამ დღეს გადახდილი იქნა პარაკლისი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო“.

თბილისის ფუნიკულორი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობაა სამთო-საბავირო გზებს შორის. იგი დაპროექტებულია ინჟინერ ა. ბლაშის

მიერ, არქიტექტურული ნაწილი კი დაამუშავა არქიტექტორმა ვიჩმა.

ფუნიკულორის აგებაზე დაიხარჯა ორას ოთხმოცი ათასი მანეთი.

ფუნიკულორის ხაზის სიგრძე 501 მეტრია. ესტაკადის დახრის კუთხე 28-33 გრადუსს აღწევს.

თბილისის სამთო-საბავირო რკინიგზა რეკონსტრუირებული იქნა 1936-38 წლებში. ამჟამად იგი ერთ-ერთი ულამაზესი და უდიდესია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიაც.

ფუნიკულორის ზედა სადგური ზღვის დონიდან 727 მეტრის სიმაღლეზეა. იგი აგებულია მთაწმინდის კულტურისა და დასვენების ულამაზეს პარკში. ქვედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 460 მეტრს აღწევს. სადგურებს შორის სიმაღლეთა სხვაობა 260 მეტრია.

ვაგონების ასვლა-ჩამოსვლას ექვსი წუთი სჭირდება. თვითეული ვაგონი 50 მგზავრს იტევს.

ფუნიკულორი ყოველწლიურად ერთ მილიონამდე დამსვენებელსა და ტურისტს ემსახურება.

საავტომობილო ტრანსპორტი
და ტროლეიბუსი

1908 წელს თბილისის ქუჩებში გამოჩნდა მსუბუქი ავტომობილები. პირველი ავტომობილი ეკუთვნოდა კავკასიის მეფის ნაცვალს. ფორდის მოძველებული მარკის ავტომობილი მოსახლეობაში დიდ აურზაურსა და გაოცებას იწვევდა.

ტრამვაის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდ აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ დედაქალაქის მოსახლეობაც სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ამიტომ ტრამვაი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

თბილისში 1934 წლიდან დაწესდა ავტობუსებისა და ტაქსომობილების მოძრაობა. გადაიდგა ნაბიჯები ქალაქი მო-

სახლეობის უზრუნველყოფისათვის სწრაფი, მოხერხებული და იაფი ტრანსპორტით — ტროლეიბუსით.

პირველი საბჭოთა ტროლეიბუსი ააგეს 1933 წლის ნოემბერში. მისი გამოცდა მოეწყო მოსკოვში, ლენინგრადის გზატკეცილზე.

1937 წელს თბილისში მიიღეს ექვსი ტროლეიბუსი. პირველი ხაზი გაიყვანეს „დინამოს“ სტადიონსა და კარლ მარქსის მოედანს შორის პლესხანოვის პროსპექტის გავლით.

მამია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბავირო
გზამდე


ტროლეიბუსის ექსპლოატაცია თბილისში ძალზე მოხერხებული გამოდგა, ამიტომაც 1938—39 წლებში ზედიზედ გაიყვანეს ახალი ხაზები რუსთაველის პროსპექტზე, ელბაქიდის დაღმართზე, ლენინის ქუჩაზე, გმირთა მოედანზე.

1940 წლისათვის ტროლეიბუსის ხაზების სიგრძემ 17 კილომეტრს მიაღწია, რაც მოწმობდა ახალი სახის ტრანსპორტის წამყვან როლს ელექტროტრანსპორტში.

პირველი ქართული ტროლეიბუსი, რომელიც შემდეგში გადააკეთეს ქუჩების მოსარწყავ მანქანებად.

პირველი ტროლეიბუსი
მოსარწყავ მანქანებად

ომის შემდგომ წლებში ტროლეიბუსების მეურნეობამ დიდი აღმავლობა განიცადა. ადგილობრივი რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების სახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველად საბჭოთა კავშირში, თბილისში დამაზადეს მისაბმელიანი ტროლეიბუსები.



ავტობუსი სამგზავრო პავილიონის წინ

1936 წელს ტელმანის ქუჩაზე აშენდა დეპო, რომელიც ძირითადად 25 მანქანის მომსახურებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო 23 წლის შემდეგ, 1959 წლის ბოლოს, საექსპლოატაციოდ გადაეცა მეორე კეთილმოწყობილი პარკი საბურთალოზე 150 მანქანისათვის.

დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალეებზე ტრამვაის ხაზები მოხსნეს.

1947 წელს თბილისელმა მეტროლეიბუსეებმა საკუთარი ძალებითა და ადგილობრივი რესურსებით დაამზადეს


სები. ამისათვის გამოიყვანეს ჩაპოწერილი, ჯართისათვის განკუთვნილი ავტობუსები. ამ ღონისძიებამ სამშობლოს მილიონამდე მანეთის ეკონომია მისცა.

თბილისში ამჟამად ტროლეიბუსის ათი მარშრუტი მუშაობს. მანქანათა რაოდენობა ასზე მეტია. ხაზების სიგრძემ დიდი ხანია გადააჭარბა 60 კილომეტრს. გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა წელიწადში 70 მილიონს აღწევს.



1959 წლის 2 მაისს დედაქალაქის მშრომელები უჩვეულო სურათის მნახველნი გახდნენ. მთაწმინდის პლატოდან ჰაერში გაქიმულ ფოლადის 45 მილიმეტრიან ბაგირზე მისრიალებდა ხალხით სავსე გონდოლი. განიერი ფანჯრებიდან პირველი მგზავრების მომღიმარე სახეები მოჩანდა.

ეს იყო მართლაც უჩვეულო მგზავრობა თბილისის ცაში. მას შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია და ჰაერში დაკიდებული ტრანსპორტი ჩვენი დედაქალაქის განუყრელი ნაწილი გახდა.



საჰაერო-საბავირო გზის ვაგონეტი

საჰაერო-საბავირო გზებს საერთოდ მოკლე ისტორია აქვს. მათი მშენებლობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში (ალპების ზონაში) დაიწყო. საჰაერო-საბავირო გზების მშენებლობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. 1913 წლამდე სულ 20

გზა მუშაობდა, მომდევნო 12 წელიწადში მხოლოდ 5 ხაზი გაიყვანეს. 1926-45 წლებში — 150, ხოლო 1957 წლამდე — 450.

ბოლო ხანებში საჰაერო-საბავირო გზების მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს არა მარტო დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ სამხრეთ ამერიკასა და იაპონიაშიც.

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი, რთული და გრძელმალნიანი ტრასა მონბლანის რაიონშია. იგი საფრანგეთს იტალიასთან აკავშირებს (სიგრძე 13,5 კილომეტრი). 1913 წლიდან აუცილებელი გახდა მისი ვაგონებზე, მაგრამ არამყარი ქანები ამის საშუალებას არ იძლეოდა. გადაწყდა მეორე ახალი გზის აგება. ეს უკანასკნელი შესდგება ორი უბნისაგან, სიგრძით 5,1 კილომეტრია. პირველი უბანი 4 საყრდენზეა დაკიდებული. მეორე კი ერთმალნიანია და მსოფლიოში ყველაზე უგრძეს მალად ითვლება (2960 მეტრი). ამ გზით ფოლადის ბაგირზე დაკიდებული დახურული ტიპის ვაგონები 3800 მეტრის სიმაღლეზე აღიან.


მონბლანის რაიონში საჰაერო-საბავირო გზის მშენებლობა ძალზე რთულ პირობებში მიმდინარეობდა — შენდებოდა 5 წლის განმავლობაში ზაფხულობით. ტრასაზე შეეუღლმფრენით 7000 ტონა მოწყობილობა მიიტანეს. მშენებლობის პერიოდში 12 უბედური შემთხვევა მოხდა.

საჰაერო-საბავირო გზებმა თანდათან შეცვალა ფუნქციონორები.

დღეისათვის საბჭოთა კავშირში ასზე მეტი სამზავრო და სატვირთო საჰაერო მაგისტრალია.

1931 წელს ტყვარჩელში გაიყვანეს მძიმე ტიპის პირველი საბავირო-სატ-

მაგია ჩორგოლაშვილი
აქლემების ქარავნიდან საბავირო
გზამდე



დიდუბე-საბურთალოს საბაგირო გზა

ვირთო გზა, ხოლო 1939-40 წლებში კი ზემო რაჭაში ორი კილომეტრი სიგრძის ქანქარის ტიპის სამგზავრო-სატვირთო საპაერო გზა.

1946 წელს ზესტაფონში საპაერო ხაზის წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკაში მის მასობრივ მშენებლობას.

ყველაზე საინტერესო გზად საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს ქალაქ ჭიათურაში პერევისის ზეგანთან დამაკავშირებელი მძიმე ტიპის გზა. ამ გზით მგზავრობა რვაჯერ უფრო ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე ავტობუსით, თანაც 2,5-ჯერ იაფია.

თბილისის საბაგირო გზა საბჭოთა კავშირში ქალაქის ტიპის გზების პიონერად ითვლება. თავისი არქიტექტურით იგი ერთ-ერთი ულამაზესია მსოფლიოში.

თბილისის გზა ორბაგირიანია, როცა ერთი ვაგონი ადის, მეორე ჩამოდის. გზის სიგრძე 907 მეტრია. ფოლადის ბაგირები გადაჭიმულია სამ საყრდენზე. საყრდენების სიმაღლე 24 მეტრზე მაღალი არ არის. გზაზე ორი ვაგონი

მუშაობს. თვითეულში 30 მგზავრი ეტევა. ვაგონები წამში 6 მეტრის სიჩქარით მოძრაობენ. ეს ყველაზე დიდი სიჩქარეა საბჭოთა კავშირში.

თბილისის საბაგირო გზა დააპროექტა ჭიათურის „მარგანტრესტმა“ და „საქგიპროშახტმა“. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ჭიათურელი სპეციალისტები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისათვის ზეიმის დღეებში თბილისელებმა მიიღეს ახალი საჩუქარი — მეორე საპაერო საბაგირო გზა, რომელიც გადაჭიმულია მდინარე მტკვარზე და დიდუბეს საბურთალოსთან აკავშირებს.

ამ გზაზე ორი ღია ტიპის ვაგონი მოძრაობს, თვითეულს 25 მგზავრი გადაყავს. ტრასის სიგრძე 600 მეტრია. ფოლადის ბაგირები სადგურებს შორისაა გადაჭიმული და ერთმალაინია.

თბილისელებმა საიუბილეო დღეებში კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს — ბათუმელმა გემთმშენებლებმა ააგეს და თბილისის ზღვაში ჩაუშვეს კატერი „თბილისი, 1500“.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს საქალაქო ტრანსპორტის ექვსი სახე ემსახურება. ტრამვაისა და ტროლეიბუსს, ავტობუსსა და ტაქსომოტორს, ფუნქციულორსა და საჰაერო-საბაგრო გზებს ყოველდღიურად მილიონამდე მგზავრი გადაჰყავთ.

ქალაქის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის ტრანსპორტის განვითარებას 1965 წლისათვის. აღნიშნული გეგმის გარკვეული ნაწილი უკვე განხორციელებდა. კერძოდ, გაიყვანეს ტრამვაის ახალი ხაზი ნავთლულში, ავჭალაში; ააგეს წვივის ქვესადგურები, გაიყვანეს ტროლეიბუსის ხაზი პეკინის ქუჩაზე და სხვ., მაგრამ მრავალი ღონისძიება განხორციელებას მოელის.

მართალია, ტრამვაი უკვე არენას უთმობს ტროლეიბუსს და ქალაქის ცენტრალური მაგისტრალეებიდან თანდათანობით გადადის გარეუბნებისაკენ, მაგრამ ტრანსპორტის სამმართველომ მაინც დაგეგმა მისი ახალი ხაზების გაყვანა ლენინისა და პირველი მაისის რაიონებში. ტრამვაის ოთხკილომეტრიანი ხაზით შამპანკომბინატი დაუკავშირდება ავჭალის რკინიგზის სადგურს. ხაზს აგრეთვე გაიყვანენ ლენინის რაიონში ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის დასახლებამდე. მაუდ-კამეოლის ფაბრიკიდან დიღმამდე გადაიჭიმება ტრამვაის ახალი ხაზი.

დიდად განვითარდება სატროლეიბუსო მეურნეობაც. ნავარაუდევია ზოგიერთი უბანი უმოკლეს ვადაში გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

მტკვრის სანაპიროს მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით ტელმანის ქუჩიდან მაუდ-კამეოლის ფაბრიკამდე სანაპიროს გავლით იმოძრავენ ტროლეიბუსი. დიდუბის მიმართულებით სატროლეიბუსო მოძრაობა ხელს შეუწყობს ამ რაიონში მგზავრობის პირობების გაუმჯობესებას. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალი. ექვსკილომეტრიანი სიგრძის ტროლეიბუსის ხაზი იქნება გაყვანილი ორთაჭალიდან სოღანლულამდე.

ტრამვაისა და ტროლეიბუსის ახალი ხაზების გაყვანა ელექტროენერჯის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ დედაქალაქის სხვადასხვა რაიონებში აშენდება ელექტრო-ქვესადგურები. აშენდება აგრეთვე ვაგონ-ტროლეიბუსის შემკეთებელი ქარხანა ავჭალაში, ტრამვაის მესამე დეპო ღრმალეში და ტროლეიბუსის დეპო ორთაჭალაში.

დიდი პერსპექტივებია ავტობუსებისა და ტაქსომოტორების მეურნეობათა შემდგომი განვითარებისათვის.

1965 წლამდე აშენდება ტაქსომოტორების ახალი პარკი, შეძენილი იქნება 300 ავტობუსი, 1400 მსუბუქი ტაქსი, 86 ტრამვაი და 100 ტროლეიბუსი.

ჩვენი დედაქალაქის ტრანსპორტის ზრდა-განვითარებას უდიდესი პერსპექტივები აქვს.

მამია ჩორგოლაშვილი
 აქლომების ქარავნიდან საბაგრო
 გზამდე



ახსიტრალია

კონტინენტი მოძრაობს

ნაციონალური უნივერსიტეტის მუშაკები რამდენიმე წელია იკვლევენ თავისი კონტინენტის მთის ქანების ნიმუშებს და დაადგინეს მათი ასაკი — 98 მლნ წლიდან 800 მლნ წლამდე. ამავე დროს მათ დაწოდეს ამ ნიმუშებში შემორჩენილი დედამიწის მაგნეტიზმის კვალი, მიღებული შედეგები შეადარეს ევროპულ და ამერიკულ მეცნიერთა მონაცემებს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მეზუთე კონტინენტმა ადგილი გადაინაცვლა მაგნეტური პოლუსების მიმართ. უკანასკნელი 100 მლნ წლის მანძილზე ავსტრალია სამხრეთ პოლუსს დაშორდა თითქმის 5.000 კმ-ით, ე. ი. წელიწადში ინაცვლებდა 5 სმ-ს.

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა

პრეზიდენტი

ეგვიპტეში შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც დაევალა ერთიანი არაბული ენის დამუშავება. კომიტეტი 16 ეგვიპტელი ფილოლოგის შემადგენლობით უკვე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

ა უ შ

ახალი თაობა პოლივულში

პოლივულში ახლებურმა პოლიტიკურმა სიომ დაჰბერა. კონომუშაკთა შორის სულ უფრო და უფრო გაიზარდა რწმენა, რომ მათ, „სხვათა გამართობთ“, სრული უფლება აქვთ იქონიონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებანი, სინდისი და საკუთარი თავის პატივისცემა. შიშის, უნდობლობისა და თვალყურის დევნების ატმოსფერო მეფობდა აქ 50-იან წლებში — პოლივულის ვიგანტური მონოპოლიის ბატონობის, მაკარტის პარპაშისა და „შავი სიების“ პოლიტიკის ეპოქაში; ახლა, როცა ამერიკულ კინოფილმებს მეტწილად დამოუკიდებელი პროდიუსერები იღებენ და პოლივულის მონოპოლია ძველებურად ყოვლისშემძლე აღარ არის, ატმოსფერო უფრო ლიბერალური გახდა. ამ ბოლო დროს მსოფლიო სახელის მქონე ბევრმა ისეთმა კინომუშაკმა, როგორც არიან, მაგალითად, მსახიობები: მარლენ ბრანდო, ბერტ ლანკასტერი, მელ ფრერეი, დოროტი დენდრიჯი, დები რეინოლდსი, პროდიუსერები ბილი უაილდერი, ტონი კერტისი და სხვ., შექმნეს დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კომიტეტი. თუმცა კომი-

ტეტის წევრები უამრავ მუჟარის წერილს ღებულობენ, არც ტელეფონით ლანძღვა-გინებას აკლებენ და, ასე განსინჯეთ, ბომბებიც კი შეუგდეს სახლში ყველა მათგანს, ისინი მაინც გაბედულად გამოდიან ზანგათავის სამოქალაქო უფლებების მინიჭების, გონივრული ატომური პოლიტიკისა და მშვიდობის დაცვის მოთხოვნებით.

სენსაციური დისნეის ფილმის ირგვლივ

ჟოლტ დისნეის ჯერ არ დაუწყია თავისი ახალი ფილმის „მთვარის სხივების“ გადაღება, მსოფლიო პრესა კი უკვე ალაპარაკდა. საქმოდ დიდი სენსაცია გამოიწვია იმან, რომ მთავარ როლს, როგორც მას წინათ უკვე იუწყებოდნენ გაზეთები, ასრულებს მუნჯი კინოს ძალზე პოპულარული ვარსკვლავი პოლა ნეგრი, რომელსაც მრავალი წელია კინოში აღარ უთამაშნია. ამ შესანიშნავი მსახიობი ქალის ნამდვილი სახელი და გვარია აპოლონია ხალუპეც. ის პოლონელია და პირველ მსოფლიო ომამდე მოცეკვავედ იყო ვარშავაში. პირველ წარმატებას მან მიაღწია ბერლინში ლიუბიჩთან. პოლა ნეგრის სწრაფი კარიერა დაიწყო 1928 წელს პოლივულში ჩასვლის შემდეგ კრიტიკა აღნიშნავდა მის არაჩვეულებრივ ტალანტს; მის

თავანისმცემელთა შორის იყო ჩარლი ჩაპლინი. მუნჯი კინოს გაუქმებამ ვერ ჩააქრო პოლანგერის სახელი, მაგრამ ის თანდათან ჩამოშორდა ეკრანს და ბოლო წლებში სრულს განმარტობაში ცხოვრობდა.

მილარის ახალი კიბა

რვა წლის დუმილის შემდეგ არტურ მილერმა დაწერა ახალი პიესა — „კატასტროფის შემდეგ“ ან „ჩი“, ვინც ცოცხალი გადარჩა“. ამ პიესით გაიხსნება ლინკოლნის ხელოვნების ცენტრის სეზონი ნიუ-იორკში.

დანი

კანტატა კონსონანტში

დანიელმა კომპოზიტორმა ვალტერ ზახარიოსმა პირველი გმირი კონსონანტის იური გაგარინის პატივსაცემად დაწერა კანტატა „თორმეტი აპრილი“, რომელიც შესრულებული იქნა გაგარინის დანიში უოფნის დროს. გაზეთის ინტერვიუში კომპოზიტორმა თქვა: „კანტატა დავწერე იმიტომ, რომ ჩემთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით, ე. ი. მუსიკით, გამოიმეტა ადამიანის გმირობამ რომ აღმიძრა, ის გრძობა, ჩემთან ერთად რომ განიცდის ყველა დანიელი“.

იაკონი

განსაცვიფრებელი ხელსაწყო

იაკონელმა მეცნიერებმა შექმნეს აპარატი, რომელსაც შეუძლია განსხვავოს 100 მლნ ფერი. ადამიანის ყველაზე მახვილი თვალი 6.5 ათას ფერზე მეტს ვერ ანსხვავებს.

ახალი წარმბტებები

იაკონური კინემატოგრაფია დაბეჯითებით იაქრობს პოზიციებს მსოფლიო კინემატოგრაფიაში. აქ ყუველწლიურად იქმნება რამდენიმე ასეული მხატვრული ფილმი. 1963 წელს კინომსახიობთა შორის ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია მომხიბვლელმა მსახიობმა ქალმა იოსიკო საკუმამ.

ინგლისი

ბენჯამინ ბრიტენი 50 წლისა

კომპოზიტორი ბენჯამინ ბრიტენი, რომელსაც ამას წინათ 50 წელი შეუსრულდა, გახლავთ არა მხოლოდ ინგლისის უდიდესი კომპოზიტორი და გამოჩენილი პიროვნება, არამედ უდიდესი მოვლენაც. რა ხანია მუსიკის მოყვარულ და მდიდარი მუსიკალური ცხოვრების მქონე ინგლისის არ ჰყოლია მთელს მსოფლიოში მსახიობი ინგლისელი კომპოზიტორი — და აი, მათ ჰყავთ ბრიტენი. მსოფლიოში სახელმძღვანელო კომპოზიტორთაგან ამ ყველაზე ახალგაზრდა კომპოზიტორმა (იგი 7 წლით უმცროსია დიმიტრი შოსტაკოვიჩზე, რომელსაც მოგაგონებს ტალანტის გაქანებითა და ხიმწიფით) შესძლო შეერწყა თავის შემოქმედებაში ჰაბუკუური ენთუზიაზმი და მონუმენტალობა; იგი თამამად უსწორებს თვალს თავისი საუესის მწვავე პრობლემებს: სოციალური უკუღმართობას (ოპერა „პიტერ გრემისი“), ომს (ომის რეჟივში), და ამავე დროს შეუძლია დაწეროს თავისუფალი, მხიარული ოპერა („ლიბერტი ბერინგი“) და ორკესტრული ნაწარმოებები, რომელთაც შეუძლიათ მოხიბლონ მუსიკის უცოდინარი ყველა ადამიანი („სემაწვილი კაცის გზის მაჩვენებელი ორკესტრში“); ეპოქაში, როცა მუსიკის განვითარება ძალზე არათანაბარი გზით მიედინება, ბრიტენმა თავისი ორიგინალური ტალანტის წყალობით თავი დააღწია ათასგვარ მოღურ გავლენას, წონასწორობა შეინარჩუნა სინთეზში — „ტრადიციანოვტორობა“ და მუსიკის ისტორიაში შევა, როგორც XX საუკუნის რეალისტი.

შვიდი ინგლისის სენაზა

ლონდონის თეატრი „მერმეიდი“ 1951 წელს აღმოცენდა, დონის დოკტორებს რაიონში, 1959 წლიდან მუშაობს ლონდონის დოკტორების რაიონში,

ნავსადგურის საწყობიდან გადკეთებულ შენობაში. ამჟამად აქ წარმატებით იღვებენ თოლდ ბრეტის პიესა — „შეიკი მეორე მსოფლიო ომში“. პიესა, რომელსაც ინგლისელმა დამდგმელებმა და მსახიობებმა ნამდვილი შევიკისებური ჟღერადობა მისცეს, დაიდგა ბერლინერ ანსამბლთან მკიდრო თანამშრომლობით, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია — ინგლისის მთავრობამ ამას წინათ აკი აუკრძალა ბერლინერ ანსამბლს ინგლისში ჩასვლა. სპექტაკლის დიდ წარმატებას ხელს უწყობს „მერმეიდის“ პოპულარული მსახიობი ბერნარ მაილსი შევიკის როლში.

მოდილიანის ნახატები

ლონდონის ტეიტის გალერეამ პირველად გამოფინა ამაღეო მოდილიანის დღემდე უცნობი ნახატები და ესკიზები. გამოფინის დახურვის შემდეგ ეს ალბომი შესანახავად გადაეცემა ლუერის მუზეუმს.

საფრანგეთი

ჟან ბაბინი ტოვებს მარანს

გაოჩინილმა ფრანგმა მსახიობმა ჟან გაბენმა განაცხადა, რომ გაიხიდან თავს ანებებს კინოში მუშაობას. მისი უკანასკნელი ფილმია „მესიე“, რომელსაც იღებს პოლ ლეშანუა. ამ ფილმის დასრულების შემდეგ ჟან გაბენი წავა თავის მამულს და მონკონეერში და ხელს მიჰყოფს ცხენებისა და საქონლის გაუმეებას.

ფერანდელის ახალი ფილმი

ფილმი — „კარაქით მომზადებული სადილები“, რომელსაც იღებს რეჟისორი ვილგრანუე, 130-ე ფილმია ფერანდელის მონაწილეობით, მაგრამ ამავე დროს ესაა პირველი ფილმი, სადაც ფერანდელი მონაწილეობს თავის მეტოქესთან, მეორე სახელგანთქმულ ფრანგ კომიკოსთან — ბურვილთან ერთად.

ულტრათანამედროვე ინსტრუმენტები

ბუღაპეშტში, მუსიკოს გეზა ბალოგას სახელოსნოში, არის მის მიერ შექმნილი უნიკალური მუსიკალური ინსტრუმენტები — ორკესტრონი, რომელსაც საფუძვლად დაედო გიტარა. ამ ინსტრუმენტს შეუძლია გამოსცეს გონგის, ვიოლონჩელის, ფისგარმონიის, საჯარო ვიოლინოს, მანდოლინის, ვიბრაფონის, არფის, ციმბალის და ნაირ-ნაირი დაფაფების ხმა, აგრეთვე ორთქლმავლის სტვენა, ძაღლის ყეფა, ლომის ბრღვევნა და სხვადასხვა ფრინველის გალობა. გიტარისტი მალე გამართავს ტურნეს მთელს მსოფლიოში თავისი უნიკალური, მთელი ორკესტრის შემცვლელი ინსტრუმენტით.

შევიცვარია

კორბიუზიის მუზეუმი

სახელგანთქმული შვეიცარიელი არქიტექტორის ლე-კორბიუზიეს პატივსაცემად ციურისში შენდება მუზეუმი. შენობის პროექტის ავტორია თვით ლე-კორბიუზიე, მუზეუმში მოთავსებული იქნება მისი სახელმძღვანელო შენობების ნახაზები, მაკეტები, აგრეთვე მისი ფერწერული ტილოები და ქანდაკებები.

შევიცვია

ინგმარ ბერგმანის ახალი კოსტი

გამოჩენილი კანორეისორი ინგმარ ბერგმანი სათავეში ჩაუდგა შვედიის საუკეთესო თეატრს სტოკჰოლმში — დრამატის ტეატრს და კულტურული საზოგადოებრიობა დიდ იმედებს ამყარებს მის ხელმძღვანელობაზე. როგორც გაუთვლები იუწყებიან, ბერგმანი თვითონ დადგამს ამ სეზონში ელდუარდ ოლბის პიესას — „ვის ეშინია ვირჯინია ვულფისა?“ და შვედი მწერლის ზილმარ ბერგმანის საგას. მის მიერ გამოცხადებულ რეპერტუარში გაჩნდა აგრეთვე ისეთი სახელები, როგორიცაა ბერთოლდ ბრეხტი („შვეიცია მეორე მსოფლიო ომში“), მიუსილი, უენე, იონუსკო, ბეკეტი, მაგრამ მათ გვერდითაა შექსპირი და ოსტროვსკი. ბერგმანს განზრახული აქვს დრამატული თეატრის მთავარი სცენისა და მისი ორი ფილიალი-სათვის მოამზადოს 50 სპექტაკლი მაინც. მას არც ახალგაზრდობა დავიწყნია — მათთვის მზადდება „ანა ფრანკის დღიური“ და „რომეო და ჯულიეტა“.

კინოდან თეატრში ბერგმანის ამ გადაწყვეტილების გამო მაყურებელი კიდევ უფრო მეტის ინტერესით მიეღობს მის

უკანასკნელ ფილმს „სინკრე-მე“. ამ ფილმში თამაშობს 800 მსახიობი, რაც ყოველად უჩვეულო რაზმა ბერგმანის მეთოდებისათვის. კინოში მუშაობა თავს იღვა ბერგმანის მოწაფემ ვილგოტ სიომანმა, ახალგაზრდა შვედი კინოშემაკების წარმომადგენელმა. მისი ახალი ფილმი „491“ მოგვიტობობს ექვსი ბიჭის ამბავს — მათ, როგორც გამოუსწორებლებს, პატრონობენ და თვალუბრს ადევნებენ სოციალური დარღვის მუშაკები. ფილმში მონაწილეობენ სრულიად უცნობი მსახიობები.

ჩემოსლოვაკია

ფილმის იუბილე

ბრატისლავამ და მთელმა სლოვაკიამ ამას წინათ აღნიშნა იშვიათი იუბილე — 30 წლისთავი კაროლ პლიცკას ფილმისა „მიწა მღერის“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სლოვაკური კინემატოგრაფიის ისტორიაში. სლოვაკიის ბუნებისა და მისი ხალხის პოეტურმა განდიდება, რაც იშვიათი სიფაქიზით გამოიხატა დოკუმენტურ კადრებში, ამ ფილმს მოუტანა საერთაშორისო აღიარება 1934 წელს ვენეციის ბიენალზე. კინოთეატრ „სლოვაკში“ გაიმართა საზეიმო საღამო, ხოლო შემდეგ — მიტინგი პელნში, სადაც პლიცკამ ამ 30 წლის უკან გადაიღო თავისი ფილმი.



რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პოსტ. № 91.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 86. უე 04125. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ქალიშვილი დაირით.
მხატვარი ირაკლი თხიფაძე.

ქართული
ჰელურის
ხელოვნების
ნიშნები.



ხევისრი ბოგონა.
მხატვარი გურამ გაბაშვილი.

9368 60 333

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236

გამოაფხიზლა. რამდენ ხანს ეძინა, ვერ გაიგო.

შუალამე გადასული იყო. ახალგაზრდები როიალის გარშემო შექუჩებულიყვნენ. ცეკვები დაემთავრებინათ და ახლა ფლირტს თამაშობდნენ. თამაზს ნოდარის განუყრელი ქუდი ედო მუხლებზე. ქუდში წვრილ-წვრილი ნივთები უწესრიგოდ ჩაეყარათ. თამაზი ქუდში ხელს ურევდა, რაიმე ნივთი ამოჰქონდა და იძახდა: „ამის პატრონმა რა ქნას!“

გივი ასახელებდა პირობას, რომელსაც ჯერჯერობით ხალისით ასრულებდნენ.

ია როიალის სკამზე იჯდა. მარცხნივ და მარჯვნივ ტრიალებდა. ახალი კაბა ეცვა. კაბა თითქოს სადად იყო შეკერილი, მაგრამ ძალიან შვენიოდა. ია ბრწყინავდა.

„ქალი კი არა, ღმერთია, — ფიქრობდა ნოდარი, — სულ არ იყო ორი თვის წინ ასეთი“.

— ამის პატრონმა რა ქნას! — დაიძახა თამაზმა.

გივიმ დაინახა, როგორ აპრიალდა თამაზის ხელში მისი ბენზინის ასანთი.

— მაგის პატრონმა იას აკოცოს! — თქვა გივიმ.

თამაზმა ნივთი უცებ არ გამოაჩინა და სიჩუმე გამეფდა. ყველას აინტერესებდა, რომელ ვაქს შეხვდა ბედნიერი ბილეთი. თამაზმა ხელი გაშალა.

— ჩემი ყოფილა?! — გაიკვირვა გივიმ.

— იცოდა, დაინახა! — აყაყანდნენ ბიჭები. გივი მიხვდა, როგორ საშინლად შეშურდა ყველას მისი ბედი.

— შენ, ბიჭო, ჩემი კოცნა თუ გინდა, ისე მაკოცე! — გაუცინა იამ. გივის რაიმე მოსწრებული სიტყვით უნდოდა ეპასუხენა, მაგრამ სახირო ვერაფერი მოიფიქრა და გადათქვა. იამ კილევ გაუცინა. გივიმ ნაცნობი სითბო იგრძნო; სამაგიეროდ შერცხვა და იჭაურობას გაეცალა. კუთხეში დაჯდა, უზარმაზარ რადიომიმღებს ამოეფარა. მოიწყინა. გაუკვირდა, როგორ ვერთობოდი ამ სულელური თამაშითო. სავარძელში გასწორდა და თვალები მილულა. მოთამაშეთა სიცილი და ყრამული ერთ მთლიან ბზუილად მოეძმა. მოენატრა ღია. „რა იქნება, რომ

ისიც აქ იყოს,“ — გაიფიქრა მან და მოღბურანში გაყუჩდა. ათასი ფიქრობა ერთად თავში. „რა მინდა აქ, რატომ ვარ?“

გაიფიქრა ბოლოს და წამოიწია; გაახსენდა, ღვინის სმა გრძელდებოდა, ამან გამოაფხიზლა, წამოდგა.

ჯუკუ ზურგშექცევით იჯდა მაგიდასთან და შოთა რიკრიკაშვილს ელაპარაკებოდა. ფრიად სერიოზულად საუბრობდნენ, მაგრამ შოთას დროდადრო უცნაურად ეღიმებოდა. ჯუკუს სულ სხვა რამ აწუხებდა და შოთას ღიმილს ყურადღებას არ აქცევდა. იგი ჯერ ფხიზელი იყო, თამაშში გარეგან ვერ ბედავდა და ამას ჯავრობდა. ვირი რომ ხზოებში გაერია, ისე არ მომივიდესო, ეშინოდა.

— არ გავაგრძელოთ? — ჰკითხა გივიმ.

— რა ვიცი! — გამოცოცხლდა ჯუკუ.

— უთხარი, მოვიდნენ, რა ამბავია ამდენი თამაში! — თქვა შოთამ. იგი კარგახანი აქეზებდა თამადას, ამდენ უფლებას ნუ აძლევ სუფრის წვევებსო. მართალია, თვითონ დიდი ღვინის მსმელი არ იყო, მაგრამ მაინც იქ ყოფნა ერჩია.

— მოდი, ნოდარია, სუფრასთან! — დაიძახა ჯუკუმ.

ნოდარს უკან არ მოუხედია, მაგრამ ამის საპასუხოდ, ეტყობოდა, რაღაც იხუმრა, რადგან დანარჩენებმა ხმამაღლა გაიცინეს.

ნოდარი მთელი საღამო ხუმრობდა, მართალია, ხშირად არც ისე მახვილგონიერად, მაგრამ ქალები მაინც ყველაფერზე იცინოდნენ.

ჯუკუმ ხელი ჩაიქნია და მაგიდასთან გასწორდა. გივი და შოთაც მიჩოჩდნენ. მალე ერთი მძიმე წონის მოჭიდავე მოემატათ. ეს მოჭიდავე ამ ოჯახში დაუბატიყებლად შემოხეტიალდა. მთვრალი იყო და თავი პირველად გამომწვევად ეჭირა, მაგრამ მერე ნელ-ნელა გამოფხიზლდა და დაიმორცხვა. ჩანდა, სულ არ იყო თავხედი.

ბიჭებმა ჭიქები შეავსეს და მეგობრობის, ადამიანობის, გატანისა და გაგების სადღეგრძელო შესვეს.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი